ეკლესიის დოქტრინა და პრაქტიკა

დოქტორი სტივენ გიბსონი

shepherds
GLOBAL CLASSROOM

Copyright © 2019 Shepherd’s Global Classroom
მეორე გამოცემა [ქართული] ISBN: [_____]

ყველა უფლება დაცულია. ტესტებისთვის განკუთვნილი გვერდების გარდა, ამ წიგნის სხვა, ნებისმიერი ნაწილის ხელახალი გამოცემა ან გადაცემა ელექტრონულად, მექანიკურად, ქსეროასლით, ჩანაწერით ან სხვა ნებისმიერი ფორმით დაუშვებელია - "შეპერდს გლობალ კლასრუმ"-ის (SGC-ის) წერილობითი ნებართვის გარეშე. SGC-ს ინგლისურენოვანი სასწავლო გეგმის ყოველი შენაძენი, საშუალებას გვაძლევს ვთარგმნოთ და შემდეგ გავუზიაროთ იგივე სასწავლო პროგრამა ქრისტიან ლიდერებს მთელს მსოფლიოში. SGC-სთან დასაკავშირებლად ან ამ საინტერესო ხედვისთვის შესაწირავის გასაგზავნად, გადადით ShepherdsGlobalClassroom.org - ზე.

სარჩევი

კურსის მიმოხილვა 4

(1) ერთი ღმერთი და ერთი ეკლესია 7

(2) ქრისტიანული ერთობა 16

(3) ადგილობრივი ეკლესია 26

(4) საეკლესიო ასოციაციები 33

(5) ეკლესიის წევრობა 41

(6) ცხოვრება ერთმანეთთან მოზიარეობაში 54

(7) ეკლესია მსოფლიოში 63

(8) ადგილობრივი ეკლესიის მხარდაჭერა 71

(9) მეათედი 80

(10) ნათლობა 87

(11) ზიარება 98

(12) ეკლესიური დისციპლინა (წესრიგის აღსრულება) 108

(13) ქრისტიანი ლიდერის ხასიათი 119

(14) სულიერი ნიჭები 129

(15) ეკლესიის სიმწიფისათვის საჭირო საკითხები 141

დავალებების ჩასაწერი ფორმა 149

კურსის მიმოხილვა

კურსის აღწერა

ეს კურსი წარმოგიდგენთ ეკლესიის ბიბლიურ კონცეფციას, როგორც ცენტრალურს ღმერთის საქმეში დედამიწაზე. სტუდენტი მიიღებს ცოდნას ქრისტიანული ერთობის, ეკლესიის წევრობის, მოზიარეობის, მსახურების ფინანსური დახმარების, მეათედის, ნათლობის, ზიარების, ეკლესიური დისციპლინისა და ეკლესიის სიმწიფის ნიშნების შესახებ. კურსი განმარტავს პრინციპებს და მათ გამოყენებას ეკლესიის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.

კურსის მიზნები

(1) ეკლესიის არსისა და ბიბლიური აღწერის გაგება.

(2) ეკლესიისთვის ღვთის გეგმის და მისი მოქმედების დანახვა ეკლესიაში.

(3) ეკლესიის წევრისა და ლიდერის პასუხისმგებლობის შესწავლა.

(4) ადგილობრივი ეკლესიის მხარდაჭერის, ადმინისტრირებისა და განვითარების პრინციპების გამოყენება.

(5) ეკლესიის შესახებ სწავლებისათვის შინაარსისა და სტრუქტურის უზრუნველყოფა.

განმარტებები და მითითებები კლასის ლიდერებისთვის

მითითებები თითოეული გაკვეთილისთვის, რომელიც გადანაწილებულია გაკვეთილის ტექსტში, დაბეჭდილია დახრილი შრიფტით (italics).

სიმბოლო ► აღნიშნავს **სადისკუსიო (განსახილველ) კითხვებს**. კლასის ხელმძღვანელმა უნდა დაუსვას შეკითხვა და მისცეს მოსწავლეებს დრო პასუხის განსახილველად. თუ, როგორც წესი, ერთი და იგივე სტუდენტი პასუხობს პირველი, ან თუ ზოგი სტუდენტი არ აქტიურობს, ლიდერს შეუძლია შეკითხვა პირადად დაუსვას: ”პეტრე, როგორ უპასუხებდი ამ კითხვას?”

ამ კურსში გამოყენებულია ბევრი ადგილი **წმინდა წერილიდან**. ყოველთვის, როცა კლასმა ერთად უნდა წაიკითხოს მონაკვეთი, ეს მითითებებში იქნება აღნიშნული. მაგალითად: სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ჯგუფს რომაელების 6 თავი. სხვა დროს წმინდა წერილის ადგილები მოცემულია ტექსტში, ფრჩხილებში. მაგალითად: (1 კორინთელთა 12:15). ეს ადგილები განამტკიცებს ტექსტში მოცემულ მტკიცების

ფორმულირებებს. აუცილებელი არ არის ყოველთვის წაიკითხოთ ფრჩხილებში მოცემული მუხლები.

თითოეულ გაკვეთილში მოცემულია სულ მცირე **ორი ჩარჩო** ზოგიერთი ისტორიული ღვთისმეტყველის **ციტატით**. როდესაც გაკვეთილში ციტატას შეხვდებით, კლასის ხელმძღვანელს შეუძლია სთხოვოს სტუდენტს წაიკითხოს და განმარტოს ციტატა.

ყველა გაკვეთილი, ერთის გარდა, მთავრდება **შვიდი შემაჯამებელი დებულებით**. გაკვეთილის მიზანია სტუდენტმა გაიაზროს ეს პუნქტები. სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ და დაიმახსოვრონ ეს დებულებები. სტუდენტებმა უნდა **დაწერონ ერთი აბზაცი თითოეული** დებულების შესახებ და გადასცენ ეს აბზაცები კლასის ხელმძღვანელს მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში (სულ შვიდი აბზაცი). თითოეულ აბზაცში სტუდენტმა უნდა განუმარტოს დებულება ისე, როგორც აუხსნიდა მათ, ვინც კლასში გაკვეთილს არ დასწრებია, მათ შორის ისიც, თუ რატომ არის ეს, მნიშვნელოვანი კონცეფცია. მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში კლასის ლიდერს უნდა ჰყავდეს რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც გაუზიარებენ თავიანთ აბზაცებს მთელს ჯგუფს.

ასევე მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეები **დაწერენ ზეპირად ნასწავლ შვიდ შემაჯამებელ დებულებას**, მათი ცოდნის შესამოწმებელი წერითი გამოცდის სახით. კლასის ხელმძღვანელი უნდა დარწმუნდეს, რომ მოსწავლეები არ იხედებიან თავიანთ ჩანაწერებში და არ ეხმარებიან ერთმანეთს ტესტის დროს. თუ სტუდენტს არ შეუძლია ამ ჩამონათვალის დაწერა, მას შეუძლია დაგეგმოს და კიდევ სცადოს ტესტის გავლა მოგვიანებით.

კურსის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტების მომზადება მასწავლებლობისთვის. კლასის ლიდერმა უნდა მისცეს სტუდენტებს შესაძლებლობა განავითარონ თავიანთი უნარები სწავლების მხრივ. მაგალითად, კლასის ხელმძღვანელმა დროდადრო უნდა მისცეს სტუდენტს საშუალება გაკვეთილის მოკლე მონაკვეთი ასწავლოს კლასს.

სწავლების პრაქტიკის დავალება: კურსის განმავლობაში სტუდენტმა უნდა ასწავლოს გაკვეთილი, ან გაკვეთილის ნაწილი ინდივიდს ან ჯგუფს, რომელიც არ წარმოადგენს კლასის ნაწილს. მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს სასწავლებელი მასალა. ეს უნდა გაკეთდეს სამჯერ, სხვადასხვა მასალით. ეს დავალება არ არის დროში გაწერილი. მოსწავლემ უნდა შექმნას შესაძლებლობები და დარწმუნდეს, რომ ის ასრულებს დავალებას. მოსწავლე ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს კლასის ხელმძღვანელს ყოველ ჯერზე, როდესაც ის დაასრულებს სასწავლო სესიას.

სხვა დავალებები იქნება ჩართული კურსის განმავლობაში: ინტერვიუები, წმინდა წერილების შესწავლა, წერა თუ ტესტები. ნებისმიერი წერილობითი დავალება უნდა ჩაბარდეს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. კლასის ხელმძღვანელი ყოველთვის უნდა წარმართავდეს დისკუსიას დავალების მიხედვით და ჩართოს რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც გაუზიარებენ სხვებს, თუ რა ისწავლეს, ან რა დაწერეს.

თუ სტუდენტს სურს **მოიპოვოს სერთიფიკატი Shepherds Global Classroom–სგან**, ის უნდა დაესწროს საკლასო გაკვეთილებს და შეასრულოს დავალებები. კურსის ბოლოს მოცემულია ფორმა შესრულებული დავალებების ჩასაწერად.

გაკვეთილი 1
ერთი ღმერთი და ერთი ეკლესია

შესავალი

► რატომ დადიხართ ეკლესიაში?

როდესაც ხალხი საუბრობს "ეკლესიაში სიარულზე", გულისხმობენ ეკლესიის შენობაში მისვლას დაგეგმილ ღვთისმსახურებაზე.

ბევრი ამბობს, რომ ისინი დადიან ეკლესიაში, რათა გაიგონ მეტი ღმერთის შესახებ. ზოგჯერ ადამიანები, რომლებიც თავს შორს გრძნობენ ღმერთისგან, მიდიან ეკლესიაში იმ იმედით, რომ იგრძნობენ ღმერთის თანდასწრებას. ადამიანები, რომლებიც იცნობენ ღმერთს, დადიან ეკლესიაში იმ იმედით, რომ განიცდიან მის თანდასწრებას თაყვანისცემისას. ეკლესია ღმერთზეა კონცენტრირებული. ადამიანებს უნდა შეეძლოთ განიცადონ ღვთის თანდასწრება ეკლესიის თაყვანისცემასა და ღვთისმსახურებაში.

მაგრამ ეკლესია არ არის შენობა და ეს არ არის მხოლოდ თაყვანისცემის მსახურებები. ეკლესია არის მორწმუნეთა ჯგუფი, რომლებიც ერთად არიან მოწოდებულნი და მიძღვნილნი, რომ იყვნენ ეკლესია. ასე რომ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანებზე, რომლებიც ხედავენ ეკლესიას ან შემოდიან ეკლესიაში, ჩვენ ვგულისხმობთ მორწმუნეთა ჯგუფს. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ეკლესია ეძღვნება ღმერთს, ჩვენ არ ვგულისხმობთ მხოლოდ იმას, რომ შენობა და ღვთისმსახურებაა მიძღვნილი ღვთისადმი. ცხოვრება, რომლითაც ერთგული მორწმუნეების ჯგუფი ცხოვრობს ერთად, ეძღვნება ღმერთს.

სიტყვის წარმოშობა

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ბერძნული ტერმინი *ekklesia (ეკლესია)* ფართოდ გამოიყენებოდა. როდესაც ქალაქში ცხადდებოდა მოწვევით ხალხის შეკრება შეხვედრისთვის, შეხვედრას ეწოდებოდა *ekklesia (ეკლესია).*

Ekklesia (ეკლესია) ეკლესია არის სიტყვა, რომელიც გამოიყენება ახალ აღთქმაში ეკლესიის მიმართ. ეს სიტყვა გამოყენებულია 117 ჯერ ახალ აღთქმაში, მაგრამ ეს ნახსენები სიტყვა ყველგან არ აღნიშნავს ეკლესიას. ზოგ ადგილას ის სხვა სახის შეკრებებს ნიშნავს (საქმეები 19:32, 39 და 41).

სახარება შეთავაზებულია ყველა რასის, სოციალური კლასის, ადგილსამყოფელისა და პროფესიის ადამიანისთვის. ისევე, როგორც ქალაქში ყველა იგებდა შეკრების შესახებ

მაცნეს განცხადებას, არცერთი კატეგორიის ადამიანი არ გამოირიცხება შეთავაზებული სახარების მიმღებთა რიგებიდან.

ეკლესია არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც პასუხობს სახარების მოწოდებას. ისინი მოდის ყველა კატეგორიის ხალხიდან, რათა შექმნან ადამიანთა განსაკუთრებული, მრავალფეროვანი ჯგუფი, რომლებიც მიძღვნილნი და ერთგულნი არიან ქრისტესა და მისი ეკლესიისადმი.

მამა ღმერთი ეკლესიაში

სამების პირები - მამა, ძე და სულიწმიდა - განსაკუთრებულად ეპყრობიან მორწმუნეებს ეკლესიაში.

ღმერთი სამუდამოდ განადიდდება იმ საქმეებისთვის, რასაც ის ეკლესიაში აკეთებს.

> მას დიდება ეკლესიაში, ქრისტე იესოში და ყველა თაობაში უკუნითი უკუნისამდე, ამინ! (ეფესელთა 3:21).

იმის გამო, რომ ეკლესია არსებობს ღვთის სადიდებლად, მან არაფერი არ უნდა გააკეთოს, რაც ღმერთს შეურაცხყოფს. ეკლესიამ არ უნდა გააკეთოს ისეთი რამ, რაც ხალხში გამოიწვევს გაუგებრობას, თუ როგორია ღმერთი, ან ღმერთის ნაცვლად ყურადღების კონცენტრირებას ადამიანზე გააკეთებს.

ეკლესია არის ღმერთის ოჯახი.

> მაშასადამე, სანამ დრო გვაქვს, სიკეთე ვაკეთოთ ყველასთვის, უფრო მეტად კი მათთვის, ვინც **რწმენით ჩვენიანია**. (გალატელთა 6:10).
>
> თქვენ კი ასე ილოცეთ: **მამაო ჩვენო**, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი (მათე 6:9).

იმის გამო, რომ ეკლესია არის ღმერთის ოჯახი, შეუძლებელია ადამიანი იყოს ჭეშმარიტად ეკლესიაში, თუ მას არ აქვს ღმერთის რწმენა და არ აქვს ურთიერთობა მასთან. ადამიანი ეკლესიაში არ შემოდის მხოლოდ ეკლესიის წარმომადგენლების გაცნობით. ის ეკლესიაში შემოდის ღმერთთან ურთიერთობით და შემდეგ იწყებს ურთიერთობას ღვთის ხალხთან.

► რას ნიშნავს ღმერთი იყოს შენი მამა?

ქრისტე ეკლესიაში

იესო არის ის, ვინც აშენებს ეკლესიას. იესო გვპირდება ეკლესიის საბოლოო წარმატებას.

> და მე გეუბნები შენ, რომ შენ ხარ პეტრე (კლდე), და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას. (მათე 16:18).

იესომ აღგვითქვა, რომ ეკლესიასთან იქნებოდა.

> ... და, აჰა, მე თქვენთან ვარ მარადჟამს საუკუნის აღსასრულამდე. ამინ. (მათე 28:20).

> ვინაიდან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ ვარ, მათ შორის (მათე 18:20).

ქრისტე არის ეკლესიის თავი. ეკლესია არის მისი სხეული ქვეყნიერებაზე. ქრისტეს ეკლესიასთან პირადი ურთიერთობა უფრო ღრმაა, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ.

> "პირადი ფრაზა "ჩემს ეკლესიას" მიუთითებს იმაზე, რომ იესო, მათეს თანახმად, განზრახ აპირებდა უწყვეტი ლოცვის, ქადაგებისა და დისციპლინის გაერთიანების შექმნას. მან მოუწოდა და გაწვრთნა თავისი მოწაფეები და აღუთქვა სულიწმიდის მოსვლა, რომელიც გაუძღვებოდა მათ მისი ამაღლების შემდეგ. "
> - თომას ოდენ, სიცოცხლე სულიწმიდაში

> და ყოველივე დაამხო მის ფერხთა ქვეშ და დაუმორჩილა, და ის დაადგინა ყოველივეზე მაღლა, თავად ეკლესიისა, რომელიც მისი სხეულია, სისრულე აღმავსებლისა ყოველივესი ყოველივეში (ეფესელთა 1:22-23).

> იმიტომ, რომ მისი სხეულის ასოები ვართ, მისი ხორცთაგანნი და მისი ძვალთაგანნი (ეფესელთა 5:30).

იმის გამო, რომ ეკლესიის წევრი არის ქრისტეს სხეულის ნაწილი, შეუძლებელია ადამიანი მართლაც იყოს ეკლესიის ნაწილი, თუ მან პირადად არ ირწმუნა იესო, როგორც მხსნელი და არ აღიარებს ქრისტეს, როგორც უფლის, ავტორიტეტს.

► როგორ ადამიანს შეიძლება ეწოდოს ქრისტეს სხეულის წევრი?

სულიწმიდა ეკლესიაში

საქმეების წიგნი გვიჩვენებს, რომ ადრეულმა ეკლესიამ იცოდა სულიწმიდის თანდასწრებისა და ძალის შესახებ. სულიწმიდა შთაგონებას და ძალას აძლევდა ქადაგებისთვის (საქმეები 2:11). მან მოუწოდა ადამიანებს განსაზღვრულ მსახურებაში (საქმეები 13: 2). ის გაუძღვა მათ მსახურებისთვის სწორ ადგილებში (საქმეები 16: 6-10). მან მოაგვარა დოქტრინალური საკითხები (საქმეები 15:28).

სულიწმიდა არის ეკლესიის უდიდესი მმართველი, თავისი მისიის მსოფლიო მასშტაბით შესასრულებლად.

არცერთ ადამიანურ ორგანიზაციას არ შეუძლია მოლოდინი ჰქონდეს, რომ მთელი ამოცანის შესრულებას შეძლებს. ღმერთი მოუწოდებს და აგზავნის მისიონერებს და მან იცის ყველა გეოგრაფიული არეალის მოთხოვნილებები.

ადამიანი შემოდის ეკლესიაში, განიცდის სულიწმიდის მიერ განახლების სასწაულს. ვინაიდან ეს აღდგინება არის ზებუნებრივი გამოცდილება, ევანგელიზაციას ზებუნებრივად ხელმძღვანელობს და აძლიერებს სულიწმიდა. ევანგელიზაციის შედეგები ვერ აიხსნება ბუნებრივი მიზეზებით.

ეკლესიური ცხოვრება არის სულიწმიდაში ცხოვრება.

თაყვანისცემას ადრეულ ეკლესიაში სულიწმიდა უძღვებოდა. ის სხვადასხვა წევრების მეშვეობით ლაპარაკობდა (საქმეები 4:30-31). თაყვანისცემის დაგეგმილი პროგრამა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა შეცვლილიყო სულიწმიდის მიერ.

ეკლესია განსხვავდება ყველა სახის ადამიანური ორგანიზაციისგან. ეკლესიის წევრები ერთმანეთთან მოზიარეობაში არიან, რადგან ისინი ღმერთთან ურთიერთობენ და სულიერი ცხოვრება აქვთ. ადამიანი, რომელიც არ არის მოქცეული, სინამდვილეში არ არის ამ მოზიარეობაში, მაშინაც კი, თუ მას მოსწონს ეკლესია და ეკლესიის წევრების მეგობარია.

სულიწმიდა იძლევა სულიერ ნიჭებს, რომლებიც წევრებმა უნდა გამოიყენონ ერთმანეთის მსახურებისთვის. (1 კორინთელთა 12:4-7). იერუსალიმის ადრეული ეკლესიის პირველ დღეებში, წევრების ერთგულება და ერთობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ეს ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე მორწმუნეებისთვის. ხალხი ყიდიდა ქონებას და ფულს გასცემდა, რათა ეკლესიის წევრებს ერთად, ერთმანეთთან მოზიარეობაში ეცხოვრათ. როდესაც ანანიამ და საფირამ მოიტყუეს, ისინი დაიხოცნენ, რადგან მათმა ცოდვამ შეურაცხჰყო სულიწმიდის დიდებულ მოქმედებას ეკლესიაში (საქმეები 4:32-35, 5:1-4).

ეკლესიის ერთიანობა მიიღწევა სულიერი ცხოვრებით.

ეკლესიას (არა შენობა, არამედ მორწმუნეთა ჯგუფს) უწოდებენ "ღვთის ტაძარს", რადგან სული განსაკუთრებულად ცხოვრობს ეკლესიაში (2 კორინთელთა 6:16). ნებისმიერი ადამიანი, ვინც ზიანს აყენებს სულიერ ტაძარს, რომელშიც ქრისტიანული ერთობა სუფევს, სერიოზულ სასჯელს დაიტეხს (1 კორინთელთა 3:16-17).

► რას ეტყოდით მას, ვინც აცხადებს, რომ შემოსილია სულიწმიდის ძალით, მაგრამ თავს ესხმის და ანაწევრებს ეკლესიას?

ღმერთი გამოვლინდა ეკლესიის მეშვეობით

ეკლესია ეხმარება ადამიანებს გაიხსენონ ღმერთი, გაამახვილონ ყურადღება ღმერთზე და განიცადონ ღმერთისმიერი ცვლილებები.

ეკლესია დაიგეგმა და შეიქმნა ღმერთის მიერ. დედამიწაზე, ნებისმიერ სხვა ადგილზე მეტად, ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილი არის ეკლესია, სადაც ღვთის ნების აღსრულება ხდება ადამიანების მიერ, რომლებსაც უყვართ ღმერთი. ამგვარად, ეკლესია უჩვენებს ქვეყნიერებას როგორია ღმერთი.

► რა არის ის, რაც ღმერთთან დაკავშირებით უნდა დაინახონ ადამიანებმა, როდესაც ეკლესიას ხედავენ?

ეკლესიის შემხედვარე ადამიანებმა უნდა დაინახონ, რომ ღმერთი მოსიყვარულე და მოწყალეა, ზრუნავს ყველა ადამიანზე, მპატიებელია, მხარს უჭერს ჭეშმარიტებას, ასრულებს ვალდებულებებს, სძულს ცოდვები და ამავდროულად უყვარს ცოდვილები.

► რა შეცდომებს უნდა მოერიდონ ადამიანები იმის გახსენებით, რომ ეკლესია ღმერთთან არის კავშირში?

თაყვანისცემა

რადგან ეკლესია არსებობს ღმერთისთვის, ეკლესიის თაყვანისცემა ღმერთზე უნდა იყოს ორიენტირებული. როდესაც თაყვანისცემა ხდება ორიენტირებული ადამიანთა ლიდერებზე ან შემსრულებლებზე, ის ხდება ადამიანზე ორიენტირებული, რაც არის კერპთაყვანისმცემლობა. არასწორი თაყვანისცემა ხდება ხორციელი, აამაღლებს გარკვეულ ადამიანებს და აღძრავს ბუნებრივ სურვილებს. არასწორი თაყვანისცემა შეიძლება დემონურიც კი გახდეს, რადგან თაყვანისმცემლები ემორჩილებიან გრძნობებს და სულებს, რომლებიც არ არიან ღვთისაგან.

ერთიანი ეკუმენური (მსოფლიო) ეკლესია

სტუდენტმა უნდა წაიკითხოს ეფესელთა 4:1-6.

► რა არის ამ მუხლების მთავარი აზრი ეკლესიის შესახებ?

პავლემ მოუწოდა მორწმუნეებს, რომ ყოფილიყვნენ ერთობაში. ერთიანობის მიზეზი ის არის, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ეკლესია, ისევე როგორც მხოლოდ ერთი

ღმერთი და ერთი სახარებაა. ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი ერთ სხეულში არიან. არსებობს ერთი ქრისტიანობა და ერთი ეკლესია, რადგან არსებობს ერთი ღმერთი.

ის ფაქტი, რომ არსებობს ერთი მსოფლიო ეკლესია ხაზგასმულია 1 კორინთელთა 12:13, სადაც პავლემ თქვა, რომ მორწმუნე წარმართები ყველანი ერთ სხეულად მოვინათლეთ.

> "სადაც არ უნდა იყოს იესო ქრისტე, იქ არის კათოლიკე [ერთიანი მსოფლიო] ეკლესია."
> - ნეტარი ეგნატე (ეპისტოლეში სმირნის მიმართ)

რწმენის სიმბოლო (რწმენის აღმსარებლობის დოგმატები) არის ძირითადი ქრისტიანული შეხედულებების განცხადება. ადრეული ქრისტიანული რწმენის სიმბოლო სახელწოდებით "მოციქულთა მრწამსი" მოიცავდა განცხადებას "მე მჯერა კათოლიკე ეკლესიის". სიტყვა კათოლიკე, რწმენის სიმბოლოში არ აღნიშნავდა რომის კათოლიკურ ეკლესიას. ის ნიშნავს "მსოფლიო" ან "სრულს". რწმენის სიმბოლო ამბობდა, რომ არსებობს ერთი ეკლესია, რომელიც ყველგან ქრისტიანებით არის წარმოდგენილი.

სტუდენტმა უნდა წაიკითხოს ეფესელთა 2:20.

ეკლესია აშენებულია ერთ საძირკველზე: მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მიერ გაცხადებული მსახურება და ჭეშმარიტება; და იესო ქრისტეს მსახურება, ქადაგება, გამოსყიდვა და მუდმივი სიცოცხლე. არსებობს ერთი საძირკველი და ერთი ეკლესია.

ჩინეთში არსებობს რელიგია სახელად აღმოსავლური ელვა. მათ სწამთ, რომ იესოს საქმე დასრულებულია და რომ ღმერთმა თანამედროვეობისათვის გამოგზავნა ახალი მესია. ახალი მესია არის ჩინელი ქალი, რომელიც ასწავლის ახალ დოქტრინებს.

► რას უპასუხებდით აღმოსავლური ელვის რელიგიის მიმდევარს?

საყოველთაო ეკლესიის ერთიანობა არ ნიშნავს იმას, რომ ერთი ორგანიზაცია არის მთელი ეკლესია. ვერცერთი ორგანიზაცია ახლოსაც ვერ მივა ღვთის განზრახვის შესრულებასთან ეკლესიისთვის მთელს მსოფლიოში. იესომ თავის მოციქულებს უთხრა, რომ არ ეფიქრათ, თითქოს ყველა ქრისტიანი ერთ ორგანიზაციაში იქნებოდა (მარკოზი 9:38-39).

რომის კათოლიკური ეკლესია აცხადებს, რომ არის ღვთის სრული ეკლესია. მორმონები და იეჰოვას მოწმეებიც იმავეს ამტკიცებენ.

► რას ეტყოდით ადამიანს, რომელიც ირწმუნება, რომ მისი ორგანიზაცია არის ღმერთის სრული ეკლესია დედამიწაზე?

ადგილობრივი ეკლესიის ანგარიშვალდებულება ერთიანი (ეკუმენური) ეკლესიის წინაშე

ადგილობრივმა ეკლესიამ არ უნდა მისცეს თავს უფლება დამოუკიდებლად განავითაროს დოქტრინა. ერთ ადგილზე პავლე იძლევა მითითებებს, შემდეგ თქვა, რომ ეს ასეა "ღვთის ყველა ეკლესიაში" (1 კორინთელთა 11:16). მან უთხრა ეკლესიას, რომ მათ უნდა მიეღოთ გარკვეული მსახურები, რადგან ისინი წარმოადგენდნენ სხვა ეკლესიებს (2 კორინთელთა 8:23-24). ის აშკარად გულისხმობდა იმას, რომ ეკლესიის მიერ ყველა სხვა ეკლესიისგან განსხვავებული დოქტრინების დაცვა არასწორი იქნებოდა.

კორინთოს ეკლესია სულიერი ნიჭებით იყო ნაკურთხი. მათ დაიწყეს საკუთარი თავის დამოუკიდებლად მიჩნევა, რომლებსაც არ სჭირდებოდათ სხვისი მოსმენა. პავლემ შეუსწორა მათ აზროვნება და ქმედებები და შეახსენა, რომ ისინი არ იყვნენ ღვთის სიტყვის წყარო; ის მოვიდა მათთან სხვებისგან და არ მისულა მხოლოდ მათთან (1 კორინთელთა 14:36). მან განაგრძო, რათა ეთქვა, რომ ვინც მათ ეკლესიაში იყო სულიერად მგრძნობიარე და გამჭრიახი, აღიარებდა პავლეს მითითებებს, როგორც ღვთის მიერ შთაგონებულს.

ადგილობრივი ეკლესია უნდა იყოს თვითმმართველი და თვით უზრუნველმყოფელი; მაგრამ მას სჭირდება ურთიერთობა მსოფლიო ეკლესიასთან დოქტრინალური სტაბილურობისთვის და სასწავლო რესურსებისა და მსოფლიო მისიის პერსპექტივისათვის.

დღეს არსებობს მრავალი სახის ეკლესია და მრავალფეროვანი მოძღვრებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამტკიცებენ, რომ ბიბლიას მისდევენ. ეკლესიის ანგარიშვალდებულება მსოფლიო ეკლესიის წინაშე არ ნიშნავს იმას, რომ ის უნდა ეცადოს იყოს მის გარშემო არსებული ყველა სხვა ეკლესიის მსაგვსი. ის უნდა იცავდეს ქრისტიანულ მოძღვრებებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო ახალი აღთქმის ეკლესიის დასაწყისში. ის ასევე უნდა იყოს იმ ეკლესიათა ასოციაციის ნაწილი, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის წინაშე.

დოქტრინალური სტაბილურობისთვის ადგილობრივ ეკლესიას უნდა ჰქონდეს სამი რამ:

(1) დარწმუნებულობა, რომ ბიბლია არის აბსოლუტური ავტორიტეტი

(2) ისტორიული ქრისტიანობის ძირითადი დოქტრინები

(3) კარგი თეოლოგიის მქონე ეკლესიების გაერთიანებაში მოზიარეობა

ამ გაკვეთილზე ჩვენ ვსწავლობთ სიის მეორე პუნქტს. ეკლესიის გაერთიანებებზე სხვა გაკვეთილზე ვისაუბრებთ.

ადგილობრივმა ეკლესიამ არ უნდა მისცეს თავს უფლება მიიღოს მოძღვრებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ადრეული ეკლესიის ძირითად ქრისტიანულ დოქტრინებს. ეს დოქტრინები განსაზღვრულია ადრეულ რწმენის სიმბოლოებში. მოციქულთა მრწამსი, ნიკეისა და ქალკედონიის რწმენის სიმბოლო აცხადებს მოძღვრებებს, რომლებიც ქრისტიანობისათვის არსებითი იყო თავიდანვე. მათ შორისაა სამების დოქტრინები და მოძღვრებები ქრისტეს და სულიწმიდის ღვთაებრიობის შესახებ. თუ ეკლესია უარყოფს ამ მრწამსის (სიმბოლოების) დოქტრინებს, ის არ უნდა უწოდებდეს თავს ქრისტიანულს, რადგან ეს სხვა რელიგიაა.

ნიკეის რწმენის სიმბოლო

> „მწამს მამა ღმერთი, ყოვლისშემძლე, შემომქმედი ცისა და მიწისა და ყოველი ხილულისა და უხილავისა.
>
> და ერთი უფალი იესო ქრისტე, მხოლოდშობილი ძე ღვთისა; მხოლოდშობილი მამისაგან საუკუნეთა უწინ, ღმერთი ღმერთისგან, სინათლე სინათლისგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთისგან, დაბადებული არა შექმნილი; მამასთან თანაარსი; ვისგანაც წარმოიშვა ყოველივე; ვინც ჩვენთვის და ჩვენი ხსნისათვის ჩამოვიდა ზეციდან, ხორცი შეისხა სულიწმიდისაგან და ქალწულ მარიამისაგან და გახდა კაცი; პონტოელი პილატეს დროს იქნა ჯვარცმული ჩვენი გულისათვის; იტანჯა და დამარხული იქნა; მესამე დღეს ის აღდგა წერილის მიხედვით; და ამაღლდა ზეცაში; ის ზის მამის მარჯვნივ; და მოვა კვლავ დიდებით, რათა გაასამართლოს ცოცხლები და მკვდრები; მის მეფობას არ ექნება დასასრული.
>
> და მწამს სულიწმიდა, უფალი მაცოცხლებელი, გამომავალი მამისაგან და ძისაგან; მამასთან და ძესთან ერთად ის ღირსია თაყვანისცემისა და ქება-დიდებისა; ის ლაპარაკობს წინასწარმეტყველების მეშვეობით; და მწამს მხოლოდ ერთი წმიდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესია; ვაღიარებ ერთ ნათლობას ცოდვების მისატევებლად; ველოდები მკვდრეთით აღდგომას და საუკუნო სიცოცხლის დადგომას. ამინ.

რა მოხდება, თუ ადამიანი გადაწყვეტს, რომ ის არ ეთანხმება ნიკეის რწმენის სიმბოლოს ერთ -ერთ დებულებას? იმის გამო, რომ ეკლესია ამ დოქტრინებს თავიდანვე იცავდა, თუ ის უარყოფს მათ, ის ამით აცხადებს, რომ აქვს ჭეშმარიტების აღქმა, რომელიც ეკლესიას არ ჰქონია 2000 წლის განმავლობაში. თუ ეკლესია ან

ინდივიდი არ იცავს მოციქულთა მრწამსის, ნიკეისა და ქალკედონიის რწმენის სიმბოლოების მოძღვრებებს, მისი დოქტრინა არ უნდა იყოს სანდოდ მიჩნეული. რწმენის სიმბოლოების მოძღვრება მხარს უჭერს სახარებას. თუ ადამიანი უარყოფს რწმენის სიმბოლოების მოძღვრებას, ის შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სახარებას.

► რას ეტყოდით ადამიანს, ვინც ამბობს, რომ ის ქრისტიანია, მაგრამ არ ეთანხმება ნიკეის რწმენის სიმბოლოს დებულებებს?

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) ადგილობრივი ეკლესია არის მორწმუნეთა ჯგუფი, რომლებიც ერთად იღებენ ვალდებულებას იყვნენ ეკლესია კონკრეტულ ადგილას.

(2) ეკლესია ქვეყნიერებას აჩვენებს ღვთის ბუნებას.

(3) სულიწმიდის სიცოცხლე არის ეკლესიის სიცოცხლე და ერთიანობა.

(4) ეკლესიის წევრობა ემყარება ღმერთთან ურთიერთობას და მორწმუნეთა ჯგუფისადმი ერთგულებას.

(5) არსებობს ერთი მსოფლიო ეკლესია ერთი ქრისტიანობის მიმდევარი, რადგან ეკლესია ერთ ღმერთს ეკუთვნის.

(6) არცერთი ადამიანური ორგანიზაცია არ წარმოადგენს ღვთის მთელს ეკლესიას დედამიწაზე.

(7) ადგილობრივ ეკლესიას უნდა ჰქონდეს მსოფლიო ეკლესიის ძირითადი, ისტორიული დოქტრინები.

1 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ 1-ლი გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) ამ კურსის განმავლობაში, თქვენ უნდა ასწავლოთ გაკვეთილი, ან გაკვეთილის ნაწილი ინდივიდს ან ჯგუფს, რომელიც არ წარმოადგენს კლასის ნაწილს. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ რომელი მასალა ასწავლოთ. თქვენ უნდა გააკეთოთ ეს სამჯერ, სხვადასხვა მასალის გამოყენებით. დაგეგმეთ თქვენი სწავლების შესაძლებლობები და შეატყობინეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ასწავლით.

გაკვეთილი 2
ქრისტიანული ერთობა

შესავალი

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს კლასს შემდეგი გამოგონილი ამბავი.

ოდესღაც იყო ერთი ქალაქი, რომელსაც მდინარით დატბორვის საფრთხე ემუქრებოდა. ქალაქის მოსახლეობა ჯგუფებად შეიკვრნენ, რათა ტომრები ქვიშით აევსოთ და მდინარის ნაპირებზე მოეთავსებინათ. ხალხი ენთუზიაზმით მუშაობდა და გუნდური სულისკვეთება ჩამოყალიბდა. მალე ჯგუფებმა სახელები დაირქვეს. მათ შორის იყვნენ ქალაქის მხსნელები, ქვიშის მთხრელები და მდინარის შემკავებლები. გუნდის რაობა მნიშვნელოვანი გახდა. თითოეული გუნდის წევრებს ეცვათ შესაბამისი მაისურები. ისინი ლაპარაკობდნენ, თუ რატომ იყო მათი გუნდი საუკეთესო. ისინი აკრიტიკებდნენ სხვა გუნდების მუშაობას.

როდესაც მდინარის შემკავებლებმა სთხოვეს ქალაქის მხსნელებს, რომ ურიკა ეთხოვებინათ, მათ არ მისცეს მათ უფლება წაეღოთ ის, რადგან ფიქრობდნენ, რომ შეიძლებოდა მოგვიანებით ის დასჭირვებოდათ. როდესაც ქვიშის მთხრელებს ტომრები გამოელიათ, მათ მოუწიათ ლოდინი ერთი საათის განმავლობაში, ვიდრე დამატებით ტომრებს მიაწოდებდნენ, როდესაც სხვა გუნდებს ჯერ ისევ ჰქონდათ ზედმეტი ტომრები. გუნდებს დაავიწყდათ, რომ მათ ერთი მისია ჰქონდათ. თითოეული გუნდის წარმატება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მისიის საბოლოო წარმატება.

► როგორ მოქმედებენ ზოგჯერ ეკლესიები ამ ამბის გუნდების მსგავსად?

ბიბლია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ქრისტიანული ერთიანობის მნიშვნელობაზე. პავლემ გაკიცხა კორინთოს ეკლესიის განხეთქილება კითხვით: "განა გაიყო ქრისტე?" (1 კორინთელთა 1:13). მან უთხრა ეფესელებს, რომ შეენარჩუნებინათ სულის ერთიანობა და აღნიშნა, რომ"ერთია სხეული... ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება" (ეფესელთა 4: 4-5). იესო გულმხურვალედ ლოცულობდა, რომ მორწმუნეები ერთნი ყოფილიყვნენ, რათა ქვეყნიერებას ერწმუნა, რომ ის მამისგან იყო წარმოგზავნილი (იოანეს 17:21).

ეკლესია თავიდანვე მიიჩნევდა, რომ ის ერთიანი იყო. მოციქულთა რწმენის სიმბოლო შეიცავს ამ მტკიცებას: "მე მწამს... წმინდა კათოლიკე ეკლესიის; წმინდანთა ზიარების".

ნიკეის რწმენის სიმბოლო შეიცავს დებულებას: "მე მწამს ერთი კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია". ტერმინი *კათოლიკე* ნიშნავს სრულ და საყოველთაო (მსოფლიო). ტერმინი *სამოციქულო* ნიშნავს იმას, რომ ეკლესია დაარსდა მოციქულთა მიერ და დღემდე ემორჩილება მოციქულთა სწავლებას.

ადრეული რწმენის სიმბოლოები გამოხატავდა ძირითად ქრისტიანულ დოქტრინებს. ეკლესია არ თვლიდა არცერთ ადამიანს ქრისტიანად, რომელიც არ აღიარებდა და არ ღებულობდა ამ მრწამსს, ვინაიდან რწმენის სიმბოლო მიზნად ისახავდა ქრისტიანობის არსის განსაზღვრას. მაშასადამე, ადამიანი ერეტიკოსი იყო, თუ ფიქრობდა, რომ არსებობდა ჭეშმარიტი ეკლესიები, რომლებიც არ იყვნენ ერთი საყოველთაო ეკლესიის ნაწილი.

დენომინაციები

დედამიწაზე არსებული ეკლესია მრავალი საუკუნის განმავლობაში არ ყოფილა ორგანიზებული ერთ დაწესებულებად. ამის ნაცვლად, არსებობს მრავალი განსხვავებული ეკლესიათა ჯგუფი. ეკლესიების ჯგუფს, რომელიც ქმნის ერთ ორგანიზაციას, დენომინაცია ეწოდება.

ახ. წ. 451 წელს, აღმოსავლური მართლმადიდებლობა გამოეყო რომის კათოლიციზმს დოქტრინალური უთანხმოების გამო. დღეს აღმოსავლეთ მართლმადიდებლობაში არსებობს რეგიონალური საეკლესიო ორგანიზაციები: კოპტური, ეთიოპიური, ერიტრეული, მალანკარას სირიული, ასურული და სომხური სამოციქულო.

ახ.წ 1054 წელს აღმოსავლეთ მართლმადიდებლობა გამოეყო რომის კათოლიციზმს. დღეს აღმოსავლეთ მართლმადიდებლობაში არის თხუთმეტი რეგიონალური საეკლესიო ორგანიზაცია, მათ შორის რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესია და კვიპროსის ეკლესია.

ამ დიდი დაყოფის გარდა, სხვა ეკლესიების ჯგუფები გამოეყო რომაულ ეკლესიას საუკუნეების განმავლობაში.

პროტესტანტული რეფორმაცია მოხდა 1500-იან წლებში. ბევრი ეკლესია გამოეყო რომაულ კათოლიციზმს, რადგან მათ სჯეროდათ, რომ რომის ეკლესია აღარ ქადაგებდა ჭეშმარიტ სახარებას გასაგებად. არსებობდა ბევრი სხვა საკითხი, მათ შორის პოლიტიკური, მაგრამ დოქტრინა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი.

რეფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა მრავალი დენომინაცია. ინგლისის ეკლესია შედგებოდა ინგლისში არსებული ეკლესიებისგან. როდესაც მათ დააარსეს ეკლესიები სხვა ქვეყნებში, მათ ეწოდათ საეპისკოპოსო ეკლესია.

პრესვიტერიანული ეკლესიები წარმოიშვა რეფორმატორების გავლენით: ჯონ კალვინი შვეიცარიაში, ჯონ ნოქსი შოტლანდიაში და სხვები. დღეს რამდენიმე პრესვიტერიანული ნომინაცია არსებობს.

ლუთერანული ეკლესია დაიწყო გერმანიაში მარტინ ლუთერის მსახურებიდან. ბევრ სხვა ქვეყანაში ასევე არსებობს ლუთერანული ეკლესიები.

ანაბაპტისტებს სჯეროდათ, რომ რეფორმაციამ სრულად არ აღადგინა წერილისეული სახარება. მათ სჯეროდათ, რომ თაყვანისცემა უნდა ყოფილიყო არაბიბლიური ცერემონიების გარეშე და რომ ნათლობა მხოლოდ მოქცეულთათვის იყო და არა ჩვილებისთვის. მათგან წარმოიშვა ბაპტისტების კონფესიები მრავალ ქვეყანაში.

ორმოცდაათიანელთა ეკლესიები ლოს-ანჯელესში გამოღვიძებიდან დაიწყო 1906 წელს. ორმოცდაათიანელთა და ქარიზმატული კონფესიების მრავალფეროვნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს. მათ აქვთ მოძღვრებათა მრავალფეროვნება.

ახლა ათასობით დენომინაციაა, რომლებიც აცხადებენ, რომ ქრისტიანები არიან. არსებობს ათასობით დამოუკიდებელი ეკლესია, რომლებიც არ წარმოადგენენ დენომინაციების ნაწილს.

დენომინაციები ხშირად იწყება ისეთი ადამიანთა ჯგუფისგან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება უარყოფილი ან უგულებელყოფილია იმ ეკლესიის მიერ, რომელშიც ისინი იმყოფებიან. ისინი აარსებენ ახალ დენომინაციას განზრახვით, რომ ის დოქტრინალურად სწორი იყოს. დროთა განმავლობაში ისინი აგრძელებენ თავიანთი დოქტრინების განვითარებას და ხდებიან სხვა დენომინაციებისგან განსხვავებულნი. ისინი ასევე ავითარებენ განსხვავებულ ტრადიციებს თაყვანისცემის სათანადო ფორმისა და ქრისტიანული ცხოვრების დეტალებიის მხრივ.

ზოგჯერ დენომინაციები იწყება მახარებლობით. თუ რეგიონში ბევრია ახალმოქცეული და იქ არ არის დენომინაცია, რომელიც ზრუნავს მათზე, შეიძლება ჩამოყალიბდეს ახალი დენომინაცია. დენომინაცია შეიძლება დაარსდეს ცალკეულ ქვეყანაში მისიონერული ორგანიზაციის მუშაობით.

ქრისტიანული დენომინაციების ანუ კონფესიების უმეტესობა არ აცხადებენ, რომ ისინი უბრალოდ ნამდვილი ქრისტიანები არიან. თუ ცალკეული ეკლესიური ორგანიზაცია აცხადებს, რომ ის ღმერთის მთელს და ერთადერთ ეკლესიას წარმოადგენს დედამიწაზე, მას არ უნდა ენდოთ.

► რამდენი სხვადასხვა დასახელების ეკლესია და დენომინაცია ანუ აღმსარებლობა იცით?

ურწმუნოები აპროტესტებენ ქრისტიანობას მისი დაყოფისა და მრავალფეროვნების გამო. ბევრი ურწმუნო ფიქრობს, რომ ქრისტიანობის სხვადასხვა სექტა ყველა ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ქვეყნიერებაზე ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ქრისტიანებს შორის არ არსებობს ერთიანობა.

► რა არის ისეთი ქცევები, რომლებიც თითქოს უარყოფს ეკლესიებს შორის ერთობას?

ეკლესიები მიდრეკილნი არიან ხაზი გაუსვან იმას, რაც მათ განასხვავებს სხვა ეკლესიებისგან, მაშინაც კი, როდესაც ეს არ არის რწმენის ფუძემდებლური დოქტრინები. ზოგჯერ ეკლესიები ჩქარობენ სხვა ეკლესიების თვალთმაქცობაში, კომპრომისზე წასვლასა თუ სხვა ცოდვებში დადანაშაულებას, რეალურად საკითხებში გარკვევის გარეშე. ზოგი ეკლესია ამტკიცებს, რომ სხვა ეკლესიები არ არიან ქრისტიანულები, მიუხედავად იმისა, რომ მათ სწამთ ფუძემდებლური ქრისტიანული დოქტრინები.

როგორც ირკვევა, ეკლესიები არ არიან გაერთიანებულნი დიადი დავალების შესრულებით. ცხადი ხდება, რომ ეკლესიები ეპაექრებიან და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, როგორც ბიზნესში. ბევრი ლიდერი მიიჩნევს, რომ შრომა და რესურსი ფუჭად იხარჯება, თუ ისინი ხმარდება მსახურებას, რომელიც მათი ორგანიზაციის სახელს არ ატარებს.

ალბათ ყველა ქრისტიანი თანხმდება იმაში, რომ ყველა ქრისტიანი უნდა იყოს ერთიანობაში, მაგრამ ბევრმა არ იცის რა ფორმა უნდა მიიღოს ამ ერთობამ. პირველ რიგში, ჩვენ ვისაუბრებთ საყოველთაო, ანუ მსოფლიო ეკლესიის ერთიანობაზე; შემდეგ კი ვისაუბრებთ ადგილობრივი ეკლესიის ერთიანობაზე.

მსოფლიო ეკლესიის ერთობა: არა ინსტიტუციური გაერთიანება

ზოგი ფიქრობს, რომ ყველა ეკლესია უნდა გაერთიანდეს ერთ ორგანიზაციად. ისინი ფიქრობენ, რომ მრავალი ცალკეული ორგანიზაციის არსებობა ნიშნავს იმას, რომ ეკლესია არ არის ერთიანი. ისინი ვერ ანსხვავებენ ეკლესიის არსს ეკლესიურ დაწესებულებებისგან; ამიტომ, ერთიანობა მათთვის ნიშნავს ასეთი დაწესებულებების (ეკლესიების) გაერთიანებას.

► რას ეტყოდით ადამიანს, ვინც თვლის, რომ ყველა ქრისტიანული ორგანიზაცია და ეკლესია უნდა გაერთიანდეს ერთ ორგანიზაციად?

ცალკეული ინსტიტუციები (ეკლესიები) ვერ შეკავშირდებიან გადაწყვეტილების მიღების გარეშე, რომ მათ დოქტრინალურ განსხვავებებს მნიშვნელობა არ აქვს. გაერთიანების მიზნით, ისინი უნდა შეთანხმდნენ ზოგიერთ ფუნდამენტურ

დოქტრინაზე და გადაწყვიტონ, რომ მათი მრავალი სხვა მოძღვრება არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ისინი გამოეყონ მათ, ვინც არ ეთანხმება ამ საკითხებში.

ყველა ეკლესიის ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების ყველა მცდელობა ემყარება იმ აზრს, რომ ქრისტიანული ერთობა არის ინსტიტუციური ერთობა. თვით იესოც არ მოითხოვდა, რომ ყველა მისი მიმდევარი ერთ ორგანიზაციაში ყოფილიყო გაერთიანებული მისი მიწიერი მსახურების დროს, როგორც ეს ამ ამბავშია ნაჩვენები:

> მიუგო იოანემ პასუხად: "მოძღვარო, ჩვენ ვნახეთ ვიღაც, ვინც შენი სახელით სდევნის ეშმაკებს და დავუშალეთ მას, რადგან ჩვენ არ მოგვყვება". იესომ უთხრა: "ნუ დაუშლით, ვინაიდან, ვინც თქვენ წინააღმდეგ არ არის, თქვენკენაა" (ლუკას 9:49-50).

იესოს სიტყვები ცხადყოფს, რომ ადამიანი, რომელიც "ჩვენ არ მოგვყვება" (ანუ არ არის ჩვენი ორგანიზაციის ნაწილი), მაინც შეიძლება იყოს "ჩვენკენ". ცხადია, არსებობს ქრისტიანული ერთიანობა, რომელიც არ გულისხმობს ერთ დაწესებულებაში ყოფნას.

იესოს მიწიერი მსახურებიდან მოყოლებული, საუკუნეების განმავლობაში არსებობდნენ ორგანიზაციები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ თვითონ წარმოადგენდნენ მთელს ეკლესიას და ამტკიცებდნენ, რომ მათ გარდა, არცერთი ცალკეული ორგანიზაცია არ იყო ქრისტიანული. იესოს არ უთქვამს, რომ მისი მოწაფეთა ჯგუფი იყო მთელი ეკლესია, მაშინაც კი, როდესაც ის ფიზიკურად იყო მიწაზე და წინამძღოლობას უწევდა მათ.

ზოგჯერ ადამიანები იყენებენ ტერმინს უხილავი ეკლესია. ტერმინი უხილავი ეკლესია აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ არ არსებობს ხილული ორგანიზაცია წევრების სიით, რომელიც შეიცავს ყველა ქრისტიანს. ასევე, ქრისტიანულ ორგანიზაციებს ჰყავთ წევრები, რომლებიც არ არიან ნამდვილი ქრისტიანები. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია მივუთითოთ რაიმე კონკრეტულ ორგანიზაციაზე და ვთქვათ, რომ ეს არის საყოველთაო (მსოფლიო) ეკლესია.

მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ეკლესია არ არის ერთი ორგანიზაცია, ერთიანობა ყველა ქრისტიანს შორის უნდა ხილული იყოს. იესო ლოცულობდა, რომ მორწმუნეები ერთობაში ყოფილიყვნენ და თქვა, რომ ამის შედეგად ქვეყნიერება ირწმუნებდა მას (იოანე 17:21). ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანული ერთიანობა როგორღაც ხილული უნდა იყოს ქრისტიანებისთვის და ქვეყნიერებისთვის.

► როდესაც ხვდები ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ ის ქრისტიანია, რა არის საჭირო იმისთვის, რომ შეძლო მასთან ქრისტიანული ერთობის გაზიარება?

ქრისტიანული ერთობის საფუძველი

ადგილობრივი ეკლესიის ერთობა ემყარება ბიბლიურ მოძღვრებას, მადლის განცდას და სულიწმიდით ცხოვრებას. ქრისტიანთა ერთობას ადგილობრივი ეკლესიის მიღმა აქვს იგივე საფუძველი, თუმცა ნაკლები დეტალებით.

ერთიანობის საფუძვლის ფორმულირების კიდევ ერთი გზა არის ეს: თუ ადამიანი მოწმობს, რომ დახსნილია, ჩანს, რომ აქვს სულიერი სიცოცხლე და სწამს ძირითადი ქრისტიანული ჭეშმარიტების, მაშინ ქრისტიანული მოზიარეობა შესაძლებელია. მოზიარეობა შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ ადამიანი ღმერთთან ურთიერთობით და ბიბლიის მორჩილებით ცხოვრობს.

ქრისტიანული ერთიანობა არ არის დამოკიდებული შეთანხმებაზე დოქტრინის ყველა დეტალზე. შეუძლებელია ყველა ადგილას ეკლესია შეთანხმდეს დოქტრინის ყველა დეტალზე. მოციქულებსაც კი ჰქონდათ უთანხმოება (გალატელთა 2:11-14).

მორწმუნეთა ჯგუფები სწავლობენ ბიბლიას და მსჯელობენ იმაზე, რისიც სწამთ და ცდილობენ დარწმუნდნენ იმაში, რომ მართლები არიან. ისინი ხვდებიან, რომ არ ეთანხმებიან ქრისტიანთა სხვა ჯგუფების მოძღვრებებს.

არსებობს ზოგიერთი დოქტრინა, რომელიც ფუნდამენტური და არსებითია ქრისტიანული რწმენისათვის. თუ ადამიანს არ სწამს ამ მოძღვრების, ის ვერ შეძლებს გაიგოს და ირწმუნოს სახარება.

შედეგად არის მოძღვრებების უფრო გრძელი სია, რომლისაც სჯერა კონკრეტულ ეკლესიას. ეკლესიების უმეტესობას ესმის, რომ ყველგან, ყველა ქრისტიანი არ ეთანხმება ყველა დოქტრინას. მაშინაც კი, თუ მოძღვრება ნაგულისხმებია ბიბლიაში, ყველა ერთნაირად ვერ გაიგებს ბიბლიას.

► რა არის ფუნდამენტური დოქტრინების/მოძღვრებების მაგალითები? რომელია სხვა დოქტრინები, რომლებიც არ არის ფუნდამენტალური?

ზოგიერთი ფუნდამენტური დოქტრინა ეხება ღმერთის ბუნებას, ქრისტეს ღვთაებას და სულიწმიდას, ქრისტეს გამოსყიდვას და ხსნას მადლით, რწმენით.

> "თუ შენი გული ისეთივე სწორია, როგორც ჩემი გული, მაშინ შემიყვარე ძალიან სათუთი სიყვარულით, როგორც მეგობარი, რომელიც ძმაზე უფრო ახლობელია; როგორც ძმა ქრისტეში, ახალი იერუსალიმის თანამოქალაქე, თანამებრძოლი, რომელიც მონაწილეობს იმავე ომში, ჩვენი ხსნის იმავე მეთაურის წინამძღოლობის ქვეშ. შემიყვარე, როგორც იესოს მოთმინებისა და სამეფოს თანამონაწილე და მისი დიდების თანამემკვიდრე. ”
>
> - ჯონ უესლი, ერთობის სული"

ზოგიერთი მოძღვრება, რომელიც არ არის ფუნდამენტალური, არის შეხედულებები თაყვანისცემის ფორმებისა და დეტალები ქრისტიანული ცხოვრების შესახებ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია შევეცადოთ ვიყოთ ბიბლიური ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ, მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი არ დაეთანხმება ამ დეტალებს.

ჭეშმარიტი ეკლესიის ნიშნები

ჭეშმარიტი ეკლესიის ნიშნების (მახასიათებლების) უძველეს კონცეფციას ატარებდა ,როგორც რომის კათოლიკური ეკლესია, ასევე რეფორმატორები. ქრისტიანებს საუკუნეების განმავლობაში სჯეროდათ, რომ ჭეშმარიტი ეკლესიის ოთხი ნიშანი იყო: ერთობა, სიწმინდე, საყოველთაობა და სამოციქულოობა. ეს ტერმინები სხვადასხვაგვარად იყო განსაზღვრული.

აქ მოცემულია რამდენიმე მარტივი განმარტება. *ერთობა* ანუ ერთიანობა ნიშნავს, რომ ეკლესია მოიცავს ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს, თუმცა არა აუცილებლად ოფიციალურ სიაში მოხსენიებულს. *სიწმინდე* ნიშნავს, რომ ეკლესია დგას ცოდვის წინააღმდეგ და სწამს ცოდვისგან ხსნის. კათოლიკურობა ნიშნავს იმას, რომ ეკლესიას შეუძლია მიიღოს შესაბამისი ფორმა ნებისმიერ კულტურაში, ნებისმიერ ადგილას და ამავდროულად შეინარჩუნოს არსებითი, ძირითადი ჭეშმარიტება. *სამოციქულოობა* ნიშნავს იმას, რომ ეკლესია ფლობს მოციქულთა მიერ დადგენილ პირვანდელ სარწმუნოებას.

ეკლესიათა პაექრობრის შეცდომა

ხანდახან ეკლესიები რომელიმე ადგილსა თუ მხარეში იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ ადამიანებს შეუძლიათ აირჩიონ, რომლის მსახურებაზე დასწრება სურთ. ეკლესიის წევრებმა შეიძლება შეეცადონ აჩვენონ ადგილობრივი საზოგადოების თუ თემის წევრებს, რომ მათი ეკლესია სხვებზე უკეთესია. ისინი კონკურენციას უწევენ სხვა ეკლესიებს, რათა მათი ეკლესია უფრო მიმზიდველი გახდეს. მათ მიაჩნიათ, რომ მათი ეკლესია წარმატებულია, თუ მათი რიცხვი იზრდება.

ეკლესიებს შორის პაექრობა ემყარება ეკლესიის არასწორ აღქმას. ბევრი ფიქრობს, რომ ეკლესია ჰგავს ბიზნესს, რომელსაც სჭირდება კლიენტების მოზიდვა. ან გამოფენას, რომელმაც უნდა მიიზიდოს მაყურებელი. ეს არის მცდარი წარმოდგენები ეკლესიის შესახებ.

ეკლესია სულიერი ოჯახია. კარგი ოჯახის წევრები ცდილობენ იზრუნონ ერთმანეთზე. ისინი ერთად მუშაობენ ოჯახის საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ისინი დროს ერთად ატარებენ თავიანთი ურთიერთობების გამო.

ეკლესია არის რწმენის ოჯახი, რომელიც დაფუძნებულია ღმერთთან და ერთმანეთთან ურთიერთობაზე. ამ ხალხს სურთ ახალი წევრები, რომლებსაც იზიდავს სახარება და ეკლესიის ოჯახური ცხოვრება. ეკლესია უნდა იყოს ორიენტირებული სახარების ქადაგებაზე და ეკლესიური ცხოვრების დემონსტრირებაზე. შემდეგ ისინი მიიზიდავენ სწორ ადამიანებს, ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იყვნენ ამ ოჯახის ნაწილი.

► თუ ეკლესია ცდილობს კონკურენცია გაუწიოს რეგიონის სხვა ეკლესიებს, როგორ შეცვლის ეს პაექრობა ეკლესიას?

ადგილობრივი ეკლესიის ერთობა

► რატომ სჭირდება ადგილობრივ საეკლესიო ერთობას უფრო მეტი დოქტრინალური შეთანხმება, ვიდრე საყოველთაო ქრისტიანულ ერთიანობას?

ქრისტიანს შეუძლია მიიღოს სხვა ქრისტიანების მოწმობა, ვინც არ იცავენ მის ყველა მოძღვრებას, თუ ისინი დაიცავენ ფუნდამენტურ ქრისტიანულ დოქტრინებს და წარმოაჩენენ ქრისტიანულ ცხოვრებას. თუმცა, ვინაიდან ქრისტიანმა პირადად უნდა განახორციელოს ის, რაც მისი აზრით სწორია, მას არ შეუძლია ითანამშრომლოს მსახურებაში ყველა ქრისტიანთან. მაგალითად, თუ პასტორი თვლის, რომ ბიბლია ეუბნება მას მონათლოს ახალი მოქცეულები, ის ვერ იქნება იმ ადამიანთა ჯგუფის პასტორი, რომლებიც ასწავლიან, რომ ახალმოქცეულნი არ უნდა მოინათლონ.

კიდევ ერთი მაგალითი: თუ ადამიანს სჯერა, რომ უცხო ენების ნიჭი არ არის სულით სისავსის მტკიცებულება, მისთვის ძნელი იქნება მსახურება იმ ადამიანებთან, ვისაც სჯერა, რომ ადამიანს, ვინც არ ლაპარაკობს ენებზე, არ აქვს სულიწმინდა. პრობლემები შეექნებოდა მათ მოზიარეობას, რადგან ისინი არ მიიღებდნენ მის მოწმობას. პრობლემები შეექმნებოდათ მსახურებაში თანამშრომლობის მხრივაც, რადგან ისინი ეცდებოდნენ ახალმოქცეულებს გაძღოლოდნენ ენებზე ლაპარაკის გამოცდილებისკენ.

თუ ადამიანი აკეთებს იმას, რაც მისი აზრით ბიბლიურად არასწორია, ის მიდის საკუთარი სინდისის წინააღმდეგ. ის ექცევა ღვთის მსჯავრდადების ქვეშ, რადგან მან აირჩია რაღაცის გაკეთება, მიუხედავად თავისი დარწმუნებულობისა, რომ ამას ბიბლია კრძალავს.

ქრისტიანს შეიძლება სჯეროდეს, რომ სხვადასხვა მოძღვრების მქონე ადამიანები ნამდვილი ქრისტიანები არიან, მაგრამ მან უნდა მოზიარეობა იქონიოს და იმსახუროს ადამიანთა ჯგუფში, რომლებიც თანხმდებიან დოქტრინების უმეტესობაზე. ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივ ეკლესიას უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული მოძღვრება, რომელიც მეტია, ვიდრე საყოველთაო ეკლესიის ფუნდამენტური დოქტრინების ჩარჩო..

► რატომ იქნება შეცდომა, თუ ადამიანი ეცდება ყველა ეკლესიის მოძღვრებას დაეთანხმოს?

დასკვნა

ქრისტიანმა უნდა შეინარჩუნოს წონასწორობა სხვების მიმართ. მან არ უნდა თქვას, რომ სხვა ქრისტიანები არ არიან ნამდვილი ქრისტიანები, რადგან ისინი განსხვავდებიან დოქტრინალური დეტალებით, რომლებიც არ არის ფუნდამენტალური. ამასთან, მას უნდა ახლო ურთიერთობა ჰქონდეს ადგილობრივ ეკლესიასთან, რომელიც ატარებს დოქტრინებს, რაც მას და ეკლესიის სხვა წევრებს საშუალებას მისცემს იქონიონ მოზიარეობა და ერთად იმსახურონ.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) ბიბლია ხაზს უსვამს ქრისტიანთა ერთიანობას.

(2) ადრეულ ეკლესიას სჯეროდა ეკლესიის ერთიანობის, როგორც არსებითი სწავლების.

(3) ეკლესია ვერ მიაღწევს ერთიანობას ყველა ქრისტიანის ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებით.

(4) ქრისტიანული ერთიანობა ემყარება ბიბლიურ სწავლებას, მადლის გამოცდილებას და სულიერ ცხოვრებას.

(5) ქრისტიანები ყველგან თანხმდებიან ქრისტიანობის ზოგიერთ ფუნდამენტურ მოძღვრებაში.

(6) სხვადასხვა ეკლესიის ქრისტიანები ვერ თანხმდებიან დოქტრინების დეტალებში.

(7) ადგილობრივი ეკლესია უნდა შეთანხმდეს დოქტრინების დეტალურ განცხადებაზე.

2 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-2 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) ამ კურსის განმავლობაში, თქვენ უნდა ასწავლოთ გაკვეთილი, ან გაკვეთილის ნაწილი ინდივიდს ან ჯგუფს, რომელიც არ წარმოადგენს კლასის ნაწილს. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ რომელი მასალა ასწავლოთ. თქვენ უნდა გააკეთოთ ეს სამჯერ, სხვადასხვა მასალის გამოყენებით. დაგეგმეთ თქვენი სწავლების შესაძლებლობები და შეატყობინეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ასწავლით.

(3) ინტერვიუს დავალება: ესაუბრეთ სამი განსხვავებული ეკლესიის წევრებს და ჰკითხეთ როგორ უყურებენ (აღიქვამენ) ისინი სხვა ეკლესიებს. მათი აზრით, რა ერთიანობა არსებობს ყველა ქრისტიანს შორის? დაწერეთ თითო აბზაცი სამივე საუბრიდან გამომდინარე.

გაკვეთილი 3
ადგილობრივი ეკლესია

ადგილობრივი ეკლესიის განსაზღვრება

► რით განსხვავდება იგი ყველა სხვა ჯგუფისგან?

ადგილობრივი ეკლესიის ეს განსაზღვრება შეიძლება დაიყოს შვიდ ძირითად ელემენტად. ამ ელემენტებს კიდევ უფრო განვმარტავთ ამ კურსის განმავლობაში.

ადგილობრივი ეკლესია არის მორწმუნეთა ჯგუფი, რომელიც მოქმედებს როგორც სულიერი ოჯახი და რწმენით დაკავშირებული საზოგადოება; რომელიც სთავაზობს სახარებას და ეკლესიის თანაზიარებას ყველას, ვინც მოინანიებს; ატარებს ნათლობებსა და ზიარებებს; ერთობლივად მონაწილეობს თაყვანისცემაში, მოზიარეობაში, მახარებლობაში და მომოწაფეობაში; ასრულებს ქრისტეს სხეულის საქმეს სულიწმინდის ნიჭებით; ემორჩილება ღვთის სიტყვას; ერთობით, რომელიც ეფუძნება ბიბლიურ მოძღვრებას, მადლის გამოცდილებასა და სულიერ ცხოვრებას.

> "მორწმუნეები არ არიან მოწოდებულნი ცალ-ცალკე, რათა იცხოვრონ ღმერთთან მხოლოდ ინდივიდუალური ურთიერთობით, არამედ არიან მოწოდებულნი ერთად და შეკავშირებულნი როგორც ერთი ხალხი. "
>
> - თომას ოდენ, ცხოვრება სულში

განმარტების ნაწილები მეორდება ქვემოთ, ფრჩხილებში მოყვანილ ახსნა-განმარტებებით.

► ყოველ მომდევნო პუნქტზე იმსჯელეთ, რატომ არის ის ეკლესიის აუცილებელი მახასიათებელი. რა იქნებოდა შედეგი, ეკლესიას რომ ეს მახასიათებელი არ ჰქონოდა?"

ადგილობრივი ეკლესია არის მორწმუნეთა ჯგუფი, რომელიც მოქმედებს როგორც სულიერი ოჯახი და რწმენით დაკავშირებული საზოგადოება...

ეკლესია არის ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბებულია ქრისტიანული რწმენით. მას აქვს უფრო ძლიერი ურთიერთობები, ვიდრე ქვეყნიერების ნებისმიერ სხვა ჯგუფს.

...რომელიც სთავაზობს სახარებას და ეკლესიის თანაზიარებას ყველას, ვინც მოინანიებს...

ეკლესია ვერ შეძლებს გამორიცხოს ეთნიკური ჯგუფები ან ადამიანთა კლასები და ამასთან მაინც სახარების ერთგული დარჩეს. საერთო ეთნიკური ან სოციალური კლასი

საჭირო არ არის. გარდა ამისა, ეკლესიას არ შეუძლია უარი თქვას გარკვეული ცოდვების მიტევებაზე, თუ ის სახარებისადმი ერთგულია.

> "ქრისტეს ხილული ეკლესია არის ერთგული ადამიანების საზოგადოება, რომელშიც იქადაგება ღვთის წმინდა სიტყვა და საიდუმლოებები სათანადოდ არის შესრულებული ქრისტეს დადგენილების შესაბამისად... "
> - მეთოდისტური ეკლესიის რელიგიის სტატიები

...ატარებს ნათლობებსა და ზიარებებს...

იესომ ეკლესიას ამ ცერემონიებისთვის მითითებები მისცა. ნათლობა აღნიშნავს ეკლესიაში შესვლას ქრისტესკენ მოქცევით. ზიარება წარმოადგენს მადლს, რომელიც გაცხადდა სახარებაში.

...ერთობლივად მონაწილეობს თაყვანისცემაში, მოზიარეობაში, მახარებლობაში და მომოწაფებაში...

ეს არის ეკლესიის ძირითადი მიზნები. თანამშრომლობა აუცილებელია ეკლესიისთვის ამ მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად.

... ასრულებს ქრისტეს სხეულის საქმეს სულიწმინდის ნიჭებით...

ეკლესიის სულიერი ამოცანები ვერასოდეს შესრულდება მხოლოდ ადამიანური შესაძლებლობებით.

... ემორჩილება ღვთის სიტყვას...

ეკლესია დამოკიდებულია ბიბლიაზე მისი სახარებით, მოძღვრებით და ავტორიტეტით. თუ ეკლესია გადაწყვეტს არ დაემორჩილოს ბიბლიას, ეკლესია კარგავს სწავლების უფლებამოსილებას.

... ერთობით, რომელიც ეფუძნება ბიბლიურ მოძღვრებას, მადლის გამოცდილებასა და სულიერ ცხოვრებას...

ეკლესიის წევრებს შეუძლიათ ერთმანეთს მიუძღვნან თავი, რადგან მათ აქვთ ეს სამი საერთო რამ. სამივეს გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ქრისტიანული მოზიარეობა.

ღვთის ინვესტიცია ეკლესიაში

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ეფესელთა 3:1-10 ჯგუფს.

► რა თქვა პავლემ თავისი მსახურების შესახებ?

პავლემ თქვა, რომ მისი მსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ეკლესიის არსის განმარტება, ამიტომ ჩვენ ვიცით, რომ ეკლესიის მნიშვნელობის განმარტება მსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს დღესაც. ღმერთმა დაგვგმა, რომ

წარმართი მორწმუნეები უნდა მოეყვანა ეკლესიაში და რომ ეკლესია ქვეყნიერებას აჩვენებდა ღვთის სიბრძნეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია არ არის შენობა. ქრისტიანებს არ ჰქონდათ ეკლესიის შენობები, ეკლესიის პირველი რამდენიმე თაობის განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ როდესაც ახალი აღთქმა საუბრობს ეკლესიაზე, ის საუბრობს ადამიანებზე.

ეპისტოლე ეფესელთა მიმართ განმარტავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკლესია ღვთის გეგმისათვის.

> …და ყოველივე დაამხო მის ფერხთა ქვეშ და დაუმორჩილა, და ის დაადგინა ყოველივეზე მაღლა, თავად ეკლესიისა, რომელიც მისი სხეულია, სისრულე აღმავსებლისა ყოველივესი ყოველივეში (ეფესელთა 1:22-23).

ეს მუხლი ამბობს, რომ იესო არის ეკლესიის თავი და რომ ეკლესია მისი სხეულია. ნათქვამია, რომ ეკლესიას აქვს ღვთის სისავსე.

წარმოიდგინეთ მდინარე, რომელიც მთელ დიდ ქალაქს ამარაგებს წყლით. მილიონობით ადამიანი იყენებს წყალს, და მაინც ის ოდენობა, რომელსაც ისინი იყენებენ ნაკლებია, ვიდრე ის, რაც მდინარეში მოედინება. ძნელი წარმოსადგენია რა ოდენობის წყალია ეს.[1]

რაღა ვთქვათ ღვთის სისავსეზე? ღმერთს რომ შეექმნა საცავი ან არხი მისი კურთხევის, მადლისა და ძალის გადმოსაღვრელად ქვეყნიერებაზე, რა სახის საცავი დაიტევდა ღმერთის სისავსეს? ეს მუხლი ამბობს, რომ ეკლესია არის ეს საცავი. ეკლესია შეიცავს ღვთის კურთხევას ქვეყნიერებისთვის.

გახსოვდეთ, ეკლესია, რომელიც შეიცავს ღვთის კურთხევას, არ არის შენობა, არამედ - ადამიანთა ჯგუფი ქრისტიანული მოზიარეობით.

ღვთის გეგმა ეკლესიის შესახებ არსებობდა სამყაროს დასაწყისში. მაშ, რა მიზანი ჰქონდა ღმერთს ეკლესიისთვის?

კიდევ ერთხელ გადახედეთ ეფესელთა 3:10-11.

---

[1] კიდევ ერთი ილუსტრაცია: არის კომპანია სახელად "კარბონატი", რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური კომპიუტერების მხარდაჭერას. მათ შეუძლიათ შეინახონ ყველაფერი, რაც თქვენს კომპიუტერზეა, თუ მას რამე დაემართება. წარმოიდგინეთ, რა სახის საცავი უნდა ჰქონდეთ, რომ იტევდეს ათასობით კომპიუტერის შიგთავსს!

რათა ახლა ეკლესიის მეშვეობით ეუწყოს მმართველობებს და ხელისუფლებებს ზეცაში ღვთის მრავალმხრივი სიბრძნე. საუკუნო განზრახვით, რომელიც განახორციელა ჩვენს უფალ ქრისტე იესოში.

მრავალმხრივი ნიშნავს "ყველანაირი." ღმერთს აქვს სიბრძნე ყველა სიტუაციისა და ცხოვრების ყველა ასპექტისთვის. ღმერთის სიბრძნე უნდა გამოვლინდეს და გაცხადდეს სამყაროში, მათ შორის სულიერ სამყაროში, იმით, რასაც ღმერთი აკეთებს ეკლესიის მეშვეობით. ადამიანი იღებს ღმერთის აღქმას იქიდან, რასაც ეკლესიაში ხედავს. ეკლესიის ხილვამ უნდა აიძულოს ადამიანი თაყვანი სცეს ღმერთს. მან უნდა დაინახოს ღვთის სიბრძნე, რომელიც მოქმედებს ეკლესიაში. ქვეყნიერება ვერ დაინახავს ამ ყველაფერს საკვირაო ღვთისმსახურებიდან. ისინი ამას ხედავენ ეკლესიის მოქმედებით ყოველდღე და ცხოვრების ყველა სიტუაციაში.

► რომელია ცხოვრებისეული სიტუაციების მაგალითები, სადაც ღვთის სიბრძნე მნიშვნელოვანია?

მოიცავს თუ არა ღვთის „მრავალმხრივი" სიბრძნე ოჯახის პრობლემებს, სიღარიბეს, უმუშევრობას, არასაკმარის საცხოვრებლებს, ცუდ განათლებას, არასრულწლოვანთა დანაშაულს, ბავშვთა უგულებელყოფას, სამედიცინო საჭიროებებს და სხვა ადამიანურ პრობლემებს? რა თქმა უნდა მოიცავს. როგორ იხილოს ქვეყნიერებამ ღვთის სიბრძნე? ის ამას დაინახავს, როდესაც ეკლესია წარმოაჩენს, თუ როგორ ატარებს ცხოვებაში ღვთის მიერ შეთავაზებულ გამოსავალს, ეს რწმენით შეკავშირებული საზოგადოება.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ეფესელთა 3:20-21 ჯგუფს.

ყველაფრის მიზანი, რაც ღმერთმა შექმნა, არის ღმერთის განდიდება. ეკლესია არის ის ადგილი, სადაც ღმერთი განსაკუთრებით განდიდდება, რადგან

- ეს ის ადგილია, სადაც ხდება სიყვარულის და გამოსყიდვის დემონსტრირება.
- ეს ის ადგილია, სადაც მის ხატად შექმნილი ქმნილებები საკუთარი ნებით სცემენ თაყვანს და ემორჩილებიან მას.
- ეს არის ადგილი, სადაც რწმენის ოჯახი წარმოაჩენს ღვთის მიერ კურთხეულ ცხოვრებას.
- ეს არის ადგილი, სადაც გამოსყიდული ადამიანები მონაწილეობენ სხვების გამოსყიდვაში ევანგელიზაციის საშუალებით.

ღმერთი იქნება გლობალურად, სამუდამოდ განდიდებული იმით, რასაც ეკლესია აკეთებს ახლა. თქვენი ადგილობრივი ეკლესიის საქმე იქნება ღვთის დიდების მარადიული მემორიალი.

ადგილობრივი ეკლესიის საკმარისობა

ბიბლია საუბრობს ერთ ეკლესიაზე, მაგრამ ასევე საუბრობს ადგილობრივ ეკლესიებზე. მაგალითად, მოციქულმა იოანემ აზიის შვიდ ეკლესიას მიწერა (გამოცხადება 1: 4). პავლემ ახსენა „ღვთის ყველა ეკლესია" (1 კორინთელთა 11:16).

ადგილობრივი კრებული, ანუ მრევლი, ერთიანი ეკლესიის ნაწილს წამოადგენს, თუმცა მას აგრეთვე უწოდებენ ეკლესიას. ახალი აღთქმის მრავალი ეპისტოლე მიწერილია კონკრეტულ ადგილებში არსებულ ეკლესიების მიმართ.

► რომელს შეიძლება ვუწოდოთ ღვთის ტაძარი, ერთიან საყოველთაო ეკლესიას თუ ადგილობრივ ეკლესიას?

ეფესელთა 2: 20-21-ში პავლემ თქვა, რომ ერთი ეკლესია, რომელიც შენდება თავდაპირველ საძირკველზე, არის ღვთის ტაძარი. 22 -ე მუხლში მან თქვა, რომ ეფესელი მორწმუნეები ღვთის სახლი იყვნენ. სხვა მუხლში მან კორინთელ მორწმუნეებს უთხრა, რომ ისინი ღვთის ტაძარი იყვნენ (1 კორინთელთა 3:16). ამიტომ, ჩვენ ვხედავთ, რომ ერთიანი საყოველთაო ეკლესიას ღვთის ტაძარი; თუმცა ასევეა ადგილობრივი ეკლესიაც.

> "ეკლესიის ყველა ძირითადი ელემენტი ჩანასახის სახით არის ეკლესიის ამ ადრეულ ოთხგზის აღწერილობაში [საქმეები 2:42]: მოციქულთა მოძღვრება, მოზიარეობა, პურის გატეხვა და ერთობლივი ლოცვა და თაყვანისცემა".
> - თომას ოდენ, *ცხოვრება სულში*

► რომელს შეიძლება ვუწოდოთ ქრისტეს სხეული, ერთ საყოველთაო ეკლესიას თუ ადგილობრივ ეკლესიას?

პავლე ლაპარაკობდა ერთიან ეკლესიაზე, როგორც ქრისტეს სხეულზე (ეფესელთა 1:23). თუმცა, კორინთოს ეკლესიის მიმართ წერილში პავლემ თქვა: "თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ" (1 კორინთელთა 12:27). მას არ უთქვამს, რომ კორინთელი მორწმუნეები მხოლოდ ქრისტეს სხეულის ნაწილები იყვნენ. ისინი ქრისტეს სხეული იყვნენ იმ ადგილზე.

ღმერთის განზრახვაა, რომ თითოეული ეკლესია - როგორც ადამიანთა კრებული, ფუნქციონირებდეს როგორც სრული ეკლესია, იმ ყველაფრით, რაც მათ სჭირდებათ, რომ ქრისტეს სხეულს წარმოადგენდნენ იმ ადგილებისთვის, სადაც ეს ეკლესიები არსებობს.

პავლემ ადგილობრივი ეკლესიის წევრები შეადარა სხეულის ნაწილებს, როგორიცაა თვალი, ფეხი და ხელი. ცხადია, რომ სხეულის ნაწილები ერთად უნდა იყოს ერთ

ადგილას, რომ ფუნქციონირებდეს. მას არ უთქვამს, რომ ისინი სხეულის ნაწილები იყვნენ და რომ სხეულის სხვა ნაწილები მიმოფანტულია მთელს მსოფლიოში. ისინი სრულყოფილ სხეულს წარმოადგენდნენ იმ ადგილისთვის, სადაც ცხოვრობდნენ.

პავლემ კორინთელებს უთხრა, რომ ზოგიერთი რამ უნდა გაკეთებულიყო, როდესაც „მთელი ეკლესია ერთად შეიკრიბება“. ის აშკარად საყოველთაო ეკლესიაზე არ საუბრობდა, არამედ ადგილობრივ ეკლესიაზე. ადგილობრივ კრებულს აქვს განსაკუთრებული ძალაუფლება, როდესაც ის მოქმედებს როგორც ეკლესია.

ღმერთი აძლევს სულიწმიდის ნიჭებს, რომლებიც სჭირდება ადგილობრივ ეკლესიას. ეკლესიის წევრები ერთად მსახურობენ სხვადასხვა ნიჭებით, რათა ადგილობრივი ეკლესიის, ანუ კრებულის, საჭიროებები დააკმაყოფილონ.

რადგანაც ადგილობრივი კრებული არის ქრისტეს სხეული, ღვთის ტაძარი და ეკლესია, ის საკმარისია, რათა წარმოადგენდეს ეკლესიას იქ, სადაც ის არის.

ადგილობრივი ეკლესიის საკმარისობა ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივ სხეულს გააჩნია ნიჭები და რესურსები, რომელიც საჭიროა მსახურებისთვის მის ადგილსამყოფელზე. ადგილობრივ ეკლესიას შეუძლია იფუნქციონიროს როგორც ეკლესიამ, მაშინაც კი, თუ მას არ ექნება დახმარება გარედან. ეკლესიის ადგილობრივი წინამძღოლები ეხმარებიან კრებულს, შეიმუშაონ ხედვა და მიზნები ადგილობრივი მსახურებისთვის. კრებული, ანუ ეკლესიის წარმომადგენლები, ერთად შრომობენ, რათა ფინანსურად მხარი დაუჭირონ მსახურებას და იზრუნონ კრებულის, ანუ ეკლესიის წევრებზე.

ეკლესიის აუცილებლობა

ძნელია ახალმოქცეულთა შენარჩუნება, თუ ისინი არ ჩაერთვებიან ეკლესიის ცხოვრებაში. მორწმუნეს კარგად ვერ მოიმოწაფებთ, მისი მონაწილეობის გარეშე ადგილობრივი ეკლესიის ცხოვრებაში. ადამიანს ვერ მოამზადებთ მსახურებისთვის, ეკლესიაში გამოცდილების მიღების გარეშე.

სახარებას არ აქვს ხილული ფორმა საზოგადოებაში, სანამ არ არსებობს ეკლესია. ხილული ფორმა არ არის ეკლესიის შენობა, არამედ მოქმედი, რწმენის ოჯახი, რომელიც ახდენს ღმერთთან ურთიერთობით სავსე ცხოვრების დემონსტრირებას. სანამ ეკლესია არ იარსებებს, სამყარო ვერ დაინახავს რას ნიშნავს - იყო ქრისტიანი. ადგილობრივ თემს ვერ მივიჩნევთ სრულყოფილად ევანგელიზირებულად, სანამ იქ ეკლესია არ დაარსდება.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) მოქცეული ადამიანი არ უნდა გამოირიცხოს ეკლესიიდან ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური დონის ან წარსული ცოდვების გამო.

(2) ეკლესიის ამოცანები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ სულიწმიდის მოქმედებით ეკლესიის საშუალებით.

(3) ეკლესიის ერთიანობა ემყარება ბიბლიურ მოძღვრებას, მადლის გამოცდილებას და სულიერ ცხოვრებას.

(4) ღვთის სიბრძნე ეცხადება ქვეყნიერებას იმით, რასაც ის ეკლესიაში აკეთებს.

(5) ადგილობრივი ეკლესიის თვითკმარობა ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივ სხეულს გააჩნია ნიჭები და რესურსები, რომლებიც საჭიროა მსახურებისთვის იმ ადგილას, სადაც მდებარეობს და მოღვაწეობს.

(6) ეკლესია აუცილებელია მოქცეულთა შესანარჩუნებლად, მორწმუნეთა დისციპლინირებისა და მსახურთა გაწვრთვნა-მომზადებისთვის.

(7) საზოგადოება (თემი) არ არის სრულყოფილად ევანგელიზირებული, სანამ იქ ეკლესია არ არის.

3 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე- 3გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) წერითი დავალება: შეისწავლეთ ეფესელთა 5:25-32. დაწერეთ რამდენიმე წინადადება ქრისტესა და ეკლესიას შორის ურთიერთობის შესახებ.

გაკვეთილი 4
საეკლესიო ასოციაციები

შესავალი

შენიშვნა კლასის ხელმძღვანელისთვის: ამ გაკვეთილის მოსამზადებლად საჭიროა მასალა. ეს გაკვეთილი განიხილავს ეკლესიებსა და მათ გაერთიანებებს შორის ურთიერთობას. თუ სტუდენტები მიეკუთვნებიან ასოციაციაში, ანუ გაერთიანებაში მყოფ ეკლესიას, კლასის ლიდერმა უნდა მიიღოს ასოციაციის მოთხოვნების ასლი კლასში განსახილველად.

საეკლესიო გაერთიანებების განსაზღვრა

► რა ჰქვია იმ საეკლესიო გაერთიანებას ან დენომინაციას, რომლის წევრიც ხართ?

როდესაც ქრისტიანი ხვდება ქრისტიანებს სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიებიდან, ჩნდება კითხვები. ისინი კითხულობენ, რატომ განსხვავდება მისი რწმენა და პრაქტიკა მათისგან. ის ამჩნევს, რომ არსებობს დოქტრინალური განსხვავებები სხვადასხვა ეკლესიებს შორის. არსებობს დიდი განსხვავებები ღვთისმსახურების სტილში.

ეკლესიის წევრი შეიძლება ეძებდეს რელიგიურ იდენტობას, რომელიც უფრო ფართოა ვიდრე მისი ადგილობრივი ეკლესია. მას სურს დაინახოს, რომ მისი ეკლესია არის იმ ეკლესიათა ნაწილი, რომლებსაც სწამთ ერთი და იგივე დოქტრინები, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ და მოზიარეობა აქვთ. მას არ სურს გრძნობდეს, რომ მისი კრებული არის ერთადერთი ეკლესია მსოფლიოში, რომელსაც აქვს ცალკეული, თავისი განსაკუთრებული რწმენა და პრაქტიკული მსახურება.

► მიეცით ერთ ან ორ სტუდენტს შესაძლებლობა განმარტონ, თუ რა სარგებელი აქვთ იმისგან, რომ კონტაქტი აქვთ მათი ეკლესიების მსგავს სხვა ეკლესიებთან.

პირველ გაკვეთილში ჩვენ შევისწავლეთ შემდეგი მტკიცებები:

> დოქტრინალური სტაბილურობისთვის ადგილობრივ ეკლესიას უნდა ჰქონდეს სამი რამ:
>
> (1) რწმენა იმისა, რომ ბიბლია არის აბსოლუტური ავტორიტეტი.
>
> (2) ისტორიული ქრისტიანობის ძირითადი დოქტრინები/მოძღვრებები.

(3) მოზიარეობა ან წევრობა კარგი თეოლოგიის მქონე ეკლესიების ასოციაციაში, ან გაერთიანებაში.

ამ გაკვეთილში ჩვენ ვსაუბრობთ მოცემული ჩამონათვალის მესამე პუნქტზე.

საეკლესიო გაერთიანებების განსაზღვრება:

საეკლესიო ასოციაცია ანუ გაერთიანება არის ეკლესიათა ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ცენტრალური ხელმძღვანელობა, იზიარებს გარკვეულ შეხედულებებს და რწმენას, იღწვის, რათა ერთობლივად მიაღწიოს გარკვეულ მიზნებს და აქვს გარკვეული სახის მოზიარეობა.

სუსტი და ძლიერი ასოციაციის/გაერთიანების ტიპები

ასოციაციას ან გაერთიანებას შეიძლება ეწოდოს "სუსტი" ან "ძლიერი", რაც დამოკიდებულია იმ ელემენტების სიძლიერეზე, რომლებიც აერთიანებს მას.

სუსტ ასოციაციებში ცენტრალურ ხელმძღვანელობას აქვს ძალიან მცირე ავტორიტეტი და გავლენა ადგილობრივ ეკლესიაზე; საერთო რწმენის საკითხების ჩამონათვალი კი შეიძლება იყოს ძალიან მოკლე, მხოლოდ ძირითადი პუნქტებით; საერთო მიზნები შეიძლება არ ითხოვდეს მრევლის დიდ მონაწილეობას; და მოზიარეობაც შეიძლება შემოიფარგლოს კრებულების წარმომადგენლების იშვიათი შეხვედრებით. ასეთ გაერთიანებებში თითოეული ეკლესიის საკუთრება ეკუთვნის ადგილობრივ თემს; და ადგილობრივ ეკლესიას ნებისმიერ დროს შეუძლია გადაწყვიტოს ასოციაციის დატოვება. ეკლესიებმა შეიძლება დატოვონ ასოციაცია, თუ თვლიან, რომ ის აღარ აკმაყოფილებს მათ საჭიროებას.

სუსტი ასოციაციის წევრები ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ ადგილობრივი ეკლესიის ავტონომიას. მათ არ სურთ, რომ გაერთიანებამ მართოს ადგილობრივი ეკლესია, ამიტომ ისინი ფრთხილად ზღუდავენ ასოციაციის უფლებამოსილებას. ამრიგად, როდესაც ასოციაციას ანუ გაერთიანებას „სუსტს“ ვუწოდებთ, არ ნიშნავს იმას, რომ მას მიზნის მიღწევაში აქვს ჩავარდნა. სუსტი ასოციაციის წევრებს სურთ ცენტრალური ხელმძღვანელობა იყოს სუსტი. ხელმძღვანელობა დეცენტრალიზებულია და ეკუთვნის ადგილობრივ ეკლესიებს.

► როგორ ფიქრობთ, რა არის კარგი "სუსტ" ასოციაციებში/გაერთიანებებში? რა არ არის კარგი მათში?

ძლიერ გაერთიანებებში ცენტრალურ ხელმძღვანელობას აქვს უფლებამოსილება მართოს ადგილობრივი ლიდერები; საერთო რწმენის და შეხედულებების

ჩამონათვალი მოიცავს ბევრ საკითხს; ეკლესიის თემები, ანუ კრებულების წევრები სწირავენ საერთო მიზნებისათვის; და მათ ხშირი კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან. ეკლესიის საკუთრება შეიძლება იყოს ასოციაციის საკუთრებაში. თუ ასეა, ცალკეულ ეკლესიებს არ შეუძლიათ მიიღონ ასოციაციის დატოვების გადაწყვეტილება.

ძლიერი გაერთიანებების წევრები მიმართავენ ცენტრალურ ხელმძღვანელობას გარკვეული სახის პრობლემების გადასაწყვეტად. ისინი ხაზს უსვამენ ასოციაციის მიმართ ერთგულებას ადგილობრივი ეკლესიისადმი ერთგულებასთან ერთად.

არსებობს სხვადასხვა სახის საეკლესიო გაერთიანებები. გაერთიანებას შეიძლება არ ჰქონდეს ძლიერი ან სუსტი ასოციაციის ყველა მახასიათებელი, მაგრამ შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც სუსტი ან უფრო ძლიერი იმისდა მიხედვით, თუ რომელი მახასიათებლები აქვთ მათ. ძლიერ გაერთიანებებს ხშირად უწოდებენ „დენომინაციებს.”

> "ეკლესიას აქვს როგორც უფლება განსაზღვროს რიტუალები ან ცერემონიები, ასევე უფლებამოსილება სარწმუნოებასთან დაკავშირებულ დავაში, მიუხედავად ამისა, რომ უკანონოა ეკლესიის მიერ მოხდეს ისეთი რამის მიღება, რაც ეწინააღმდეგება ღვთის დაწერილ სიტყვას... "
> - ინგლისის ეკლესიის რელიგიის სტატიები

► როგორ ფიქრობთ, რა არის კარგი "ძლიერ" გაერთიანებებში? რა არ არის კარგი მათში?

► რომელი საეკლესიო გაერთიანებების შესახებ იცით? როგორ დაახასიათებდით მათ?

დენომინაციის პასუხისმგებლობა

ძლიერ საეკლესიო გაერთიანებას შეიძლება ეწოდოს დენომინაცია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას აქვს ძლიერი ასოციაციის ყველა მახასიათებელი, მაგრამ ის შეიძლება შეფასდეს როგორც ძლიერი და არა სუსტი.

კარგი დენომინაცია იმისთვის არსებობს, რომ ემსახუროს ადგილობრივ ეკლესიებს. დენომინაცია ეხმარება ეკლესიებს ერთობლივად მიაღწიონ იმას, რასაც ადგილობრივი ეკლესიების უმეტესობა მარტო ვერ ახერხებს.

(1) ეს იძლევა იდენტურობის განცდას სხვა ტიპის ეკლესიებისგან განსხვავებით.

ადგილობრივი ეკლესიის წევრებმა იციან, რომ ისინი განსხვავდებიან თავიანთ ტერიტორიაზე არსებული სხვა ეკლესიებისგან. ისინი წახალისებულნი არიან და იციან, რომ იმ ეკლესიათა ჯგუფის ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც იზიარებენ მათ მოძღვრებებს.

(2) ის ადგენს მოძღვრებას.

ადგილობრივ ეკლესიას ვერ ექნება უფლება შეცვალოს და განავითაროს თავისი მოძღვრება სხვისი მოსმენის გარეშე. დენომინაცია უნდა რჩებოდეს ქრისტიანობის ძირითად ისტორიულ დოქტრინების ფარგლებში, მაგრამ ასევე უნდა ჰქონდეს უფრო დეტალური სწავლებები, რომლებიც, მათი აზრით, შეესაბამება წმინდა წერილს.

(3) ის ადგენს სტანდარტებს პასტორებისა და ეკლესიის წევრებისათვის.

დენომინაციამ უნდა დააწესოს სტანდარტები პასტორებისა და ეკლესიის წევრებისთვის, რათა მათ შექმნან თანმიმდევრული ქრისტიანული მაგალითი. სტანდარტები უნდა ეფუძნებოდეს 1 ტიმოთე მე-3 თავში და ტიტეს 1-ლ თავში მოყვანილ თვისებებს, თუმცა ნათლად უნდა იყოს განმარტებული თითოეული კულტურისათვის.

(4) ის უზრუნველყოფს ეკლესიის მართვის სისტემას.

დენომინაციამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ეკლესია სისტემით, ეკლესიაში ხალხის საპასუხისმგებლო პოზიციებზე დასანიშნად და ანგარიშვალდებულების შესანარჩუნებლად.

(5) ის უზრუნველყოფს პასტორთა მომზადების საშუალებას.

ბევრ ეკლესიას არ აქვს რესურსი და მასალები მომავალი პასტორების მოსამზადებლად. დენომინაციამ უნდა შეიმუშაოს სასწავლო პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომი და პრაქტიკული იქნება.

(6) ის ხელმძღვანელობს პასტორების გადანაწილებას ეკლესიებში.

პასტორებს ეკლესიების გარეშე და ეკლესიებს პასტორების გარეშე შეიძლება დახმარება გაუწიონ დენომინაციის ლიდერებმა. კარგი დენომინაციური ლიდერები პატივს სცემენ ეკლესიის ერთგულ ადგილობრივ ლიდერებს ყველა გადაწყვეტილებისას.

(7) ის იძლევა მითითებებს, როდესაც ადგილობრივ ეკლესიას აქვს კრიზისი.

თუ ადგილობრივი ეკლესია გაყოფილია რაიმე საკითხის ირგვლივ დავის გამო, ან არ ჰყავს სანდო ხელმძღვანელობა, დენომინაციის ლიდერები უნდა დაეხმარონ.

(8) ის კოორდინაციას უწევს და მხარს უჭერს მისიისა და ეკლესიის დაფუძნების მცდელობებს.

ეკლესიების ჯგუფმა უნდა გაიზიაროს მისიის მუშაობის ხედვა. ისინი აერთიანებენ რესურსებს და ეხმარებიან ადამიანებს მისიის მიზნების მიღწევაში.

> "ქვეყნიერების ევანგელიზირება (მახარებლობა) აშკარად ქრისტიანობის მისიაა. მაგრამ ამ მისიის შესრულება მოითხოვს ეკლესიას, რადგან მისი ინსტრუმენტული საშუალებებით განხორციელება სხვაგვარად შეუძლებელია."
> - ჯონ მაილი, სისტემატური თეოლოგია

(9) ის უზრუნველყოფს ადგილობრივ ეკლესიაზე გაცილებით უფრო ფართო მასშტაბის ურთიერთობებსა და მოზიარეობას.

ხდება წევრებისთვის ხელშეწყობა, რათა მათ მეტი დრო გაატარონ დენომინაციის სხვა ეკლესიების წევრებთან.

(10) ის აწყობს ღონისძიებებს, რომლებიც აერთიანებს ეკლესიებს.

დენომინაციამ უნდა მოაწყოს კონგრესები და კონფერენციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკლესიების მოზიარეობას და ერთობლივი მიზნების დასახვას.

(11) ის აგზავნის ლიდერებს ეკლესიებში მსჯელობის, რჩევის მიცემის და წახალისების მიზნით.

ვინმემ, გაერთიანების ხელმძღვანელობიდან, უნდა მოინახულოს ყველა ეკლესია წელიწადში ერთხელ მაინც, ან უმჯობესია უფრო ხშირადაც.

(12) ის იძლევა რჩევებს ადგილობრივი მსახურების ფინანსური მდგრადობის განვითარების შესახებ.

ასოციაციამ ხაზი უნდა გაუსვას ადგილობრივი ეკლესიის პოტენციალს და წაუძღვეს მათ ფინანსურ სიმწიფისკენ.

თუ დენომინაცია სწორად ემსახურება ამ მიზნებს, ის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი დახმარება ეკლესიის მიზნების მისაღწევად. ადგილობრივი ეკლესიების უმეტესობისთვის შეუძლებელი იქნებოდა ყველა ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობის მარტო შესრულება. დენომინაციის ლიდერებს უნდა ახსოვდეთ, რომ დენომინაცია არსებობს იმისთვის, რომ ადგილობრივ ეკლესიებს მოემსახუროს.

► ახლა, როდესაც ჩვენ ვნახეთ, რისი გაკეთება შეუძლიათ დენომინაციებს მათი ეკლესიებისთვის, განვიხილოთ ეს შეკითხვა: როგორ შეუძლია ეკლესიას ისარგებლოს

სუსტი გაერთიანების უპირატესობებით და ამავდროულად თავიდან აიცილოს ის პრობლემები, რაც მათში ჩვეულებრივ წარმოიქმნება?

► როგორ შეუძლია ეკლესიას მიიღოს სარგებელი ძლიერი გაერთიანებისგან და თავიდან აიცილოს ის პრობლემები, რომლებიც ჩვეულებრივ მას თან ახლავს?

ადგილობრივი ეკლესიის ვალდებულება დენომინაციის მიმართ

ეს ვალდებულებათა ნუსხა არ იქნება ერთი და იგივე ყველა დენომინაციისთვის, არამედ ეს არის ზოგადი აღწერა, თუ რას მოითხოვენ დენომინაციები როგორც წესი, თავიანთი ეკლესიებისგან.

ადგილობრივი ეკლესია ვალდებულია გააკეთოს შემდეგი:

(1) მიიღოს დენომინაციის დოქტრინალური პოზიცია, იქადაგოს ეს დოქტრინები და არ დაუშვას ეკლესიაში საპირისპირო დოქტრინების ქადაგება.

(2) უზრუნველყოს ეკლესიის წევრების განსწავლა და მოთხოვნა, რომ მათ იცხოვრონ თანმიმდევრული ქრისტიანული ცხოვრებით.

(3) მონაწილეობა მიიღოს კონგრესებსა და სხვა ღონისძიებებში და მონაწილეობა მიიღოს ხარჯების დაფარვაში, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.

(4) მიაწოდოს ზუსტი წლიური ანგარიში დასწრების, მოქცეულების, მსახურებისა და შემოსავლების შესახებ.

(5) შეინარჩუნოს ერთიანობა სხვა ეკლესიებთან და დენომინაციის ლიდერებთან და მოგვაროს კონფლიქტები ბიბლიური გზით.

(6) არ იყოს ჩართული ნებისმიერ სხვა ორგანიზაციაში, რომელიც მოითხოვს მსგავს ვალდებულებებს..

თუ თქვენი სტუდენტები არიან ეკლესიიდან, რომელიც რომელიმე გაერთიანებაშია, დაუთმეთ რამდენიმე წუთი გაერთიანების მოთხოვნების განსახილველად.

► თქვენი ეკლესიის გაერთიანება საერთაშორისო მისიონერული ორგანიზაციის მიერ არის შექმნილი? თუ ასეა, აღწერეთ ურთიერთობა ეკლესიებსა და მისიონერულ ორგანიზაციას შორის.

მისიისა და მისი ეკლესიური გაერთიანების ურთიერთობა

ზოგჯერ ეკლესიები ურთიერთობენ საერთაშორისო მისიონერულ ორგანიზაციასთან. მისიამ შეიძლება დააარსოს ეკლესიები, ან არსებული ეკლესიები შეიძლება გაერთიანდნენ მისიაში. მისიასთან დაკავშირებული ეკლესიები ქმნიან ასოციაციას.

დასაწყისში, უცხოელი მისიონერები შეიძლება ცხოვრობდნენ ქვეყანაში და იყვნენ ასოციაციის/გაერთიანების ლიდერები. დროთა განმავლობაში ხელმძღვანელობა ვითარდება და ყალიბდება ადგილობრივი პასტორებისგან. მისიას უნდა ჰქონდეს ლიდერების განვითარების მიზანი, რათა უცხოელი მისიონერები არ განაგრძობდნენ ეკლესიის ასოციაციის უშუალო ხელმძღვანელობას.

როდესაც უკვე გაერთიანების ადგილობრივი ხელმძღვანელობა იქმნება, ორგანიზაციაში ყალიბდება სამი დონე: მისიის ხელმძღვანელობა, გაერთიანების ხელმძღვანელობა და ადგილობრივი ეკლესიის პასტორები. ასოციაციის/გაერთიანების ლიდერები მუშაობენ უშუალოდ პასტორებთან. მისიის ლიდერები ძირითადად ასოციაციის ლიდერებთან მუშაობენ.

ზოგიერთი მისია უზრუნველყოფს ძლიერ ცენტრალურ ხელმძღვანელობას, რომელიც აყალიბებს ეკლესიების ძლიერ ასოციაციას. სხვა მისიები ეხმარებიან ეკლესიების სუსტ გაერთიანებას და არ უდგენენ მათ რაიმე დამატებით ძალაუფლებას.

თუკი სამ დონეს შორის ურთიერთობა მკაფიოდ არ არის განმარტებული, შეიძლება გაუგებრობები წარმოიშვას. ზოგჯერ ეკლესიების წარმომადგენლები გაერთიანების ლიდერების ნაცვლად მისიის ლიდერებს მიმართავს, მათი საჭიროებების შესახებ, რადგან ფიქრობენ, რომ მისია რესურსებით უფრო მდიდარია. მისიის ლიდერები ზოგჯერ მუშაობენ უშუალოდ ეკლესიებთან, ასოციაციის ხელმძღვანელობის გვერდის ავლით. ეს იწვევს დაბნეულობას გაერთიანების ლიდერებში, რადგან ეს მათ როლს გაურკვეველს ხდის.

წინა ნაწილში ჩვენ ჩამოვთვალეთ დენომინაციების პასუხისმგებლობა. მისიის მიერ დაარსებულ საეკლესიო გაერთიანებაში, ერთობლივი მუშაობით პასუხისმგებლობას ახორციელებენ გაერთიანების ლიდერები და მისიის ლიდერები. გარკვეული პერიოდის შემდეგ, გაერთიანების ლიდერებმა თანდათან მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ. ჩამოყალიბებული და განვითარებული გაერთიანების იდეალური მდგომარეობა კი ის არის, რომ მას შეეძლოს კარგად ფუნქციონირება, მაშინაც კი, თუ მას მისია აღარ უწევს დახმარებას.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) ეკლესიების გაერეთიანება ხელს უწყობს ადგილობრივი ეკლესიის სტაბილურობას.

(2) გაერთიანებებს შეიძლება ეწოდოს "სუსტი" ან "ძლიერი" იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელმძღვანელობა.

(3) "სუსტი" გაერთიანების წევრები ხაზს უსვამენ ადგილობრივი ეკლესიების ავტონომიას.

(4) "ძლიერი" გაერთიანების წევრები ხაზს უსვამენ მიძღვნას და ერთგულებას გაერთიანების მიმართ ადგილობრივ ეკლესიის მიმართ ერთგულებასთან ერთად.

(5) ეკლესია ვერ იქნება დენომინაციაში და ასევე სხვა გაერთიანებაში, რომელიც მოითხოვს ძლიერ მიძღვნას.

(6) დენომინაცია არსებობს, რათა დაეხმაროს ეკლესიებს შეასრულონ თავიანთი დანიშნულება თანამშრომლობის გზით.

(7) საერთაშორისო მისიამ თანდათან უნდა გადასცეს პასუხისმგებლობა გაერთიანების ხელმძღვანელობას.

4 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-4 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) ტესტი: მომდევნო გაკვეთილის დასაწყისში თქვენ უნდა გაიხსენოთ და დაწეროთ დენომინაციის 10 პასუხისმგებლობა მაინც და ადგილობრივი ეკლესიის მინიმუმ 5 ვალდებულება მისი დენომინაციის მიმართ.

გაკვეთილი 5
ეკლესიის წევრობა

შესავალი

► შეიძლება ადამიანი იყოს ქრისტიანი და იცხოვროს ქრისტიანულად ეკლესიის გარეშე?

> "იმ პირველ მორწმუნეებს უყვარდათ ეკლესია, რადგან უყვარდათ იესო ".
>
> - ლარი სმიტი, მე მწამს: ქრისტიანული

ბევრი კარგი მიზეზი არსებობს, რის გამოც ხალხი ეკლესიაში დადის. ადამიანს შეუძლია მოვიდეს ეკლესიაში, რათა ისწავლოს, იგრძნოს ღმერთის თანდასწრება, იგრძნოს თავი მიღებულად და განიცადოს მეგობრობა, მიიღოს გამხნევება, შეიცვალოს, თაყვანი სცეს ღმერთს სხვებთან ერთად, გამოიჩინოს ერთგულება ღმერთისა და ღვთის ხალხის მიმართ, დაეხმაროს ეკლესიას მსახურებაში და გაიგოს რას აკეთებს ღმერთი მის ცხოვრებაში.

თუ ადამიანი ეკლესიაში არ დადის, მაშინ მისთვის, ზემოთ ჩამოთვლილი, მნიშვნელოვანი არ არის. როგორი ხალხი არ ზრუნავს ამ საკითხებზე? დასწრება არ ადასტურებს, რომ ადამიანი ქრისტიანია, მაგრამ თუ ადამიანი ეკლესიაში არ დადის, ის ალბათ ქრისტიანი არ არის.

► რატომ არის ეკლესიის წევრობა მნიშვნელოვანი? განა საკმარისი არ არის მხოლოდ ეკლესიაში სიარული და ქრისტიანობა?

ეკლესიის წევრობა არის ღვთის გეგმის ერთგულება

წინა გაკვეთილზე ჩვენ დავინახეთ, რომ პავლეს მსახურების პრიორიტეტი იყო განმარტება, თუ რა არის ეკლესია. პავლემ ხაზი გაუსვა ეკლესიას, რადგან ის არის ღმერთის გზა ხსნის გეგმის განსახორციელებლად მთელ მსოფლიოში.

პავლე მოციქული იყო მოწოდებული

> და გამეცხადებინა ყველასთვის, რა არის საუკუნეთაგან დაფარული საიდუმლოს გამგებლობა, ყოვლის შემქმნელ ღმერთში. რათა ახლა ეკლესიის მეშვეობით ეუწყოს მმართველობებს და ხელისუფლებებს ზეცაში ღვთის მრავალმხრივი სიბრძნე. (ეფესელთა 3:9-10).

"საიდუმლო" არის ღმერთის გეგმა გამოხატოს თავისი სისრულე და გამოავლინოს თავისი სიბრძნე ეკლესიაში. ეკლესია არის იმ ადამიანთა მოაზრეობა, რომლებიც გამოეხმაურნენ ღვთის გეგმას და თავი მიუძღვნეს მას. თუ ადამიანი არ ემორჩილება ეკლესიას, ის არ ემორჩილება ღვთის გეგმას.

► რა არის ის მიზეზები, რის გამოც ადამიანები უარს ამბობენ ეკლესიის წევრობაზე?

ნამდვილი ღვთის სახლი

ღმერთი ცხოვრობს ყველა მორწმუნეში, მაგრამ ის ცხოვრობს ეკლესიაში (ერთგული მორწმუნეების ჯგუფში) განსაკუთრებული გზით. ნახეთ, რა არის ნათქვამი ამ მუხლებში, სად ცხოვრობს ღმერთი:

> რომელზეც მთელი შენობა, ერთად შერწყმული იზრდება წმიდა ტაძრად უფალში, რომელშიც თქვენც შენდებით, რათა იყოთ ღვთის სამკვიდრებელი სულში (ეფესელთა 2:21-22).

ღმერთი ცხოვრობს ეკლესიაში. ეკლესია, მორწმუნეთა ჯგუფი, არის სახლი, რომელშიც ღმერთი ცხოვრობს სულით.[2] ღმერთი მკვიდრობს ეკლესიაში იმ მიზნებისთვის, რაც აღემატება მიზნებს, რომელთა განხორციელებაც ინდივიდებს შეუძლიათ. თუ ადამიანი უარს ამბობს ეკლესიისთვის თავის მიძღვნაზე, ის უარს ამბობს, იყოს ღვთის ამ გეგმის ნაწილი.

ღვთის ოჯახი

ადამიანი იძენს თავის სულიერ ვინაობას, როდესაც ის მხილებულია ცოდვაში, ხოლო ამის შემდეგ განიცდის ღვთის სიყვარულს, მადლს და მიღებას. როდესაც ის ინანიებს და ირწმუნებს ქრისტეს, ის ხდება ღვთის შვილი. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი იდენტობა, რაც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს.

მორწმუნეს აქვს აგრეთვე სულიერი იდენტობა - ღვთის ოჯახის წევრი, სახლეული (ეფესელთა 2:19). სხვა მორწმუნეები მისი სულიერი ძმები და დები არიან. ის ნათესაურ კავშირს გრძნობს ნებისმიერ ჭეშმარიტ ქრისტიანთან, რომელსაც ხვდება.

ეკლესია არსებობს, როგორც ღმერთის საყოველთაო ოჯახი და აგრეთევე, როგორც ადგილობრივი კრებული და თემი, რომელიც მოქმედებს როგორც ღმერთის ადგილობრივი ოჯახი. თუ ძმას ან დას საჭიროება აქვს, სწორედ მისი ადგილობრივი

[2] 1 კორინთელთა 6:19-ში ცალკეული მორწმუნის სხეულს სულიწმიდის ტაძარი ეწოდება; მაშასადამე, ცუდი არაფერია იმაში, რომ ადამიანები ღვთის საცხოვრებელ ადგილად მოვიაზროთ. იმავე ეპისტოლეში, სხვა ადგილას, ადგილობრივი ეკლესია, ანუ სხეული ერთობლივად, აგრეთვე მოიხსენიება, როგორც ღვთის ტაძარი. (3:16-17).

სულიერი ოჯახია, ვინც მას ეხმარება. მორწმუნესაც, ისევე, როგორც შეუძლია ჰქონდეს მოლოდინი, რომ მისი სულიერი ოჯახი მზად იქნება მის დასახმარებლად, უნდა გადაწყვეტილი ჰქონდეს ერთგული და მიძღვნილი იყოს ოჯახის მიმართ და მზად იყოს სხვების დასახმარებლად. ოჯახის დახმარება არ იარსებებდა, თუ არ იარსებებდნენ მორწმუნეები, რომლებიც ამას თავის დროსა და რესურსებს უთმობენ.

ზოგი ითხოვს დახმარებას, მაგრამ არასოდეს სცალია სხვების დასახმარებლად. მათ არ ესმით, რას ნიშნავს ოჯახის ერთგულება.

სხვა ადამიანები ზრუნავენ საკუთარ თავზე და სხვებისგანაც იგივეს მოელიან. მათ არ ესმით თავიანთი პასუხისმგებლობა სხვების საჭიროებებზე.

► როგორ აუხსნით ადამიანს, რომ საჭიროა ის იყოს ღვთის ოჯახის ერთგული და მიძღვნილი?

ინდივიდუალიზმის შეცდომა

ადამიანმა ინდივიდუალურად უნდა ირწმუნოს ღმერთის ჭეშმარიტება და ინდივიდუალურად აირჩიოს ღმერთის მორჩილება. ღმერთთან ადამიანის ურთიერთობა იწყება მაშინ, როდესაც ის ინანიებს და ირწმუნებს ქრისტეს. მისი ღმერთთან ურთიერთობა სხვა არავისზე არ არის დამოკიდებული. ყველა მორწმუნეს ჰყავს სულიწმიდა, რომელიც უძღვება მას ღვთის სიტყვის შემეცნებაში.

თუმცა, ბევრი ქრისტიანი ზედმეტად დამოუკიდებელი გახდა თავის მიდგომებში. მათი საკუთარი აღქმა ხდება მათი საბოლოო ავტორიტეტი. ისინი ენდობიან წმინდა წერილის მხოლოდ საკუთარ ინტერპრეტაციას. ისინი ეძებენ თავიანთი ცხოვრების ინდივიდუალურ მიზანს, რითიც უფრო მეტად საკუთარ ნიჭებს მიაგებენ პატივს, ვიდრე სხეულის სისრულეს ეძებენ. მათი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ეფუძნება საკუთარ მოსაზრებებს, საკუთარ გრძნობებს და საკუთარ სურვილებს და არ ხელმძღვანელობენ ეკლესიის სიბრძნით.

ბევრს არ შეუძლია განმარტოს ეკლესიის მიზანი. ისინი მას ღირებულად მიიჩნევენ, მხოლოდ ადამიანებისთვის გარკვეული სარგებლის მიცემის თვალსაზრისით. ისინი არ არიან მიძღვნილნი მის მიმართ, როგორც ოჯახისადმი. ისინი არ ცნობენ რაიმე სულიერ ავტორიტეტს და ძალაუფლებას. ისინი სწრაფად ტოვებენ ეკლესიას და სხვას ეძებენ, თუ პრობლემა შეექმნებათ. ეს პრობლემა ყველგან არსებობს, მაგრამ ზოგიერთ კულტურაში ადამიანები უფრო მიდრეკილნი არიან სულიერად დამოუკიდებელნი იყვნენ, რადგან მათი კულტურა ხაზს უსვამს ინდივიდუალურ თავისუფლებას.

ბევრმა ეკლესიამ მიიღო ვარაუდი, რომ ადამიანები სულიერად დამოუკიდებლები არიან. ქადაგებებში მოცემულია ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს მიიღონ პირადი გადაწყვეტილებები საუკეთესო შედეგებისთვის. ბევრ ეკლესიას ხელმძღვანელობს ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც პროგრამას წარადგენენ, ხოლო მრევლი მხოლოდ მაყურებელთა ბრბოა. სხვა სახის ეკლესია - პასტორის პირადი საქმეა და ის ცდილობს შესთავაზოს საკმარისი რაოდენობის სიკეთეები, რათა შეინარჩუნოს ხალხი, მათგან ფინანსური დახმარების მისაღებად.

ახალი აღთქმისეული ეკლესიის სურათი არის ადგილობრივი კრებული (თემი), რომელიც იზიარებს პასუხისმგებლობებს და მოვალეობებს. ეკლესიამ უნდა შეასრულოს თავისი პასუხისმგებლობები, როგორც ერთგულმა თანამშრომელმა ხალხის კრებულში. ახალი აღთქმის ეპისტოლეების უმეტესობა მიწერილია არა ცალკეული პირების მიმართ, არამედ ეკლესიების მისამართით და სწორედ ასე უნდა იქნას განმარტებული და გამოყენებული.

ადგილობრივი ეკლესიის ზოგიერთი მიზანი შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ახალ აღთქმაში

განიხილეთ ჩამონათვალის თითოეული პუნქტი, თუ როგორ შეიძლება კრებულმა გადაინაწილოს ეს პასუხისმგებლობა და ყველაფერი იმაზე უკეთესად გააკეთოს, ვიდრე ეს ცალკეულ ინდივიდს შეუძლია.

(1) ევანგელიზაცია (მახარებლობა) (მათე 28:18-20).

(2) ეკლესიური თაყვანისცემა (ღვთისმსახურება) (1 კორინთელთა 3:16).

(3) დოქტრინის შენარჩუნება (1 ტიმოთეს 3:15, იუდას 3).

(4) პასტორების ფინანსური მხარდაჭერა (1 ტიმოთეს 5:17-18).

(5) მისიონერების გაგზავნა და მათი მხარდაჭერა (საქმეები 13:2-4, რომაელთა 15:24).

(6) ეკლესიის გაჭირვებული წევრების დახმარება (1 ტიმოთეს 5:3).

(7) ცოდვაში ჩავარდნილი წევრების დისციპლინირება (1 კორინთელთა 5:9-13).

(8) ნათლობის და ზიარების ჩატარება (მათე 28:19, 1 კორინთელთა 11:23-26).

(9) მორწმუნეების მომოწაფება მათი სულიერი ზრდისთვის (ეფესელთა 4:12-13).

ამ ყველაფრის უმეტესობა ვერ შესრულდება ერთი ადამიანის მიერ, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს. ეს ყოველივე დამოკიდებლია მორწმუნეთა ჯგუფის თანამშრომლობაზე და ხელმძღვანელობის სტრუქტურაზე.

> "ყოველი ქრისტიანის მოვალეობაა არა მხოლოდ ღიად აღიაროს თავისი რწმენა ქრისტეს მიმართ, არამედ შევიდეს თანაზიარებაში მორწმუნეთა ეკლესიასთან, ანუ სხეულთან, მის თემში და აიღოს თავის თავზე ეკლესიის წევრობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები".
>
> - უილი და კალბერტსონი, შესავალი ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში

ღმერთი მოუწოდებს ყველა მორწმუნეს, უერთგულონ ადგილობრივ ეკლესიას და დაეხმაროს ამ ეკლესიას თავისი მიზნის შესრულებაში ქვეყნიერების მიმართ. სანამ წევრი არ მსახურობს ეკლესიაში, ის არ ასრულებს თავის მიზანს, როგორც ქრისტეს სხეულის ნაწილი.

ღმერთს აქვს გეგმა მორწმუნეთა ადგილობრივი ეკლესიისთვის, ანუ სხეულისთვის. ის იძლევა იმას, რაც საჭიროა და მოითხოვს წევრებისგან ერთგულებას.

სხეულის მეტაფორა

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 12:12-27 ჯგუფს.

პავლემ თქვა, რომ ეკლესიის წევრებმა უნდა იმოქმედონ ერთად, როგორც ფიზიკური სხეულის ნაწილებმა. ნაწილი არ უნდა ეცადოს იყოს სხვებისგან დამოუკიდებელი. ნაწილი სხვების გარეშე ბევრს ვერ მიაღწევს.

ქრისტიანმა უნდა გააცნობიეროს, რომ მისი შესაძლებლობები ეკლესიის ცხოვრებაში ფასდება. ისევე, როგორც თვალი ან ყური გამოუსადეგარია, თუ ის არ მოქმედებს სხეულისთვის, ადამიანიც ვერ იპოვის მნიშვნელოვან მიზანს ღვთის ნებაში, თუ ის არ მოქმედებს როგორც ეკლესიის ერთგული წევრი.

წევრობის პროცესები

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს საქმეების 2:46-47 ჯგუფს.

"უფალი ყოველდღე მატებდა ეკლესიას გადარჩენილებს". ეკლესიის ადრეულ დღეებში მასთან შეერთება არ იყო რთული საქმე. მოქცევისა და რწმენის მტკიცებულება იყო წევრობის საფუძველი. ფორმალური წევრობის პროცესის ან

წევრობის წესების ჩამონათვალის გარეშეც კი ადვილი იყო იმის დანახვა, თუ ვინ იყო ეკლესიაში.

ხშირად ეკლესია იწყებს ოფიციალური წევრობის გარეშე. თავდაპირველად ეკლესია მსახურთა გუნდისგან შედგება. შემდეგ ემატებიან ადგილობრივები, რომლებიც მსახურებას გამოეხმაურნენ და მონაწილეობა მიიღეს. ჯგუფი ხშირად იკრიბება, რათა განიხილონ პრაქტიკული საკითხები, სულიერი საკითხები, მომავლის ხედვები და ერთად ცხოვრების ასპექტები. მონაწილეთა სია არ არის, მაგრამ ყველამ იცის, ვინ არიან ერთგულები.

რაც უფრო იზრდება ეკლესია, ჩნდება კითხვები. ბევრი ადამიანი დადის ეკლესიაში და მონაწილეობს აქტივობებში; მაგრამ ვინ არიან ადამიანები ეკლესიაში? ეკლესია უნდა იყოს მოწმე, მაგრამ როგორ შეიძლება ის იყოს მოწმე, თუ მრევლმა, ანუ კრებულმა არ იცის ვინ არიან ეკლესიის ხალხი? ჩვენ ვასწავლით მრევლს აიღონ ვალდებულება, რომ სხეულში სხვებს დაეხმარონ, მაგრამ როგორ შეძლებენ, რომ გაიგონ ვინ არიან ისინი? თუ ადამიანი უარს ამბობს გამოეხმაუროს მხილებას, რათა გამოსწორდეს და ღია ცოდვაში ცხოვრობს, როგორ შეიძლება ის განვასხვავოთ მორწმუნეთა ძირითადი ნაწილისგან, რომლებიც კეთილსინდისიერად ცხოვრობენ?

ბევრ თანამედროვე ეკლესიას აქვს გაწევრიანების ფართო მოთხოვნები. მათ აქვთ დოქტრინის ფორმულირება, წევრების შესაბამისი ცხოვრების წესები და გამოსაცდელი პერიოდი. ახალმოქცეული ადამიანისთვის ადვილი არ არის სწრაფად გახდეს ამ ეკლესიების წევრი.

ახალი მოქცეული უნდა მიღებულ იქნეს ეკლესიის მოზიარეობაში. ის უნდა იყოს მორწმუნეთა ჯგუფის ნაწილი, რომლებიც ერთგულები და მიძღვნილები არიან ერთმანეთის მიმართ. მოქცევისას ის კარგავს მეგობრებს, რომლებიც არ არიან ქრისტიანები და მას სჭირდება ქრისტიანული მოზიარეობა.

ახალმოქცეულს ასევე სჭირდება მოწაფეობა, რომელიც მოდის სხვა ქრისტიანებთან მჭიდრო მოზიარეობის შედეგად. ის ჩამოყალიბდება იმ ადამიანების ღირებულებებით, რომლებიც მას უზიარებენ საკუთარი ცხოვრების გამოცდილებას.

რა მოხდება, თუ მოქცეული ვერ შეუერთდება ეკლესიას, წევრობის მაღალი მოთხოვნების გამო, რაც მას არ ესმის? თუ მას წევრობას არ აძლევენ, ის გრძნობს, რომ ის ეკლესიაში არ არის მიღებული. მას სასწრაფოდ სჭირდება რაიმე სახის წევრობა. ადრეულმა ეკლესიამ სწრაფად შეძლო მოქცეული ადამიანების წევრებად ჩართვა მსახურებებში.

თუ ეკლესია კარგად ახერხებს ახალმოქცეულების წევრებად სწრაფად მიღებას, ეკლესიის წევრებში შეიძლება მოხვდნენ ადამიანები, რომლებიც არ არიან მოწიფული ქრისტიანები. ახალმოქცეულებს არ ესმით ეკლესიის ყველა მნიშვნელოვანი დოქტრინა. მათ არ ჩამოუყალიბებიათ მოწიფული ქრისტიანული ცხოვრების წესი. ამიტომ ისინი არ უნდა იყვნენ პასუხისმგებლები ეკლესიისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზე. იმის გამო, რომ ეკლესიის წევრებში შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ არიან მოწიფული ქრისტიანები, ეკლესიის უბრალო წევრმა არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები ეკლესიის მიმართულების შესახებ.

ამ ზოგად წევრებს შორის, უნდა იყვნენ წევრები, რომლებიც ქმნიან მმართველ ორგანოს. ეკლესიის მმართველი ორგანო უნდა შედგებოდეს მოწიფული ქრისტიანებისგან, რომლებსაც ესმით ეკლესიის მიერ სწავლებული დოქტრინები და ცხოვრების წესი. ეს არის ჯგუფი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ეკლესიისთვის. ამ ჯგუფის წევრობას უფრო მაღალი მოთხოვნები უნდა ჰქონდეს, ვიდრე ეკლესიის ზოგად წევრობას. ამ ჯგუფის ადამიანებს შეუძლიათ ეკლესიაში მასწავლებლად და ლიდერად იმსახურონ. მმართველი ორგანო ზრუნავს, რომ ეკლესია დარჩეს თავისი დოქტრინისა და მიზნის ერთგული.

საერთო ანუ ზოგადად წევრობაში მიიღებიან ჭეშმარიტი ახალმოქცეულები, რომლებმაც თავი მიუძღვნეს ეკლესიას. საერთო წევრობის მოთხოვნებია ქრისტიანობის საფუძვლები და ამ კონკრეტული ეკლესიის მიმართ ერთგულება. ახალმოქცეული შეიძლება სწრაფად მივიღოთ ზოგად წევრად, თუ ის ნამდვილად მოქცეულია. ახალმოქცეული იღებს მოზიარეობას და ჩართულობას ეკლესიურ ცხოვრებაში, რაც მას დაუყოვნებლივ სჭირდება. ზოგიერთი ეკლესია საერთო ანუ ზოგად გაწევრიანებას მოიხსენიებს, როგორც "ძმობას და თემის წევრობას".

► რატომ სჭირდება ახალმოქცეულს ეკლესიაში სწრაფად ჩართვა?

► ამ ნაწილში აღწერილი წევრობის სისტემაში რა არის მოზიარეობა და როგორი ადამიანია წევრი?

► ამ ნაწილში აღწერილი წევრობის სისტემაში რა არის მმართველი ორგანო და როგორი ადამიანია მისი წევრი?

ძმობა ანუ მოზიარეობა და მმართველი ორგანო არის წევრობის ერთი სისტემა. ქვემოთ მოცემულ ბლოკში აღწერილია წევრობის ორი სხვა სისტემა.

მოწიფულ ქრისტიანთა წევრობა

წევრობის ერთერთი კონცეფცია მოითხოვს, რომ წევრები იყვნენ დოქტრინულად ჯანსაღნი და საკმარისად მოწიფულნი, რათა შესაძლებელი იყოს მათთვის ეკლესიურ გადაწყვეტილებებზე კენჭისყრის მინდობა. ეს ჯგუფი წამოაყენებს კანდიდატურებს მსახურის პოზიციებზე, მათ შორის პასტორის პოზიციაზეც. ისინი ან კენჭს უყრიან საქმიანი გადაწყვეტილებების თაობაზე, ან ირჩევენ წარმომადგენელთა ჯგუფს, რომელიც იღებს ამ გადაწყვეტილებებს.

იმის გამო, რომ წევრები აკონტროლებენ ეკლესიის მმართველობას, ახალმოქცეულს შეიძლება სწრაფად არ მიეცეს წევრობა. რაც უფრო კონსერვატიული და ფრთხილია ეკლესია, მით უფრო გრძელია წევრობის მოთხოვნების ჩამონათვალი და მით უფრო გრძელია მოქცევასა და წევრობას შორის პერიოდი. ეკლესია ადგენს წევრობის მოთხოვნებს, რათა ის მოიცავდეს ყველაფერს, რაც მოწიფულ ქრისტიანს უნდა ახასიათებდეს და არა ახალმოქცეულის ზოგად აღწერილობას. ახალმოქცეულს წლების განმავლობაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ეკლესიის ცხოვრებაში, წევრის წოდების გარეშეც. ზოგიერთი ახალმოქცეული შეიძლება წავიდეს ეკლესიიდან, რადგან ისინი წევრები არ არიან.

კონგრეგაციონალისტური, ანუ კრების წევრობა

ზოგიერთ ეკლესიაში წევრებად ითვლებიან ისინი, ვინც ჩვეულებრივ ღვთისმსახურებას ესწრება. სხვა ძალაუფლებამ შეიძლება გადაწყვიტოს საეკლესიო საქმეები, მაგრამ ნებისმიერი, ვინც ეკლესიაში დადის მისი წევრია. ეკლესიამ შეიძლება განაცხადოს, რომ მას არ აქვს წევრობის სია. თუმცა, ისეთ ეკლესიაშიც კი, რომელიც აცხადებს, რომ არ აქვს წევრთა სია, არსებობს დაუწერელი სისტემა, იმის დასადგენად, თუ ვინ არის და ვინ არ არის მისი წევრი.

კონგრეგაციონალისტურ ეკლესიაში, სადაც წევრობა მსახურებებზე დასწრებით განისაზღვრება, ეკლესიის კონტროლი შეიძლება პასტორის ან გავლენიანი ოჯახების ლიდერების ხელში იყოს.

თუ ახალგაზრდა ეკლესიაში დასრულებული ძალაუფლება კონგრეგაციონალისტურ, ანუ კრების წევრობას ეკუთვნის, შეუძლებელია იმის პროგნოზირება, როგორი იქნება ის რამდენიმე წელიწადში.

თუ ძველ კონგრეგაციონალისტური წევრობის მქონე ეკლესიას აქვს სტაბილურობა, მას სავარაუდოდ აკონტროლებს ან ოჯახური ჯგუფი ან ძლიერი, ხანგრძლივად მმართველი პასტორი. მათთვის რთული იქნება საქმის კეთების წესების ახსნა და განმარტება თუ რა და როგორ კეთდება, მაგრამ ისინი ენდობიან მათ, ვინც ყველაფერს მართავს და აკონტროლებს. დაწერილი წესები შეიძლება არ არსებობდეს ან შეიძლება უგულვებელყოფილი იყოს. როდესაც პასტორს ან სხვა ლიდერებს ჩაანაცვლებენ, ეკლესიამ შეიძლება დიდი ცვლილებები განიცადოს.

► რა უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს ხედავთ წევრობის ზემოთ აღწერილ ორ სისტემაში?

გასათვალისწინებელი მაგალითები

კლასმა უნდა განიხილოს შემდეგი ორი მაგალითი. განიხილეთ, თუ როგორ უკავშირდება ეს ორი აღწერა იმ ეკლესიების წევრობას, რომელიც თქვენ იცით.

ეკლესიის ძმური მოზიარეობის გეგმას იყენებს ეკლესია ინდიანაპოლისში, ინდიანას შტატში, შეერთებულ შტატებში. ეკლესიის წევრობის შეთანხმება გამოიყენება ფილიპინების ბიბლიურ მეთოდურ ეკლესიაში.

ეკლესიის წევრობის გეგმის მაგალითი

წევრობა ეკლესიაში "გამარჯვების სამლოცველო"

"გამარჯვების სამლოცველო" მიესალმება ეკლესიის უმეტეს აქტივობებზე ხალხის დასწრებას, მათ შორის ღვთისმსახურებებზე, სახლის ეკლესიების ("საოჯახოს") შეხვედრებზე და ბიბლიის შემსწავლელ ჯგუფებზე. ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს თაყვანისცემაში, საჭიროებების გაზიარებაში, ლოცვაში, ერთად ჭამაში, ორგანიზებულ დისკუსიებში და არაფორმალურ მოზიარეობაში. თუმცა, ახალი აღთქმა განსაზღვრავს, რომ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც შეადგენენ ადგილობრივ ეკლესიას, უნდა იყოს იდენტიფიცირებადი. საჯაროდ უნდა იყოს ცნობილი, რა ხალხი წარმოადგენს ეკლესიას. ასეთი იდენტიფიცირებადი ჯგუფის გარეშე შეუძლებელია ეკლესიას ჰქონდეს მკაფიო მოწმობა ქვეყნიერების წინაშე, იზიარებდეს ჭეშმარიტ ქრისტიანულ მოზიარეობას, რომელიც დაფუძნებულია ქრისტიანულ ერთიანობაზე მეგობრობის მიღმა, განახორციელოს ბიბლიური საეკლესიო დისციპლინა (წესრიგის დაცვა) და ერთობლივად ატაროს პასუხისმგებლობა ეკლესიურ მსახურებაზე.

მაშასადამე, გამარჯვების სამლოცველოს მსახურებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ეკლესიაში შემავალ ჯგუფს, სახელწოდებით „ძმობა“..”

კრიტერიუმები, რომლებსაც აკმაყოფილებენ "ძმობის" წევრები

ჩვენ ვაღიარებთ, რომ არსებობს მრავალი სხვა მახასიათებლები, რომელიც წარმოადგენს სულიერი ზრდის ნიშნებს, მაგრამ შემდეგი სია გვაძლევს საფუძვლებს, რომლებიც აუცილებელია ერთიანობისა და ჭეშმარიტი ქრისტიანული თანაზიარებისთვის.

(1) სულიერი ცხოვრება

აჩვენეთ მონანიების, სულიერი სწრაფვისა და ღმერთისადმი მორჩილებაში სიარულის მტკიცებულება.

(2) ბიბლიური ზნეობა

თავი აარიდეთ სექსუალურ უზნეობას, ნარკოტიკული საშუალებების, თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების მოხმარებას.

(3) ეკლესიური ვალდებულება

დაესწარით ყველა საეკლესიო მსახურებას ერთგულად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელს გიშლით ჯანმრთელობის პრობლემები, სხვა მსახურება ან სამუშაო, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია კვირა დღეს.

მიიტანეთ ეკლესიაში მეათედი და შესაწირავი.

(4) დოქტრინალური ერთიანობა

აუცილებელია "გამარჯვების სამლოცველოს" ერთიანობა და მრწამსის ფორმულირების სწორი აღქმა. პასტორი თითოეულ კანდიდატს გაუნაწილებს დისკუსიისა და მითითებების დროს.

(5) პრაქტიკული ეთიკა

იყავით გულწრფელი ყველა ურთიერთობაში და ერთგული თქვენი ვალდებულებების მიმართ. შეინარჩუნეთ ქცევა, რომელიც შეესაბამება სიყვარულს და ერთგულებას ძმობის წევრების მიმართ.

პოლიტიკა

ჩვენ გვესმის, რომ ზოგიერთი ახალი წევრი არ დარჩება, მაგრამ ჩვენ გვირჩევნია არ გვქონდეს გამოსაცდელი ვადა, რადგან ახალმოქცეულებს სჭირდებათ დაუყოვნებელი ჩართვა ეკლესიაში.

მმართველი ორგანო შეაფასებს წევრობაზე წარდგენილ პირს, მას შემდეგ, რაც კანდიდატს პასტორი გაესაუბრება.

წევრად მიღებულ ახალმოქცეულ ადამიანს ჩაუნიშნავენ ნათლობასაც, თუ ის მანამდე არ იყო მონათლული.

თუ აღმოჩნდება, რომ წევრობაში მყოფი მორწმუნე არღვევს მოთხოვნებს, მმართველმა ორგანომ შეიძლება ან გაათავისუფლოს მორწმუნე წევრობიდან ან მისცეს მას გამოსაცდელი ვადა და ანგარიშვალდებულება დააკისროს, რის შემდეგაც მისი საქმე ხელახლა განიხილება.

ეკლესიის წევრობის შეთანხმების მაგალითი

ფილიპინების ბიბლიური მეთოდისტური ეკლესია

მივიღე რა იესო ქრისტე, როგორც ჩემი მხსნელი და უფალი, მწამს მისი სიკვდილის, მისი სისხლის დაღვრისა და მისი აღდგომის, როგორც სრული საქმისა ჩემ გადასარჩენად, ახლა ვერთიანდები ქრისტეს საყოველთაო (მსოფლიო) სხეულთან. მაგრამ როგორც სხეულს აქვს მრავალი ორგანო, ასევე აქვს ქრისტეს სხეულს. გულწრფელი ლოცვის მეშვეობით ვგრძნობ, რომ სულიწმიდა მიიღვება ფილიპინების ბიბლიური მეთოდისტური ეკლესიის ოჯახთან გაერთიანებისკენ - მის მოზიარეობაში, რწმენასა და სულიერ დისციპლინაში, რამდენადაც ღმერთი უფრო და უფრო მეტად მაძლევს ამის შეძლებას. ამ მოქმედებით მე ვუძღვნი ჩემს თავს ღმერთსა და სხვა წევრებს, რათა მოვიმოქმედო შემდეგი:

პირველი, ჩემი ეკლესიის ერთიანობის დაცვა

- სხვა წევრების მიმართ სიყვარულით მოქმედებით (1 პეტრეს 1:22)
- ჭორაობაზე და ზურგსუკან უარყოფითის ლაპარაკზე უარის თქმით (ეფესელთა 4:29)
- მის მიერ დანიშნული ლიდერებისადმი მორჩილებით (ებრაელთა 13:17)
- ძმების მიმართ თანაგრძნობით, რომლებიც ჩამოშორდნენ ღვთის მადლს (გალატელთა 6:1-2)

მეორე, გავიზიარო ჩემი ეკლესიის პასუხისმგებლობა

- მისი ზრდისთვის ლოცვით (1 თესალონიკელთა 1:1-2)
- ურწმუნოების ეკლესიაში მოწვევით (ლუკა 14:23)
- სტუმრების თბილად დახვედრით (რომაელთა 15:7)
- ხალხისთვის იესო ქრისტეს გაცნობით (საქმეები 8:33-35)

მესამე, მოვემსახურო ჩემი ეკლესიის მსახურებას

- სულიერი ნიჭების აღმოჩენით (1 პეტრეს 4:10)
- პასტორებთან ერთად მსახურებისთვის მომზადებითა და აღჭურვით (ეფესელთა 4:11-12)
- მსახურის გულის განვითარებით წმინდანთა, მშიერთა, შიშველთა, ავადმყოფთა, ქვრივ-ობოლთა და პატიმართა მიმართ მსახურებაში - რამდენადაც ამის საშუალება და შესაძლებლობა მომეცემა. (მათე 25:31-46; ფილიპელთა 2:3-7)

მეოთხე, ჩემი ეკლესიის მოწმობის მხარდაჭერა

- მსახურებებზე ერთგულად დასწრებით (ებრაელთა 10:25)
- ღვთის სიტყვის, როგორც ის იქადაგება, თავმდაბლურად მიღებით და მის სინათლეზე სიარულით (1 იოანეს 1:9-10)
- წმინდა ცხოვრების გატარებით (ებრაელთა 12:14; ფილიპელთა 1:27)
- შეცდომების და დანაშაულების აღიარებით (იაკობის 5:16)
- უფლის სერობაში (ზიარებაში) მონაწილეობით (1 კორინთელთა 11:23-26)
- რეგულარული შასაწირავის მიტანით (ლევიანთა 27:30; 1 კორინთელთა 16:2; 2 კორინთელთა 9:7)

ამას ხელს აწერს ____ თარიღი _____

წევრის ხელმოწერა _____

დამოწმებულია: _____ მიერ. ადგილობრივი ეკლესიის პასტორი

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) ღმერთი განსაკუთრებულად ცხოვრობს მორწმუნეთა ჯგუფში.

(2) ეკლესია არის ღვთის ოჯახი, რომელშიც მორწმუნეები მიძღვნილნი არიან ოჯახური ურთიერთობებისადმი.

(3) ეკლესიის წევრობა არის გზა მიიღო ღვთის გეგმა ეკლესიისთვის.

(4) წევრებმა ერთად უნდა გაიზიარონ ეკლესიის პასუხისმგებლობები.

(5) ინდივიდუალური შესაძლებლობები ყველაზე ღირებულია, როდესაც ისინი ეკლესიის ცხოვრებაში გამოიყენება.

(6) ახალმოქცეული დაუყოვნებლივ უნდა ჩავრთოთ ეკლესიის საქმიანობაში.

(7) სიმწიფე არ უნდა იყოს მოთხოვნა, ანუ კრიტერიუმი ეკლესიის წევრობისთვის.

5 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-5 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) წერითი დავალება: შეაფასეთ იმ ადამიანების პროცენტი, ვინც თქვენს ეკლესიაში დადის, რომლებიც ერთგული წევრები არიან. აღწერეთ როგორ ხდება ადამიანი თქვენი ეკლესიის წევრი.

გაკვეთილი 6
ცხოვრება ერთმანეთთან მოზიარეობაში

ეკლესია ორმოცდამეათე, ანუ სულთმოფენობის დღის შემდეგ

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს საქმეების 2:42-47 კლასს.

► რა დეტალებს ხედავთ ეკლესიის წევრობის შესახებ სულთმოფენობის შემდეგ?

მოციქულთა საქმეები აღწერს ეკლესიის ცხოვრებას მალევე სულთმოფენობის შემდეგ. „ყველა მორწმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ“. ბევრი ადამიანი ყიდიდა ქონებას ეკლესიის თემის ცხოვრების მხარდასაჭერად. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ტაძარში თაყვანისცემისთვის და ასევე, მოზიარეობისათვის, იკრიბებოდნენ თავიანთ სახლებში.

> "როგორც წმინდა წერილში, ასევე რწმენის სიმბოლოებში ქრისტიანული მოზიარეობა წარმოდგენილია როგორც მადლის საშუალება. "
> - უილი და კალბერტსონი, შესავალი ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში

იმ დროს, როდესაც მათ შორის სულიწმიდის მოქმედება უმაღლეს დონეზე იყო, ეკლესიის საზოგადოებრივი ცხოვრება ყველაზე ღრმა იყო. იმ ადრეული მორწმუნეებისთვის, ეკლესიის ნაწილად ყოფნა ნიშნავდა ბევრად მეტს, ვიდრე უბრალოდ კვირას მსახურებაზე დასწრება. მორწმუნეები ყოველდღიურად იზიარებდნენ ერთად ცხოვრებას.

ცხოვრება ოჯახში

ახალ აღთქმაში ეკლესიას ოჯახი ეწოდება.[3] მორწმუნეებს - ღვთის შვილები,[4] და ისინი ერთმანეთს და-ძმას ეძახიან.[5]

მოდით წარმოვიდგინოთ ოჯახი ისე, როგორც ეს ესმოდათ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში დღემდე. ნათესაური განშტოებები აყალიბებდა კლანს, რომელიც ტომის ნაწილს წარმოადგენდა. დიდი ოჯახი უზრუნველყოფდა დაცვას, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას, მიწის მფლობელობას, დასაქმების და ქორწინების შესაძლებლობას, განათლებას, ხანდაზმულთა და ქვრივ-ობლების დახმარებას. ეს ყოველივე ძნელად ხელმისაწვდომი იყო ოჯახური კავშირების მიღმა.

---

[3] გალატელთა 6:10, ეფესელთა 3:15
[4] გალატელთა 3:26, 1 იოანეს 3:2
[5] იაკობის 2:15, 1 კორინთელთა 5:11

ამ ტიპის კულტურაში ოჯახში ყველა ერთნაირი რელიგიის მიმდევარი იყო. რელიგია არ განიხილებოდა ინდივიდუალურ არჩევნად. ბავშვები სწავლობდნენ ოჯახის რელიგიურ ტრადიციებს.

ბევრი ქრისტიანობაში მოქცეული ადამიანი უარყვეს მათმა ოჯახებმა. მათ დაკარგეს ყველაფერი, რასაც ჩვეულებრივ ოჯახი უზრუნველყოფდა. ეკლესია გახდა მათი ახალი ოჯახი. ამიტომ ეძახდნენ ერთმანეთს და-ძმას. ეკლესიის ხალხი ერთმანეთს ეხმარებოდა და ერთმანეთზე იყო დამოკიდებული.

"რადგან ეკლესია არის ღვთის ოჯახი, რომელსაც ჩვენც ვეკუთვნით დაბადებითა და სისხლით - მემკვიდრეობისა და სიყვარულის საზოგადოება, რომელშიც შევდივართ ხელახალი დაბადების გზით, იესოს სისხლით გადარჩენილნი. "

- ლარი სმიტი,
მე მწამს: ქრისტიანული რწმენის საფუძვლები

თუ ეკლესიის ხალხი ერთმანეთს მხოლოდ კვირას ხვდებიან, ისინი იწყებენ ფიქრს, რომ მხოლოდ კვირის მსახურებაა ეკლესია. ახალი აღთქმის ეკლესიები იკრიბებოდნენ კვირას, მაგრამ ეკლესია ცოცხალი და აქტიური იყო ყოველდღე.

► რა განსხვავებები იქნებოდა ეკლესიაში, რომელიც იზიარებს ყოველდღიურ ცხოვრებას?

პასტორებმა უნდა იცოდნენ, რომ კვირის განმავლობაში მრევლისადმი მსახურება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ღვთისმსახურების წარმართვა. საჭიროა ყველა სახის სულიერი ნიჭი და უნარები და არა მხოლოდ საეკლესიო მსახურებაში გამოყენებული ნიჭები. თითოეულ ადამიანს აქვს საშუალება იმსახუროს. თემის წარმომადგენლები დაინახავენ, რას ნიშნავს იყო სულიერი ოჯახის წევრი.

როგორც რწმენის ოჯახი, ეკლესია მართავს ადამიანურ რესურსებს და პოულობს ღვთაებრივ რესურსებს, რათა დააკმაყოფილოს მოაზიარეობაში მყოფთა ყველა საჭიროება, აჩვენოს ქვეყნიერებას ღვთის სიბრძნე, ცხოვრების ყველა ასპექტში და მოუწოდოს გადარჩენის არმქონე ადამიანებს, რომ მობრუნდნენ ღმერთისკენ და შემოუერთდნენ ოჯახს.

ერთობლივი ცხოვრების ასპექტები

თუ ადამიანები იზიარებენ ერთად ცხოვრებას, მათი ერთად გატარებული დრო მოიცავს შემდეგ ასპექტებს.

(1) მსახურება იგეგმება და სრულდება ერთობლივად.

ბევრ ეკლესიაში მცირე გუნდია პასუხისმგებელი ყველა ეკლესიურ დაგეგმარებასა და მუშაობაზე. ეკლესიაში ყველას უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ეკლესიის მუშაობაში, ახალმოქცეულებსაც კი.

(2) საჭიროებებს ერთობლივად პასუხობენ.

თუ ადამიანს პრობლემა აქვს, მას უნდა შეეძლოს ეკლესიაში მეგობრებზე დაყრდნობა დახმარების მისაღებად. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს უპასუხისმგებლობის უფლება უნდა მიეცეს, მაგრამ თუ ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია, ეკლესიური ოჯახი მზად უნდა იყოს მის დასახმარებლად.

(3) საქმეს ერთობლივად აკეთებენ.

ძლიერი ურთიერთობები ვითარდება, როდესაც მორწმუნეები ერთად მუშაობენ, რათა ერთობაში მყოფებს დაეხმარონ. მათ ასევე შეუძლიათ ერთად იმუშაონ თავიანთი ოჯახების მხარდასაჭერად.

(4) თავისუფალ დროს ერთად ატარებენ.

ეკლესიის წევრები უნდა იკრიბებოდნენ, დროის სასიამოვნოდ გასატარებლად, გასართობად, როცა ერთად ჭამენ, ერთმანეთს ნახულობენ და რაიმეს ერთობლივად აკეთებენ.

(5) განსაკუთრებული ცხოვრებისეული მომენტები ერთად აღინიშნება.

ყველა კულტურა არ აღნიშნავს ცხოვრების ერთსა და იმავე განსაკუთრებულ მოვლენებს. ზოგიერთი განსაკუთრებული მოვლენა, რომელსაც ადამიანები აღნიშნავენ, არის დაბადება, გარკვეული ასაკის მიღწევა, სკოლაში სწავლის დაწყება, სკოლის დამთავრება, მონათვლა, დაბადების დღე, ქორწინება, შვილების გაჩენა, დაკრძალვა და სხვა განსაკუთრებული მოვლენები. სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს ჩვეულებრივ აქვთ სპეციალური ცერემონიები ამ მოვლენების აღსანიშნავად. ეკლესიას ასევე უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ ცხოვრების განსაკუთრებული მომენტები ადამიანებმა ერთად გაიზიარონ.

მეათედი ძველ აღთქმაში

ძველ აღთქმაში მეათედი არ იყო მხოლოდ ტაძრისა და ტაძრის მსახურთა მხარდასაჭერად. მეათედი ასევე იყო ქვრივების, ობლებისა და უცხო ტომელების ფინანსური საჭიროებების შესამსუბუქებლად.[6] ეს ასევე იყო სპეციალური

[6] მეორე რჯული 26:12

წვეულებების გასამართად.[7] მეათედის გამოყენება გვაჩვენებს, რომ ერთად ცხოვრების ყველა ასპექტი აქტუალურია ეკლესიისთვის.

მოზიარეობა და ეკონომიკა

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს იაკობის 2:15-16 ჯგუფს.

► რას ამბობს ეს მუხლები ქრისტიანული მოზიარეობის შესახებ?

ზოგჯერ ადამიანები ისე ცხოვრობენ, თითქოს ფინანსური მოთხოვნილებები არ არის დაკავშირებული მორწმუნეთა ერთობასთან და თანაზიარებასთან. მაგრამ წმინდა წერილი გვეუბნება, რომ იყო რწმენის ოჯახის ნაწილი, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ საჭიროებებს.

მოზიარეობა ნიშნავს ცხოვრების გაზიარებას, რაც მოიცავს სულიერ გამოცდილებაზე მეტს. ბერძნული სიტყვა *Koinonia (კოინონია),* რომელიც გამოყენებულია ახალ აღთქმაში, ხშირად ითარგნება, როგორც „მოზიარეობა“ და ეს სიტყვა გამოიყენება ნებისმიერი სახის გაზიარების მნიშვნელობით. ის ზოგჯერ გამოიყენება ფინანსური რესურსების გაზიარების გამოსახატად (2 კორინთელთა 9:13, 8:4; რომაელთა 15:26). იერუსალიმის პირველი საუკუნის ქრისტიანულ საზოგადოებაში არავის არაფერი აკლდა, რისი საჭიროებაც ჰქონდა (საქმეები 4:34-35), რადგან ადამიანები უზიარებდნენ იმას, რაც ჰქონდათ.

როდესაც ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას ეკლესიისთვის ფინანსური დახმარების კუთხით, მსახურება შეფერხდა. როდესაც პრობლემა აღმოიფხვრა, სახარება განაგრძობდა გადარჩენილთა სულების ეკლესიისთვის შემომატებას. (საქმეები 6:1, 7).

ჩვენ წელთაღრიცხვამდე 125 წელს ქრისტიანი არისტიდე წერდა:

> ისინი სრული თავმდაბლობით და სიკეთით დადიან, მათ შორის ტყუილი არ არის და უყვართ ერთმანეთი. ქვრივს არ უგულებელყოფენ და ობოლს არ აწუხებენ. ვისაც აქვს, უხვად აძლევს მას, ვისაც არ აქვს. თუ უცხოს ხედავენ, თავის ჭერქვეშ შეჰყავთ და ხარობენ მის გამო, როგორც საკუთარ ძმაზე, რადგან ერთიმეორეს ძმებს უწოდებენ არა ხორციელად, არამედ სულით, ღმერთში; მაგრამ როდესაც ერთი მათი ღარიბთაგანი მიდის ამ ქვეყნიდან და რომელიმე მათგანი ამას შეესწრება, მაშინ თვითონ უზრუნველყოფს მის დაკრძალვას თავისი შესაძლებლობების მიხედვით; და თუ გაიგებენ, რომ რომელიმე მათგანი დაპატიმრებულია ან ჩაგრულია თავიანთი მესიის სახელის გამო, ყველა

[7] მეორე რჯული 12:17-18

> ზრუნავს მის საჭიროებებზე; და თუ შესაძლებელია მისი გათავისუფლება, ისინი დაიხსნიან მას. ხოლო თუ მათ შორის არის ღარიბი და გაჭირვებული ადამიანი და მათ არ გააჩნიათ საჭირო ნივთების სიუხვე, ორ-სამ დღეს მარხულობენ, რათა შეძლონ გაჭირვებულებს მიაწოდონ საჭირო საკვები.

იულიანე განდგომილმა, რომის იმპერატორმა (ახ. წ. 361-363 წწ.), რომელიც დევნიდა ეკლესიას, ქრისტიანების შესახებ ასეთი განცხადება გააკეთა: „უღმერთო გალილეველები კვებავენ არა მხოლოდ თავიანთ ღარიბებს, არამედ ჩვენსასაც."[8]

ეკლესია თავისი პასუხისმგებლობის მხოლოდ ნახევარს ახორციელებს, თუ ის ქადაგებს მონანიებას, მაგრამ არ იწვევს მონანიებულს რწმენის ოჯახში, სადაც ის ისწავლის როგორ განაგრძოს ახალი ცხოვრება. მაგალითად, თუ ეკლესია ეუბნება ქალს, რომ არ შეიძლება მან ფინანსური უზრუნველყოფა მიიღოს ამორალური ურთიერთობიდან, ეკლესიამ ასევე უნდა უთხრას, როგორ იპოვის მხარდაჭერას რწმენის ოჯახში.

მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში ჩვენ ვხედავთ ეკლესიებს, რომლებიც ახდენენ ამ ტიპის ქრისტიანულ საზოგადოების დემონსტრირებას. ეს სრული მოზიარეობა იწვევს წევრებზე ზრუნვას არა მხოლოდ ფინანსურ საკითხებში, არამედ მათ დიდწილად გაძლიერებასაც მსახურებისთვის.

> ღარიბთა ამ ეკლესიებს [ბოლივიაში] აქვთ ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ გადარჩენის სახლმმართველობა, ანუ მსახურება. ღარიბთა შორის დაფუძნებული პოპულარული ეკლესიები არ შეიძლება იყოს დამოკიდებული ტრადიციაზე, სახელმწიფოს დახმარებაზე, მდიდარ ქველმოქმედთა შემოწირულობაზე ან პროფესიონალ მსახურთა საბჭოზე. ეს უნდა იყოს მოზიარეობაზე დაფუძნებული გაერთიანებები, სადაც წევრები აერთიანებენ ძალებს, რათა ამ საზოგადოებამ იცხოვროს, განვითარდეს, გაავრცელოს რწმენა და გადარჩეს. მთელი ცხოვრების მართვა განიხილება, როგორც სრული მისიონერული მობილიზაცია. განვითარებული და ჩამოყალიბებული ეკლესიების შემთხვევაში უფრო რთული მოსაპოვებელია საერთო მობილიზაცია - საყოველთაო მონაწილეობა ქრისტიანული საზოგადოების ჰოლისტიკურ, ანუ საერთო კეთილდღეობაში. ღარიბთა ეკლესიებს შორის

[8] ქრისტიანებს უწოდებდნენ „უღმერთოებს" ანუ „ათეისტებს", იმის გამო, რომ მათ მხოლოდ ერთი ღმერთი სწამდათ და, იმ მრავალი ხილული კერპისგან განსხვავებით, ისიც უხილავი.

ასეთი მობილიზაცია საზოგადოების ნორმალური ცხოვრების წესია. სხვა სახის ცხოვრება და მომსახურება შეუძლებელია.[9]

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკლესიას ბევრი ფული უნდა ჰქონდეს, რათა პასუხისმგებლობა აიღოს მის წევრებზე. მაგრამ ასეთი საზოგადოება წარმოჩინდა ბოლივიის ღარიბთა ეკლესიებში.

ყველა საზოგადოების ადამიანი იზიარებს ფინანსურ ცხოვრებას საჯარო ეკონომიკის მეშვეობით. ჩვენ ვყიდულობთ საჭირო ნივთებს და ვმუშაობთ ფულის გამოსამუშავებლად.

> "[გამოავლინეთ ქრისტიანობის სურვილი]... სიკეთის კეთებით, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც რწმენის სახლეულს ეკუთვნიან... სხვების მაგივრად ისინი დაასაქმეთ, ერთმანეთისგან ყიდეთ, ერთმანეთს დაეხმარეთ ბიზნესსა თუ საქმიანობაში; მით უმეტეს, რომ სამყაროს შეიყვარებს საკუთარი და მხოლოდ ისინი."
>
> - ჯონ უესლი
> „წესები იმ საზოგადოების წარმომადგენელთათვის, რომლებსაც მეთოდისტებს უწოდებენ"

სხვა სახის ეკონომიკა მუშაობს ოჯახში. შრომა, რომელსაც თითოეული წევრი ეწევა ოჯახისთვის არ იზომება ფულის ერთეულებით. თითოეული ადამიანისგან მოელიან დახმარებას იმ მხრივ, რა მხრივაც მას შეუძლია, მკაცრი ანგარიშგების წარმოების გარეშე. დახმარებას უწევენ ოჯახური ურთიერთობის კონტექსტში. არავინ ელის, რომ ყველა წევრი შეძლებს ერთი და იგივე საქმის კეთებას, ან თანაბარი ღირებულების სამუშაოს გაწევას, მაგრამ მან უნდა აკეთოს ის, რაც შეუძლია. თუ ოჯახის წევრს არ სურს გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც შეუძლია, მას ამის გამო დაპირისპირება ელის და შეიძლება არ მიიღოს ის დახმარება, რაც მას სხვებისგან ჭირდება.

ეკლესიის ეკონომიკა უფრო მეტად ოჯახურ ეკონომიკას უნდა ჰგავდეს, ვიდრე საჯარო ეკონომიკას. ამან რომ იმუშაოს, ეკლესიაში ურთიერთობა უნდა სცდებოდეს ზედაპირული კეთილგანწყობის ფარგლებს. კითხვები დაისმება, როდესაც ადამიანი დახმარებას ითხოვს მაშინ, როცა უპასუხისმგებლობას იჩენს საკუთარი რესურსების მხრივ, ან მას შემდეგ, რაც არ ისურვა სხვების დახმარება..

ეკლესია სწავლობს ამ ურთიერთობის განვითარებას თავის ხალხს შორის. მათ უნდა შეეძლოთ განუმარტონ ეკლესიის არსი იმ ადამიანებს, რომლებიც არასდროს არავის ეხმარებიან, არამედ მხოლოდ ითხოვენ დახმარებას. მათ უნდა ასწავლონ ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ სხვებთან თანამშრომლობა. ისინი უნდა დაუპირისპირდნენ

[9] სამუელ ესკობარი, მისიის ურბანული სახე: სახარების მსახურება მრავალფეროვან და ცვალებად სამყაროში. რედაქტირებულია მანუელ ორტიზისა და სიუზან ს. ბეიკერის მიერ. (ფილიპსბურგი: გამომცემლობა P & R, 2002), 105.

მათ, ვინც თავს უფლებას აძლევენ გაყვნენ საკუთარ მიდრეკილებებს ეთიკურ საკითხებში და არ უპასუხონ პასტორულ მხილებას..

► რა მაგალითები არსებობს, როგორ შეუძლიათ ეკლესიის წევრებს ერთმანეთის დახმარება? (მებაღეობა, ბავშვის მოვლა, დასაქმება, კრიზისული სიტუაციები)

პრაქტიკული მითითებები

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 ტიმოთეს 5:3-16 ჯგუფს.

ამ მონაკვეთში მოცემულია პრაქტიკულ მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუწიოს ეკლესიამ დახმარება საჭიროების მქონე წევრებს. მე-16 მუხლში ნათქვამია, რომ ადამიანებმა უნდა იზრუნონ თავიანთი ოჯახის წევრებზე, რათა ეკლესიამ შეძლოს ზრუნვა იმ ადამიანებზე, რომლებსაც არავინ ჰყავთ დამხმარე. მოციქული თვლის, რომ თავის წევრებზე ფინანსური ზრუნვა ეკლესიის პასუხისმგებლობაა.

ცხადია, თითოეული წევრი ფინანსურად ეკლესიაზე დამოკიდებული რომ გახდეს, ეკლესია ვერავის დახმარებას ვერ შეძლებდა. ეს მონაკვეთი იძლევა პრაქტიკულ მითითებებს, რათა ეკლესიამ შეძლოს იმ ხალხის დახმარება, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება.

ამ მონაკვეთში კონკრეტულად ქვრივებზეა საუბარი, მაგრამ ეს პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ადამიანებზეც. ჩვენ ვიცით, რომ ეკლესიას აქვს პასუხისმგებლობა სხვებზე: იაკობის 2:15-16 გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ძმის ან დის საჭიროებას; იაკობის 1:27 მოიხსენიებს ქვრივებსა და ობლებს.

სამი პრინციპი ეკლესიის წევრების ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით:

(1) პირველი პასუხისმგებლობა ოჯახს ეკისრება.

ოჯახის წევრები პასუხისმგებელნი არიან მხარდაჭერა აღმოუჩინონ გაჭირვებულ ნათესავებს, რათა ეკლესიას არ მოუწიოს მათი დახმარება (5:4, 16). თუ ადამიანი არ ეხმარება თავის ოჯახს, ის არ არის მორწმუნე (5:8). თუ პასტორი ხედავს, რომ ეკლესიაში ვინმეს უჭირს, მან უნდა გაარკვიოს, რისი გაკეთება შეუძლიათ ამ ადამიანის ახლობლებს მის დასახმარებლად.

(2) ერთგული წევრი იმსახურებს დახმარებას.

ქვრივი იმსახურებს დახმარებას, თუ ის ცხოვრობდა როგორც ერთგული ქრისტიანი და ეხმარებოდა სხვებს (5:10). იგივე პრინციპი ვრცელდება ქვრივების გარდა სხვებზეც, თუ ისინი გაჭირვებულები არიან და ვერ უზრუნველყოფენ თავის თავს.

(3) წევრმა, რაც შეუძლია ყველაფერი უნდა გააკეთოს, საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის.

ქრისტიანმა უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია, რათა იყოს კურთხევა სხვებისთვის (5:10). თუ სამუშაო არ აქვს, შეუძლია ხალხის დასახმარებლად სხვა გზები მოძებნოს. ადამიანს, რომელსაც არ სურს შრომა, ეკლესია არ უნდა ეხმარებოდეს (2 თესალონიკელთა 3:10).

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 2 თესალონიკელთა 3:6-12 ჯგუფს.

ეს მონაკვეთი ბევრს მოგვითხრობს ადრეული ეკლესიის ცხოვრების შესახებ. აქ პავლე ეხება იმ ადამიანების პრობლემას, რომლებიც ეკლესიის მხარდაჭერაზე იყვნენ დამოკიდებულნი, რათა არ ემუშავათ. დროს ხალხის მონახულებასა და ჭორის გავრცელებაში ატარებდნენ.

რას გვეუბნება ეს მაშინდელი ეკლესიის შესახებ? ისინი ზრუნავდნენ თავიანთ წევრებზე. ეკლესიას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რომ ეკლესიაში არავინ ყოფილიყო მშიერი. ისინი ოჯახივით იყვნენ.

იმის გამო, რომ ისინი ოჯახივით იყვნენ, ადამიანისთვის არსებობდა შესაძლებლობა, რომ ეზარმაცა და სხვებზე ყოფილიყო დამოკიდებული. პავლემ უთხრა, რომ მათ უნდა მოეთხოვათ ყველას ის გაეკეთებინათ, რაც მათ შეეძლოთ. თუ ადამიანს არ სურს გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც შეუძლია, მას არ უნდა მიეცეს საშუალება მიირთვას სხვების მიერ მოწოდებული საკვები.

მშვენიერია, როცა ეკლესია ოჯახს ჰგავს, რომელიც ყველანაირ საჭიროებას აკმაყოფილებს. იმისათვის, რომ ეს მოხდეს, ეკლესიას უნდა ჰქონდეს პრინციპები, რომლებიც უნდა დაიცვას. ეკლესიას უნდა ჰქონდეს მოთხოვნები მათთვის, ვინც ეკლესიაზეა დამოკიდებული მხარდაჭერის მხრივ. მოთხოვნების გარეშე ეკლესია მალე ზარმაცი ხალხით გაივსება და ვეღარ განაგრძობს საჭიროებების დაკმაყოფილებას.

პასტორებმა და დიაკვანებმა უნდა უხელმძღვანელონ ეკლესიას, რომ მან იმოქმედოს როგორც ოჯახმა. მათ საჭიროებებს სიყვარულით უნდა უპასუხონ. თუმცა, სიყვარული იმასაც ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან თქვან სიმართლე. თუ ადამიანი არ იღებს პასუხისმგებლობას, ვიღაც უნდა ესაუბროს მას ამის შესახებ. თუ ადამიანი არ ეხმარება სხვებს და არ აკეთებს ყველაფერს საკუთარი თავის შესანახად, ეკლესიამ არ უნდა გააგრძელოს მისი მხარდაჭერა..

მართებულია კითხვების დასმა, როცა ვინმე დახმარებას ითხოვს. მზადაა სხვების დასახმარებლად? მუშაობს თუ არა, როცა შეუძლია? ფულს გონივრულად იყენებს? იღებს თუ არა ის პასუხისმგებლობას თავის ოჯახზე?

ბევრი ადამიანი მიდის ეკლესიაში დახმარების სათხოვნელად. ეკლესიას უნდა ჰქონდეს საშუალება გამოიჩინოს ზრუნვა ახალმოსულებზე, მანამდეც კი, სანამ ადამიანი პასუხისმგებლობას აიღებს. შემდეგ კი, უნდა არსებობდეს ურთიერთობის განვითარების გზა. ადამიანმა უნდა იცოდეს, რა უნდა გააკეთოს, რათა გახდეს ეკლესიის წევრთა მოზიარეობის ნაწილი.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) სულიწმიდის მოქმედება ეკლესიაში აახლოებს ეკლესიის წევრებს და საშუალებას აძლევს მათ ერთად ცხოვრება გაიზიარონ.

(2) ეკლესია არის ოჯახი, რომელიც ყოველდღე იზიარებს ცხოვრებას და ერთად მუშაობს ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

(3) ეკლესია ცოდვისგან მოქცეულს იწვევს რწმენის ოჯახში, სადაც ის სწავლობს ახალ ცხოვრებას.

(4) როდესაც ეკლესია ყოველდღე ფუნქციონირებს, ყოველი მორწმუნესთვის არის მსახურების ადგილი.

(5) ერთად გატარებული საეკლესიო დრო მოიცავს მსახურებას, საჭიროებებს, მუშაობას, დასვენებას და დღესასწაულებს.

(6) ქრისტიანული მოზიარეობა მოიცავს მატერიალური რესურსების გაზიარებას.

(7) ეკლესია არ არის ვალდებული დაეხმაროს ადამიანებს, რომლებიც ყველაფერს არ აკეთებენ საკუთარი თავის და სხვების დასახმარებლად.

6 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-6 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) წერითი დავალება: რა არის სხვადასხვა გზები, რომლითაც ადამიანები თქვენს ეკლესიაში იზიარებენ ერთად ცხოვრებას, ღვთისმსახურების მიღმა?

გაკვეთილი 7
ეკლესია მსოფლიოში

ეკლესია საზოგადოებაში

► როგორ უნდა ჩაერთოს ეკლესია საზოგადოებაში?

იერემიამ მისწერა ტყვეობაში მყოფ ებრაელებს და უთხრა, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ წარმართულ საზოგადოებასთან, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ. ეს ებრაელები იყვნენ იქ მათი ნების საწინააღმდეგოდ; იმ საზოგადოების რელიგია იყო წარმართული; მთავრობა კი იყო მჩაგვრელი და ანადგურებდა მათ ერს; ამიტომ, ისინი ელოდებოდნენ იმ დღეს, როდესაც შეძლებდნენ იქიდან წამოსვლას. შესაძლოა, ისინი ფიქრობდნენ, რომ არ უნდა ჩარეულიყვნენ იმ საზოგადოების პრობლემებში.

მოისმინეთ სიტყვა, რომელიც ღმერთმა წინასწარმეტყველს ამ ხალხისთვის მისცა:

> მშვიდობა [***შალომი***] და სიკეთე ეძიეთ იმ ქალაქისთვის, რომელშიც გადაგასახლეთ, ევედრეთ მისთვის უფალს, რადგან მისი სიკეთით თქვენც გექნებათ სიკეთე (იერემია 29:7).

შალომი, სიტყვა, რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც მშვიდობა, ეხება არა მხოლოდ მშვიდობას, არამედ კურთხევებს, რომლებიც ახლავს მშვიდობას. ის ეხება ღვთის კურთხევებს. ეს ღვთის თაყვანისმცემლები წარმართულ ქვეყანაში, ღვთის კურთხევებს მოიპოვებდნენ, როდესაც ეცდებოდნენ ამ კურთხევების მოტანას წარმართული საზოგადოების წარმომადგენლებისთვის!

ქვეყნიერების პრობლემები ცოდვის ძირეული პრობლემიდან მომდინარეობს. ცალკეული პირები და ორგანიზებული ძალები არ სცემენ პატივს ღვთის სიტყვას. ეკლესია არის განსაკუთრებულად დადგენილი, რათა ილაპარაკოს ქვეყნიერების პრობლემებზე, რადგან ეკლესიას შეუძლია ღვთის სიტყვის განმარტება და ღმერთის სიბრძნის

> "ქრისტიანული ეკლესია არის თემი, ანუ საზოგადოება, რომლის მეშვეობითაც სულიწმიდა განაგებს გამოსყიდვას და ანაწილებს სულიწმიდის ნიჭებს და საშუალებებს, რომლითაც ღმერთი თავისთან შერიგების გზას, ქრისტე იესოში წარუდგენს კაცობრიობას. ეკლესია მოწოდებულია ქვეყნიერებიდან, რათა იზეიმოს თვით ღმერთის მოსვლა და ასევე მოწოდებულია დაბრუნდეს ქვეყნიერებაზე, რათა გამოაცხადოს ღვთის სასუფეველი, რომელიც ორიენტირებულია ღვთის მოსვლასა და მისი დაბრუნების მოლოდინზე.
>
> - თომას ოდენი, ცხოვრება სულში

დემონსტრირება. ეკლესიამ არა მხოლოდ უნდა ისაუბროს საზოგადოების ცოდვების წინააღმდეგ, არამედ უნდა განმარტოს და აჩვენოს, როგორი უნდა იყოს საზოგადოება.

ეკლესია და სამეზობლო

► რა არის ეკლესიის წარმატების ნიშნები?

წარმატების ამქვეყნიური აღქმით, ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ეკლესია წარმატებულია, თუ მას აქვს დიდი დასწრება, დიდი ბიუჯეტი და დიდი შენობა.

ქრისტიანებმა იციან, რომ ეს ყველაფერი ღვთის თვალში წარმატებას არ ნიშნავს, მაგრამ ჩვენზე ხშირად ეს შთაბეჭდილებას ახდენს. ჩვენ ჩვეულებრივ ვფიქრობთ, რომ პასტორი წარმატებულია, თუ მას ასეთი ეკლესია აქვს.

წარმატების უფრო მნიშვნელოვანი საზომი არის ეკლესიის მსახურებით გამოწვეული რეალური მოქცევის, ანუ ღმერთისკენ შემობრუნებულების რაოდენობა. მორწმუნეთა სულიერი ზრდა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ძნელი გასაზომია. ეკლესიის წარმატების მნიშვნელოვანი დემონსტრირება არის ის ცვლილება, რომელსაც ის სამეზობლოში ახდენს.

► რას ფიქრობთ ზემოთ ჩამოყალიბებულ აზრზე?

> ადგილობრივი ეკლესიის წარმატება პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული იმ ხარისხთან, რომ იგი ჰოლისტიკურად გარდაქმნის მის უშუალო სამეზობლოს. წარმატების ნებისმიერი სხვა ფაქტორი მეორეხარისხოვანია.[10]

სახარება მხოლოდ მოქცეულებზე არ მოქმედებს. ყოველი ახალმოქცეული, რომელიც იწყებს ცხოვრებას ქრისტიანული პრინციპებით, გავლენას ახდენს სხვებზე. იესომ თქვა, რომ მისი მიმდევრები არიან მიწის მარილი და სინათლე.

ქრისტიანული პრინციპები არის თავისუფლებისა და სამართლიანობის საფუძველი და საზოგადოების რეფორმირების საფუძველი. თუ ეკლესია ადამიანებზე ზეგავლენას მოახდენს, რომ მათ ქრისტიანული პრინციპებით იცხოვრონ, საზოგადოება სამართლიანობის დამყარების გავლენის ქვეშ მოექცევა.

ეს ეხება ადგილობრივ საზოგადოებას. თუ სამეზობლოში ხალხი გადარჩენას ღებულობს, სამეზობლოში უნდა ხდებოდეს ცვლილებები.

---

[10] ჯონ პერკინსი, ციტირებულია დენიელ ჰილის მიერ წიგნებში "ეკლესია განვითარებად კულტურაში", და "გული თემისთვის". რედაქტირებულია ჯონ ფუდერისა და ნოელ კასტელანოსის მიერ. (ჩიკაგო: მუდი ფაბლიშერს, 2009).

► რა ცვლილებები მოხდებოდა თქვენს სამეზობლოში, თუ ბევრ ადამიანი ქრისტიანული პრინციპების დაცვის გავლენის ქვეშ მოექცევა?

რას უნდა ნიშნავდეს ეკლესიის მსახურების მეშვეობით სამეზობლოზე გავლენის მოხდენა? ეს გამოიწვევდა დანაშაულის, ბავშვზე ძალადობის და მათი უგულებელყოფის, ამორალური ქცევის, ძალადობის, რასობრივი დისკრიმინაციის, უკანონო საქმიანობის, ექსპლუატაციური ბიზნესის და ვანდალიზმის შემცირებას. დამქირავებლები უფრო ერთგულები იქნებოდნენ. მეპატრონეები უზრუნველყოფდნენ უსაფრთხო სახლებს. მეტ ადამიანს შეეძლებოდათ საკუთარი სახლების ფლობა. ბიზნესმენები მზად იქნებოდნენ განევითარებინათ თანამშრომლები. თანამშრომლებს სამუშაოსთვის უკეთესი თვისებები და დამოკიდებულება ექნებოდათ.

ეკლესიის სულიერი გავლენა უპირველესი პრიორიტეტია, მაგრამ თუ სულიერი გავლენა რეალურია, ეს გამოვლინდება თვალსაჩინო ცვლილებებით მის სამეზობლოში.

ღარიბთა მიმართ მსახურება

► რაც იესომ თქვა, არის მეორე უდიდესი მცნება?

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ლუკას 10:25-29 კლასს.

მერჯულემ ჰკითხა იესოს, როგორ მიეღო მარადიული სიცოცხლე. იესომ ჰკითხა: „რჯულში როგორ წერია?" პასუხისას კაცმა გააერთიანა ორი უდიდესი მცნება. მან თქვა, რომ უნდა გიყვარდეს ღმერთი მთელი შენი არსებით და გიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი (ლუკას 10:27). იესომ თქვა, რომ მისი პასუხი სწორი იყო და უთხრა: „ასე მოიქეცი და იცოცხლებ“. ადამიანს, ვისაც აქვს ასეთი სიყვარული, აქვს მარადიული სიცოცხლე.

შემდეგ კაცმა ჰკითხა: ვინ არის ჩემი მოყვასი? მას არ ეგონა, რომ ყველა უნდა ჰყვარებოდა. მას სურდა სცოდნოდა ხალხის ვიწრო კატეგორია, რომელიც უნდა ჰყვარებოდა, რათა ეგრძნო, რომ ასრულებდა ღვთის მოთხოვნას. იესომ ამ კითხვაზე ამბით უპასუხა.

► რა ისტორია უამბო იესომ, როგორც მოყვასის სიყვარულის მაგალითი?

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ლუკას 10:30-37 კლასს.

იესომ უამბო სამარიელის ისტორია, როგორც იმის მაგალითი, თუ რას ნიშნავს გიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი. სიყვარული გვაძლევს მოტივაციას, ვუპასუხოთ საჭიროების მქონე ადამიანს.

იესომ განაცხადა თავისი მისია ლუკას 4:18-19-ში:

"უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად".

ეს განცხადება პასუხობს კითხვას, *რატომ მოვიდა იესო?* იესომ თქვა, რომ სწორედ ამისთვის იყო ცხებული. სწორედ ეს მიზანი იყო ნაწინასწარმეტყველები მასზე ძველ აღთქმაში.

იესოს მისია მიმართულებას და მითითებას აძლევს ეკლესიას, „ქრისტეს სხეულს" მსოფლიოში. პირველი, რაც იესომ თქვა, რომ უნდა გაკეთებულიყო, იყო კეთილი უწყების, ანუ სახარების ქადაგება ღარიბეთა, ანუ გლახაკთათვის. ეკლესია არ ასრულებს თავის მისიას, თუ უგულებელყოფს ან გამორიცხავს გლახაკებს. იესომ თქვა, რომ გლახაკები იკურთხებიან ცათა სასუფევლით (ლუკას 6:20). მოციქულმა იაკობმა თქვა, რომ ღმერთმა აირჩია ღარიბების რწმენით გამდიდრება (იაკობის 2:5). ღმერთმა თავისი ძალის წარმოჩენა წუთისოფლის ღარიბებისა და სუსტების გამოყენებით განიზრახა (1 კორინთელთა 1:27-29). იმის მრავალი მიზეზი არსებობს, რომ ეკლესიამ განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართოს ღარიბებისთვის სახარების ქადაგებაზე. ერთი მიზეზი ის არის, რომ სახარება უფრო სწრაფად ვრცელდება ღარიბებში.

იესოს მიერ მისი მსახურების აღწერა ცხადყოფს, რომ ის ასევე იზრახავდა მიწიერი პირობების შეცვლასაც.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს მიქას 6:6-8 კლასს.

► რა კითხვას სვამდა წინასწარმეტყველი?

წინასწარმეტყველი მიქა ფიქრობდა იმაზე, თუ რა სურს სინამდვილეში ღმერთს თავისი თაყვანისმცემლებისგან. ზოგიერთი კითხულობდა, საკმარისი იქნებოდა თუ არა საქონლის მსხვერპლად შეწირვა, ან ბავშვის მსხვერპლშეწირვაც კი. მიქამ განმარტა, რომ საქმე საკმარისად დიდი მსხვერპლის პოვნაში არ არის, რომელიც ღვთის ღირსი იქნებოდა. ღმერთმა განაცხადა თავისი მოთხოვნები. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ სამართლიანობის აღსრულებაზე და სხვების დახმარებაზე, მათ მიერ სამართლიანობის მიღწევაში.

წყალობა არ ეხება მხოლოდ ძალაუფლების კეთილად გამოყენებას. „წყალობა" გულისხმობს საჭიროებებში მყოფთა მდგომარეობის შემსუბუქებას. იესომ თქვა, რომ სამარიელი ისეთი სიყვარულის მაგალითი იყო, რომელიც ღმერთმა აღთქმად დაგვიდო, რადგან მან „მოწყალება გამოიჩინა". ზოგჯერ ეკლესიები ფიქრობენ, რომ მხოლოდ სულიერ სჭიროებებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. ისინი ფიქრობენ, რომ არ არიან პასუხისმგებელნი სიღარიბის საკითხებზე. თუმცა ბიბლიაში დაახლოებით 400-ჯერ არის ნახსენები ღარიბები. ღმერთს აწუხებს ღარიბთა პრობლემები. კეთილი სამარიელის მსგავსად, ეკლესიებმა უნდა გამოხატონ სიყვარული მათ მიმართ, ვისაც დახმარება სჭირდება.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ეზეკიელის 16:49-50 კლასს.

► სოდომის რომელი ცოდვაა აღნიშნული ამ მუხლებში?

ქალაქი სოდომი ცნობილია სექსუალური გარყვნილების ცოდვის გამო; მაგრამ ქალაქის ბოროტება მარტო ეს არ იყო. სოდომელებმა თავიანთი კეთილდღეობა გამოიყენეს საკუთარი განცხრომისთვის და ვერ პოულობდნენ გზას, რომ დახმარებობდნენ ღარიბებს ("ხელი გაემართათ"), რათა მათ შეძლებოდათ შეეცვალათ თავიანთი მდგომარეობა.

სამრევლოს კონცეფცია

როდესაც ეკლესიას აქვს პასუხისმგებლობა გარკვეულ დასახლებაზე, მის სამეზობლოზე, ამ ტერიტორიას ეკლესიის სამრევლო ეწოდება. ისტორიულად, დიდ საეკლესიო ორგანიზაციებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ თითოეული ადგილობრივი ეკლესია მოემსახურებოდა კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიას. ეს არის რომის კათოლიკური ეკლესიის ჩვეული მიდგომა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ისევე როგორც ლუთერანული ეკლესიის გერმანიაში და ინგლისის ეკლესიის დიდ ბრიტანეთში. პროტესტანტული კონფესიების უმეტესობას არ აქვს სამრევლოები იმავე გაგებით.

წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ეკლესია, მას რომ თავი თავისი დასახლების თემის ეკლესიად მიაჩნდეს. სამრევლოში ყველას ეცოდინებოდა, ვინ არის პასტორი და რომ მას შეუძლია ილოცოს, წაახალისოს და რჩევა მისცეს, იმის მიუხედევად, ესწრებიან თუ არა მსახურებებს მის ეკლესიაში. როდესაც ის მოინახულებდა დასახლების მკვიდრებს, მისი მთავარი მიზანი არ იქნებოდა მათი დარწმუნება, რომ ეკლესიაში მისულიყვნენ. ამის ნაცვლად, ის თავის თავზე აიღებდა პასუხისმგებლობას, რომ ეკლესიას მათთვის ემსახურა.

ეკლესია უზრუნველყოფს მსახურებებს, რომლებიც პასუხობენ დასახლების, ანუ სამეზობლოს საჭიროებებს, როგორიცაა ოჯახების კონსულტირება, ახალგაზრდების სწავლება, მათთვის მენტორობის გაწევა და ატესტაციაზე დაფუძნებული პროფესიული სწავლება. მათ საერთო არაფერი აქვთ ეკლესიის დანიშნულებასთან. ეს ის სფეროებია, სადაც ბიბლიური პასუხები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და ეკლესიამ უნდა გაავრცელოს ღვთის სიტყვის სიბრძნე პრაქტიკულ სფეროებში. ადვილია მიუთითო, რა არის საზოგადოებაში არასწორი, მაგრამ ეკლესიამ უნდა აღწეროს, როგორი უნდა იყოს საზოგადოება.

► რა საჭიროებებია თქვენს სამეზობლოში, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ღვთის სიტყვით?

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები განიხილავდნენ მიწას და ხალხს, როგორც ღმერთის კუთვნილებას და ყველას მოუწოდებდნენ, დაეცვათ ღმერთის აღთქმა. ისინი

ქადაგებდნენ იმ კურთხევების შესახებ, რომლებიც თემზე მოდიოდა, როდესაც ის ღვთის გეგმას მიჰყვებოდა და წყევლის შესახებ, რომელიც მოჰყვებოდა დაუმორჩილებლობას.

მოძღვარმა უნდა განიხილოს მისი თემი, როგორც თავისი მრევლი ღმერთის მიერ. ღმერთი არის მეპატრონე და მმართველი, რომელიც სთავაზობს ადამიანებს კურთხევებს, თუ ისინი იცხოვრებენ მისი გეგმის მიხედვით. პასტორმა მუდმივად უნდა მოუწოდოს თემის წარმომადგენლებს, იცხოვრონ ღვთის მმართველობით. მან უნდა აუხსნას რას ნიშნავს ღვთის კურთხევებით ცხოვრება და წაახალისოს ისინი ღმერთთან ურთიერთობის დამყარებაში.

სამრევლოს კონცეფცია არ ნიშნავს იმას, რომ დასახლებაში ყველანი ეკლესიის წევრები არიან. ეკლესია მოიცავს მხოლოდ მათ, ვინც მიძღვნილია და მზად არის იცხოვროს ღმერთთან ურთიერთობაში, მაგრამ თემზე გავლენას ახდენს ეკლესია.

სამრევლოს კონცეფცია არ ნიშნავს იმას, რომ დასახლება, ანუ სამეზობლო, აკონტროლებს ეკლესიას და უდგენს მას ფასეულობებს. ეკლესიას აქვს დავალება ღმერთისგან, ის იცავს მის სიტყვას და განავრცობს ღვთის სამეფოს, ანუ სასუფეველს მის დასახლებაში.

რადგან ეკლესია მოწოდებულია იყოს წუთისოფლის მარილი და ნათელი, ეკლესიას აქვს მოწოდება მოიტანოს ცვლილება თავის სამეზობლოში.

სახარების პრიორიტეტი

ბევრი სამინისტრო გვთავაზობს პროგრამებს, რომლებიც აკმაყოფილებს სამეზობლოში მცხოვრებთა მატერიალურ საჭიროებებს. ისინი ემსახურებიან საზოგადოების საჭიროებებს და ფიქრობენ, რომ პრაქტიკულ დახმარებას შეუძლია განაწყოს ადამიანები მეგობრულად და მიაქცევინოს მათ ყურადღება სახარებისკენ. მათი მიზანია შექმნან შესაძლებლობები სახარების გასავრცელებლად. მათ სურთ გამოიჩინონ მზრუნველობა.

> "როგორც იესოს სხეული, ეკლესია არის მოზიარეობის ჯგუფი, რომელიც არსებობს მისი ნების შესასრულებლად და მისი სამეფოს ინტერესების წარმოსადგენად. "
>
> - ლარი სმიტი,
> მე მწამს: ქრისტიანული რწმენის საფუძვლები

მათი ფორმულა არის: პროგრამა, შემდეგ ურთიერთობა, შემდეგ სახარება. თუმცა, არსებობს მრავალი გზა, რომ დახმარების პროგრამები არასწორ შედეგებამდე მივიდეს. დახმარება ვერ შექმნის რაიმე სხვა ურთიერთობას, გარდა გამცემი/მიმღების ურთიერთობისა.

ზოგჯერ სახარება თითქოს განცალკევებულია გაწეული დახმარებისგან და ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ დახმარება სახარებით დაინტერესების გარეშე. პროგრამებში მომუშავე ადამიანები შესაძლოა დაკავდნენ დახმარების გაწევით და არ უქადაგონ სახარება. მიმღებებმა შეიძლება მიიღონ მაქსიმუმი, რაც კი შესაძლებელია, შემდეგ კი წავიდნენ დახმარების სხვებისგან მისაღებად.

ფორმულა უნდა შემოტრიალდეს. ეკლესიამ ხაზი უნდა გაუსვას სახარებას, როგორც მთავარ და პირველად კონტაქტს ყველასთან.

► რა არის სახარება?

როდესაც ეკლესია ახდენს სახარების წარდგენას წუთისოფლისთვის, ის ერთგული უნდა იყოს, რათა ის შეიცავდეს ეკლესიაში ახალი ცხოვრების აღწერას. ხსნა არ არის პირადი გადაწყვეტილება, რომელიც ადამიანს მარტოს ტოვებს უცხო, ახალი ცხოვრების წინაშე. ცოდვილები, როგორც წესი, არ ღებულობენ სახარებას, თუ მათ არ იზიდავთ საზოგადოება, შეკავშირებული რწმენით, რომელიც წარმოადგენს სახარებას..

იესოსა და მოციქულთა მსახურებაში ჩვენ ვხედავთ, რომ სახარება არის „კეთილი უწყება“ ღვთის სამეფოს, ანუ სასუფევლის შესახებ. ეს არის უწყება, რომ ცოდვილს შეუძლია მიიღოს პატიება და შევიდეს ურთიერთობაში ღმერთთან. ის განთავისუფლდა ცოდვის ძალაუფლებისგან და იქცა ახალ ქმნილებად. ის შედის რწმენის ოჯახში, სადაც მისი სულიერი ძმები და დები ამხნევებენ მას და ეხმარებიან მის საჭიროებებში.

ეკლესიამ უნდა დაინახოს თავისი უპირველესი მისია სახარების ადამიანებამდე მიტანა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეკლესიის უმთავრესი დანიშნულება სულების გადარჩენისთვის მუშაობაა. მაშინ, ეკლესია იზიდავს ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სახარებით. სახარების მსახურება ქმნის ურთიერთობებს.

ამის შემდეგ, ეკლესია ეხმარება ადამიანებს, ვინც არიან ეკლესიასთან ურთიერთობაში. შესაძლოა ყველა ის ადამიანი ჯერ არ იყოს გადარჩენილი, მაგრამ მათ ეკლესიაში იზიდავს სახარების მსახურება.

ასე რომ, შებრუნებული ფორმულაა: სახარება, შემდეგ ურთიერთობები, შემდეგ დახმარება (არა პროგრამა). ეკლესია არ უნდა იყოს უბრალოდ ორგანიზაცია, რომელიც დახმარების პროგრამებს სთავაზობს. პირიქით, ეკლესია არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ეხმარება მათთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს. თუ ისინი

პროგრამებით დაიწყებენ, ხალხი მოვა პროგრამებზე, ყოველგვარი ურთიერთობის გარეშე.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) ეფექტური ეკლესია იწვევს ცვლილებებს მის სამეზობლოში.

(2) ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ჩვენი სიყვარული მოყვასის მიმართ მათ საჭიროებებზე რეაგირებით.

(3) ეკლესია უნდა ემსახუროს ღარიბებს თავისი მისიის შესასრულებლად.

(4) ეკლესია უნდა ემსახურებოდეს ხალხს თავის გეოგრაფიულ არეალში.

(5) ეკლესიამ უნდა განმარტოს და აჩვენოს, როგორი უნდა იყოს საზოგადოება.

(6) სახარების მსახურება ეკლესიის პირველი პრიორიტეტია.

(7) ეკლესია უნდა ეხმარებოდეს ადამიანებს ურთიერთობის კონტექსტში.

7 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-7 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) ინტერვიუს დავალება: გაესაუბრეთ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც არ დადიან ეკლესიაში. სთხოვეთ აღწერონ ეკლესიის გავლენა დასახლებასა და სამეზობლოში. დაწერეთ მოკლე შეჯამება.

გაკვეთილი 8
ადგილობრივი ეკლესიის მხარდაჭერა

იესოს მითითებები

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ლუკას 10:1-9 ჯგუფს.

► რა არის უჩვეულო მითითებებში, რაც იესომ მისცა მოწაფეებს, როცა ისინი გაგზავნა მსახურების შესასრულებლად?

მოწაფეები იყვნენ წარგზავნილნი, რათა პირველებს ექადაგათ სახარება მრავალ სოფელში. იესოს ჰქონდა მთელი ძალაუფლება და რესურსი და შეეძლო მათთვის ნებისმიერი რამის მიცემა. მას შეეძლო მათთვის საკმარისი ფული მიეცა, რათა ეყიდათ ყველაფერი, რაც მათ სჭირდებოდათ და დაეკმაყოფილებინათ სხვა ადამიანების საჭიროებები. მას შეეძლო მიეცა მათთვის ძალაუფლება, პურის და თევზის გასამრავლებლად, როგორც მათთვის, ასევე იმ ხალხისთვის, რომლებსაც უქადაგებდნენ. მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ საკვებით უზრუნველყოფილნი ყველა სოფელში, რომელსაც სტუმრობდნენ.

ნაცვლად ამისა, მან ფულის გარეშე გაგზავნა. უთხრა მათ, რომ დამოკიდებულნი ყოფილიყვნენ სოფლის მოსახლეობის დახმარებაზე. მოწაფეები ისე წავიდნენ, როგორც იესომ დაავალა და მათი საჭიროებები კმაყოფილდებოდა.[11]

► რატომ გაგზავნა იესომ მოწაფეები ასე?

მათი მსახურება იზიდავდა სწორ ხალხს. იმის გამო, რომ ისინი პირველ რიგში სახარებას ქადაგებდნენ, იზიდავდნენ სახარებით დაინტერესებულ ადამიანებს. რადგან საჭიროებები ჰქონდათ, ისინი იზიდავდნენ ადამიანებს, რომლებსაც დახმარება სურდათ. მათ ჰყავდათ საუკეთესო ხალხი ეკლესიის დასაფუძნებლად.

რა იქნებოდა სოფლებში რომ წასულიყვნენ უზრუნველყოფილნი ყველაფრით, რაც თვითონ ჭირდებოდათ და ხალხისთვის გასაცემი ნივთებით? ისინი არასწორ ადამიანებს მიიზიდავდნენ. რაღაცის მისაღებად მოსული ხალხის ჯგუფს შეკრებდნენ. ამის შემდეგ, მსახურებას მხოლოდ ნივთების დარიგების გაგრძელებით შეძლებდნენ. მსახურება ვერ გაიზრდებოდა უფრო და უფრო მეტი ნივთების გაცემის გარეშე. ისინი დახმარებას ვერ მიიღებდნენ, თუ არ გადაიხდიდნენ ამის საფასურს. მათ არ

[11] ლუკა 22:35

ეყოლებოდათ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც კარგ საფუძვლად იქცეოდნენ ეკლესიის დასაარსებლად.

მეთოდით, რომელიც იესომ გადასცა, შეიქმნა ჯგუფი, რომელიც შეიძლებოდა ქცეულიყო ეკლესიად. ეს იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელიც აღფრთოვანებული იყო სახარების უწყებით და სურდათ დახმარების გაწევა. მნიშვნელოვანია, რომ ეკლესიები სწორად დაარსდეს.

მიზეზები, რის გამოც უნდა იყოს ეკლესია მხარდაჭერილი ადგილობრივად

► რატომ უნდა ჰქონდეს ეკლესიას მხარდაჭერა ადგილობრივად? სანამ ქვემოთ მოყვანილ სიას გადახედავთ, რა მიზეზები შეგიძლიათ მოიფიქროთ?

(1) იესომ გვაჩვენა, რომ მსახურება კონკრეტულ ადგილზე უნდა დაიწყოს სწორი გზით.

მან მოწაფეები ფულის გარეშე გაგზავნა, რათა მათ მსახურებისას მოეზიდათ სახარებით დაინტერესებული ადამიანები, რომლებსაც სურდათ დახმარების გაწევა.

(2) ღმერთმა ახალი აღთქმის ეკლესიებს დაავალა გაცემა.

მათ უნდა გაეგზავნათ დახმარება იერუსალიმის პირველი ეკლესიისთვის (1 კორინთელთა 16:1-3; 2 კორინთელთა 8:1-7, 9:1-6). მათ ეკლესიაში უნდა ეზრუნათ ქვრივებზე და სხვა გაჭირვებულებზე (1 ტიმოთეს 5:16; იაკობის 1:27, 2:15-16). მათ უნდა უზრუნველეყოთ სრული დროით მსახურების მხარდაჭერა (გალატელთა 6:6).

(3) ღმერთი აღჭურავს ყველა ეკლესიას, რათა ის იყოს ქრისტეს სხეული იმ ადგილას, სადაც მდებარეობს (1 კორინთელთა 12:27).

ეს ნიშნავს, რომ მოწიფულ ეკლესიას შესწევს უნარი მიიღოს გადაწყვეტილებები და ხედვა განავითაროს საკუთარი მსახურებისთვის. ეს ვერ მოხდება, თუ ის გარეშე ლიდერებზეა დამოკიდებული, მხარდაჭერისა და მითითებების თვალსაზრისით. ეკლესიის სიმწიფისთვის აუცილებელია ადგილობრივი ფინანსური მხარდაჭერა.

(4) ღმერთი აკურთხებს იმ ადამიანების ფინანსებს, რომლებიც მეათედს გასცემენ.

წყევლაა იმ ადამიანების ფინანსებზე, რომლებიც მეათედს არ იხდიან (მალაქია 3:8-10).

(5) გარე მხარდაჭერაზე დამოკიდებულება ადგილობრივ ეკლესიას დაუცველს ხდის.

ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკა არამდგრადია. თუ შორეული შემომწირველები შეწყვეტენ შემოწირულობის გადმორიცხვას, მათზე დამოკიდებული ეკლესიები დაზარალდებიან.

(6) პასტორები მხარდაჭერილნი უნდა იყვნენ იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც ისინი ემსახურებიან (გალატელთა 6:6).

ადგილობრივმა ეკლესიამ იცის, არის თუ არა პასტორი ერთგული. მათ იციან, ხარჯავს თუ არა დროს თავის მსახურებაზე. მასზე არ უნდა ზრუნავდნენ შორეული ადამიანები.

► რა პრობლემები წარმოიშვება შორიდან გაწეულ დახმარებაზე დამოკიდებულებიდან?

მისიის ფინანსური პოლიტიკა ეფუძნება ადგილობრივი ეკლესიის ცენტრალურობას

საერთაშორისო მისია ან დენომინაცია უნდა იცვდეს გარკვეულ პრინციპებს, თუ როგორ ეხმარებიან ისინი ეკლესიებს. ორგანიზაციამ უნდა სიფრთხილე გამოიჩინოს და მხარი დაუჭიროს ისე, რომ ეკლესიები უფრო გაძლიერდნენ და არა მასზე დამოკიდებულნი გახდნენ. აქ მოცემულია პოლიტიკის რამდენიმე მაგალითი, რომელიც შეიძლება შეიმუშაოს მისიამ ან დენომინაციამ.

(1) ხაზი გაუსვით მეათედს, როგორც ქრისტიანული ფინანსების საფუძველს.

თუ ეკლესიის თემი, ანუ მრევლი, არ იძლევა მეათედს, ღმერთი არ აკურთხებს ეკლესიის ფინანსებს. თუ უკვე არ აკეთებენ იმას, რაც შეუძლიათ, მათ არასწორი გაგება აქვთ მსახურების ფინანსების შესახებ. გარედან დახმარებამ, გაუმჯობესების ნაცვლად შესაძლოა გააუარესოს ყველაფერი.

(2) რუტინული მხარდაჭერის ნაცვლად, განახორციელეთ პროექტები, რომლებიც რაღაც მუდმივს მოგცემთ.

ორგანიზაციამ ფული უნდა დახარჯოს პროექტებზე, რომლებიც დაეხმარება ეკლესიას ფინანსურად გაძლიერებაში და არა ხელფასების უზრუნველსაყოფად, რაც ეკლესიას დისტანციურ დახმარებაზე დამოკიდებულს ხდის. თუ ორგანიზაციისგან უკვე არსებობს ყოველთვიური ხელფასი, ორგანიზაციამ უნდა გააკეთოს გადასვლა, რათა დაეხმაროს ეკლესიას გახდეს თვითმოგებადი, ანუ ფინანსურად დამოუკიდებელი.

(3) ნუ დააფუძნებთ მსახურებებს, რომლებიც ვერასოდეს მოიპოვებენ ადგილობრივ მხარდაჭერას.

ორგანიზაციებმა არ უნდა წამოიწყონ აქტივობები, რომელიც, მთელი მათი არსებობის მანძილზე, დამოკიდებული იქნება გარე მხარდაჭერაზე. მიზანია შეიქმნას მსახურებები ან საწარმოები, რომლებიც შეიძლება იყოს ადგილობრივი ეკლესიის

საკუთრება და ადგილობრივად შენარჩუნდება. მაგალითად, სკოლა უნდა იყოს ადგილობრივი ეკლესიის მსახურება.

ნებისმიერი მსახურების ძალისხმევა, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ოდესმე ადგილობრივად დაფინანსდება, უნდა იყოს რაღაც მოკლევადიანი, რომელიც სწრაფად მიაღწევს მიზანს, სანამ დამოკიდებულება ჩამოყალიბდება (მაგალითად: კონვენციები და სემინარები).

(4) გააძლიერეთ ადგილობრივი ეკლესიის ხელმძღვანელობა, ნუ აუვლით გვერდს.

როდესაც გარეშეები ან უფრო მაღალი რანგის ლიდერები დახმარებას უშუალოდ გაჭირვებულებს უწევენ, ადგილობრივ მსახურებაში მყოფები არაეფექტურად გამოიყურებიან. ეკლესიის თემის წევრებისთვის პირდაპირი დახმარების გაცემის ნაცვლად, ორგანიზაციამ უნდა აღჭურვოს ეკლესიის ხელმძღვანელობა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

► რომლებია მისიის არასწორი სახის დახმარების მაგალითები? რა არის სწორი სახის დახმარების მაგალითები?

დახმარების ინდუსტრიის თავიდან აცილება

ეკლესიამ არ უნდა გადაუხვიოს თავისი პრიორიტეტებიდან „დახმარების ინდუსტრიის“ გამო. არსებობენ ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ უზრუნველყონ რესურსები სიღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ არ აქვთ პირდაპირი შეხება გაჭირვებულ ადამიანებთან. დახმარების უზრუნველმყოფელი ორგანიზაციები არის ორგანიზაციები, რომლებიც აგროვებენ რესურსებს დონორებისგან გაჭირვებულთა დასახმარებლად. ზოგჯერ დახმარების ადმინისტრატორები იღებენ ხელფასს მათ მიერ მართული რესურსებიდან. ხანდახან ხდება მოტყუება, როდესაც ატყუებენ როგორც დონორებს, ასევე გაჭირვებულებს. მაშინაც კი, როდესაც დახმარება მიმართულია სწორი ადამიანებისკენ, დახმარების ინდუსტრია მიდრეკილია გააკეთოს ის, რაც დონორს მოსწონს, ნაცვლად იმისა, რომ შეეცადოს გაიგოს ხალხის რეალური საჭიროებები.

დახმარების ინდუსტრია ჩვეულებრივ გვერდს უვლის ადგილობრივ ეკლესიას. ის გასცემს ისე, რომ უგულებელყოფს ეკლესიის ურთიერთობას დახმარების მიმღებ ადამიანებთან. გაცემას უკეთესი ეფექტი აქვს, როდესაც ის კეთდება ეკლესიის მეშვეობით, ლიდერების მიერ, რომლებმაც იციან ხალხის გარემოებები და თანაც ისე, რომ წარმოჩინდეს ეკლესიის მნიშვნელობა.

თუ ორგანიზაცია აკმაყოფილებს ღარიბების ძირითად საჭიროებებს (როგორიცაა საკვები) მათი მდგომარეობის შეცვლის გარეშე, ეს ღარიბებს უფრო დამოკიდებულს ხდის. თუ საკმარისი რესურსები აქვთ, მათ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ დამოკიდებული ადამიანების თემები. თუ ასე საკმაოდ დიდხანს გააგრძელებენ, ისინი ზრდიან დამოკიდებული ადამიანების ახალ თაობას.

მისია არ უნდა გახდეს დახმარების ინდუსტრიის ნაწილი და დაივიწყოს ეკლესიის პრიორიტეტები. ამით ის საბოლოოდ ავნებს ეკლესიასაც და გაჭირვებულ ადამიანებსაც.

► დახმარების ინდუსტრიისა და მისი ეფექტის რა მაგალითები გინახავთ?

ღვთის გეგმა პასტორალური მხარდაჭერისთვის

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს მეორე რჯული 18:1-5 ჯგუფს.

► რას გვეუბნება ეს მონაკვეთი მსახურების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ?

სრული დროით მსახურებაში მყოფი ადამიანების ფინანსური მხარდაჭერა იყო ღვთის გეგმა ძველი აღთქმის დროიდან. მღვდლებს უნდა მიეღოთ მხარდაჭერა ტაძარში მუშაობისას. მათ არ მიუღიათ მიწის წილი, რადგან არ უნდა ეწეოდნენ მიწათმოქმედებას.

ზოგჯერ, როდესაც ისრაელი უარს ამბობდა თაყვანისცემისადმი ერთგულებაზე, მღვდლების მხარდაჭერაც მცირდებოდა. როდესაც ტაძრის მუშაკებს უწევდათ ტაძრის დატოვება და საკუთარი თავის გადარჩენის სხვა გზების პოვნა, ეს იყო ისრაელის ორგულობის ნიშანი (ნეემია 13:10).

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 9:1-14 ჯგუფს.

► რას გვეუბნება ეს მონაკვეთი მსახურების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ?

პავლემ თქვა, რომ ღვთის გეგმაა, რომ სახარების მქადაგებლებმა მიიღონ მხარდაჭერა თავიანთ მსახურებაში, ისევე, როგორც ძველი აღთქმის სისტემაში იყო (1 კორინთელთა 9:13-14). პავლემ ამ პრინციპის რამდენიმე მაგალითი გამოიყენა. ფერმერი უზრუნველყოფას იმ კულტურებიდან იღებს, რომელიც მას მოჰყავს. მწყემსი საზრდოობს ფარის პროდუქტიულობით. ჯარისკაცი ომში საკუთარი ხარჯებით არ იბრძვის.

მოციქული ამბობს, რომ მსახურება იმსახურებს პასტორის სრულ ყურადღებას. საუკეთესო სიტუაციაა მისთვის სხვა სამუშაოს დატოვება (მუხლი 6). მოციქული

ამბობს, რომ მსახურებას უნდა შეეძლოს პასტორის ცოლის მხარდაჭერაც, რაშიც შვილებიც იგულისხმებიან (მუხლი 5).

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 ტიმოთეს 5:17-18 ჯგუფს.

► რას გვეუბნება ეს მონაკვეთი მსახურების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ?

ხუცესნი, რომლებიც წესიერად მმართველობენ, ორმაგი პატივის ღირსნი არიან. მე-18 მუხლი გვიჩვენებს, რომ პატივი ფინანსური მხარდაჭერაა.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს გალატელთა 6:6 ჯგუფს.

ის, ვინც სარგებლობს მსახურებისგან, უნდა დაეხმაროს, რომ მსახურებას მხარდაჭერა ჰქონდეს.

ეკლესიის ჩვეულებრივი დაარსება

ეკლესიის პირველი საუკუნიდან მოყოლებული, ეკლესიების უმეტესობამ დაიწყო მცირე ჯგუფების შეკრება სახლებში. საეკლესიო შენობები არ არსებობდა პირველი ორასი წლის განმავლობაში, მაგრამ ქრისტიანობა სწრაფად გავრცელდა. ზოგიერთ დიდ ქალაქში ათასობით ადამიანი იმყოფებოდა ეკლესიურ მოზიარეობაში, თუმცა ისინი ჯგუფებად იკრიბებოდნენ სახლებში.

> "ნუ შევაქებთ იმ მაწანწალებს, რომლებიც დახეტიალობენ და არ უერთდებიან ეკლესიას, რადგან ისინი ვერსად პოულობენ თავიანთი იდეალების განხორციელებას, მათ ყოველთვის რაღაც აკლიათ".
> - ფილიპ მელანქტონ, ლოკი

როდესაც პავლე მოგზაურობდა და ქადაგებდა, მისი პრიორიტეტი იყო ეკლესიის დაარსება ყველა ადგილას. ეს მეთოდი მოიცავდა პასტორების დანიშვნას (საქმეები 14:23; ტიტეს 1:5). პასტორი თითოეულ ადგილას იყო ადამიანი, რომელიც უკვე ცხოვრობდა იქ და იყო ამ გაერთიანების ნაწილი.

პასტორი ჩვეულებრივ იწყებს მსახურებას ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ის ეხმარება მისიონერს ან იწყებს სახარების ქადაგებას მისიონერის გარეშე, რადგან დახმარების ძლიერი სურვილი ამოძრავებს. ის იწყებს მსახურებისთვის საჭირო ნიჭებისა და შესაძლებლობების წარმოჩენას. ის ამას აკეთებს არა ანაზღაურებისთვის, არამედ სულიერი გულმოდგინების გამო.

მორწმუნეთა ჯგუფის ჩამოყალიბებასთან ერთად იზრდება პასტორის პასუხისმგებლობა და მეტ დროს მოითხოვს მისგან. ჯგუფმა უნდა ხელი შეუწყოს პასტორის მხარდაჭერას, რათა მან დრო მსახურებას დაუთმოს. მხარდაჭერა შეიძლება თავიდან არასრული იყოს, მაგრამ თანდათან გაიზარდოს.

► რას ეტყოდით ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ სურს იყოს პასტორი, მაგრამ ელოდება ფინანსურ დახმარებას?

გამონაკლისები

პავლემ განმარტა, რომ ღმერთის გეგმა არის პასტორის მხარდაჭერა. თუმცა, ზოგჯერ გამონაკლისი იყო მისი საკუთარი მსახურება. რამდენიმე ადგილას ის მუშაობდა თავისი თავის უზრუნველსაყოფად (1 თესალონიკელთა 2:9; 2 თესალონიკელთა 3:8).

ახალმა ეკლესიამ შესაძლოა ვერ შეძლოს პასტორის სრული მხარდაჭერა. როდესაც მისიონერი მიდის ახალ ადგილას სახარების საქადაგებლად, მას შეიძლება დიდი მხარდაჭერა არ ჰქონდეს. შესაბამისად, მქადაგებელი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ქადაგებს, რადგან მას სურს გაჰყვეს ღვთის მოწოდებას. ის მოემსახურება, რადგან ეს მის გულშია, თუნდაც თუ არ გადაუხდიან ამისთვის.

თუ პასტორს არ სურს იმუშაოს საკუთარი თავის შესანახად და საჭიროების შემთხვევაში უფასოდ გიქადაგოს, მას არ აქვს ღმერთის სიყვარული, რომელიც უნდა ჰქონდეს. ზოგიერთი ადამიანი ფულისთვის გააკეთებს იმას, რასაც არ გააკეთებს ღვთისათვის. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ ღვთის გულისათვის. თუ პასტორი თვლის, რომ ის მეტისმეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ იმუშაოს და თავი ირჩინოს, მან უნდა გაიხსენოს პავლეს მაგალითი. არასოდეს ყოფილა პავლეზე დიდი მისიონერი, მაგრამ ის მზად იყო გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მსახურების შესასრულებლად იყო საჭირო.

პავლემ თქვა, რომ ის ქადაგებდა სახარებას ღვთის მოწოდების გამო. ქადაგებდა, რადგან სხვაგვარად ღმერთს არ მოეწონებოდა. მქადაგებელს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება და ღმერთი განიკითხავს, თუ არ დაემორჩილება (1 კორინთელთა 9:16-17).

► რა უნდა იყოს პასტორის მოტივაცია მისი მსახურებისთვის?

მოციქულმა პეტრემ თქვა, რომ ხუცესი არის მწყემსი, რომელიც უნდა ზრუნავდეს სამწყსოზე, მათი გამოკვების და დაცვის სურვილით. მისი მოტივი ფული არ უნდა იყოს (1 პეტრეს 5:1-2).

დემასი იყო ადამიანი, რომელიც ეხმარებოდა პავლე მოციქულს, მაგრამ მიატოვა ის ქვეყნიერების სიყვარულის გამო (2 ტიმოთეს 4:10). წარმოიდგინეთ, რა პრივილეგია ჰქონდა დემასს ეკლესიის პირველ თაობაში პავლესთან მუშაობისას, მაგრამ მან დატოვა მსახურება მატერიალიზმის გამო. ზოგიერთ მოძღვარს ღმერთზე მეტად

ამქვეყნიური საქმეები უყვარს. ზოგიერთი მათგანი უარს ამბობს მსახურებაზე, მაგრამ ზოგი იყენებს მსახურებას ამქვეყნიური ნივთების მისაღებ საშუალებად.

ცრუ სწავლების მასწავლებელთა მახასიათებელია ის, რომ ისინი ამას ფულისთვის აკეთებენ (ტიტეს 1:11; 2 პეტრეს 2:3).

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 2 კორინთელთა 12:17-18 ჯგუფს.

► რა შევიტყეთ პავლესა და ტიტეს შესახებ ამ მონაკვეთიდან?

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ფილიპელთა 2:19-22 ჯგუფს.

► რა შევიტყეთ ტიმოთეს შესახებ ამ მონაკვეთიდან?

პავლემ ღვთის სიყვარულის გამო მსახურების მაგალითი დაგვიტოვა. მის მაგალითს მიჰყვებოდნენ ტიმოთე და ტიტე (ფილიპელთა 2:19-22; 2 კორინთელთა 12:17-18).

ფინანსური ანგარიშვალდებულება

ადგილობრივ ეკლესიაში მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშვალდებულება. პავლე მოციქულმა მოგვცა კარგი მაგალითი. როდესაც ფულს აგროვებდა ერთი ეკლესიიდან მეორეში წასაღებად, მას მოწმეები ახლდა და თვალყურს ადევნებდა, რომ ფარულად არაფერი გაკეთებულიყო (2 კორინთელთა 8:20-21).

ხალხი ქვეყნიერებაზე არ ენდობა იმ ადამიანებს, ვინც ფულს მართავს. ისინი ვარაუდობენ, რომ ბევრი ადამიანი იპარავს მათ მიერ განკარგულ ფულს. მათ მიაჩნიათ, რომ ბევრი პასტორი მხოლოდ ფულისთვის მსახურობს. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ ეკლესიას ჰქონდეს ფინანსური ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ მათი პასტორი ნდობას იმსახურებს.

► რომელი პრაქტიკული მოქმედება ეხმარება ეკლესიას იმის წარმოჩენაში, რომ შესაწირავი პატიოსნად გამოიყენება?

ფინანსური ანგარიშვალდებულებისთვის შესაწირავები უნდა შეაგროვოს და დაითვალოს რამდენიმე ადამიანმა და არა მხოლოდ ერთმა. პასტორის გარდა ვინმემ უნდა აწარმოოს ჩანაწერები, თუ როგორ იხარჯება ფული.

ზოგიერთი პასტორი ასწავლის, რომ მთელი მეათედი მათ ეკუთვნის. ბიბლია არ ასწავლის, რომ მთელი მეათედი მოძღვარს უნდა გადაეცეს. მეათედი გამოიყენებოდა რამდენიმე მიზნისთვის (მეორე რჯული 26:12).

პასტორი უნდა დაეხმაროს მეათედისა და შესაწირავის გამოყენების ადმინისტრირებაში, ეკლესიურ მსახურებაზე მზრუნველობის მიზნით. მრევლი განეწყობა მეტის გასაცემად, თუ დაინახავს შესაწირავის ერთგულად გამოყენებას.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) მსახურებამ ახალ ადგილზე, ყურადღება სახარებაზე უნდა გაამახვილოს და სწორი ხალხი მიიზიდოს.

(2) მოწიფული ეკლესია არ არის დამოკიდებული გარე მხარდაჭერაზე ან ხელმძღვანელობაზე.

(3) ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ ეკლესიებს ისე, რომ არ შეასუსტონ მხარდაჭერა ადგილობრივი მოსახლეობისგან.

(4) ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ დახმარებას, ხშირად აფერხებენ ეკლესიის მსახურებას და იწვევენ მათზე დამოკიდებულებას.

(5) ეკლესიამ უნდა მხარი დაუჭიროს თავის პასტორს, რათა მან თავისი დრო მსახურებას დაუთმოს.

(6) ეკლესიას უნდა ჰქონდეს ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც დაადასტურებს მათ პატიოსნებას.

(7) პასტორმა უნდა იხელმძღვანელოს ღვთისადმი სიყვარულით და მსახურების სურვილით.

8 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე- 8 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) ტესტი: შემდეგი სესიის დასაწყისში, უნდა დაწეროთ მინიმუმ ხუთი, თქვენ მიერ დამახსოვრებული, ადგილობრივი ეკლესიის მხარდაჭერის მიზეზის და ოთხი მისიის ფინანსური პოლიტიკის შესახებ.

გაკვეთილი 9
მეათედი

შესავალი

ზოგგან მეათედის საკითხი საკამათოა. ზოგი ფიქრობს, რომ მეათედის იდეა შეუთავსებელია მადლით გადარჩენასთან. ისინი ფიქრობენ, რომ ეს გადარჩენისთვის ფასის გადახდას ჰგავს. ზოგს არ სურს ეკლესიის მხარდაჭერაზე პასუხისმგებლობის აღება. ისინი გასცემენ იმას, რისი გაცემაც სურთ ამა თუ იმ დროს. ამ გაკვეთილზე განვიხილავთ მეათედის ბიბლიურ საფუძვლებს და პრაქტიკულ მიზანს.

► რა მიზეზები გსმენიათ, რაც ხალხს მოყავთ მეათედის გაცემის საწინააღმდეგოდ?

ყოვლის უფალი

ქრისტიანს ესმის, რომ ღმერთი სამყაროში არის ყველაფრის მფლობელი. ჩვენ ვეკუთვნით ღმერთს, როგორც ჩვენს შემოქმედს. მან შეგვქმნა, მოგვცა უნარები და შექმნა ყველა რესურსი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, განაგრძობს არსებობას მისი ძალით და არსებობს მის სადიდებად (კოლასელთა 1:16-17).

ღმერთს ასევე ვეკუთვნით გამოსყიდვით. მან გადაიხადა ჩვენი გადარჩენის საფასური. მან გამოგვისყიდა ცოდვის გამო დამსახურებული განაჩენისგან. ჩვენ მასთან ვალში ვართ სიცოცხლის გამო, რადგან იესო ჩვენთვის მოკვდა (2 კორინთელთა 5:14-15).

ღმერთს ასევე ვეკუთვნით მის მიერ ჩვენი დახსნის გამო. როგორც ცოდვილები, ჩვენ ვიყავით სატანისა და ცოდვის ძალაუფლების ქვეშ. ხსნამ გამოგვათავისუფლა ბოროტების კონტროლისაგან (საქმეები 26:18).

რადგან ჩვენ ვეკუთვნით ღმერთს, ყველაფერი რაც გვაქვს, ღმერთს ეკუთვნის.

► მოიყვანეთ მაგალითი, თუ როგორ განაგებთ თქვენს საკუთრებას ღმერთისთვის.

ღმერთის კონკრეტული მითითებები

ზოგჯერ ღმერთი გვაჩვენებს, რომ ყველაფრის მფლობელია, კონკრეტული მითითებების მოცემით, იმ ჩვენი საკუთრების ნაწილის თაობაზე, რაც გვაქვს. როდესაც ამ დროს ღვთის მითითებებს ვემორჩილებით, ვამტკიცებთ, რომ მზად ვართ დავემორჩილოთ მას ყველაფერში.

მაგალითად, როდესაც ღმერთმა ადამი და ევა ედემის ბაღში მოათავსა, აუკრძალა მათ კონკრეტული ხის ნაყოფის ჭამა. კონკრეტულმა მითითებამ მორჩილება გამოავლინა.

ღვთის კონკრეტული მოთხოვნები გვაძლევს შანსს გამოვავლინოთ მორჩილება. თუ ადამიანი არ ემორჩილება ღვთის კონკრეტულ მითითებებს მისი ცხოვრების გარკვეული ნაწილის შესახებ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ის არ ემორჩილება ღვთის ზოგად მითითებებს დანარჩენშიც.

ქალმა პასტორს შესჩივლა, რომ არ ესმოდა, რატომ არ აკურთხებდა მას ღმერთი. პასტორმა ჰკითხა, თუ ემორჩილებოდა ღმერთს. მან თქვა: „დიახ, მე ვცდილობ გავაკეთო ის, რაც სწორია. არც კი ვიცი რა შეიძლება გავაკეთო სხვაგვარად." პასტორმა შეახსენა, რომ ის ეკლესიაში არ დადიოდა. მან თქვა: „შეიძლება არ იცოდეთ, რა სურს ღმერთს, რომ გააკეთოთ ზოგიერთ დღეებში, მაგრამ იცით, რა სურს მას კვირა დღეს რომ გააკეთოთ. თუ ამ დღეს არ აკეთებ იმას, რაც სწორად მიგაჩნია, სხვა დღეებში ალბათ არ უსმენ ღმერთს."

არსებობს რამდენიმე ბიბლიური მაგალითი, სადაც ღმერთი ადამიანებს კონკრეტულ მითითებებს აძლევდა მათი ცხოვრების ასპექტთან დაკავშირებით. ღმერთი აჯილდოვებდა მორჩილებისთვის და სჯიდა ურჩობისთვის. წახალისებები და სასჯელები ცხოვრების მხოლოდ იმ ნაწილზე არ მოქმედებდა, რომელიც მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. მათი არჩევანი გავლენას ახდენდა მათი ცხოვრების ყველა სფეროზე.

კონკრეტული მითითებების მაგალითები

(1) აკრძალული ხე ედემის ბაღში

ღმერთმა უთხრა ადამს და ევას, რომ არ ეჭამათ კონკრეტული ხიდან. დაუმორჩილებლობამდე ისინი კურთხეულნი იყვნენ და ცხოვრობდნენ ღვთის თანდასწრებაში. როდესაც მათ დაარღვიეს ერთ ხეზე დადგენილი შეზღუდვა, მათ დაკარგეს წვდომა ედემის ბაღზე, გაწყვიტეს ურთიერთობა ღმერთთან და წყევლა მოუტანეს მთელ კაცობრიობას (დაბადება 3:17-19).

(2) მეშვიდე დღე

ღმერთმა დააწესა შეზღუდვები შაბათ დღეზე. ვინც არ ემორჩილებოდა ღვთის მითითებებს ამ დღეს, გამოჩნდა, რომ სხვა დღეებშიც არ ემორჩილებოდა. დაუმორჩილებლობამ ღვთის წყევლა მოიტანა, რამაც გავლენა მოახდინა ცხოვრების ყველა სფეროზე (ესაია 58:13).

(3) იერიქონი

იერიქონი იყო პირველი ქალაქი, რომელიც ისრაელმა გაანადგურა, როდესაც ისინი აღთქმულ მიწაზე შევიდნენ. ღმერთმა უთხრა მათ, რომ ყველაფერი, რაც იერიქოდან იყო აღებული, ღმერთისთვის უნდა მიეძღვნათ. სხვა ქალაქებზე ასეთი მოთხოვნა არ ჰქონდათ, მაგრამ იერიქონზე ღმერთმა განსაკუთრებული მითითებები გასცა. დაუმორჩილებლობამ გამოიწვია ბრძოლაში დამარცხება, ოცდათექვსმეტი კაცის დაღუპვა და ოჯახის ამოწყვეტა (იესო ნავეს ძე 7:5).

(4) საული და ყამალეკელნი

ღმერთმა უთხრა ისრაელის მეფე საულს, გაენადგურებინა ყამალეკელნი, დაეხოცა ყველა ადამიანი და ცხოველი. საულმა ზოგიერთი ცოცხალი დატოვა. ის ამტკიცებდა, რომ ემორჩილებოდა ღმერთს, მიუხედავად იმისა, რომ არ დაემორჩილა კონკრეტულ მითითებას. ღმერთმა ჩამოართვა საულს მეფობა (1 მეფეთა (სამუელი)15:3, 9, 20-23).

(5) მიწის შაბათები

მიწა მეშვიდე წელს უნდა დაესვენებინათ. ხალხი არ ემორჩილებოდა ღმერთს და არ იცავდა მიწის შაბათებს. თუ მიწადმოქმედი მეშვიდე წელს არ ემორჩილებოდა ღმერთს, ის სავარაუდოდ არ ემორჩილებოდა ღმერთს სხვა წლებშიც. როდესაც ხალხი არ ემორჩილებოდა, ღმერთი უშვებდა, რომ მიწა მთლიანად დაეკარგათ. მიწის შაბათები სამოცდაათი წლის ტყვეობით აღსრულდა (2 ნეშტთა 36:21).

(6) პირველნაყოფი

ისრაელიანებს ღმერთისთვის თავიანთი მინდვრის პირველი ნაყოფი უნდა მიეცათ. თუ ისინი ემორჩილებოდნენ, ღმერთი აკურთხებდა მინდვრების მოსავალს (იგავები 3:9-10). კურთხევა მხოლოდ იმ ნაწილისთვის არ იყო, რომელსაც გასცემდნენ, ეს იყო მთელ მათ მოსავალზე. თუ ისინი არ დაიცავდნენ მოთხოვნას, მათი მიწა არ იკურთხებოდა. თუ ადამიანი არ აძლევს იმ წილს, რასაც ღმერთი ითხოვს, ის ღმერთს არც სხვა წილებში ემორჩილება.

(7) მეათედი

ღმერთი მოითხოვს მეათედის მიცემას. თუ ადამიანი არ გასცემს მეათედს, ამით აჩვენებს, რომ მისი ფული არ ექვემდებარება ღმერთს. ის არც დანარჩენ ოთხმოცდაათ პროცენტს იყენებს ღვთის სადიდებლად. ღმერთი აკურთხებს იმის ქონებასა და საკუთრებას, ვინც მეათედშია ერთგული (მალაქია 3:10). თუ ადამიანი არ გასცემს, ანუ არ თესავს, მსახურების მხარდასაჭერად, მთელი მისი ქონება დაწყევლილია (ანგია 1:6).

მაღაზიის მფლობელი სამოგზაუროდ გაემგზავრა. წასვლის წინ მან თავის თანამშრომელს უთხრა: „იზრუნე მაღაზიაზე და აუცილებლად დაგავე იატაკი“. როცა დაბრუნდა, იატაკი არ იყო დაგვილი. თანამშრომელმა თქვა: ”მე ვიზრუნე შენს მაღაზიაზე”. პატრონმა უთხრა: „რადგან შენ არ გააკეთე ერთი კონკრეტული რამ, რაც მე დაგავალე, ვიცი, რომ შენს ყველა საქმეში მე კი არა, საკუთარ თავს აამებდი.”

► როგორ აჩვენებს ადამიანი, რომ ღმერთს ემორჩილება?

მეათედის თავდაპირველი მიზნები

► რისთვის გამოიყენებოდა მეათედი?

ძველი აღთქმის სამღვდელოების უზრუნველყოფა ხდებოდა მეათედით (რიცხვნი 18:20-21). ლევიანებს, მღვდლების ტომს, მიწის წილი არ მიეცათ (მეორე რჯული 18:1-4). მათ ტაძარში მსახურებისთვის უჭერდნენ მხარს ფინანსურად. ღვთის გეგმა იყო, რომ ლევიანების ყურადღება მსახურებაზე ყოფილიყო კონცენტრირებული და არ ჩართულიყვნენ საქმიანობაში.

მეათედი გამოიყენებოდა ტაძარში ღვთისმსახურების და თაყვანისცემის და ამაზე პასუხისმგებელი პირების მხარდასაჭერად. მეათედი ასევე გამოიყენებოდა ღვთისმსახური თემის დღესასწაულებისთვის, რომლებზეც ღარიბებს იწვევდნენ (მეორე რჯული 12:17-18, 14:22-29). მეათედი გამოიყენებოდა ღარიბების, ქვრივებისა და უცხოელების, ანუ ხიზნების დასახმარებლად (მეორე რჯული 26:12).

► დღეს რა განსხვავებას ხედავთ მეათედის გამოყენებაში?

იმ შემთხვევაში, თუ ერთგულად იხდიდნენ მეათედს, ისრაელის ხალხს შეეძლო ღვთის კურთხევის სათხოვნელად ელოცათ (მეორე რჯული 26:12-15). მეათედის შეკავება - ღმერთის ძარცვაა, ხოლო მეათედის „ღვთის სახლში“ მიტანა აურწყველ კურთხევას მოიტანს (მალაქია 3:8-10).

► რას ეტყოდით ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ ძალიან ღარიბია მეათედის გასაცემად?

მეათედის თანამედროვე აქტუალობა

ზოგი ამბობს, რომ მეათედის სისტემა მხოლოდ ძველი აღთქმისთვის იყო.

► არსებობს თუ არა საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ მეათედის სისტემა არ იყო ძველი აღთქმის დროებითი მოთხოვნა?

(1) აბრაამი

აბრაამმა მეათედი მისცა მელქისედეკს ისრაელისთვის მოსეს რჯულის მიცემამდე დიდი ხნით ადრე. ეს გვიჩვენებს, რომ ეს ზოგადი პრინციპი იყო, ჯერ კიდევ მოსემდე. მეათედი არ დაწყებულა ძველი აღთქმის რჯულით, ეს თავიდანვე პრინციპი იყო (დაბადება 14:20; ებრაელთა 7:4).

(2) იაკობი

იაკობმა ღმერთს მეათედი აღუთქვა (დაბადება 28:20-22მიუხედავად იმისა, რომ მოსეს რჯული ჯერ არ იყო მოცემული. იაკობმა იცოდა, რომ ეს უკვე იყო ღმერთისთვის გაცემის პრინციპი.

(3) იესო

იესომაც დაადასტურა მეათედი და არ უთქვამს, რომ ეს მხოლოდ წარსულში იყო (მათე 23:23).

(4) პავლე

> "ზოგჯერ გვესმის, რომ ვიღაც ამბობს გაკვირვებით: "ეს ადამიანი მეათედს იძლევა!" კითხვა მებადება, რა სამარცხვინოა, რომ ის, რაც ებრაელებს შორის არ იყო გასაოცარი და ცნობადობის საგანი, ახლა ქრისტიანებს შორის გასაკვირი გახდა? თუ მაშინ იყო სახიფათო, მეათედის არ გაღება, ახლა, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო საშიშია".
>
> - იოანე ოქროპირი
> ქადაგებები ეფესელთა შესახებ
> (დაწერილია ახ.წ. 400)

პავლემ უთხრა ეკლესიის წევრებს, რომ გასაცემად გადაედოთ „კვირის პირველ დღეს" თავისი შემოსავლიდან (1 კორინთელთა 16:2). მაშასადამე, მათ უნდა გაეცათ იმის პროპორციულად, რაც მიიღეს. ძველი აღთქმის რეკომენდაცია ათი პროცენტის შესახებ გვიჩვენებს, რას მიიჩნევს ღმერთი გონივრულ პროპორციად. არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ღმერთმა აზრი შეიცვალა.

(5) დღეს

ღმერთი კვლავ გეგმავს, რომ სრული დროით მსახურებაში მყოფებმა, ფინანსური დახმარება თავიანთი მსახურებიდან მიიღონ. "მან, ვინც ქადაგებს სახარებას, სახარებით უნდა იცხოვროს." ღმერთს არ დაუგეგმავს, რომ პასტორებს ემუშავათ საკუთარი თავის სარჩენად და, რომ მათ არ ჰქონოდათ დრო საკუთარი მსახურებისთვის. 1 კორინთელთა 9:11-14 ამბობს, რომ ადამიანი, რომელიც სულიერ სარგებელს გასცემს, ფინანსური სარგებელი უნდა მიიღოს მათგან, ვისაც ემსახურება. 2 კორინთელთა 12:13 გვაჩვენებს, რომ ეკლესიები როგორც წესი მხარს უჭერდნენ პავლეს ფინანსურად, სანამ ის მათ ემსახურებოდა.

ეკლესიის პოლიტიკა

მეათედს უნდა მოველოდეთ მათგან, ვინც ეკლესიის ერთგული წევრია. ეკლესია არ უნდა ასწავლიდეს მეათედის შესახებ ადამიანებს, რომლებსაც გადარჩენა არ მიუღიათ.

ადამიანმა, რომელიც პირველად მოდის ეკლესიაში, არასოდეს არ უნდა იგრძნოს, რომ ვალდებულია ეკლესიას ფული მისცეს.

ეკლესია არ უნდა ცდილობდეს მეათედი შეაგროვოს იმ ადამიანებისგან, ვინც ეკლესიას სტუმრობს და ჯერ კიდევ არ მიუძღვნია თავი ეკლესიისთვის.

ეკლესია დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ადამიანები არ იფიქრებენ, რომ მეათედის გადახდა გადარჩენის ნაწილია. არავინ არ უნდა იფიქროს, რომ მეათედი დაეხმარება ადამიანს გადარჩენის მიღებაში.

ეკლესია უნდა ემსახუროს ეკლესიის თემს და საზოგადოებას თანხების მოთხოვნის გარეშე.

ყველა წევრმა უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენება ეკლესიის ფული. ეკლესია გულდასმით, ზედმიწევნით უნდა იცავდეს ფულის მართვის პროცედურებს, რათა ყველამ იცოდეს, რომ ეს პატიოსნად კეთდება.

> "მეათედი უნდა გადაიხადოთ, რასაც არ უნდა საქმიანობდეთ."
>
> - ავგუსტინე

მეათედი მარტო პასტორს არ ეკუთვნის. მეათედი განკუთვნილია ეკლესიის მსახურების მხარდასაჭერად. თუმცა პასტორის მხარდაჭერა ეკლესიის პრიორიტეტი უნდა იყოს.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) ჩვენც და ყველაფერი რაც ჩვენია, ღმერთის კუთვნილებაა.

(2) მეათედი არის მიძღვნა და ერთგულება როგორც ეკლესიის, ასევე ღმერთის მიმართ.

(3) ადამიანი, რომელსაც არ სურს მეათედის გაცემა, საერთოდ არ ემორჩილება ღმერთს თავისი ფინანსებით.

(4) მეათედი არ არის გადასახადი გადარჩენისთვის.

(5) მეათედი არის ღვთის გეგმა ეკლესიის მსახურების მხარდასაჭერად.

(6) ღმერთი აკურთხებს მეათედის და მსხვერპლის გამღებს.

(7) მეათედი არის ჩვენი მიძღვნა, რათა დამოკიდებულნი ვიყოთ ღვთის უზრუნველყოფაზე.

9 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-9 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) ინტერვიუს დავალება: ჰკითხეთ თქვენი ეკლესიის რამდენიმე წევრს, დებენ თუ არა მეათედს და რატომ აკეთებენ. ან არ აკეთებენ ამას. დაწერეთ შეჯამება.

გაკვეთილი 10
ნათლობა

ნათლობის ტრადიციის წარმოშობა

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს მათეს 3:1-12 ჯგუფს.

ახალ აღთქმაში ნათლობის ცნებას იოანე ნათლისმცემლის მსახურებით ვეცნობით. თუმცა, იოანეს არ გამოუგონია ნათლობის წეს-ჩვეულება. ფარისევლები იუდაიზმზე მოქცეულ წარმართებს ნათლავდნენ. ისინი არ ნათლავდნენ ებრაელებს, რადგან თვლიდნენ, რომ ებრაელები უკვე ღვთის ხალხი იყვნენ. იოანემ კი ეს წეს-ჩვეულება სხვაგვარად აღასრულა, რადგან მან ებრაელები მონათლა.

► ვის უთხრა იოანემ უარი ნათლობაზე? რატომ? რას გვეუბნება ეს ნათლობისთვის აუცილებელი პირობების შესახებ?

ზოგიერთი ფარისეველი მოვიდა იოანესთან მოსანათლად, მაგრამ მან უარი უთხრა, რადგან მათ არ მოუნანიებიათ თავიანთი დანაშაულებები.

ფარისევლები ფიქრობდნენ, რომ მათ არ სჭირდებოდათ მონანიება და პატიება, რადგან ისინი ებრაელები იყვნენ. იოანეს სურდა მათ გაეგოთ, რომ ნამდვილად ღმერთის ხალხი ისინი არიან, ვისაც ის უყვარს და მას ემსახურება. ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ ღვთის ხალხი არიან იმის გამო, რომ ებრაელებად დაიბადნენ, ჰგვანან ხეხილს, რომელიც ნაყოფს არ იძლევა. ღმერთი უარყოფს და უკუაგდებს მათ.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს იოანეს 3:22-23 და 4:1-2 ჯგუფს.

იესომ ცალსახად აქცენტი გააკეთა ნათლობაზე თავის მსახურებაში. იესოს თავად არ მოუნათლავს, მაგრამ ეს პასუხისმგებლობა თავის მოწაფეებს დააკისრა. მათ იოანეზე მეტი ადამიანი მონათლეს.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს მათეს 28:18-20 ჯგუფს.

იესოს მიწიერი მსახურების დასასრულს მან უთხრა მოწაფეებს, წასულიყვნენ სამყაროს კიდეებამდე, ადამიანთა მოსამოწაფეებლად. მან დაავალა, რომ მოენათლათ ისინი.

ჩვენ ვიცით, რომ ეს დავალება არ იყო მხოლოდ მოციქულებისთვის, რადგან მისიის დასრულებას საუკუნეები დასჭირდებოდა. იესომ დადო პირობა, ანუ აღუთქვა, რომ ის იქნებოდა მათთან „წუთისოფლის აღსასრულამდე“, რაც ცხადყოფს, რომ დავალება და აღთქმა მთელი ეკლესიისთვისაა, ყველა თაობაში.

ახალი აღთქმის ეპისტოლეებიდან ვიგებით, რომ პირველი საუკუნის ეკლესია ამ დავალებას ზედმიწევნით ემორჩილებოდა (საქმეები 2:38, 8:38).

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 1:12-17 ჯგუფს.

► რატომ უხაროდა პავლეს, რომ პირადად არ მოუნათლავს ბევრი ადამიანი კორინთოში?

ნათლობა წარმოადგენდა ეკლესიაში შესვლას. კორინთოს ეკლესია გაიყო და წევრები მიჰყვებოდნენ სხვადასხვა ლიდერს. პავლე ახსენებს მათ, რომ ნათლობა არ ნიშნავდა, რომ ისინი გარკვეული ადამიანების მიმდევარნი ხდებიან; ეს ნიშნავდა, რომ ისინი ხდებიან ქრისტეს მიმდევარნი. ის მოხარული იყო, რომ პირადად არ მოუნათლავს ბევრი მათგანი, რათა არავის ეფიქრა, რომ სურდა, რომ ისინი პირადად მისი მიმდევრები ყოფილიყვნენ. პავლეს პრიორიტეტი სახარების ქადაგება იყო.

► რას გვეუბნება ეს მონაკვეთი ადრეულ ეკლესიაში ნათლობის მიღებულ პრაქტიკაზე?

ეს მონაკვეთი გვეუბნება, რომ ადრეული ეკლესია მორწმუნეებს ყველგან ნათლავდა. ისინი ასრულებდნენ იესოს დავალებას. ნათლობა არ იყო მხოლოდ ისრაელში მცხოვრები ხალხისთვის. ეს არ იყო დროებითი წესი. ეს კეთდებოდა ყველგან, სადაც სახარება გავრცელდა.

დასაბამიდან ეკლესია იყენებს ნათლობას, როგორც საჯარო მოწმობას, რომ ცოდვილმა მოინანია და შევიდა მორწმუნეთა თანაზიარებაში.

ადამიანების უმეტესობისთვის ნათლობა არ არის ის მომენტი, როდესაც ისინი ქრისტიანები ხდებიან. მონანიებისას ცოდვილი იმ მომენტში იღებს გადარჩენას, როდესაც ის ქრისტეს ირწმუნებს. გადარჩენის შემდეგ, მან უნდა შეასრულოს დავალება და მოინათლოს, მისი ახალი ცხოვრების და იესოსადმი, როგორც უფლისადმი

> "ქრისტიანული ნათლობა არის მნიშვნელოვანი საიდუმლოება, რომელიც ნიშნავს იესო ქრისტესმიერი გამოსყიდვის სიკეთეების მიღებას და ეს არის სიწმინდესა და სიმართლეში მორჩილების სრულად გააზრებული და გამიზნული აღთქმა."
>
> - უილი და კალბერტსონი, შესავალი ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში

მორჩილების ნიშნად. არსებობენ ადამიანები, რომლებიც გამონაკლისს წარმოადგენენ, რადგან სწორედ ნათლობის დროს ირწმუნეს ქრისტე და განიცადეს ღვთისკენ მოქცევა. მაგრამ, ჩვეულებრივ, ნათლობა არის იმის მოწმობა, რომ დახსნა უკვე მოხდა.

► რას ეტყოდით ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ ქრისტიანი მაშინ გახდა, როცა მოინათლა?

თავიდან ასაცილებელი შეცდომა: მოსაზრება, რომ ნათლობა მოქცევის ნაწილია

ზოგიერთი ადამიანი წმინდა წერილის გარკვეულ მუხლებს განმარტავს იმ მნიშვნელობით, რომ ნათლობა ხსნის ნაწილია. მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანი არ არის ნამდვილად გადარჩენილი, სანამ არ მოინათლება. ანანიამ უთხრა სავლეს: „ადექი, მოინათლე, ჩამოირეცხე შენი ცოდვები“. (საქმეები 22:16) თუმცა, ჩვენი ცოდვები განწმენდილია ქრისტეს სისხლით (1 იოანეს 1:7). წყლით განბანას შეუძლია მხოლოდ წარმოდგენა შეგვიქმნას სულიერი რეალობის შესახებ. ანანიამ უთხრა სავლეს, რომ ფიზიკურად უნდა წარმოეჩინა რწმენის ნაბიჯი. ნათლობა იყო მოწმობა, რომ ის ცოდვებისგან განიბანა.

ებრაელთა 10:22-ში ნათქვამია, რომ მორწმუნეები უნდა მივუახლოვდეთ ღმერთს „მართალი გულებით და სრული რწმენით, ბოროტი სინდისისგან სხურებით გულგაწმედილნი და სუფთა წყლით სხეულგანბანილნი.“ შესაძლოა, წყალი ნათლობას გულისხმობს. ეს არ არის ბოლომდე დაზუსტებული. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ნათლობას ეხება, მუხლი არ ამბობს, რომ ნათლობა ხსნას გვაძლევს. იქ უბრალოდ ნათქვამია, რომ უნდა დავემორჩილოთ ღვთის დავალებას, რომ მოვინათლოთ.

იესომ უთხრა ნიკოდემოსს, რომ ადამიანი უნდა იყოს „წყლისა და სულისაგან შობილი“ იოანეს 3:5-ში. ეს მტკიცება მოჰყვა მის განცხადებას, რომ ადამიანი ხელახლა უნდა იშვას, რაც დამაბნეველი იყო ნიკოდემოსისთვის. ნიკოდემოსი ფიზიკურ დაბადებაზე ფიქრობდა. იესო ამბობდა, რომ ადამიანი უნდა იშვას არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერად, რათა შევიდეს ცათა სასუფეველში. „წყლისგან შობა“ სულიერი დაბადებაა.

ნათლობა ქრისტეს მორჩილებაში

ნათლობა არ არის ღვაწლი, რომელიც ადამიანმა უნდა გაწიოს გადარჩენის მოსაპოვებლად ან ხსნის დასამსახურებლად. ზოგიერთი ასწავლის, რომ ვინაიდან ნათლობა არ არის ხსნის მომტანი, ჩვენ არ უნდა ჩავატაროთ ის. ისინი შეშფოთებულნი არიან, რომ ადამიანებმა შესაძლოა ნათლობა უფრო ირწმუნონ, ვიდრე მადლს

დაეყრდნონ, რომელიც გამოსყიდვისას გვეძლევა. თუმცა ქრისტეს ნებისმიერ მცნება უნდა აღვასრულოთ და არ ვიფიქროთ, რომ ღვთის მცნებების დაცვა მოგვიტანს ხსნას.

ნათლობა, როგორც მადლის საშუალება

ნათლობას შეიძლება ეწოდოს მადლის მიღების საშუალება. ეს არ ნიშნავს, რომ ის გვაძლევს ხსნას, ან რომ მოქმედება ავტომატურად ანიჭებს მადლს. თუ ადამიანი რწმენის გარეშე მოინათლება, ამას არანაირი ღირებულება არ აქვს. ნათლობა არის მადლის საშუალება, რადგან ეს არის მოქმედება, რომელიც ღმერთმა ჩვენთვის შეიმუშავა. როდესაც ამას მორჩილებითა და რწმენით ვაკეთებთ, ღვთის სული მოქმედებს ჩვენს გულებში, რათა დაგვამკვიდროს ქრისტიანულ ცხოვრებაში.

► რატომ უნდა მოვინათლოთ?

თეოლოგიური სიმბოლიზმი

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს რომაელთა 6:3-11 ჯგუფს.

► რის სიმბოლოა ნათლობა, წმინდა წერილის ამ ნაწილის მიხედვით?

ბიბლია გვეუბნება, რომ ნათლობა განასახიერებს ქრისტეს სიკვდილს, დაკრძალვასა და აღდგომას. როდესაც მორწმუნე მოინათლება, ის მოწმობს, რომ ის უკავშირდება ქრისტეს მიერ მოცემულ გამოსყიდვას. მოციქულმა კი გამოიყენა გამოთქმა, რომ ჩვენ „მოვინათლეთ ქრისტე იესოში.”

ხსნისას ჩვენ ვიღებთ კურთხევებს ქრისტეს სიკვდილის მეშვეობით; მაგრამ, განსაკუთრებული გაგებით, ჩვენ ასევე ვიზიარებთ მის სიკვდილს. იესო მოკვდა ცოდვის გამო, არა საკუთარი ცოდვის გამო, არამედ ქვეყნიერების ცოდვების გამო. ანალოგიურად, ხსნისას ჩვენ ვკვდებით ცოდვისთვის, რადგან ვინანიებთ და მივატოვებთ მას.

> "მადლი, რომელიც ჩვენ გვჭირდება, არის არა წყალში, არამედ სულიწმიდის მოქმედებაში, რის სიმბოლოსაც წარმოადგენს ნათლობისას წყლის გამოყენება; არა პურსა და ღვინოში, არამედ გამოსყიდვაში, რომელსაც მათი გამოყენება აღნიშნავს ზიარების საიდუმლოებისას".
>
> -ჯონ მაილი,
> მეთოდური, გეგმაზომიერი თეოლოგია

რომაელთა 6 თავის თემაა ცოდვაზე გამარჯვება. ეს არ ეხება მხოლოდ პატიებას. ცხადია, რომ მორწმუნე თავისუფალი უნდა იყოს ცოდვის ძალაუფლებისგან (12-14) და აღარ განაგრძოს შეცოდება (1).

ხსნაში ჩვენ ვეზიარებით იესოს აღდგომასაც. ისევე, როგორც ის აღდგა მკვდრეთით, ჩვენც ვიწყებთ ახალ ცხოვრებას, როდესაც ცოდვისთვის ვკვდებით. ჩვენ ვიწყებთ გამარჯვების და ცოდვისგან თავისუფალ ცხოვრებას.

ნათლობის სახეობის და წესის საკითხი

ნათლობის წესის და მეთოდის საკითხი შემდეგშია: მორწმუნეს ნათლობა წყალში სრული შთაფლობით, ანუ ჩაძირვით; წყლის დასხმით, თუ პკურებით უნდა მოხდეს?

ქრისტიანთა უმეტესობა მთელ მსოფლიოში, რომლებიც მორწმუნეთა ნათლობას აღასრულებენ, წყალში სრული შთაფლობის, ანუ ჩაძირვის მეთოდს იყენებენ.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ბევრ ქრისტიანს სწამს, რომ შთაფლობა არის ნათლობის სწორი ფორმა.

(1) სიტყვა ნათლობა (*ბაპტიზო*) მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან, რაც ნიშნავს ჩაძირვას, ანუ შთაფლობას.

(2) ნათლობა განასახიერებს ქრისტეს სიკვდილს, დაკრძალვასა და აღდგომას, რაც საუკეთესოდ გამოიხატება ჩაძირვით (რომაელთა 6:3-5).

(3) ბიბლიაში ადამიანები წყალში შედიოდნენ მოსანათლად (მარკოზი 1:10, საქმეები 8:38).

(4) ადრეული ეკლესია შთაფლობას ანუ ჩაძირვას იყენებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელი იყო სუსტი ჯანმრთელობის ან წყლის ნაკლებობის გამო. *დიდაქე,* მოციქულთა სწავლების შეჯამება, რომელიც დაწერილია ჩვენი წელთაღრიცხვის დაახლოებით 70 წელს, გვამცნობს, რომ მორწმუნე შეიძლება მოინათლოს წყლის დასხმით, თუ საკმარისი სიღრმის ან რაოდენობის წყალი არ არის ხელმისაწვდომი.

ამ მიზეზების გამო, ბევრი ქრისტიანი თვლის, რომ შთაფლობა ნათლობის ბიბლიური და ისტორიული მეთოდია.

ზოგიერთი ქრისტიანი თვლის, რომ ნათლობის კიდევ ერთი მეთოდი ასევე არის წმინდა წერილისეული. ძველ აღთქმაში აღწერილი იყო პკურების ცერემონიები, რაც წარმოადგენდა გამოსყიდვას. ახალი აღთქმა ასევე ეხება სისხლის პკურებას. იმის გამო, რომ სისხლის პკურება შეიძლება გამოსყიდვის სიმბოლო იყოს, შესაძლებელია, რომ ნათლობაც მოხდეს პკურების საშუალებით. (პკურების შესახებ ბიბლიური ცნობებისთვის იხილეთ: გამოსვლა 24:8; ებრაელთა 9:19-20,10:22, 12:22-24; რიცხვნი 8:6-7; ესაია 52:15; ეზეკიელის 36:25; and 1 პეტრეს 1:2.)

ვინაიდან ბიბლიაში არსად ერთმნიშვნელოვნად არ წერია იმის შესახებ, თუ რომელი მეთოდით უნდა მოხდეს ნათლობა, ჩვენ შემწყნარებლური დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ ქრისტიანების მიმართ, რომლებსაც განსხვავებული აზრი აქვთ ამ საკითხზე.

ჩვილთა ნათლობის საკითხი

ეკლესია არის რწმენის საზოგადოება, რომელიც ღმერთთან აღთქმაში და შეთანხმებაში ცხოვრობს. როდესაც ცოდვილი ინანიებს და უერთდება რწმენის საზოგადოებას, ნათლობა არის მისი ღვთისკენ მოქცევის საჯაროდ დამოწმება.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას ეკლესიაში მყოფი ქრისტიანი მშობლებისგან დაბადებულ ბავშვზე? ბავშვი ამ რწმენის საზოგადოების ნაწილია. ღმერთი ღებულობს პატარა ბავშვს მანამ, სანამ ის საკმაოდ გაიზრდება იმისათვის, რომ გადაწყვიტოს მონანიება და მოქცევა..

ზოგიერთი ეკლესია თვლის, რომ ბავშვი უნდა მოინათლოს იმის ნიშნად, რომ ის რწმენის საზოგადოების ნაწილია. თუ ბავშვისთვის მისაღები იქნება ეკლესიის დოქტრინები, როდესაც მას ასაკი მოემატება, მათთვის ასეთ ეკლესიებს აქვთ ცერემონია, რომელსაც "კონფირმაცია" (ანუ დადასტურება) ეწოდება. ზოგიერთი ეკლესია არ თვლის მოქცევას საჭიროდ, რადგან ბავშვი ეკლესიაში დაიბადა და მიიღო ის, რაც მას შეასწავლეს. (მაგალითად რომის კათოლიკური ეკლესია, ლუთერანული ეკლესია და ინგლისის ეკლესია.) სხვა ეკლესიებს, რომლებიც ახორციელებენ ჩვილების ნათლობას, თვლიან, რომ მოქცევა მნიშვნელოვანია. (მაგალითად, ადრეული მეთოდისტები ჯონ უესლის წინამძღოლობით თვლიდნენ, რომ მოქცევა აუცილებელია ისეთი პიროვნებისთვისაც კი, რომელიც ჩვილობის ასაკში მოინათლა.)

ზოგიერთი თვლის, რომ წინადაცვეთა ემსახურებოდა მსგავს მიზანს ძველ აღთქმაში. ბავშვის წინადაცვეთას უკეთებდნენ იმის ნიშნად, რომ ისიც აღთქმაში იყო. მას არ სჭირდებოდა ლოდინი, სანამ გაიზრდებოდა, რომ გაეგო, რას ნიშნავდა აღთქმა.

როგორც ჩანს, ადრეული ეკლესია ჩვილების ნათლობას ატარებდა. ჰიპოლიტუს რომაელი წერდა სამოციქულო ტრადიციაზე ახ.წ. 212 წელს და ამბობდა, რომ ბავშვები უნდა მოინათლონ; და თუ ისინი ძალიან პატარები არიან, რომ ილაპარაკონ, მშობლებს შეუძლიათ ილაპარაკონ მათ მაგივრად. ორიგენემ ახ.წ. 248 წელს დაწერა, რომ მოციქულები ჩვილების ნათლობას ასრულებდნენ. 400 წელს ავგუსტინე წერდა, რომ ჩვილთა ნათლობას მთელი ეკლესია ეწეოდა მოციქულთა დროიდან და რომ მას არასოდეს სმენია ისეთი ვინმეს შესახებ, ვინც უარყოფდა ჩვილების ნათლობას.

მოციქულთა საქმეების წიგნში მოციქულები ზოგჯერ მთელს ოჯახებს ნათლავდნენ (11:14; 16:15, 33). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ ასევე მონათლეს ბავშვებიც.

ჩვილების ნათლობის საწინააღმდეგო მოსაზრებები

(1) ახალ აღთქმაში მორწმუნეები ინათლებოდნენ მას შემდეგ, რაც დაამოწმებდნენ თავიანთი რწმენის შესახებ. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მოინანიეს და ირწმუნეს სახარება. ჩვილების ნათლობის მითითებები არ არსებობს.

(2) ჩვილის ნათლობა ვერ შეასრულებს თავდაპირველ მიზანს, ვერ იქნება იმის მტკიცებულება, რომ მორწმუნე მოკვდა ცოდვისთვის და ცხოვრობს ღმერთისთვის.

(3) ჩვილების ნათლობის ისტორიული შედეგი უმეტეს ადგილებში იყო მოუნანიებელი ადამიანებისგან შემდგარი ეკლესიური თემის შექმნა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ისინი ქრისტიანები არიან.

ჩვილების მონათვლის ნაცვლად, ზოგიერთ ეკლესიაში აქვთ ცერემონია ჩვილებისთვის, რომელსაც „მიძღვნა“ ჰქვია. ამ ცერემონიაზე მშობლები შვილს ღმერთს უძღვნიან და ჰპირდებიან, რომ ქრისტიანული სწავლების თანახმად აღზრდიან. ამ ეკლესიებში ნათლობა არ ხდება მანამ, სანამ ბავშვი საკმაოდ არ გაიზრდება, რათა ესმოდეს მონანიების და რწმენის არსი.

ბავშვობაში მონათლული ადამიანების მიმართ ქადაგებისას არ არის აუცილებელი მათი ნათლობის დისკრედიტაცია. ამის ნაცვლად, იქადაგეთ, რომ ადამიანი ვერ მიიღებს გადარჩენას მონანიებისა და რწმენის გარეშე. თუ ადამიანი ცოდვაში ცხოვრობს, მისი ნათლობა არ აძლევს მას იმის საბაბს - იფიქროს, რომ ის ქრისტიანია.

დროის საკითხი

► *რამდენი ხნის მერე უნდა მონათლოს ეკლესიამ ქრისტესკენ მოქცეული?*

ახალ აღთქმაში მოქცეულები მაშინვე ინათლებოდნენ. ნათლობა არ აღნიშნავდა სულიერი სიმწიფის ან ცოდნის დონეს.

ზოგიერთი ეკლესია მოითხოვს, რომ მოქცეულებმა გაიარონ სწავლებისა და ქრისტიანული ზრდის პერიოდი, სანამ მოინათლებიან. მათ სურთ დარწმუნდნენ, რომ მოქცეულები სამაგალითო ქრისტიანები არიან. მათ სურთ, ჯერ ნახონ, რომ ისინი ცხოვრობენ ქრისტიანული ცხოვრებით, რათა ნათლობის შემდეგ რაც შეიძლება ნაკლები მათგანი დაეცეს და გადაუხვიოს გზიდან.

ნათლობა ადამიანის მოქცევის მტკიცებულებაა. ეს არ არის მისი სულიერი სიმწიფის ან ცოდნის მოწმობა. ამიტომ, ნათლობა უნდა მოხდეს მოქცევიდან მალევე. ლოდინი, როგორც ჩანს, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ ვიცით, რეალურად არის თუ არა ადამიანი მოქცეული. ეს მიუთითებს ეჭვზე, რომელიც მის მოწმობაში გვეპარება (რომ მოინანია), რამაც შეიძლება მისი რწმენა და დარწმუნებულობაც შეასუსტოს.

ნათლობა ასევე მადლის საშუალებაა, რადგან როდესაც ადამიანი რწმენით ემორჩილება და ამას საჯაროდ ავლენს, ღმერთი მას განმამტკიცებელ მადლს ანიჭებს. თუ ახალმოქცეულს ვაიძულებთ დაელოდოთ თავის ნათლობას, ჩენ მას ამ დახმარებას იმ დროს ვუმალავთ, როცა მას ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

თუ ჩანს, რომ ადამიანს არ ესმის სახარება და მის ცხოვრებაში არ ჩანს მადლით გარდაქმნა, ის არ უნდა მოინათლოს. ხოლო თუ აქვს ეს დამახასიათებელი თვისებები, მან მალე უნდა მიიღოს ნათლობა, როგორც რწმენის განმტკიცების საშუალება.

დაგვიანებული ნათლობის საკითხი

ზოგჯერ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქრისტიანები არიან, სურთ გადადონ თავიანთი ნათლობა. ამბობენ, რომ ირწმუნეს სახარება და მოინანიეს, მაგრამ ჯერ არ სურთ ნათლობა. ხანდახან წლობით იკავებენ თავს ნათლობისგან. ზოგჯერ ეს ლოდინი გრძელდება მანამ, სანამ სიკვდილის პირას არ მივლენ.

თუ ადამიანს არ სურს მოინათლოს, ხშირად მიზეზი არის ნათლობასთან დაკავშირებული ვალდებულება, რომელიც მას არ სურს აიღოს. შესაძლოა, მას არ სურს ეკლესიის ერთგული იყოს. შესაძლოა არსებობს ცოდვა, რომლის ჩადენაც მას ჯერ არ შეუწყვეტია. მას შეიძლება არ სურდეს საჯაროდ დემონსტრირება, რომ ის ქრისტიანია.

თუ ის ნამდვილად მოქცეულია, ადამიანი ნათლობამდეც ქრისტიანია. მას არ სჭირდება ნათლობა, რომ გაქრისტიანდეს. თუმცა, თუ მას არ სურს სრულად მოინანიოს ცოდვა და დაამოწმოს ქრისტეზე, ის ჯერ კიდევ არ არის ქრისტიანი.

► რას ეტყოდით ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ ქრისტიანია, მაგრამ არ სურს მონათვლა?

სახელის საკითხი

► რა უნდა თქვას პასტორმა, როცა ის მოქცეულს ნათლავს?

როდესაც იესომ მოციქულებს დიადი დავალება მისცა, მან უთხრა, რომ მოენათლათ „მამის, ძის და სულიწმიდის სახელით” (მათე 28:19).

სამების „სახელით“ მონათვლა ნიშნავდა მისი ძალაუფლების ქვეშ მონათლვას. იესომ ანალოგიურად გამოიყენა ტერმინი სახელი, როდესაც თქვა, რომ ის თავისი სახელით არ მოსულა (იოანეს 5:43).

ზოგიერთ ეკლესიას მიაჩნია, რომ მოძღვარმა, რომელიც ნათლავს, უნდა თქვას: „მე გნათლავ მამის, ძის და სულიწმიდის სახელით“. სხვა ეკლესიებს სჯერათ, რომ სამების სამივე პირის უფლებამოსილებით ნათლობის სწორი გზა არის თქმა: „მე გნათლავ იესოს სახელით.”

ახალ აღთქმაში ვხვდებით ნათლობის მითითებების რამდენიმე მაგალითს და ეს სიტყვები განსხვავდება იმ სიტყვებისგან, რომლებიც იესომ გამოიყენა დიადი დავალების მიცემისას. სულთმოფენობის დღეს პეტრემ უთხრა ახალმოქცეულებს: „მოინათლეთ იესო ქრისტეს სახელით” (საქმეები 2:38). პავლემ მონათლა ეფესელი მორწმუნეები იესოს სახელით (საქმეები 19:5). პეტრემ კორნელიუსის სახლში მორწმუნეებს უთხრა, რომ „იესო ქრისტეს სახელით მონათლულიყვნენ” (საქმეები 10:48). პავლე გულისხმობდა, რომ კორინთელი მორწმუნეები იესოს სახელით მოინათლნენ (1 კორინთელთა 1:12-13).

საქმეების წიგნში იესოს სახელით ნათლობა განასხვავებს მას იოანეს ნათლობისგან (რომელიც ასევე შვიდჯერ არის მოხსენიებული საქმეებში), ისევე როგორც სხვა რელიგიების ნათლობებისგან.

როგორც ჩანს, ეკლესიამ იესოს დავალება შეასრულა ნათლობისას იესოს სახელის ხაზგასმით. სავარაუდოდ, მოძღვარი, რომელიც ნათლავდა პირველი საუკუნის ეკლესიაში, ამბობდა: „მე გნათლავ შენ იესოს სახელით“. ეკლესიის პირველ წლებში იესოს რწმენა იყო მთავარი საკითხი. თუ ადამიანს სწამდა იესო, ის ქრისტიანი იყო.

თუმცა, ადრეული საეკლესიო ისტორიის მიხედვით, ეკლესია ნათლობისას ხაზგასმით აღნიშნავდა სამებას. ეკლესიის პირველ თაობაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ სწამდათ იესო, მაგრამ სინამდვილეში სწორად არ სწამდათ რაღაცეები ღმერთის შესახებ. დიდაქე ამბობს, რომ ახალმოქცეულები უნდა შთაეფლონ სამჯერ, სამების თითოეული პიროვნების მიმართ რწმენის აღიარების თანხლებით. სხვა ნაშრომებში, რომლებიც თარიღდება ახ.წ. 248 წლით ან ამაზე უფრო ადრეული წლებით, ავტორები წერდნენ, რომ ეკლესიის ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო ნათლობისას მამის, ძის და სულიწმიდის ხსენება (ჰიპოლიტუსი, ორიგენე, ტერტულიანე და სხვები).

დღეს პრობლემა ის არის, რომ ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი უარყოფს სამებას. ისინი ამბობენ, რომ სწამთ იესოს, მაგრამ არ სჯერათ, რომ იესო არის ცალკე პიროვნება,

ისევე როგორც მამა და სულიწმიდა. ისინი ნათლავენ იესოს სახელით, რადგან თვლიან, რომ იესო არის მამის, ძის და სულიწმიდის სახელი. ისინი თვლიან, რომ სამივე ერთი პიროვნებაა. ასეთი ჯგუფის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ამას აკეთებს, არის გაერთიანებული ორმოცდაათიანული ეკლესია.

დღეს ეკლესიების უმეტესობა, რომლებსაც სწამთ სამების, ნათლავენ სიტყვებით: „მე გნათლავთ თქვენ მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით“. ისინი ადასტურებენ, როგორც იესოსადმი, ასევე სამებისადმი რწმენას..

ნათლობის ფორმა

შეკრება: ახალმოქცეულები, რომლებიც უნდა მოინათლონ, ერთად უნდა დადგნენ, რათა ეჩვენონ დამსწრეებს. ვიდრე ხალხი იკრიბება, ვინმე შეიძლება რამდენიმე წუთის განმავლობაში წაუძღვეს მათ საგალობლის შესრულებაში.

წმინდა წერილი: ვინმემ შეიძლება წაიკითხოს მათეს 28:18-20.

განცხადება, ანუ დეკლარაცია: მოძღვარმა უნდა მიმართოს ხალხსს და უთხრას: „მათ, ვინც დღეს ინათლება, მოწმობენ, რომ მოინანიეს და ირწმუნეს ქრისტე. ვინაიდან ნათლობა ასახავს იესოს სიკვდილსა და აღდგომას, ეს მორწმუნეები ნათლობის საშუალებით მოწმობენ, რომ ისინი ცოდვისთვის დაიხოცნენ და ახლა ცხოვრობენ ღმერთისთვის. მათ დაიწყეს ახალი ცხოვრება ღვთის მორჩილებაში.”

ლოცვა: შემდეგ მოძღვარი ანუ პასტორი უნდა წაუძღვეს ეკლესიას ლოცვაში ახალმოქცეულთათვის. მისი ლოცვა უნდა შეიცავდეს შემდეგ გამონათქვამებს: „უფალო, გმადლობთ შენი მადლისთვის, რომელმაც ისინი გადარჩენასა და სულიერ ცხოვრებამდე მიიყვანა. ჩვენ გმადლობთ, რომ იხსენი ისინი ცოდვის ძალაუფლებისგან. ჩვენ ვლოცულობთ, რომ სულიწმიდის ძალამ აღავსოს ისინი და მოუტანოს მათ გამარჯვება ყოველდღე. აქციე ისინი შენს მოწმეებად თავიანთ წრესა თუ დასახლებაში და ეკლესიის კურთხევად.”

ნათლობა: ახალმოქცეულები ინდივიდუალურად უნდა შევიდნენ წყალში პასტორთან. ყოველი მათგანის მონათლვლისას, მან უნდა თქვას: „მე გნათლავთ თქვენ მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით.”

საგალობელი: ნათლობის შემდეგ შესაძლოა მრევლმა ერთად იმღეროს საგალობელი. ვინმეს კი შეუძლია კიდევ ერთი მოკლე ლოცვის გაძღოლა.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) იესოს მოწაფეები მისი მსახურების დროს მოინათლნენ.

(2) ადრეული ეკლესია ნათლავდა ხალხს ყველგან, სადაც სახარება ვრცელდებოდა.

(3) ნათლობა იესოს სიკვდილის, დაკრძალვისა და აღდგომის სიმბოლოა.

(4) ნათლობა არის გადარჩენისა და ქრისტეში ახალი ცხოვრების მოწმობა.

(5) მოქცეული მოქცევიდან მალევე უნდა მოინათლოს.

(6) ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ ის ქრისტიანია, რადგანაც მოინათლა.

(7) ეკლესიამ ნათლობისას უნდა დაადასტუროს მოძღვრება სამების შესახებ.

10 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-10 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) ინტერვიუს დავალება: ესაუბრეთ სამ სხვადასხვა მონათლულ მორწმუნეს და ჰკითხეთ, რას ნიშნავდა მათი ნათლობა მათთვის. დაწერეთ მოკლე რეზიუმე.

გაკვეთილი 11
ზიარება

შესავალი

კლასის ხელმძღვანელმა, ან შერჩეულმა სტუდენტებმა მოკლედ უნდა მოყვნენ ისრაელის ეგვიპტიდან გათავისუფლების ამბავი. ნება მიეცით სხვადასხვა სტუდენტებს იმონაწილეონ და დეტალები შემატონ ამ ამბავს. გამოსვლა 11-12 გვიამბობს პირველი პასექის შესახებ.

ზიარების პრაქტიკის წარმოშობა

პასექი იყო ებრაული დღესასწაული, რომელიც აღნიშნავდა იმ ღამეს, როდესაც ისრაელმა ერმა დატოვა ეგვიპტე. ზეიმი მხოლოდ ეგვიპტიდან გათავისუფლებას არ ეხებოდა; ეს იყო ღვთის წყალობის დღესასწაული მათ მიმართ, როდესაც მან დახოცა ეგვიპტელები, მაგრამ გვერდი აუარა ისრაელიანთა სახლებს (გამოსვლა 12:27). ამიტომაც, ეს მოვლენა იყო ღვთის წყალობის გამოვლენის სიმბოლო თავისი ხალხის მიმართ.

ეგვიპტიდან განთავისუფლების შემდეგ ისრაელიანები ყოველწლიურად აწყობდნენ პასექის დღესასწაულს. ღმერთმა მათ მისცა რიტუალის წესები იმ დღისათვის, რომელიც მოიცავდა სპეციალურ საკვებს და სისხლის რიტუალურ გამოყენებას.

ეს მოვლენა იყო ხსნის სახეობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იმ დღეს დახსნილ ადამიანებს ეპატიათ ცოდვები და ღმერთთან სწორი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. თუმცა, ისინი გათავისუფლდნენ მონობიდან, მიიღეს წყალობა ღვთისგან და სისხლი იყო ღვთის მოთხოვნილი პირობების ნაწილი. ეს დეტალები, ამ მოვლენას აქცევს ქრისტეს მიერ მოტანილი ხსნის ილუსტრაციად. ისრაელიანთა უმეტესობა პასექს ისე აღნიშნავდა, რომ არ ესმოდა მისი სრული მნიშვნელობა.

ბოლო პასექის დროს, რომელიც იესომ თავის მოწაფეებს გაუზიარა, მან განმარტა მისი მნიშვნელობა. მან დააწესა რიტუალი ეკლესიისთვის, როდესაც თქვა: „გააკეთე ეს ჩემს მოსაგონრად” (ლუკას 22:15-20). ეკლესიები ამ რიტუალს უწოდებენ "უფლის სერს", ან "ზიარებას", ან "ევქარისტიას" ან "მესას.”

პავლე წერდა, რომ ეს წესი ეკლესიამ გამუდმებით უნდა აღასრულოს, იესოს დაბრუნებამდე (1 კორინთელთა 11:24-26). ეკლესიას სხვა განსაკუთრებული დროც

ჰქონდა დღესასწაულებისა და მოზიარეობისთვის, რაც არ უნდა აგვერიოს ზიარებაში. მაგალითად, როდესაც ბიბლია ამბობს, რომ პირველი მორწმუნეები „პურს ტეხდნენ კარდაკარ“, უნდა გვახსოვდეს, რომ ტერმინი *პურის გატეხვა* უბრალოდ ჭამას გულისხმობდა (საქმეები 2:46). მათ მოზიარეობა ჰქონდათ და ერთად ჭამდნენ სხვადასხვა სახლში. ეკლესიას ასევე ჰქონდა „სიყვარულის სერობები“, რაც ასევე არ იყო ზიარება (იუდას 12).

ზიარების მნიშვნელობა

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს იოანეს 6:47-58 ჯგუფს.

იესომ შოკში ჩააგდო ხალხი, როცა თქვა, რომ ის იყო პური ზეციდან და რომ მათ უნდა ეჭამათ მისი ხორცი და დაელიათ მისი სისხლი.

► რას გულისხმობდა იესო ამ განცხადებაში?

იესომ თქვა, რომ ის თავის თავს გასცემდა წუთისოფლის სიცოცხლისთვის (იოანეს 6:51). ის საუბრობდა საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვაზე გამოსყიდვის მიზნით. მან თავისი მსხვერპლი საჭმელსა და სასმელს შეადარა. როგორც ადამიანს სჭირდება საკვები ფიზიკური სიცოცხლისთვის, მან უნდა მიიღოს ქრისტეს მსხვერპლი მარადიული სიცოცხლისთვის.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ლუკას 22:15-20 ჯგუფს.

ბოლო პასექზე, თავის მოწაფეებთან ერთად სერობის დროს, იესომ თქვა, რომ პური მისი სხეულია და ღვინო მისი სისხლი. რომ ის სიცოცხლეს გაწირავდა მათ გადასარჩენად.

პური და ღვინო

► რატომ გამოიყენა იესომ პური და ღვინო ზიარებისთვის?

შეიძლება რამდენიმე მიზეზი იყოს, თუ რატომ იყენებდა იესო ზიარებისთვის პურსა და ღვინოს. პური იყო ყველაზე მთავარი, ძირითადი საკვები, როგორც ეს იყო მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. პური არა მხოლოდ ზოგადად საკვებს წარმოადგენს, არამედ სიცოცხლის სიმბოლოც არის, რადგან საკვები აუცილებელია სიცოცხლისთვის. ღვინო იმ დროისთვის ყველაზე გავრცელებული სასმელი იყო, წყლის გარდა. ღვინო ასევე განასახიერებს დღესასწაულს.

ზოგიერთი თანამედროვე ეკლესია იყენებს ღვინოს ზიარებისთვის, მაშინაც კი, თუ ისინი სხვა დროს არ სვამენ ღვინოს. სხვა ეკლესიები იყენებენ ყურძნის წვენს, რადგან

არ სურთ რაიმე ალკოჰოლურის დალევის წახალისება. ყურძნის წვენს ახალ აღთქმაში უწოდებდნენ ღვინოს, იქნება ეს ახალი თუ დუღილის ნებისმიერ ეტაპზე.

ზოგიერთმა ეკლესიამ ჩაანაცვალა ზიარების ეს პროდუქტები, სრულიად განსხვავებული საკვებით და სასმელით. ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ ზიარებისთვის რაიმე განსხვავებულის გამოყენებისას. მორმონები იყენებენ პურსა და წყალს, მაგრამ მათ არ სწამთ ქრისტიანული დოქტრინა გამოსყიდვის შესახებ.

მსოფლიოს სხვადა სხვა ნაწილში პური და ღვინო შეიძლება არ იყოს გავრცელებული; შეიძლება სხვა რამ იყოს ძირითადი საკვები და სასმელი. ამ შემთხვევაში შესაძლოა ეკლესიამ ლოცვით განიხილოს სხვადასხვა ვარიანტები.

არა პირდაპირი გაგებით ხორცი და სისხლი

რომის კათოლიკური ეკლესია და აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესია თვლიან, რომ პური და ღვინო ხდება იესოს პირდაპირი მნიშვნელობით სხეული და სისხლი. არის სხვა ეკლესიები, რომლებიც თვლიან, რომ მისი სხეული და სისხლი ნამდვილად არის პურსა და ღვინოში. პროტესტანტული ეკლესიების უმეტესობას სჯერა, რომ პური და ღვინო მხოლოდ სიმბოლოა ქრისტეს სხეულსა და სისხლის, მათი ფიზიკური არსებობის გარეშე.

როცა იესომ თავის მოწაფეებს პასექის სუფრა გაუწყო, უთხრა: „ეს არის ჩემი სხეული... ეს არის ჩემი სისხლი“. იესო ისევ იქ იდგა და ფიზიკურად იმყოფებოდა მათთან. მისი სხეული და სისხლი ჯერ არ იყო გაღებული მსხვერპლად. აშკარაა, რომ ის გულისხმობდა, რომ პური და ღვინო მისი ხორცისა და სისხლის სიმბოლო იყო და არა სიტყვასიტყვით მისი სხეული და სისხლი. ზიარებისას გამოყენებული პური და ღვინოც ასეთად უნდა ჩაითვალოს (სიმბოლოდ).

ხსნა გვაქვს იესოს ერთჯერადი მსხვერპლის მეშვეობით. მისი სიკვდილი აღარ მეორდება. რადგან ზიარება არის თაყვანისცემის და რწმენის აქტი, იესოს ერთხელ მომხდარი სიკვდილის გამო, არ არის აუცილებელი, რომ პური და ღვინო პირდაპირი მნიშვნელობით იყოს მისი სხეული და სისხლი.

იმის გამო, რომ რომაელ კათოლიკეებს სჯერათ, რომ ეკლესიას აქვს პირდაპირი მნიშვნელობით ქრისტეს სხეულისა და სისხლის გაცემის ძლაუფლება, ბევრი მათგანი თვლის, რომ ეკლესია აკონტროლებს ვინ შეიძლება გადარჩენა მიიღოს და ვინ არა. ისინი ფიქრობენ, რომ ადამიანი ვერ გადარჩება, თუ მღვდელი უარს ეტყვის ზიარებაზე. მილიონობით ადამიანი ფიქრობს, რომ ადამიანი ზიარებით იღებს ხსნას.

ზიარებაზე სწორი შეხედულებაა, რომ ეს არის თაყვანისცემის აქტი, რაც იმის სიმბოლოა, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის. ამ აქტის დროს ღმერთი აძლევს მადლს, ამ თაყვანისცემაში მონაწილეს, მისი რწმენის საპასუხოდ. ის არის გადარჩენილი ადამიანებისთვის და მათი ხსნა, არ არის დამოკიდებული აქვთ თუ არა მათ ზიარების საშუალება.

► რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იესომ პურსა და ღვინოში პირდაპირი გაგებით თავისი სხეული და სისხლი იგულისხმა?

► რატომ არ არის გადარჩენისთვის აუცილებელი, რომ ზიარებისას რეალურად იყოს ქრისტეს სხეული და სისხლი?

მადლის საშუალება

ზიარებას ხშირად უწოდებენ მადლის საშუალებას. ღმერთმა ჩაიფიქრა ის, რომ ყოფილიყო მადლის საშუალება, როდესაც ის მიიღება ქრისტესმიერი გამოსყიდვის რწმენით. ქრისტიანი უნდა დაემორჩილოს ღმერთს ბიბლიური მცნებების შესრულებისას. ქრისტიანმა არ უნდა უგულებელყოს მადლის ეს საშუალება.

> "მადლის საშუალებები არის ღვთის მიერ დადგენილი არხები, რომლებითაც სულიწმიდის გავლენა გადაეცემა ადამიანთა გულებს".
>
> - უილი და კალბერტსონი, შესავალი ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში

თუ ადამიანი ზიარებას იღებს ქრისტეს რწმენის გარეშე, ეს მას ავტომატურად მადლს არ მიანიჭებს.

თუ ადამიანი იღებს ზიარებას მოწიწების გარეშე მისი მნიშვნელობის მიმართ, ის საკუთარი თავის დაგმობას იღებს (1 კორინთელთა 11:27-29).

მონანიება და რწმენა აუცილებელია გადარჩენისთვის. ზიარება არ არის აუცილებელი გადარჩენისთვის. ზიარება არის მორჩილების და რწმენის გამოხატვის აქტი. ქრისტიანი არ შეწყვეტს ქრისტიანობას, თუ მას არ აქვს ზიარების მიღების საშუალება.

► აუცილებელია თუ არა ქრისტიანისთვის ზიარების მიღებაა? განმარტეთ თქვენი პასუხი.

ზიარების სათანადო წესი

მოციქულმა პავლემ შეუსწორა კორინთელებს ზიარების არასწორი წესი. მისი მითითებები ჩვენთვის ღირებული და მნიშვნელოვანია.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 11:20-34 ჯგუფს.

► რას აკეთებდნენ კორინთელები არასწორად?

მოჰქონდათ საჭმელი და ამზადებდნენ უფლის სერობის ტრაპეზს. თითოეული ადამიანი ჭამდა საკუთარ საჭმელს, ნაცვლად სხვებისთვის გაზიარებისა. ისინი ერთმანეთს არ ელოდებოდნენ, რომ ერთდროულად დაეწყოთ. ზოგი ძალიან ბევრს ჭამდა, ზოგი კი ისევ მშიერი იყო. ზოგი ძალიან ბევრს სვამდა და თვრებოდა.

► რა კონკრეტული მითითებები მისცა მათ პავლემ?

მან უთხრა, რომ არ მოეწყოთ ტრაპეზი. ეკლესიებს ჰქონდათ დღესასწაულები და მოზიარეობის სუფრები, მაგრამ ეს არ იყო ზიარება. უთხრა, რომ ერთმანეთს დალოდებოდნენ და ერთად დაეწყოთ.

პავლემ განიხილა, თუ როგორ დაუწესა იესომ ეკლესიას ეს წეს-ჩვეულება. იესომ მიაწოდა პური, შემდეგ ღვინო და განუმარტა მათი მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია, რომ ზიარების მონაწილე მოწიწებით მოეკიდოს მათ და ახსოვდეს რას ნიშნავს ზიარება.

პავლემ თქვა, რომ ადამიანმა უნდა გამოსცადო საკუთარი თავი, რათა დარწმუნდეს, რომ ზიარებას „უღირსად“ არ იღებს. ზოგი ამას ისე განმარტავს, რომ ადამიანმა არ უნდა მიიღოს ზიარება, თუ ის არ არის დარწმუნებული, რომ მისი ცხოვრების ყველა დეტალი ღმერთის მოსაწონია. ეს ის არ არის, რასაც მუხლი გვასწავლის. მოციქული ზიარების მიღების წესზე საუბრობდა. ადამიანი დაგმობას იტეხს, თუ უპატივცემულოდ და დაუფიქრებლად იღებს მას.

კარგია, რომ ზიარების დროს მრევლმა ერთად ილოცოს. მსახურების სხვადასხვა მონაკვეთში,შეიძლება სხვადასხვა ადამიანი წაუძღვეს ლოცვაში დანარჩენებს. ჯგუფს ასევე ნებისმიერ დროს შეეძლოს ერთად იმღეროს საგალობელი. მსახურება უნდა შესრულდეს მშვიდად და მოწესრიგებულად. ეს ხმამაღალი, სიხარულის სპონტანური გამოხატვის დრო არ არის. ეს არის იესოს მსხვერპლზე ფიქრის დრო, რომელიც ჩვენს გადასარჩენად იყო გაღებული.

ზიარების სათანადო მიმღებები

► ვის უნდა მიეცეს უფლება მიიღოს ზიარება?

იესომ ეს წეს-ჩვეულება თავის მოწაფეებს ასწავლა და უთხრა, რომ ის ერთად გაეკეთებინათ, ამიტომ ვიცით, რომ ის ქრისტიანებისთვის არის. არ უნდა აზიაროთ სხვა რელიგიის მიმდევარი ადამიანი. ადამიანი, რომელიც თაყვანს სცემს სხვა

ღმერთებს, სინამდვილეში თაყვანს სცემს დემონებს. მას არ შეუძლია ამავდროულად ქრისტეს სცეს თაყვანი (1 კორინთელთა 10:20-21).

თუ ადამიანი ღია ცოდვაში ცხოვრობს და არ მოინანია, არ უნდა ეზიაროს. ზიარება ნიშნავს იმის დამოწმებას, რომ ჩვენ გავიგივდით ქრისტეს სიკვდილთან. ადამიანს, რომელიც განზრახ სცოდავს, არ აქვს ეს მოწმობა.

ადამიანი, რომელიც აშკარა ცოდვაში ცხოვრობს, როგორიცაა სიძვა, კერპთაყვანისმცემლობა ან სიმთვრალე, არ არის ქრისტიანი. (1 კორინთელთა 6:9-10). ბიბლია გვეუბნება, რომ ჩვენ არ უნდა ვიქონიოთ მოზიარეობა ადამიანთან, ვინც ამ ცოდვებს სჩადის და მაინც ამტკიცებს, რომ ქრისტიანია (1 კორინთელთა 5:11). მაშასადამე, სწორი არ იქნება, რომ მას ზიარება შევთავაზოთ.

თუ წევრმა შესცოდა და უარი თქვა ეკლესიის მხილებაზე, ის გადარჩენის არმქონედ ჩაითვლება (მათე 18:17), შესაბამისად არ უნდა მიეცეს ზიარება.

ზიარება გამოხატავს ქრისტიანთა განსაკუთრებულ ერთობას. ტერმინი "ზიარება" გულისხმობს ამ ერთობას. მოციქულმა თქვა, რომ ზიარებით ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ერთი სხეული ვართ (1 კორინთელთა 10:16-17). ამრიგად, თუ ადამიანი ცნობილია როგორც დაუდევარი, გულგრილი ცოდვილი, ის ვერ გაიზიარებს ამ ერთიანობას.

პასტორი (მოძღვარი) პასუხისმგებელია ჩაატაროს ქრისტიანებისთვის ზიარების მსახურება, მაგრამ ის არ არის პასუხისმგებელი გამოიკვლიოს მათი ცხოვრების ყველა დეტალი. თუ ადამიანი აღიარებს, რომ ქრისტიანია და არ ცხოვრობს აშკარა ცოდვაში, მოძღვარს შეუძლია დაეტრდნოს მის მოწმობას.

თითოეულმა ადამიანმა, ვინც ნამდვილად გადარჩენილია, მიიღო გამოსყიდვა, რომელსაც ზიარება გამოხატავს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი კონკრეტული ადგილობრივი ეკლესიის წევრი. ამიტომ, ადგილობრივი ეკლესიის წევრობა არ უნდა იყოს პირობა ზიარების მისაღებად.

ჭეშმარიტ მოქცეულს უფლება აქვს როგორც ზიარების მიღების, ასევე ნათლობისა. აუცილებელი არაა ნათლობამდე გადადოს ზიარების მიღება, თუ მას სურს მოინათლოს.

თუ კრებულში არის ქრისტიანებისა და გადარჩენის არმქონე ადამიანების ნაზავი, მათ შორის, ვინც აშკარა ცოდვაში ცხოვრობს, ზიარება არ უნდა ჩატარდეს მთელს მრევლში. ზიარება შეიძლება სხვა დროს დაინიშნოს მათთვის, ვინც ის უნდა მიიღოს.

► რა არის იმის მიზეზი, რომ აშკარა ცოდვილს არ უნდა მიეცეს ზიარება?

ზიარების სიხშირე

► რამდენად ხშირად უნდა იყოს ზიარება? რატომ?

ზოგიერთი ეკლესია ყოველ კვირა ატარებს ზიარებას. სხვა ეკლესიები მას თვეში ერთხელ ატარებიან. ზოგი ამას წელიწადში ერთხელ აკეთებს. ზოგი ამას იშვიათად აკეთებს, გრაფიკის გარეშე.

ბიბლია არ გვეუბნება, რამდენად ხშირად უნდა ჩავატაროთ ზიარება.

ზოგიერთი ადამიანი, სანამ გადარჩენას მიიღებდა, ხსნისთვის რაღაც რიტუალებს ენდობოდა. როდესაც ისინი გადარჩენას იღებენ და ტოვებენ რელიგიის ამ ფორმას, მათ შეიძლება უხერხულობა იგრძნონ რაიმე რელიგიური რიტუალთან მიმართებაში. შეიძლება იფიქრონ, რომ ზიარება არ უნდა ჩატარდეს ხშირად.

ზოგი ადამიანი არასწორად ეყრდნობა რიტუალს და რწმენას დებს მასზე. მათ სურთ ხშირად მიიღონ ზიარება, რადგან ეს ანიჭებთ მათ შეგრძნებას, რომ გადარჩენილები არიან..

მნიშვნელოვანია, რომ პასტორმა განმარტოს ზიარების მნიშვნელობა. ის უნდა დაეხმაროს თავის ხალხს იმის გაგებაში, თუ როგორ გამოიყენონ ზიარება, როგორც კურთხევა თავიანთ ურთიერთობაში ღმერთთან, მასზე რწმენის დადების და არასწორად დაყრდნობის გარეშე.

სათანადო ძალაუფლება ზიარების აღსრულებისთვის

► ვის აქვს უფლება ჩაატაროს ზიარება?

ბიბლია გვეუბნება, რომ ყველა მორწმუნე არის მღვდელი (გამოცხადება 1:6, 1 პეტრე 2:5, 9). ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უშუალოდ შეგვიძლია თაყვანი ვცეთ ღმერთს და დავეხმაროთ სხვებსაც მის თაყვანისცემაში. დედამიწაზე არავითარი შუამავალი არ გვჭირდება, რათა ღმერთთან მიგვიყვანოს, რადგან იესო არის ჩვენი მღვდელმთავარი და მან მოგვცა წვდომა (1 ტიმოთეს 2:5, ებრაელთა 4:14-16). მის მიერ ჩვენ მუდმივად უნდა გავიღოთ ქების მსხვერპლი (ებრაელთა 13:15).

რადგანაც ყველა მორწმუნე მღვდელია, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნებისმიერ მორწმუნეს შეუძლია ზიარება ჩაუტაროს სხვა მორწმუნეებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პასტორი არ არის ადგილზე. თუმცა, არსებობს მიზეზები, რომ ზიარება ჩვეულებრივ უნდა იყოს პასტორის ხელმძღვანელობით.

ბიბლია არ აკეთებს პირდაპირ განცხადებას, რომ ზიარებას მხოლოდ მოძღვარი უნდა ატარებდეს. თუმცა პავლემ კონკრეტული მითითებები მისცა ზიარების მოწესრიგებულად და მოწიწებით წარმართვის შესახებ. მითითებები იყო ჯგუფისთვის და ლიდერი პასუხისმგებელი იყო ჯგუფის გაძღოლაზე. ეკლესიის ხალხი, ბუნებრივია, დამოკიდებული იქნება მოძღვარზე, რათა დარწმუნდეს, რომ ზიარება სწორად განხორციელდა, ხოლო მოძღვარმა უნდა აიღოს ეს პასუხისმგებლობა.

კიდევ ერთხელ გადახედეთ მოცემულ გაფრთხილებებს 1 კორინთელთა 11:27-34-ში.

პავლე ამბობს, რომ მითითებები მნიშვნელოვანია ქრისტეს სხეულისა და სისხლისადმი მოწიწების თვალსაზრისით. თუ ადამიანი დაუდევარია, ის დამნაშავე ხდება. ავადმყოფობისა და სიკვდილის განაჩენი უკვე დადგა ბევრი მათგანის მიმართ. პავლემ თქვა, რომ თუ ისინი გულდასმით გამოიკვლევდნენ საკუთარ თავს, ისინი გადაურჩებოდნენ ღვთის განკითხვას. პავლემ უთხრა, რომ შემდგომი მითითებებიც ექნებოდა მათთვის.

მნიშვნელოვანია ზიარებაში სწორად მონაწილეობა, არა მხოლოდ მისი ბოროტად გამოყენებისგან გამოწვეული ზიანის თავიდან ასაცილებლად, არამედ იმ სარგებლის მოსაპოვებლად, რაც ღმერთმა ჩვენთვის შექმნა.

გონივრულია ვიფიქროთ, რომ მოციქულს ჰქონდა ეკლესიის წინამძღოლების მხრიდან მეთვალყურეობის გაწევის მოლოდინი, რათა ეს მითითებები აღსრულებულიყო. ზიარების მნიშვნელობის გამო, ეკლესიის წევრებს სურთ, რომ მათი პასტორები დაეხმარონ მათ, მის სწორად ჩატარებაში.

მოძღვარი ასევე ატარებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რადგანაც ზიარება არ უნდა მიეცეს მათ, ვინც სხვა რელიგიას აღიარებს ან აშკარა ცოდვას სჩადის..

ამიტომ, ზიარება როგორც წესი უნდა აღასრულოს პასტორმა (ანუ მოძღვარმა), ან ვინმემ მისი ხელმძღვანელობით. მოძღვარმა შეიძლება სხვებს სთხოვოს დახმარება ზიარების მსახურებაში. მოძღვარს ასევე შეუძლია ვინმეს მისცეს ზიარების ჩატარების უფლება იმ ადამიანთა ჯგუფში, სადაც პასტორი არ იმყოფება.

ზიარების ფორმა

შეკრება: უნდა არსებობდეს იმ ადამიანების შეკრების რუტინული გზა, რომლებიც იღებენ ზიარებას. თუ ეს კეთდება საჯარო ღვთისმსახურებაზე, ლიდერებმა უნდა იცოდნენ, როგორ გადაუნაწილონ ის სწორ ადამიანებს.

წმინდა წერილი: ზიარების მიღებამდე უნდა წაიკითხოთ წმინდა წერილი. წმინდა წერილის შესახებ შეიძლება ითქვას რამდენიმე დებულება, მაგრამ მოკლედ. წმინდა წერილების მონაკვეთები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ, მოიცავს მათეს 26:26-30, მარკოზი 15:22-28, ლუკას 22:14-20, იოანეს 10:11-18, იოანეს 19:1-6, იოანეს 19:16-19, იოანეს 20:26-29, 1 კორინთელთა 11:23-26, ებრაელთა 10:11-17, ებრაელთა 9:24-28, ებრაელთა 4:12-16, გამოცხადება 1:12-18, ესაია 53:1-5, ან ესაია 53:6-12.

ლოცვა: ვინმე უნდა წაუძღვეს ლოცვაში. ლოცვა უნდა შეიცავდეს ასეთ განცხადებებს: „უფალო, ჩვენ გმადლობთ იმ ხსნისთვის, რომელიც მივიღეთ იესოს მსხვერპლით. მადლობას გიხდით იმ მადლისთვის, რომელსაც უსასყიდლოდ გვაძლევ. როდესაც ერთად ვიღებთ ზიარებას, ჩვენ ვმოწმობთ, რომ შენზე ვართ დამოკიდებული სულიერი ცხოვრებაში. ჩვენ ვახდენთ იმ ერთიანობის დემონსტრირებას, რომელიც გვაქვს სხვა მორწმუნეებთან. ჩვენ ვლოცულობთ მადლისთვის, რათა ვიცხოვროთ შენს საამებლად ყოველდღე."

პურის დარიგება: პური შეიძლება დარიგდეს მოძღვრის ან მის მიერ დანიშნული ადამიანების მიერ. მან შეიძლება თქვას: „ეს პური განასახიერებს ქრისტეს სხეულს, რომელიც გაცემულ იქნა ჩვენს გადასარჩენად". ყველამ სიწყნარე და მოწიწება გამოიჩინოს ზიარების დროს. ზოგიერთ ეკლესიაში მოძღვარი სთხოვს ხალხს, პური ხელში ეჭიროთ სანამ ყველა მიიღებს მას, შემდეგ კი ერთად შეჭამონ. სხვა ეკლესიებში წესადაა, რომ თითოეულმა ადამიანმა პური მიღებისთანავე შეჭამოს.

ლოცვა: მოძღვარს ან ვინმეს, ვისაც ის აირჩევს, შეუძლია მოკლე ლოცვა წარმოთქვას და მადლობა გადაუხადოს ღმერთს მისი მადლისთვის.

ღვინის დარიგება: მოძღვარმა შეიძლება თქვას: „ეს ღვინო განასახიერებს იესოს სისხლს, რომელიც დაიღვარა ჩვენს გადასარჩენად". ზოგიერთი ეკლესია არიგებს ინდივიდუალურ სასმისებს. სხვები ერთ სასმისს გადასცემენ ხელიდან ხელში. ზოგიერთ ეკლესიაში თითოეული ადამიანი პურის ნაჭერს ღვინოში აწობს. მთავარია, ეს მოხდეს მოწესრიგებულად და მოწიწებით.

ლოცვა: მოძღვარს ან მის მიერ არჩეულ პირს შეუძლია თაყვანისცემის ლოცვა წარმართოს.

საგალობელი: შესაძლოა ჯგუფმა ერთად იმღეროს საგალობელი.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) ზიარება მოდის ებრაული პასექის დღესასწაულიდან.

2) პასექი ასახავდა ქრისტესმიერ გამოსყიდვას.

(3) პური და ღვინო იესოს სხეულისა და სისხლის სიმბოლოა.

(4) ზიარება ავტომატურად არ აძლევს ხსნას მის მიმღებს.

(5) ზიარებას შეუძლია მადლის მიცემა, თუ ადამიანი მას ქრისტეს გამოსყიდვის რწმენით მიიღებს.

(6) ზიარება არ უნდა მიეცეთ აშკარა ცოდვილებს ან სხვა რელიგიის მიმდევრებს.

(7) პასტორი ატარებს პასუხისმგებლობას, რომ ზიარება სწორად იქნას ჩატარებული.

11 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-11 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) ინტერვიუს დავალება: გაესაუბრეთ სამ მორწმუნეს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს მათთვის ზიარება. დაწერეთ მოკლე შინაარსი.

გაკვეთილი 12
ეკლესიური დისციპლინა (წესრიგის აღსრულებაა)

შესავალი

მე-3 გაკვეთილზე ჩვენ ვისწავლეთ ადგილობრივი ეკლესიის ეს განსაზღვრება:

ადგილობრივი ეკლესია არის მორწმუნეთა ჯგუფი, რომელიც მოქმედებს როგორც სულიერი ოჯახი და რწმენით დაკავშირებული საზოგადოება; რომელიც სთავაზობს სახარებას და ეკლესიის თანაზიარებას ყველას, ვინც მოინანიებს; ატარებს ნათლობებსა და ზიარებებს; ერთობლივად მონაწილეობს თაყვანისმცემლობაში, მოზიარეობაში, მახარებლობაში და მომოწაფეებაში; ასრულებს ქრისტეს სხეულის საქმეს სულიწმიდის ნიჭებით; ემორჩილება ღვთის სიტყვას; ერთობით, რომელიც ეფუძნება ბიბლიურ მოძღვრებას, მადლის გამოცდილებასა და სულიერ ცხოვრებას.

ახლა განვიხილოთ საეკლესიო დისციპლინის განსაზღვრება.

საეკლესიო დისციპლინის განსაზღვრება

საეკლესიო დისციპლინა (ზომების მიღება წესრიგის დასაცავად) არის ეკლესიის ერთიანი, მიზანმიმართული პასუხი წევრის ცოდვაზე, ოთხი მიზნით: ეკლესიის ერთიანობის დაცვა, ჭეშმარიტების დაცვა, მრევლის დაცვა არასწორი გავლენისგან და ცოდვილი წევრის ხსნაში და მოზიარეობაში დაბრუნება.

► გადახედეთ ეკლესიის და საეკლესიო დისციპლინის განსაზღვრებებს. იმის გათვალისწინებით, თუ რა არის ეკლესია, განმარტეთ, რატომ არის საჭირო საეკლესიო დისციპლინა.

საეკლესიო დისციპლინის აუცილებლობა

რა ხდება, როდესაც ეკლესიის წევრი ისევ ცოდვაში ბრუნდება, მაგრამ მაინც მონაწილეობს ეკლესიაში? რა მოხდება, თუ წევრს ბოლომდე არ სჯერა ეკლესიის ფუნდამენტური დოქტრინების და არასწორ მოძღვრებას ასწავლის? რა მოხდება, თუ წევრმა ვინმეს მიმართ დააშავა და ამას არ აღიარებს?

იესომ უსაყვედურა ზოგიერთ ეკლესიას, რადგან ისინი არ იყენებდნენ საეკლესიო დისციპლინას. პერგამოს ეკლესიაში იყვნენ ცრუ მოძღვრების მასწავლებლები, რომლებიც უნდა მოეშორებინათ (გამოცხადება 2:14-16). თიატირას ეკლესიაში იყო ქალი, რომელსაც იესო იზებელს უწოდებდა, რომელიც ხალხს სიძვისა და კერპების

თაყვანისცემისკენ უბიძგებდა; ამიტომ საყვედურობდა უფალი ეკლესიას (გამოცხადება 2:20).

ბიბლია გვეუბნება, რომ შეუძლებელია მოზიარეობა იყოს სინათლესა და სიბნელეს შორის, მათ შორის, ვინც ემსახურება ქრისტეს და ვინც სხვა ღმერთებს ემსახურება (2 კორინთელთა 6:16-17).

აქ განვიხილავთ მიზეზებს, რის გამოც აუცილებელია საეკლესიო დისციპლინა. მოგვიანებით გაკვეთილზე ჩვენ განვიხილავთ ამ მიზეზების დამადასტურებელ ბიბლიურ მტკიცებულებებს, ხოლო მათ უფრო ადვილად ასათვისებლად, აქ შევაჯამებთ.

(1) საეკლესიო დისციპლინა აუცილებელია, რადგან ეკლესიას უნდა ჰქონდეს ერთიანობა.

ეკლესიის ერთიანობა ეფუძნება ბიბლიურ მოძღვრებას და სულიწმიდით ცხოვრებას. ეკლესიის განსაზღვრება გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკლესიის წევრების სულიერი თანაზიარება. ეს მოზიარეობა ემყარება მათ ურთიერთობას ღმერთთან და მადლის გამოცდილებას. თუ ადამიანმა სულიერი ცხოვრება შეწყვიტა, მას ვერ ექნება ქრისტიანული თანაზიარება. თუ წევრი უარს ამბობს ჭეშმარიტების მიღებაზე, ცოდვის მონანიებაზე, ან არასწორი ქმედების აღიარებაზე, მას აღარ აქვს ერთობა ეკლესიასთან.

(2) საეკლესიო დისციპლინა აუცილებელია, რადგან ეკლესიამ უნდა დაიცვას ჭეშმარიტება.

წევრისთვის ცოდვაში დარჩენის უფლების მიცემა, ნიშნავს ჩავარდნას ჭეშმარიტების დაცვის სფეროში. ეკლესია ვერ იქნება ჭეშმარიტების დამცველი ქვეყნიერების წინაშე, თუ მისი წევრები თავისი ცხოვრებით არღვევენ ჭეშმარიტებას.

(3) საეკლესიო დისციპლინა აუცილებელია ეკლესიის მრევლის არასწორი გავლენისგან დასაცავად.

თუ ეკლესიის წევრი აშკარა ცოდვაშია, მაგრამ მაინც პატივისცემას იღებს ეკლესიისგან, როგორც ქრისტიანი, სხვა წევრებსაც გაუჩნდებათ ცდუნება იგივე გააკეთონ.

(4) ეკლესიის დისციპლინა (ზომების მიღება წესრიგის დასაცავად) აუცილებელია ცოდვაში ჩავარდნილი ეკლესიის წევრის აღსადგენად.

თუ წევრი ცხოვრობს ცოდვაში და არავინ უპირისპირდება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის მოინანიებს. თუ მას დაუპირისპირდებიან, ის შეიძლება გაბრაზდეს, მაგრამ მოგვიანებით უფრო სავარაუდოა, რომ მოინანიოს.

> "ქრისტეს ეკლესიის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვნად განსხვავდება საერო მთავრობებისგან. ის დაფუძნებულია თავმდაბლობასა და ძმურ სიყვარულზე: ის მომდინარეობს ქრისტესგან, ეკლესიის დიდი წინამძღოლისაგან და ყოველთვის წარმართულია მისი პრინციპებითა და სულით.
> - ადამ კლარკი,
> ქრისტიანული თეოლოგია
> (ღვთისმეტყველება)

დასჯა არ არის საეკლესიო დისციპლინის მიზანი. დასჯა არ არის ეკლესიის პასუხისმგებლობა. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ცოდვისთვის დასჯა. ეკლესიის ქმედება უნდა იყოს გამოსწორების მიზნით და არა დასჯის მიზნით.

► რა მოხდება, თუ ეკლესია ვერ იყენებს დისციპლინას აშკარა ცოდვაში მყოფი წევრის მიმართ?

იესოს მითითებები ეკლესიური დისციპლინის შესახებ

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს მათეს 18:15-20 ჯგუფს.

იესომ მითითებები მოგვცა მორწმუნეებს შორის კონფლიქტის მოგვარების შესახებ. თუ მორწმუნე თვლის, რომ ვიღაც არასწორად მოექცა, უნდა დაელაპარაკოს ამ ადამიანს ინდივიდუალურად. პრობლემების უმეტესობა ამ ეტაპზე გვარდება. უმეტეს შემთხვევაში ადგილი გაუგებრობას ჰქონდა. თუ ორივე მორწმუნე გულწრფელი და თავმდაბალია, მათ შეუძლიათ არსებული პრობლემის გადაჭრა.

მორწმუნეებს შორის ურთიერთობა ღირებულია. თუ ადამიანი ფიქრობს, რომ სხვამ რაიმე დააშავა, ურთიერთობა უარესდება. ის თავმდაბლობითა და კეთილგანწყობით უნდა მივიდეს დამნაშავესთან და აჩვენოს, რომ ურთიერთობა მისთვის მნიშვნელოვანია. მან შეიძლება უთხრას რაღაც ამის მსგავსი: „ძმაო, ვაფასებ იმ კურთხევას, რომელსაც წარმოადგენ ეკლესიისთვის. მნიშვნელოვანი მეგობარი ხარ. მაგრამ რაღაც მაწუხებს, რადგან ვგრძნობ, რომ არასწორად მომექეცი. მე ამაზე მხოლოდ იმიტომ გელაპარაკები, რომ მსურს ჩვენი ურთიერთობა გამოსწორდეს". განუმარტეთ რაში მდგომარეობს დანაშაული, მაგრამ გაფრთხილდით, რომ არ იყოთ მკაცრი ან ბრალმდებელი. მზად იყავით მოსასმენად და მისი პოზიციის გასაგებად. მზად იყავით პატიებისთვის.

იესოს მითითებების თანახმად, თუ ვინმემ მართლაც ჩაიდინა არასწორი ქმედება და არ აღიარებს ამას, მეორე კვლავ უნდა ესაუბროს მას, ერთ ან ორ პატივცემულ

მორწმუნესთან ერთად. კიდევ ერთხელ, ხაზი გაუსვას დამნაშავესთან საუბარში, რომ ის უყვარს და რომ მასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია.

თუ დამნაშავე მაინც უარს ამბობს ცოდვის აღიარებაზე, ეს უნდა ეცნობოს ეკლესიის წინამძღოლებს. მათაც უნდა ესაუბრონ მას. თუ ის მაინც უარს იტყვის მოსმენაზე, ეკლესია უნდა შეთანხმდეს, რომ ის ურწმუნოდ მიიჩნიოს.

ადამიანის ურწმუნოდ მიჩნევა არ ნიშნავს უხეშობას. ეს ნიშნავს, რომ ის აღარ იქნება ეკლესიის საქმიანობაში მონაწილე, ან ეკლესიის რომელიმე მსახურების ხელმძღვანელი. ის ვეღარ მიიღებს ზიარებას, რადგან ის წარმართად უნდა ჩაითვალოს (მუხლი 17). ეკლესია აცნობებს მას, რომ მორწმუნედ არ თვლიან და ლოცულობენ, რომ მოინანიოს.

ამ მითითებების შემდეგ იესომ გვასწავლა პატიების შესახებ (მათე 18:21-35). თუ ადამიანი აღიარებს თავის ცოდვას და ინანიებს, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ პატიებისთვის.

► როგორ დაელაპარაკებოდით ადამიანს, რომელმაც ზიანი მოგაყენათ, როდესაც მასთან ურთიერთობის აღდგენას ცდილობთ?

პავლეს მითითებები ეკლესიური დისციპლინის შესახებ

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ჯგუფს 1 კორინთელთა 5 თავი.

► რა სიტუაციაზე ისაუბრა პავლემ ამ თავში??

პავლე მოციქულმა მისცა მითითებები საეკლესიო დისციპლინის შესახებ კორინთოს ეკლესიაში არსებულ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ეკლესიის წევრი იმყოფებოდა ამორალურ ურთიერთობაში.

პავლემ უთხრა მათ, რომ საეკლესიო დისციპლინა არ არის ეკლესიის გარეთ მყოფი ადამიანებისთვის, არამედ წევრებისთვის (11-12). ეკლესიას უნდა ემოქმედა ერთიანობაში („როცა თქვენ ერთად იქნებით“). მათ უნდა ჩამოეცილებინათ ეს ადამიანი თავიანთი წევრობიდან და მოზიარეობიდან.

თუ ადამიანი, რომელიც „ძმად იწოდება,“ სჩადის მე-11 მუხლში ჩამოთვლილ ცოდვებს, ქრისტიანებმა საერთოდ უარი უნდა თქვან მასთან ურთიერთობაზე. მიზანია დავრწმუნდეთ, რომ ადამიანი გააცნობიერებს, რომ ის არ არის ქრისტიანი, ხოლო ქვეყნიერებამ იცოდეს, რომ ეს ადამიანი არ არის ეკლესიის ნაწილი. ეს მოიცავს მის მოხსნას ეკლესიაში ნებისმიერი თანამდებობიდან. მას არ შეეძლება ზიარების

მიღება, რადგან ეს უფრო მჭიდრო ქრისტიანულ მოზიარეობას გულისხმობს, ვიდრე თუნდაც საჭმლის ერთად ჭამას.

პავლე გულისხმობდა ამ მოქმედების ორ მიზანს. ერთი მიზანია, რომ ეკლესიამ სიწმინდე შეინარჩუნოს (6-7). შეუძლებელია ეკლესია იყოს ერთობაში, თუ წევრები ცოდვაში არიან.

მეორე მიზანი არის ცოდვილის კვლავ გადარჩენისკენ შემობრუნება („რათა სული გადარჩეს“). თუ ეკლესია განაგრძობს მის წევრად მიღებას, ვიდრე ის აგრძელებს ცოდვაში ყოფნას, ის იფიქრებს, რომ ყველაფერი კარგადაა და სავარაუდოდ არ მოინანიებს. უფრო სავარაუდოა, რომ ის მოინანიებს, თუ მის მიმართ საეკლესიო დისციპლინის გამოყენება მოხდება.

ამ ქმედებას ჰქვია „მისი სატანისთვის გადაცემა“. იყო კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც პავლემ სატანას ცრუ მოძღვრების მასწავლებლები გადასცა (1 ტიმოთეს 1:20). ცოდვილმა უნდა გაიგოს, რომ ის არ იმყოფება ღვთის კურთხევისა და მფარველობის ქვეშ. როგორც ცოდვილი ის არის ეკლესიის გარეთ და სატანის მსახურია. ცოდვილი ცხოვრება გაანადგურებს მას, თუ არ მოინანიებს.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ტიტეს 3:10-11 ჯგუფს.

თუ ადამიანი ასწავლის ერეტიკულ მოძღვრებას, ეკლესია ორჯერ უნდა ეცადოს მის გამოსწორებას. ამის შემდეგ ის უნდა მოიცილონ. ბიბლია გვეუბნება, რომ ეს ადამიანი უკვე წავიდა საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

ერესები არ არის მოძღვრების მცირე ვარიაციები. ერესი არის ცრუ დოქტრინა, რომელიც ეწინააღმდეგება სახარების ძირითად დოქტრინებს. ჩვენ აჩქარებით არ უნდა დავადანაშაულოთ ადამიანი მწვალებლობაში. ის შეიძლება ცდებოდეს ზოგიერთ მოძღვრებაში, მაგრამ იყოს ქრისტეს გულწრფელი მიმდევარი.

გადახედეთ 2 თესალონიკელთა 3:6, 14-15. განმარტეთ მითითებები, რომლებიც მოცემულია ამ მუხლებში.

პასტორის დისციპლინა

პასტორებს ხშირად აკრიტიკებენ. პასტორები ხშირად იმყოფებიან ისეთ სიტუაციებში, როდესაც მათ შეიძლება ცრუ ბრალდება წაუყენონ. მნიშვნელოვანია, რომ მოძღვარმა განამტკიცოს თავისი ხალხის ნდობა იმით, რომ ყოველთვის იყოს კარგი მაგალითი.

მოძღვრის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება არ უნდა განიხილებოდეს, თუ არ არის ორი ან სამი მოწმე (1 ტიმოთეს 5:19). საეკლესიო ასოციაციის ან დენომინაციის

ლიდერები პასუხისმგებელნი არიან პასტორების ანგარიშვალდებულებაზე და უნდა ჩაერთონ, თუ პასტორის შემოწმება ან გადაყენება იგეგმება. მათ შეუძლიათ დაეხმარონ ეკლესიის გაერთიანებას იმ დროს, როდესაც მისი მსახურება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

► რატომ არის პასტორის ცოდვა სერიოზული?

აღდგენის პროცესი

უნდა გვახსოვდეს, რომ საეკლესიო დისციპლინის ერთ-ერთი მიზანია წევრის აღდგენა გადარჩენასა და მოზიარეობაში. ეკლესიას არ საჭიროებს დარწმუნებას იმაში, რომ ცოდვილი წევრი საკმარისად დაისაჯა. როდესაც წევრი აღიარებს ცოდვას და ინანიებს მას, ეკლესიას უნდა ჰქონდეს აღდგენის პროცედურა.

ზოგიერთი ცოდვის შემთხვევაში, თუ წევრი დაუყოვნებლივ აღიარებს თავის შეცდომას და გამოასწორებს თავის საქციელს, მას შეუძლია განაგრძოს ეკლესიის საქმიანობაში მონაწილეობა. უფრო სერიოზული ცოდვები ჩამოთვლილია 1 კორინთელთა 6:9-10-ში, მათ შორის სექსუალური უზნეობა, ქურდობა და სიმთვრალე. წევრი, რომელიც ჩაიდენს ერთ-ერთ ამ ცოდვას, უნდა მოიხსნას წევრობიდან და ნებისმიერი ლიდერული თანამდებობიდან.

აღდგენის პროცესი იწყება მაშინ, როდესაც წევრი მოინანიებს ცოდვას. უფრო მძიმე ცოდვის შემთხვევაში, ის მყისიერად ვერ აღდგება ლიდერად ან აქტიურ წევრად. სრული აღდგენისთვის გარკვეული დროა საჭირო.

(1) აღიარება

წევრმა უნდა აღიაროს თავისი დანაშაული მათთან, ვინც დაზარალდა, ვინც მონაწილეობდა მასთან დანაშაულში და მათთან, ვინც ფლობს მასზე სულიერ ძალაუფლებას.

(2) განცალკევება

არასწორი ურთიერთობები უნდა დასრულდეს. ასევე უნდა დასრულდეს ურთიერთობა, რომელსაც აქვს არასწორი გავლენა. ყველაფერი, რაც მხოლოდ ცოდვისთვის გამოიყენება, უნდა განადგურდეს. შესაძლოა, ის ნივთები, რაც არასწორად, ცოდვისთვის იქნა გამოყენებული, ასევე უნდა განადგურდეს. წევრმა უნდა წარმოაჩინოს, რომ არ სურს ცოდვაში დაბრუნება.

(3) ანგარიშვალდებულება

ეს არის ის, რასც დროს მოითხოვს. წევრმა რეგულარულად უნდა ჩააბაროს ანგარიში თავის სულიერ ზემდგომს, რომელიც შეიძლება იყოს მოძღვარი ან დიაკვნების საბჭო. მას უნდა შეეძლოს მოხსენება ცდუნებაზე თავისი გამარჯვების შესახებ. მან უნდა დაანახოს, რომ საგულდაგულოდ იცავს თავს ცდუნებისაგან.

ანგარიშვალდებულება უნდა შენარჩუნდეს უფრო ხშირი კონტაქტით, სულიერი ავტორიტეტის მიერ დამტკიცებულ სულიერ მრჩეველთან. მრჩეველი ხშირად გაესაუბრება წევრს, შესაძლოა ყოველდღიურადაც კი, გარკვეული დროის მანძილზე. მრჩეველი და რჩევის მიმღები პირი უნდა იყვნენ ერთი და იგივე სქესის.

ანგარიშვალდებულების პერიოდი უნდა გაგრძელდეს მინიმუმ რამდენიმე თვე. მორალური ცოდვის შემთხვევაში, რომელშიც სხვებიც იყვნენ ჩართულნი, განსაკუთრებით თუ ცოდვა გაგრძელდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანგარიშვალდებულების ვადა გაცილებით გრძელი უნდა იყოს. ამ პერიოდის განმავლობაში წევრს არ უნდა მიეცეს ხელმძღვანელობის ან რაიმე ფორმით სწავლების უფლება. მას უნდა მიეცეს ზიარების უფლება, თუ მისი მონანიება რეალური ჩანს.

დროის პერიოდის გამოყენების მიზეზი არ არის იმის თქმა, რომ წევრი ქრისტიანი არ არის. თუ მან მოინანია, მას ეპატია და გადარჩენა აქვს. დროის პერიოდი არის იმისთვის, რომ მან შეძლოს აღდგენა და გამოსვლა თავისი ცოდვის შედეგებიდან, რომ ჩამოიყალიბოს ძლიერი სულიერი წესები და აჩვენოს თანმიმდევრული ქრისტიანული ცხოვრება.

ბიბლია გვეუბნება, რომ ადამიანი არ უნდა იყოს ლიდერი, თუ მას არ აქვს კარგი რეპუტაცია ეკლესიის გარეთ მყოფ ხალხში (1 ტიმოთეს 3:7, 10). თუ ადამიანი ახლახანს მოექცა აშკარა ცოდვილი ცხოვრებიდან, ვიდრე ლიდერი გახდება, გარკვეული დროის მანძილზე ქვეყნიერებას უნდა დაანახოს, რომ ის ცხოვრობს, როგორც ქრისტიანი. თორემ, გამოჩნდება, რომ ეკლესია წინამძღოლებად ცოდვილებს ნიშნავს. იგივე პრინციპი მოქმედებს დაცემის შემდეგ აღდგენილი პიროვნების მიმართაც.

(4) დადასტურება

ეს არის სრული აღდგენა. წევრს ახლა აქვს ეკლესიის ნდობა და შეუძლია სრულყოფილი მონაწილეობა მიიღოს როგორც წევრმა, ნებისმიერ როლში, რომელსაც ეკლესია მიანიჭებს. შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს მაღალ ლიდერულ პოზიციებს, განსაკუთრებით პასტორის როლს.

► აღწერეთ ანგარიშვალდებულების პერიოდი. როგორ მოქმედებს ის და რა არის მისი მიზანი?

ეკლესიის წევრობის პირობები

ეკლესიების უმეტესობას აქვს მოძღვრების დებულება, რომელიც სცილდება ქრისტიანობის ფუნდამენტურ დოქტრინებს. მოძღვრების ეს დეტალები განასხვავებს ეკლესიას სხვა ეკლესიებისგან. გამორჩეული სწავლების მქონე ეკლესიები იდენტიფიცირებულია ისეთი სახელებით, როგორიცაა მეთოდისტი, პრესვიტერიანელი, ლუთერანი, ბაპტისტი ან სხვა. ეკლესიებს შორის განსხვავებები, როგორც წესი, არ არის ერესი და ადამიანს არ უნდა ეწოდოს ცოდვილი ამ განსხვავებების გამო.

შეთანხმება დოქტრინის დეტალებზე აუცილებელია იმისათვის, რომ ეკლესიის წევრებს ერთად შეეძლოთ ღვთისმსახურება,თაყვანისცემა და მსახურებაში თანამშრომლობა. ამიტომაც, ეკლესიამ შეიძლება მოსთხოვოს თავის წევრებს მხარი დაუჭირონ მის დოქტრინულ დებულებას. მათ არ უნდა თქვან, რომ ადამიანმა მათი დოქტრინები იმისთვის უნდა ირწმუნოს, რათა ქრისტიანი იყოს, არამედ იმისთვის, რომ იყოს ერთობაში ამ კონკრეტულ ადგილობრივ ეკლესიასთან.

თუ ადამიანს არ სწამს კონკრეტული ეკლესიის დოქტრინების, ეს ეკლესია მართალი იქნება, თუ უარს ეტყვის მას წევრობაზე. თუ წევრი ასწავლის ან კამათობს მოძღვრებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ეკლესიის დოქტრინას, ის შეიძლება გათავისუფლდეს წევრობიდან.

თუ პირს წევრობა გაუუქმდა დოქტრინული განსხვავებების გამო, რომლებიც არ არის არსებითი მნიშვნელობის ქრისტიანობისთვის, ეს იგივე არ არის, რაც ეკლესიის დისციპლინარული ზომების გატარება ერესის ან აშკარა ცოდვის გამო. ეკლესიამ არ უნდა თქვას, რომ ადამიანი არ არის ქრისტიანი მხოლოდ იმიტომ, რომ არ ასრულებს წევრობის პირობებს.

> "წმინდა წერილი შეიცავს ყველაფერს, რაც აუცილებელია გადარჩენისთვის, ასე რომ, ყველაფერი, რაც მასში არ იკითხება და რისი დამტკიცებაც შეუძლებელია, არავის არ უნდა მოეთხოვოს, რომ ასეთი რამ მიიჩნეოდეს რწმენის სიმბოლოდ, ან ჩაითვალოს საჭიროდ, ან გადარჩენისთვის აუცილებლად... "
>
> - ინგლისის ეკლესიის რელიგიის სტატიები

თუ ეკლესიას აქვს წევრობისთვის აუცილებელი პირობები, რომლებიც მოიცავს ჩაცმის, გართობის ან სხვა ქცევის წესებს, პირი შეიძლება გაათავისუფლონ წევრობიდან ამ მოთხოვნების დაცვაზე უარის თქმის გამო. ეს იგივე არ არის, რაც საეკლესიო დისციპლინის გამოყენება აშკარა ცოდვის გამო. ეკლესიამ არ უნდა თქვას, რომ ადამიანი არ არის ქრისტიანი მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ სურს დაიცვას ეკლესიის წევრობის პირობები.

► რა არის გაწევრიანების მოთხოვნების, აუცილებელი პირობების ზოგიერთი მაგალითი, რომელსაც ზოგიერთი ეკლესია იცავს და სხვები კი არა?

ღვთისმსახურების ლიდერობა და მონაწილეობა

ეკლესიური ღვთისმსახურება, როგორც წესი, ღია უნდა იყოს ყველასთვის. ხალხი უნდა მოიწვიონ სტუმრად.

ეკლესია ვერ შემოუშვებს სამლოცველოში ადამიანს, ვინც დესტრუქციულად იქცევა, მაგალითად, ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაშია. ეკლესია ასევე ვერ დაუშვებს ადამიანს, რომელსაც აშკარად უპატივცემულოდ და უხამსად აცვია. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ხალხი არ იყოს გარიყული იმის გამო, რომ ცუდად აცვიათ ან იმიტომ, რომ არ იციან სათანადო საეკლესიო ქცევა. ტრაგედიაა, როდესაც ადამიანები გრძნობენ, რომ ვერ მივლენ ეკლესიაში, რადგან არ აქვთ საკმაოდ კარგი ტანსაცმელი.

თუ ადამიანი დესტრუქციულია თავის ქცევაში ღვთისმსახურების დროს, მას მოძღვარი ან მოძღვრის მიერ დანიშნული პიროვნება უნდა დაელაპარაკოს. თუ ის უარს ამბობს დათმობაზე, არ უნდა დაუშვან მსახურებაზე.

ზოგჯერ ეკლესია უფლებას აძლევს ადამიანებს დაუკრან მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან იმღერონ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ცხოვრება არ არის ქრისტიანობის კარგი მაგალითის მიმცემი. ვისაც საგალობელი მიყავს ან მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავს ეკლესიის წინაშე, წარმოადგენს ეკლესიის სახეს. თუ ის ცოდაში ცხოვრობს, ხალხი ფიქრობს, რომ ეკლესია მას ქრისტიანად იღებს, მიუხედავად იმისა, რომ ის სცოდავს.

► რა მოთხოვნები უნდა ჰქონდეს ეკლესიას ლიდერების მიმართ, ვინც თაყვანისცემას უძღვება?

თავიდან ასაცილებელი შეცდომები

არსებობს სამი შეცდომა, რომელსაც ეკლესიის წევრებმა თავი უნდა აარიდონ ეკლესიაში პრობლემების გადაჭრის დროს.

(1) არათანმიმდევრულობა

ზოგიერთი ცოდვა უფრო სერიოზული ჩანს, ვიდრე სხვები. ზოგჯერ განსხვავება წარმოიქმნება კულტურული შეხედულებებიდან. ეკლესია შეიძლება იყოს მკაცრი ზოგიერთი ცოდვის მიმართ, ხოლო სხვების მიმართ შემწყნარებლობა გამოიჩინოს. ღმერთი მოუწოდებს ეკლესიას დაიცვას ბიბლიური ჭეშმარიტება და არა მხოლოდ კულტურული ღირებულებები.

ასევე არათანმიმდევრულობა ვლინდება ეკლესიების დამოკიდებულებაში კრებულში სხვადასხვა ადამიანების მიმართ. თუ ადამიანი გავლენიანი ოჯახიდანაა, ლიდერები შეიძლება ბევრად უფრო მზრუნველნი იყვნენ მასთან მიმართებაში; მაგრამ ბიბლია გვაფრთხილებს, არ მივანიჭოთ უპირატესობა ადამიანებს მათი სტატუსის გამო (იაკობის 2:1-9).

(2) მოუთმენლობა

ზოგჯერ ეკლესიაში ხალხი ფიქრობს, რომ პრობლემა საკმარისად სწრაფად არ წყდება. ისინი იწყებენ პრობლემის შესახებ ლაპარაკს სხვადასხვა ადამიანებთან, ეკლესიის გარეთაც კი. ისინი ჩივიან, რომ ლიდერები პრობლემას არ წყვეტენ. ეს ახალ პრობლემებს უქმნის ეკლესიას და ზიანს აყენებს მის გავლენას.

(3) სიყვარულის ნაკლებობა

ზოგიერთები სიამოვნებით პოულობენ ნაკლოვანებებს სხვებში. ისინი ადვილად იჯერებენ ამბებს არასწორი ქმედებების შესახებ. მკაცრად განსჯიან სხვებს, ყოველგვარი მცდელობის გარეშე, რომ გაუგონ მათ. ისინი არ განიცდიან ეკლესიის წევრების ცოდვებს. მათ უხარიათ ცუდი ამბების გავრცელება. მათ არ ანაღვლებთ ის ზიანი, რაც ეკლესიას ადგება ასეთი ამბებით.

ყველა მოძღვარმა და მასწავლებელმა უნდა ილაპარაკოს ჭორაობის ცოდვის წინააღმდეგ. მან უნდა ასწავლოს თავის ხალხს, რომ შეიძულონ ჭორები და უარი თქვან მათ მოსმენაზე.

თუ ადამიანს უყვარს ღმერთი, ეკლესია და თავისი ძმები და დები ქრისტეში, მან ცოდვა ტრაგედიად უნდა აღიქვას. მან იმედი უნდა იქონიოს, რომ ამბავი ცოდვის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება. თუ ეს მართალია, მას უნდა სურდეს ცოდვილის რწმენაში აღდგენა. ის უნდა დაეხმაროს ეკლესიას, რომ მან ზიანი თავიდან აიცილოს. ის აუცილებელზე მეტ ადამიანთან არ გაავრცელებს ამბებს.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) საეკლესიო დისციპლინას აქვს ოთხმხრივი მიზანი: დაიცვას ეკლესიის ერთიანობა, დაიცვას ჭეშმარიტება, დაიცვას მრევლი არასწორი გავლენისგან და ცოდვილი წევრი დააბრუნოს ხსნასა და მოზიარეობაში.

(2) წევრს, რომელიც სცოდავს და არ ინანიებს, ეკლესია არ უნდა თვლიდეს მორწმუნედ.

(3) საეკლესიო დისციპლინის მიზანია არა დასჯა, არამედ გამოსწორება და აღდგენა.

(4) ეკლესიამ ცოდვილად არ უნდა მიიჩნიოს ყველა ადამიანი, ვინც არ ეთანხმება მის დოქტრინალურ განსხვავებებს და წევრობის პირობებს.

(5) აღდგენის საფეხურებია აღიარება, განცალკევება, ანგარიშვალდებულება და დადასტურება (დამოწმება).

(6) აღდგენას დრო სჭირდება, რათა წევრმა შეძლოს გამოსვლა თავისი ცოდვის შედეგებიდან, რომ ჩამოიყალიბოს ძლიერი სულიერი წესები და აჩვენოს თანმიმდევრული ქრისტიანული ცხოვრება.

(7) ეკლესია უნდა უფრთხილდეს არათანმიმდევრულობას, მოუთმენლობას და უსიყვარულობას.

12 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-12 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) წერითი დავალება: წმინდა წერილის ადგილების ქვემოთ მოცემული მუხლები უნდა გადანაწილდეს სტუდენტებს შორის. თითოეულმა სტუდენტმა უნდა დაწეროს თითო აბზაცი, სადაც განმარტავს, რას გვეუბნება მისი მუხლი.

- 1 ტიმოთეს 5:13
- ტიტეს 2:3
- გალატელთა 5:15, 26
- გალატელთა 6:1
- კოლასელთა 3:8-9
- კოლასელთა 3:12-15
- ფილიპელთა 4:8
- ეფესელთა 4:29-32

გაკვეთილი 13
ქრისტიანი ლიდერის ხასიათი

ქრისტიანული ლიდერობის გამოწვევა

წმინდა წერილი, რომელსაც ჩვენ ამ გაკვეთილზე შევისწავლით, განსაკუთრებით ეხება პასტორებს (ანუ მწყემსებს) და დიაკვნებს, თუმცა აგრეთვე ეკლესიის სხვა ლიდერებსაც. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ასწავლის კლასს, ხელმძღვანელობს სახლის ეკლესიას, ან უძღვება თაყვანისცემასა თუ ღვთისმსახურებას, ასევე ლიდერია. ეს ხალხი ეკლესიის მიერ მიღებული და მოწონებული ადამიანის ნიმუშია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ისინი ქრისტიანული ხასიათის კარგ მაგალითებს წარმოადგენდნენ.

ლიდერის პიროვნული თვისებები და ხასიათი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ბუნებრივი უნარები. ღმერთი აძლევს ქრისტიან ლიდერს მისი მსახურებისთვის საჭირო უნარებს.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 ტიმოთეს 3:1-7 ჯგუფს.

ცუდი არაფერია იმაში, რომ ადამიანს პასტორის თანამდებობა სურდეს, თუ მას სწორი მოტივი აქვს. თუ მას უნდა პატივი და ძალაუფლება, ან ფინანსური მოგების შესაძლებლობა, მას არ აქვს პასტორის გული. ის უნდა ეძებდეს მსახურების შესაძლებლობას.

ჩვენ გვაქვს ორი მონაკვეთი წმინდა წერილიდან, მწყემსებისა და დიაკვნების თვისებების შესახებ. მათ შესახებ პავლე მოციქულმა მიწერა ტიმოთესა და ტიტეს. ტიმოთე ეფესოს ეკლესიებზე იყო პასუხისმგებელი; ტიტე კი კრეტას ეკლესიებზე. მათ ევალებოდათ პასტორების დანიშვნა თითოეული ადგილობრივი ეკლესიისთვის.

წარმოიდგინეთ, როგორი უნდა ყოფილიყო კაცისთვის პირველი თაობის ეკლესიის პასტორობა! მას არ ჰქონდა აკადემიური განათლება. არ არსებობდა წიგნები მსახურების შესახებ, რომ მას შეესწავლა. არ ჰქონდა სხვა პასტორების მსახურებაზე დაკვირვების საშუალება. საეკლესიო ცხოვრებაზე ხანგრძლივი თვალყურის დევნების საშუალებაც კი არ ჰქონდა, რადგან ეკლესია ახალი იყო. ახალი აღთქმის უმეტესი ნაწილიც კი არ იყო ჯერ დაწერილი.

პავლემ უთხრა ტიმოთეს, როგორ უნდა მოეპოვებინა თავისი ხალხის პატივისცემა. მან უთხრა, რომ ნიმუში ყოფილიყო სიტყვაში, საქმეში, სიყვარულში, სულში, რწმენაში, სიწმინდეში (1 ტიმოთეს 4:12). პასტორი ვერ მოიპოვებს პატივისცემას მისი მოთხოვნით.

► როგორ იმსახურებს მოძღვარი პატივისცემას?

მოციქულმა აუწყა ტიმოთეს და ტიტეს პასტორული თვისებები. ამ თვისებების უმეტესობა ეხება ქრისტიანულ ხასიათსა და სიმწიფეს და არა განსაკუთრებულ უნარებს. ამიტომ, ყოველი ქრისტიანი უნდა იყოს წახალისებული, რომ განივითაროს ეს თვისებები.

პასტორობისთვის საჭირო თვისებები

(1) უმწიკვლო

პასტორი არ უნდა იყოს დამნაშავე არასწორ ქმედებებში. მოძღვარი ვერ გაუძღვება სხვებს სიმართლისკენ, თუ ის იქცევა უმართლოდ და არასწორად. პასტორი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჩვენებს თანმიმდევრული ქრისტიანული ცხოვრების მაგალითს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ეკლესია მას ენდოს და საზოგადოებაში კარგი მოწმობა და სახელი ჰქონდეს.

(2) ერთი ცოლის ქმარი

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მრავალცოლიანობა ჩვეულებრივი წესი იყო. ღვთის განზრახვა არის, რომ კაცს ერთი ცოლი ჰყავდეს. პასტორები უნდა მაგალითის მიმცემნი იყვნენ.

(3) ფრთხილი

მოძღვარი თავისი მრევლის მფარველია. ის ფრთხილად უნდა იყოს ცრუ დოქტრინებისა და არასწორი გავლენების მიმართ. ის უნდა ასწავლიდეს თავის ხალხს, რათა ისინი დაცულნი იყვნენ თავიანთ მოძღვრებებში. ის მზად უნდა იყოს, გააფრთხილოს ცალკეული ადამიანები სულიერი საფრთხის შესახებ.

► რა მოხდება, თუ მოძღვარი არ აცნობიერებს იმ სულიერ საფრთხეებს, რომლებსაც მისი ხალხი აწყდება?

(4) აზრიანი

პასტორი აზრიანად და სერიოზულად უნდა მოეკიდოს თავის მსახურებას. ის არ უნდა იყოს იმპულსური ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებებს ძალიან სწრაფად იღებს. მას უნდა შეეძლოს მშვიდად იფიქროს მნიშვნელოვან საკითხებზე. მან არ უნდა დაუშვას, რომ მისი გონება პირადმა საზრუნავებმა, გართობამ ან ცდუნებებმა მიიპყროს.

"სახარების ქადაგება, პასტორალური ზრუნვით, რომელიც ეხება მსახურების მართვას, არის ღვთიური დაწესებული საშუალება ცოდვილთა მოქცევის და მორწმუნეთა სულიერი შეგონებისა და ზრდისთვის. ამიტომ, ყველაზე გონივრულია, რომ ღმერთმა შეარჩიოს თავისი აგენტები და სპეციალურად მოუწოდოს მათ თავის მსახურებაში.
- ჯონ მაილი, ქრისტიანული თეოლოგია

(5) წესიერი

პასტორს ანუ მოძღვარს უნდა ჰქონდეს დისციპლინირებული ქცევა. ის არ უნდა მოიქცეს შეუფერებლად. მან უნდა ისწავლოს და გამოიჩინოს პატივისცემა და მოწიწება იმ ადგილის ადათ-წესების მიმართ, სადაც მსახურობს.

(6) სტუმართმოყვარე

მოძღვარი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც პასუხობს სხვების საჭიროებებს. მას უნდა ჰქონდეს გაზიარების სურვილი. ის უნდა იყოს მეგობრული და დამხმარე, იმ ადამიანების მიმართაც კი, რომლებსაც პირველად ხვდება.

(7) განმსწავლელი

მოძღვარს უნდა შეეძლოს ჭეშმარიტების განმარტება იმგვარად, რომ ხალხმა შეძლოს მისი გაგება. მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ განათლებაზე და წიგნების კითხვაზე.

(8) არა ლოთი

მოძღვარმა არ უნდა მისცეს თავს უფლება, რომ სასმელის ზეგავლენის ქვეშ მოექცეს. ის არასოდეს არ უნდა მოიქცეს ისე, როგორც ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი ადამიანი. ეს პრინციპი ვრცელდება ნებისმიერ სხვა ნივთიერებაზე, რომელსაც აქვს მსგავსი ეფექტი.

(9) არა მოჩხუბარი

მოძღვარი ძალის გამოყენებით არ უნდა ცდილობდეს თავისი მიზნის მიღწევას. ის არ უნდა იყოს მომართული სამაგიეროს გადახდაზე მისთვის, ვინც მას შეურაცხყოფა მიაყენა. ასევე იხილეთ 2 ტიმოთეს 2:24-25.

► რა არის მოძღვარისთვის შესაფერისი გზა, რომ მან სწორი სახის ბრაზი გამოავლინოს?

(10) არა ფულის მოყვარული

ქვეყნიერებაზე ადამიანები ცვლიან თავიანთ ნათქვამს მოგების მიზნით. გარკვეული პროფესიის ადამიანები, როგორიცაა იურისტები, გამყიდველები ან პოლიტიკოსები, მიდრეკილნი არიან ჩაანაცვლონ ჭეშმარიტება და ილაპარაკონ ხალხის მოსაწონი. პასტორი, მოძღვარი ასევე განიცდის ცდუნებას, რადგან ყველას არ მოსწონს ღვთის სიტყვის ჭეშმარიტება. მოძღვარი ერთგული უნდა იყოს ჭეშმარიტების მიმართ, იქნება ეს მისთვის ფინანსურად მომგებიანი თუ არა.

მოძღვარის სურვილი უნდა იყოს, რომ ეკლესიის მსახურება მხარდაჭერილი იყოს ფინანსურად. იგი ეკლესიას ისე უნდა უძღვებოდეს, რომ ის ფუნქციონირებდეს როგორც თავის წევრებზე მზრუნველი ოჯახი და არა მუდმივად იმაზე მოიფიქრალი, თუ რა უნდა მიიღოს მათგან.

(11) თავისი სახლის კარგი მმართველი

მოძღვრის ლიდერული უნარები სახლში უნდა გამოვლინდეს. მან უნდა გააკონტროლოს თავისი შვილები. თუ ის ვერ განაგებს თავის სახლს და ოჯახს, ვერც ეკლესიას მართავს. ამაში არ იგულისხმება შვილები, რომლებიც ზრდასრულები არიან და მის ძალაუფლებას არ ექვემდებარებიან, რადგან ის უკვე აღარ არის პასუხისმგებელი მათზე.

(12) ნურც ახალმოქცეული იქნება

თუ ადამიანს ძალიან სწრაფად დააყენებენ ლიდერულ პოზიციაზე, მას სიამაყის ცდუნება გაუჩნდება. სიამაყე არის ცოდვა, რამაც სატანის დაცემა გამოიწვია. დაწინაურება უნდა ხდებოდეს თანდათანობით, გამოცდილების ზრდასთან ერთად.

► რა ზიანი შეიძლება მოჰყვეს ადამიანის პოზიციაზე სწრაფად დანიშვნას და წარუმატებლობას ამ თანამდებობაზე?

(13) კარგი რეპუტაციის მქონე (კარგი მოწმობა უნდა ჰქონდეს გარეშეთაგან)

"ყოვლისშემძლე ღმერთმა, ჩვენმა ზეციერმა მამამ, რომელმაც მოგანიჭათ კეთილი ნება ამ ყველაფრის გასაკეთებლად, მოგცეთ შეძლება და ძალაუფლება, რომ იგივე გააკეთოთ; რათა, როცა თქვენში დაასრულებს იმ კეთილ საქმეს, რომელიც მან დაიწყო, სრულყოფილები და უბიწონი იყოთ უკანასკნელ დღეს, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით. ამინ."
- ეპისკოპოსთა კურთხევა,
საერთო ლოცვის წიგნი

სანამ კაცი პასტორად დაინიშნება, მას კარგი სახელი უნდა ჰქონდეს ეკლესიის გარეთ მყოფ ხალხში. მათ უნდა იცოდნენ, რომ ის პატიოსანი და ერთგულია ყველაფერში, რასაც აკეთებს. თუ ცუდი რეპუტაცია ჰქონდა მოქცევამდე, მას, ვიდრე პასტორი გახდება, დრო დაჭირდება უკეთესი სახელის მოსაპოვებლად.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ტიტეს 1:5-11 ჯგუფს.

ტიტეს წერილში ჩამოთვლილი პასტორის თვისებების უმეტესობა. ასევე ჩამოთვლილია ამონარიდში 1 ტიმოთეს წერილიდან.

► პასტორის რომელი დამატებითი თვისებებია ჩამოთვლილი ტიტეს წერილის ამ ნაწყვეტში?

ნაწყვეტი ხაზს უსვამს პასტორის უნარს უპასუხოს ცრუ მოძღვრებას. პასტორი კარგად უნდა იყოს განსწავლული ჭეშმარიტ დოქტრინაში და შეეძლოს მისი დამაჯერებლად განმარტება. მიზანია შეუსწოროს მათ, ვინც ცრუ დოქტრინაშია, მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია, დაიცვას მრევლი შეცდომაში შეყვანისგან.

დიაკვნობისთვის აუცილებელი თვისებები

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს საქმეების 6:1-6 ჯგუფს.

► რა პრობლემაა აღწერილი ამ მონაკვეთში?

პირველი დიაკვნები სულთმოფენობის შემდეგ მალევე დაინიშნენ. მოციქულებს ლოცვასა და ქადაგებაზე ყურადღების გამახვილება სჭირდებოდათ. ეკლესიის მართვის დეტალებში დასახმარებლად შვიდი ადამიანი გამოყვეს. დიაკვანი მოძღვარს მსახურების დეტალებში ეხმარება. დიაკვანი შეიძლება იყოს მქადაგებელიც, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის.

► რა თვისებები ჰქონდათ პირველ დიაკვნებს?

ადრეულ დიაკვნებს ჰქონდათ პატიოსნებისა და სულიწმიდითა და სიბრძნით აღვსილთა სახელი. ისინი განაგებდნენ ეკლესიის ფულს, ამიტომ პატიოსნების რეპუტაცია აუცილებელი იყო. მათ საქმიანობას ეკლესიაში სულიერი გავლენა ჰქონდა, ამიტომ აუცილებელი იყო, რომ ისინი სულიწმიდით ყოფილყვნენ სავსენი, რათა ჰქონოდათ მისი მმართველობა, ცხება და სიწმინდე. ისინი ბევრ რთულ სიტუაციას უმკლავდებოდნენ, ამიტომ სიბრძნეც აუცილებელი იყო.

პავლე მოციქულმა ჩამოთვალა დიაკვნებისთვის საჭირო რამდენიმე თვისება.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 ტიმოთეს 3:8-13 ჯგუფს.

(1) პატიოსნები (პატივსაცემნი)

დიაკვანი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც პატივისცემას იმსახურებს თავის ურთიერთობებში ოჯახთან, მეგობრებთან და საზოგადოებასთან.

(2) არა ორპირნი

დიაკვანი უნდა იყოს სანდო ყველაფერში, რასაც ამბობს. ის მოისმენს ეკლესიის ხალხის გაკრიტიკებას და გაკიცხვას და ბევრ მოსაზრებას ეკლესიის პრობლემების შესახებ. ის გულწრფელი ადამიანი უნდა იყოს.

(3) არა ღვინოს მიძალებულნი

დიაკვანი არ უნდა იყოს ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანი. მისი ქცევა უნდა იყოს პატივსაცემი და თანმიმდევრული.

(4) არა ანგარნი

დიაკვანი პასუხისმგებელი იქნება ეკლესიის ფულის მართვასა და ეკლესიაში მყოფი ხალხის საჭიროებებზე ზრუნვაზე. ის არ უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ცდილობს თავისი მსახურებიდან მოგება და სარგებელი მიიღოს.

(5) რწმენის საიდუმლოს შემნახველნი წრფელი სინდისით

როდესაც ადამიანი ცოდვაში ვარდება, ის ხშირად იწყებს არასწორი მოძღვრების დაჯერებას. თუ ადამიანი სულიერ გამარჯვებაში ცხოვრობს, ის უფრო მეტად იცავს და მისდევს ჭეშმარიტ სწავლებას.

(6) გამოცდილნი

სანამ ადამიანს დიაკვნის პასუხისმგებლობა მიენიჭება, მას უნდა ჰქონდეს საშუალება აჩვენოს, რომ ბრძენი და სანდოა მსახურებაში. ბრძენი ლიდერები, სანამ ადამიანებს ძალაუფლების თანამდებობებს მიანიჭებენ, მისცემენ მათ შესაძლებლობას უბრალოდ იმსახურონ.

► ჩამოთვალეთ რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ შეუძლია ადამიანს დაეხმაროს ეკლესიას მსახურებაში ძალაუფლების თანამდებობის მინიჭების გარეშე?

(7) ცოლებიც ღირსეული უნდა იყვნენ

დიაკვნის მსახურება ზარალდება, თუ მისი ცოლი ჭორაობს და არ არის ქრისტიანობის კარგი მაგალითი.

(8) სახლის კარგი მმართველნი

მოძღვრის მსგავსად, დიაკვანსაც კარგად უნდა შეეძლოს თავისი სახლის მართვა.

მიძღვნილი ჯგუფის პრიორიტეტი

ეკლესია არის მორწმუნეთა ჯგუფი, რომლებმაც აიღეს ვალდებულებები ღვთისა და ერთმანეთის წინაშე, გაერთიანდნენ ადგილობრივი ეკლესიის მისიის შესასრულებლად. მსახურებისთვის საჭირო საქმიანობა და რესურსები სწორედ ამ ჯგუფიდან მოდის. ამ ჯგუფის გარეშე ეკლესია არ არსებობს.

უცხო ადამიანი, რომელიც რაიმე დაწესებულებაში შედის, მნიშვნელოვანია, რადგან ის პოტენციური მომხმარებელია. ანალოგიურად, ეკლესიის სტუმარი მნიშვნელოვანია, რადგან ის მიძღვნილი ჯგუფის პოტენციური წევრია. ბიზნესისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი ის არის, ვინც მუდმივი მომხმარებელია. ეკლესიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია ის, ვინც ეკლესიის ერთგულია.

ამიტომ, ეკლესიის საკადრო პოზიციები უნდა ემსახურებოდეს მიძღვნილ ჯგუფს. ყველა პასტორსა და მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მიზანი, ემსახუროს ჯგუფის წევრებს და მოიზიდოს მეტი ადამიანი ამ ჯგუფში. ჯგუფი იზრდება მაშინ, როდესაც ადამიანები გადარჩენას იღებენ და თავს უძღვნიან ეკლესიას, ან როდესაც ადამიანები, რომლებიც უკვე გადარჩენილნი არიან, აცნობიერებენ, რომ მათ სჭირდებათ ჯგუფისადმი ერთგულება. ეკლესიის თანამშრომლებმა უნდა შეისწავლონ ჯგუფის საჭიროებები და იზრუნონ მომოწაფებაზე, სულიერ დამეგობრებაზე, მსახურებისთვის მომზადებაზე და მოზიარეობის ფორმებზე. მათ უნდა უხელმძღვანელონ ჯგუფს ერთობლივ საქმიანობაში, ჯგუფში მყოფთა ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

როგორც რწმენის ოჯახი, ეკლესია გამოყოფს ადამიანურ რესურსებს და პოულობს ღვთაებრივ რესურსებს, რათა დააკმაყოფილოს მოზიარეობაში მყოფების ყველა საჭიროება, რათა დაანახოს ქვეყნიერებას ღვთის სიბრძნე, ცხოვრების ყველა ასპექტში და მოუწოდოს გადარჩენის არმქონე ადამიანებს მოექცნენ და შემოუერთდნენ ღვთის ოჯახს.

► რა იქნება პრიორიტეტული ეკლესიის ლიდერებისთვის, ერთმანეთისადმი მიძღვნილ მორწმუნეთა ჯგუფის ჩამოყალიბებაში?

ეკლესიის სულიერი პრიორიტეტი

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური საკითხები აუცილებელია ეკლესიისთვის (პასტორალური მხარდაჭერისთვის, მრევლზე ზრუნვისთვის და სხვა ადგილობრივი მსახურებებისთვის), ეკლესია ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს მახარებლობისა და მომოწაფების სულიერ პრიორიტეტებზე. პასტორი პირველ რიგში

სულიერი წინამძღოლი უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ პასტორი არ უნდა იყოს ზედმეტად დატვირთული საქმიანობის მენეჯმენტით. იდეალურია, რომ ეკლესიის წევრებს ჰქონდეთ სამუშაო ან ბიზნესი, საიდანაც ისინი იძლევიან მეათედს. ეკლესიის მიერ წარმოებული ბიზნესის შემთხვევაში, სანდო დიაკვნებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი. პირველი დიაკვნები დანიშნეს, რათა მოციქულებს თავი მიეძღვნათ ლოცვისა და სიტყვის მსახურებისთვის (საქმეები 6:2-4).

პასტორის თვისებები, რომელიც კარგად ხელმძღვანელობს

კლასმა უნდა განიხილოს თითოეული პუნქტის მნიშვნელობა. განხილვა დაიწყოს კითხვით: „რატომ არის ეს თვისება მნიშვნელოვანი?"

(1) მისი ერთგულება და თავდადება მხოლოდ ეკლესიას ეძღვნება.

(2) მას სურს შექმნას მსახურების გუნდი და გამოიყენოს სხვების შესაძლებლობები.

(3) ის უძღვება თავის ეკლესიას სულიერი ოჯახის ცხოვრების მოზიარეობაში, რათა ყველამ იზრუნოს არსებულ საჭიროებებზე პასუხის გასაცემად.

(4) ის ემსახურება თავის ეკლესიას ღვთისა და ხალხის სიყვარულით და არა პირადი სარგებლობისთვის.

(5) სულიერი პრიორიტეტები, როგორიცაა თაყვანისცემა, მახარობლობა და სულიერი ზრდა, მისი მსახურების ყურადღების ცენტრშია.

(6) ის სარგებლობს თავისი ხალხის ნდობით.

(7) მას სურს ააშენოს ეკლესია, როგორც მუდმივი დაწესებულება, რომელიც მას არ ეკუთვნის.

(8) ის მიჰყავს ეკლესიას სიმწიფისკენ, ასწავლის რა მეათედის და მოზიარეობის შესახებ, რომელიც ყველა საჭიროებას პასუხობს.

(9) ის გულწრფელი და პატიოსანია ყველაფერში, მათ შორის ფულშიც.

(10) ის აჩვენებს ფულის და ხალხის კარგად მართვის უნარს.

მსახურების პროექტის ლიდერის თვისებები

საეკლესიო საწარმოს მართვისთვის შერჩეულ ადამიანს ეს თვისებები უნდა ჰქონდეს. ეკლესიის ლიდერებმა უნდა იმუშაონ, ამ თვისებების განსავითარებლად იმ წევრებში, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ ეკლესიის პასუხისმგებლობებში და შეუერთდნენ ლიდერთა გუნდს.

კლასმა უნდა განიხილოს თითოეული პუნქტის მნიშვნელობა. განხილვა დაიწყოს კითხვით: „რატომ არის ეს თვისება მნიშვნელოვანი?"

(1) ის ერთგულია ადგილობრივი ეკლესიის მიმართ დასწრებაში, მეათედსა და მონაწილეობაში და აქვს სანდო ქრისტიანის სახელი.

(2) ის უკვე დებს თავის ძალისხმევას და ვნებას ადგილობრივ ეკლესიაში.

(3) ის იჩენს სრულ პატიოსნებას და ეთიკის მაღალ გრძნობას.

(4) ის უკვე იჩენს ინიციატივას და მოტივაციას, რომ თავისი მაქსიმუმი გააკეთოს.

(5) ის არის მოწესრიგებული, მოტივირებული და მუდმივად ვითარდება.

(6) ის იჩენს სხვების ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის უნარს და არა მხოლოდ სხვისი ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობის უნარს.

(7) მას აქვს პროექტში მისი როლისთვის საჭირო კომპეტენცია.

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) ლიდერის პიროვნული თვისებები და ხასიათი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ბუნებრივი უნარები.

(2) ადამიანმა ლიდერობამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა გამოავლინოს ქრისტიანული თვისებები.

(3) პირი, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა ეკლესიაში, არის ეკლესიური ხასიათის მაგალითი.

(4) ფინანსური მართვა აუცილებელია ეკლესიაში პასტორალური მხარდაჭერისთვის, თემზე ზრუნვისთვის და სხვა ადგილობრივი მსახურებებისთვის.

(5) ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული უნდა იყოს მახარებლობისა და მომოწაფების სულიერ პრიორიტეტებზე.

(6) ეკლესიის ლიდერებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ ადამიანთა ჯგუფის განვითარებაზე, რომლებიც ეკლესიისადმი ერთგულები და მიძღვნილები არიან.

(7) ეკლესია უნდა ჩამოყალიბდეს მრევლის კუთვნილ მუდმივ დაწესებულებად.

13 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-13 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) წერითი დავალება: შეისწავლეთ ეზეკიელის 34:1-10 და დაწერეთ რამდენიმე წინადადება, რომელიც აჯამებს ამ მუხლების მთავარ აზრს.

გაკვეთილი 14
სულიერი ნიჭები

სულიერი ნიჭის განსაზღვრება

სულიერი ნიჭი არის სულიწმიდის მიერ მორწმუნესთვის მიცემული უნარი ეკლესიის მსახურებაში გამოსაყენებლად. ეს არის სულიწმიდის მოქმედება მორწმუნის მეშვეობით, მაგრამ მორწმუნე აკეთებს არჩევანს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებს თავის ნიჭს და შეიძლება ის არასათანადოდ გამოიყენოს. სულიერი ნიჭი იგივე არ არის, რაც ბუნებრივი უნარი, მაგრამ ნიჭებს შეიძლება თან ახლდეს ბუნებრივ უნარებიც, რაც ადვილად არ განირჩევა ერთმანეთისგან.

სულიერი ნიჭების ჩამონათვალი

სულიერი ნიჭები და მსახურების ფუნქციები ჩამოთვლილია ახალ აღთქმაში რამდენიმე ადგილას. ჩამანათვალები მსგავსია, მაგრამ არა იდენტური. ბიბლია არ გვაძლევს ყველა სულიერი ნიჭის ჩამონათვალს.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს ეფესელთა 4:7-12 ჯგუფს.

7-8 მუხლები გვეუბნება, რომ ღვთის მადლი ეძლევა ყოველ ადამიანს სულიერი ნიჭის სახით. როგორც ჩანს, მოციქული არ საუბრობს ხსნის მადლზე, რადგან მე-11 მუხლში მან ჩამოთვალა რამდენიმე მსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობა, რომელსაც ღმერთი იძლევა.

ღმერთი მოუწოდებს ადამიანებს გარკვეულ მსახურებებში და აძლევს მათ საჭირო სულიერ ნიჭებს. პავლემ ჩამოთვალა რამდენიმე მსახურება, ნაცვლად იმისა, რომ ჩამოეთვალა სულიერი ნიჭები, როგორც ეს გააკეთა 1 კორინთელთა წერილში. მსახურების ჩამოთვლილი ფუნქციებია: მოციქული, წინასწარმეტყველი, მახარებელი, მოძღვარი და მასწავლებელი. ცხადია, ეს არ გულისხმობს, რომ ეს არის მსახურებისთვის საჭირო ყველა ფუნქცია-მოვალეობის სრული სია.

მოციქული

მოციქულები მიზანმიმართულად იყვნენ არჩეულნი, რათა მათ განევრცოთ ეკლესია იესოს მიწიერი მსახურების შემდეგ. ისინი ცნობილნი იყვნენ სასწაულებით თავიანთ მსახურებაში (2 კორინთელთა 12:12). ისინი ყველანი პირადად იცნობდნენ იესოს მისი მიწიერი მსახურების დროს (1 კორინთელთა 9:1, საქმეები 1:21-22).

გამოცხადების წიგნში ვკითხულობთ, რომ

ქალაქის გალავანს თორმეტი საძირკველი წარმოადგენს თორმეტ მოციქულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი უნიკალური იყვნენ ეკლესიის ისტორიაში (გამოცხადება 21:14). სხვა მუხლები, რომლებიც გულისხმობს, რომ არსებობს მხოლოდ თორმეტი მოციქული, არის მათე 10:2 და საქმეები 1:26. იუდას 17 თავი გულისხმობს, რომ მოციქულები წარსულში იყვნენ. დღეს ცოცხალი მოციქულები არ არიან.

წინასწარმეტყველი

ზოგიერთი ადამიანი ვარაუდობს, რომ წინასწარმეტყველება არის მომავალი მოვლენების წინასწარ თქმა, ხოლო ახალი აღთქმა ქადაგებას წინასწარმეტყველებად მოიხსენიებს. ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველება ხშირად მოიცავდა წინასწარ რაიმეს უწყებას, რადგან ეს იყო ერთ-ერთი გზა, რომლითაც წინასწარმეტყველი ამტკიცებდა, რომ მისი გზავნილი ღვთისგან იყო. ძველი აღთქმის დროს, ბიბლიის დიდი ნაწილი არ იყო დაწერილი.

წინასწარმეტყველი არის ადამიანი, რომელიც იღებს ცნობას ღვთისგან, რომელიც შეიძლება შეიცავდეს, შეიძლება არ შეიცავდეს წინასწარ წარმოთქმულ უწყებას. მისი მთავარი აზრის, შეტყობინების ავტორიტეტი, როგორც წესი, არის ბიბლია.

მახარებელი

სიტყვა *მახარებელი* მომდინარეობს სიტყვიდან სახარება. მახარებელი არის ადამიანი, რომელიც უქადაგებს სახარებას ცალკეულ პირებს, ან ჯგუფებს. ყველა ქრისტიანმა უნდა გაავრცელოს სახარება, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მიცემული აქვს განსაკუთრებული ნიჭი ამ საქმისთვის. მოძღვარმა უნდა აქციოს მახარებლობა მისი მსახურების ნაწილად (2 ტიმოთეს 4:5).

მოძღვარი/მწყემსი/პასტორი

მოძღვარი, ანუ პასტორი არ არის მხოლოდ მქადაგებელი, არამედ ის პიროვნებაა, რომელიც სულიერად ზრუნავს ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფზე.

მასწავლებელი

ეკლესიაში მასწავლებელი არის ის, ვინც სხვებს უხსნის ბიბლიურ და სულიერ ჭეშმარიტებას. ყველა პასტორი უნდა იყოს მასწავლებელი (1 ტიმოთეს 3:2, ტიტეს 1:9), მაგრამ სხვებსაც, ვიც არ არიან მოძღვრები, ასევე ეძლევათ მასწავლებლობის ნიჭი.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს რომაელთა 12:6-8 ჯგუფს.

აქ მოციქული ამბობს, რომ ადამიანმა თავისი ძალისხმევის კონცენტრირება უნდა მოახდინოს ღვთისგან ბოძებულ ნიჭზე და არ გაფანტოს ძალები და დრო სხვადასხვა სახის მსახურებაზე.

რამდენიმე სპეციალური შეგონება გაცემულია გარკვეული სახის მსახურებებისთვის. მაგალითად, ის, ვინც ხელმძღვანელობს, უნდა იყოს შრომისმოყვარე, ასრულებდეს პასუხისმგებლობებს არა მხოლოდ მაშინ, როცა მას სურს, არამედ ყოველთვის. ვინც გასცემს, ანუ თესავს, არ უნდა გააკეთოს ეს ისე, რომ ყურადღება მიიპყროს, არამედ უნდა გასცეს უბრალოდ. ადამიანი, რომელიც „მოწყალებას იჩენს“ და ეხმარება გადაუდებელი საჭიროებების მქონე ადამიანებს, ეს უნდა გააკეთოს მონდომებით და არა უხალისოდ.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 12:28 ჯგუფს.

ცხადია, პავლეს არ განუზრახავს ამ მუხლში ყველა ნიჭის ან მსახურების ფუნქციის სრული ჩამონათვალის მოცემა. მაგალითად, მას არ უხსენებია პასტორები ამ ჩამონათვალში, თუმცა ახსენებდა მათ ეფესელების წერილში.

მოციქულები, წინასწარმეტყველები და მასწავლებლები უკვე განვიხილეთ ამ გაკვეთილზე.

ზოგიერთი ადამიანი მოწოდებულია სასწაულმოქმედებისა და განკურნების მსახურებაში. ყველა მორწმუნეს აქვს პრივილეგია, ილოცოს სასწაულებისთვის და ღმერთი უპასუხებს რწმენაზე. თუმცა, ზოგიერთ მორწმუნეს აქვს ღვთის ნების გარჩევისა და სასწაულების რწმენის ნიჭი.

ზოგიერთ ადამიანს აქვს დახმარების ნიჭი. ისინი უფრო სწრაფად ხედავენ საჭიროებებს, ვიდრე სხვა ადამიანები. ისინი ამჩნევენ შესაძლებლობებს, დაეხმარონ ცალკეულ საჭიროებებს ან ეკლესიის საქმიანობას. მათ აქვთ სხვადასხვა პრაქტიკული უნარები.

ზოგს ხელმძღვანელობის და ადმინისტრირების განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვთ მიცემული. ბევრი ფიქრობს, რომ ლიდერები ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები არიან, მაგრამ ლიდერობა უსარგებლო იქნებოდა ეკლესიაში სხვა ნიჭების გარეშე.

ენების ნიჭი ბოლოა ჩამონათვალში. შესაძლოა მოციქულს სურდა შეესწორებინა მათთვის, ვინც ფიქრობდა, რომ ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ნიჭი.

პრინციპები პეტრესგან

მოციქულმა პეტრემ მოკლედ ჩამოაყალიბა სულიერი ნიჭების ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპები.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 პეტრეს 4:10-11 ჯგუფს.

ამ მუხლებში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ სულ მცირე ექვსი მნიშვნელოვანი პუნქტი სულიერი ნიჭების შესახებ.

(1) მორწმუნეებს ღმერთის მიერ მიცემული სულიერი ნიჭები მიენდოთ. ამიტომ ვალდებულნი არიან ისინი არა როგორც პირადი საკუთრება, არამედ ღმერთის ინტერესებში გამოიყენონ. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ღმერთის წინაშე სულიერი ნიჭების გამოყენებაზე.

(2) ნიჭები უნდა იქნას გამოყენებული სხვებისთვის. ისინი არ არის გამიზნული პირადი პოპულარიზაციისთვის ან მოგებისთვის.

(3) ღვთის მადლი მრავალფეროვანია („მრავალგვარი“). უამრავი ნიჭი არსებობს.

(4) ადამიანის მეტყველება უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიას.

(5) ადამიანი თავის მსახურებაში უნდა დაეყრდნოს ღვთის ძალას.

(6) ყველა მსახურება ღმერთის განდიდებას უნდა ისახავდეს მიზნად.

პრინციპები პავლესგან

კორინთოს ეკლესია მრავალი სულიერი ნიჭით იყო დაჯილდოებული. მათ ჰქონდათ გარკვეული გაუგებრობები, ამიტომ პავლე მოციქულმა მათ მისცა განმარტება სულიერი ნიჭების შესახებ 1 კორინთელთა 12-14.

წმინდა წერილის ეს თავები გვასწავლის მრავალ პრინციპს სულიერი ნიჭების შესახებ. რამდენიმე პრინციპი აქ გვიწერია ჩვენ მიერ შესასწავლად.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 12:1-3 ჯგუფს.

(1) ***დოქტრინალური გამოცდის პრინციპი: სულიერი გამოცდილება უნდა შეფასდეს იმ ჭეშმარიტებით, რომელიც ჩვენ ვიცით.***

კორინთელი მორწმუნეები მანამდე კერპთაყვანისმცემლები იყვნენ. კერპები არ ლაპარაკობენ, მაგრამ სულები ლაპარაკობენ. მრავალი წარმართული რელიგიის მიმდევრები თავიანთ თავებს უთმობენ სულების ქმედებებს. როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ ნებისმიერი სულიერი გამოცდილება კარგია. ისინი ეძებენ უაზრო

ტრანსებს ან ემოციურ გაშმაგებას. მათ უხარიათ, რომ ექცევიან სულის კონტროლის ქვეშ, მაშინაც კი, თუ ის აიძულებს მათ ილაპარაკონ ან იმოქმედონ გიჟურად ან უხამსად.

მოციქულმა გაგვაფრთხილა, რომ არც ერთი ადამიანი, ვინც სულიწმიდით ლაპარაკობს, არ იტყვის ცუდს იესოზე. თუ ბოროტი სული დაეუფლება თაყვანისმცემლობას, ეს აიძულებს ადამიანებს შეურაცხყოფა მიაყენონ ღმერთს თავიანთი მოქმედებებითა და სიტყვებით. სულიწმინდა არ მოიქცევა ისე, რომ შეურაცხყოს ღმერთი.

> "და მაინც, ყველა, ვინც სულით ლაპარაკობს, არ არის წინასწარმეტყველი, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს უფლის გზები. მისი გზებით ამოიცნობა ცრუწინასწარმეტყველიც და წინასწარმეტყველიც".
>
> - დიდაქე, (დაწერილია ეკლესიის I საუკუნეში)

არ უნდა ვიფიქროთ, რომ სულიერი მოქმედება კარგია მხოლოდ იმიტომ, რომ ის ზებუნებრივია. გამოცდა აქ შესაპირისპირებელია 1 იოანეს 4:1-3-თან. თუ სული ამბობს ღვთის სიტყვის საწინააღმდეგოს, ეს არ უნდა იქნას მიღებული.

► რომელი რელიგიები აძლევენ ბოროტ სულებს მრევლის კონტროლისა და მართვის უფლებას?

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 12:4-11 ჯგუფს.

(2) ***ნიჭების მრავალფეროვნების პრინციპი: სულიწმიდა მოქმედებს ყველა მორწმუნეში, მაგრამ სხვადასხვა გზით.***

ეს მუხლები ხაზს უსვამს იმას, რომ ერთი სულიწმიდა მოქმედებს მრავალი, სხვადასხვა გზით. ის ირჩევს, როგორ გაანაწილოს სულიერი ნიჭები. ყოველ მორწმუნეს თითო სულიერი ნიჭი მაინც აქვს. არავის აქვს ყველა ნიჭი.

ეკლესიის წევრმა უნდა გამოიყენოს თავისი ნიჭი სხეულის სასარგებლოდ. ღმერთს მისთვის ნიჭი საკუთარი სარგებლისათვის არ მიუცია.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 12:12-26 ჯგუფს.

(3) ***სხეულის პრინციპი: ეკლესიის თითოეული წევრი მნიშვნელოვანია და თითოეულ წევრს სჭირდება სხვები.***

მოციქულმა ეკლესიის წევრები ფიზიკური სხეულის ასოებს შეადარა. მათ აქვთ განსხვავებული უნარები და მიზნები. სხეულის არცერთმა წევრმა არ უნდა იფიქროს, რომ სხვა წევრის მსგავსი უნდა იყოს, რათა იყოს სხეულის ნაწილი. მაგალითად, ყურმა არ უნდა იფიქროს, რომ ის თვალი უნდა იყოს, რათა სხეულში იყოს. არ არსებობს

კონკრეტული ნიჭი, რომელიც ადამიანს უნდა ჰქონდეს იმისათვის, რომ იყოს სხეულში.

არცერთმა წევრმა არ უნდა იფიქროს, რომ თავისი ნიჭების გამო მას არ სჭირდება სხვა წევრები, ანუ ასოები. სხეული კარგად ვერ ფუნქციონირებს ყველა ორგანოს გარეშე.

ზოგიერთი ნიჭი სხვებზე მეტ ყურადღებას იპყრობს. ადამიანები ფიქრობენ, რომ გარკვეული ნიჭები სულიერი მდგომარეობის ნიშნებია. ღმერთი წყვეტს, როგორ გასცეს ნიჭები და არ არსებობს ნიჭის თანმდევი სულიერი მდგომარეობა.

► რას ეტყოდით მას, ვინც თვლის, რომ ადამიანი, რომელიც ქადაგებს, ყოველთვის უფრო სულიერია, ვიდრე ის, ვინც ეკლესიის შენობას ასუფთავებს?

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 12:27-31 ჯგუფს.

(4) ***მსახურების ფუნქცია-მოვალეობების პრინციპი: ღმერთი აძლევს თითოეულ წევრს იმას, რაც მას თავისი კონკრეტული მსახურების შესასრულებლად სჭირდება.***

წმინდა წერილის ეს ნაწილი აჯამებს მე-12 თავს. ღმერთი მოუწოდებს ადამიანებს შეასრულონ სხვადასხვა მსახურება. მსახურება იმისთვის კი არ არის, რომ ადამიანმა საკუთარი დაწინაურებისთვის გამოიყენოს, არამედ, რათა ეკლესიას ემსახუროს.

კლასის ხელმძღვანელმა უნდა წაიკითხოს კითხვები 12:29-30-ში ხოლო კლასმა უნდა უპასუხოს. მაგალითად, როდესაც კლასის ხელმძღვანელი კითხულობს კითხვას „ყველა მოციქულია?“ კლასმა უნდა თქვას „არა.”

რადგან მსახურებები სხვადასხვაა, ნიჭებიც სხვადასხვაა. პავლემ დასვა კითხვების სერია, რომელთაგანაც თითოეულზე პასუხად „არა“ იგულისხმებოდა. ის პირდაპირ ამბობს, რომ არ არსებობს ისეთი ნიჭი, რომელიც ყველა მორწმუნეს ექნება.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 1 კორინთელთა 13 ჯგუფს.

(5) ***სიყვარულის პრინციპი: სიყვარული მარადიული პრიორიტეტია, ხოლო სულიერი ნიჭები არ არის მუდმივი.***

პირველი სამი მუხლი გვაჩვენებს, რომ სიყვარულის ნაკლებობას ვერ ავანაზღაურებთ დიდი ბუნებრივი ტალანტით, სულიერი ნიჭით ან პირადი მსხვერპლით.

პირადი შემოწმებისთვის, სცადეთ თქვენი სახელის ჩასმა სიტყვა სიყვარულის ნაცვლად 4-7 მუხლებში და დაფიქრდით, რამდენად შეესაბამება ეს რეალობას.

მე-11 მუხლი არ არის მოწოდება სიმწიფისაკენ. მოციქულმა ჩვენი მიწიერი ცხოვრება ბავშვობას შეადარა, სამოთხეში ცხოვრება კი - ზრდასრულობას. ოდესმე ჩვენ აღარ

დაგვჭირდება ის, რაც ახლა გვჭირდება. წინასწარმეტყველება და ცოდნის ნიჭები ახლა საჭიროა, რადგან ჩვენი გაგება არასრულია. მარადისობაში ის სულიერი ნიჭები არ იქნება საჭირო და „საბავშვო ნივთებივით“ ჩამოგვშორდება. ოდესმე რწმენა და იმედიც კი აღარ იქნება საჭირო, რადგან ყველაფერი შესრულდება, მაგრამ სიყვარული კვლავაც უმთავრეს ღირებულებად დარჩება.

1 კორინთელთა მე-14 თავი ხაზს უსვამს ერთ პრინციპს: კომუნიკაციის პრინციპს. ამ თავში სხვა ჭეშმარიტებებიც ისწავლება, მაგრამ მოციქულმა ეს პრინციპი არაერთხელ განმარტა და ილუსტრირებაც გაუკეთა.

(6) ***კომუნიკაციის პრინციპი: მსახურება დამოკიდებულია ჭეშმარიტების გასაგებად გადმოცემაზე.***

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 14:1-5 ჯგუფს.

ქადაგება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უცხო ენენზე ლაპარაკი.

წინასწარმეტყველება არ ნიშნავს მხოლოდ მომავალი მოვლენების წინასწარ უწყებას. წინასწარმეტყველება არის ქადაგება. ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველება ხშირად მოიცავდა მოვლენების წინასწარ უწყებას, რადგან ეს იყო ერთ-ერთი გზა, რომლითაც წინასწარმეტყველი ამტკიცებდა, რომ მისი გზავნილი ღმერთისგან იყო. ძველი აღთქმის დროს, ბიბლიის დიდი ნაწილი ჯერ არ იყო დაწერილი.

დღეს მქადაგებელს შეუძლია ბიბლიიდან იქადაგოს და აჩვენოს, რომ მისი ცნობა ღვთისგანაა. ჯერ კიდევ არსებობს ზებუნებრივი ასპექტი, რადგან ღმერთი მქადაგებელს აძლევს განსაკუთრებულ გაგებას და ჭეშმარიტებას სხვადასხვა სიტუაციებში.

ლაპარაკი არაფრის მომცემია, თუ ადამიანებს არ ესმით ენა, რომელზეც ლაპარაკობენ. თუ ადამიანი საუბრობს ენაზე, რომელიც სხვებმა არ იციან, მხოლოდ ღმერთს ესმის მისი.

ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ სიტყვები „არავის ესმის“ ნიშნავს, რომ მოსაუბრეს საკუთარ თავისაც კი არ ესმის, მაგრამ ეს არ არის ამ წინადადების შესაფერისი და ნამდვილი მნიშვნელობა. თუ გერმანელმა დაამოწმა ჩვენს ეკლესიაში და ჩვენ მოგვიანებით ვთქვით: "არავის ესმოდა მისი", ჩვენ არ ვგულისხმობთ, რომ მასაც არ ესმოდა საკუთარი თავის.

თუ ენებით საუბარი არ არის განმარტებული, ეკლესიის აღმშენებლობა არ ხდება.

► რა უნდა მოიმოქმედოს მოძღვარმა, პასტორმა იმ ადამიანთან მიმართებით, ვინც ხშირად ლაპარაკობს ეკლესიაში ენებზე, რომელიც არავის ესმის და არავინ განმარტავს?

მე-5 მუხლში პავლემ თქვა, რომ კარგი იქნებოდა, რომ ყველა მათგანს ჰქონოდა ენების ნიჭი; მაგრამ აგრეთვე იხილეთ I კორინთელთა 4:8 და 7:7. მან 4:8-ში თქვა, რომ კარგი იქნებოდა, რომ ისინი მეფობდნენ, მაგრამ სინამდვილეში არ ელოდა მათგან ამას, რადგან მოციქულებიც კი იტანჯებოდნენ. მან თქვა 7:7-ში, რომ კარგი იქნებოდა, თუ ყველა მათგანი მასავით დაუქორწინებელი იქნებოდა; მაგრამ მან თქვა, რომ ყველა არ არის მოწოდებული ამისთვის და ჩვენ ვიცით, რომ ქორწინება არის ღმერთის მიზანი ადამიანების უმეტესობისთვის. 14:5-ში ის უბრალოდ ადასტურებს, რომ კარგი იქნება, რომ ყველას ჰქონდეს ენების ნიჭი; ის არ გულისხმობს, რომ ეს ყველას ექნებოდა. 12:29-30-ში ის ნათლად აჩვენებს, რომ არ არსებობს კონკრეტული ნიჭი, რომელიც ყველას უნდა ჰქონდეს.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 14:6-19 ჯგუფს.

მეტყველება უსარგებლოა, თუ ის გაუგებარია.

მე-6 მუხლში მოციქულმა დაუსვა კითხვა: „რა სარგებლობას მოგიტანთ?" თუ რამე ვერ გაიგეთ, სარგებელს ვერ მოგიტანთ. მუსიკალურ ინსტრუმენტებზეც კი რაღაც ნიმუშის ან მელოდიის მიხედვით უნდა დაუკრათ, თორემ აზრი არ აქვს, მხოლოდ ხმაური იქნება. საყვირები გამოიყენება ჯარში სიგნალების მისაწვდენად. თუ საყვირი გამოსცემს ხმებს, რომლებიც არ არის შეთანხმებული სიგნალები, არავინ იცის, მტერს შეუტიოს, თუ კარვები ჩაალაგოს. კომუნიკაციაა ის, რაც მთელი ამ თავის ყურადღების ცენტრშია.

სიტყვები, რომლებიც გაუგებარია, უბრალოდ"ჰაერში" იკარგება (9). ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი სიტყვები უსარგებლოა.

პავლემ თქვა, რომ თუ ადამიანებს ერთმანეთის არ ესმით, ისინი ერთმანეთის თვალში არაცივილიზებულ ადამიანებად გამოიყურებიან (11). თუ ადამიანს სურს გააგრძელოს გაუგებრად საუბარი, ის არ ცდილობს ეკლესიის აშენებას, არამედ ცდილობს მიაღწიოს საკუთარ მიზანს (12).

► რა მიზეზები შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, რომ ილაპარაკოს ისეთი რამ, რაც არავის ესმის?

პავლემ თქვა, რომ თუ ადამიანი ლაპარაკობს სხვა ადამიანებისთვის უცნობ ენაზე, მისი საკუთარი გონება უნაყოფოა (14). პავლეს არ უთქვამს, რომ ადამიანს არ შეუძლია

საკუთარი თავის გაგება, არამედ ის, რომ მისი საკუთარი გაგება სხვებისთვის სიკეთეს ვერ მოიტანს.

მან თქვა, რომ საუკეთესო გზა არის მსახურების აღსრულება სულით და ამავე დროს გონებით (15). სულში ყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის გაგება შეუძლებელია.

მან თქვა, რომ უმეცარი ადამიანი, დიდი ალბათობით, ვერ გაიგებს ნათქვამს (16). ეს ადასტურებს, რომ ის ნამდვილ ენებზე ამბობს. მან თქვა, რომ ჩვენ არ უნდა ვთქვათ "ამინ" იმაზე, რაც არ გვესმის.

პავლემ თქვა, რომ მოხარულია, რომ ბევრ ენაზე ლაპარაკობს. თუმცა, მან თქვა, რომ ხუთი გასაგები სიტყვა უკეთესია, ვიდრე ათი ათასი გაუგებარი (18-19).

"ღვთის სიტყვისა და პირველი ეკლესიის ჩვეულებისთვის სრულიად შეუთავსებელი და წინააღმდეგობრივი რამ არის ეკლესიაში საჯარო ლოცვა ან წესჩვეულებების და საიდუმლოებების აღსრულება ხალხისთვის გაუგებარ ენაზე". - მეთოდისტური ეკლესიის რელიგიის სტატიები

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 14:20-25 ჯგუფს.

სულით ცხებული სიტყვები, რომლებიც გასაგებია, განადიდებს ღმერთს.

ენების ნიჭის მიზანი სახარების გადმოცემაა (იხილეთ მარკოზის 16:15-17).

ზოგ ადამიანს მიაჩნია, რომ ენების ნიჭი არის ნიშანი იმისა, რომ მოსაუბრეს აქვს სულიწმინდა, მაგრამ 22-ე მუხლი ამბობს, რომ ენების ნიჭი არ არის ნიშანი, რომელიც რაიმეს ამტკიცებს მორწმუნეებში. ეს ნიშნავს, რომ ნიჭი არაფერს უმტკიცებს მას, ვისაც ის აქვს, ან მორწმუნეებს, ვინც მას ხედავს. ეს არის ნიშანი ურწმუნოებისთვის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი გამოყენება შესაძლებელია სახარების გასაგებად გადმოსაცემად.

არ არის გამორიცხული, სულიერმა ნიჭმა განაგრძოს ადამიანში მოქმედება მაშინაც კი, თუ ის კვლავ ცოდვაში ჩავარდება და ღმერთთან ურთიერთობას გაწყვეტს. მაშასადამე, სულიერი ნიჭი არ ადასტურებს, რომ ადამიანი სწორად იქცევა, ან თუნდაც, რომ გადარჩენა აქვს.

თუ ეკლესიის სტუმარი მოისმენს მათ ლაპარაკს და ვერ გაიგებს, იფიქრებს, რომ ისინი გიჟები არიან. მაგრამ თუ ურწმუნო მოისმენს ჭეშმარიტებას, რომელიც ამხელს მის გულს, ის მიხვდება, რომ ღმერთი იქ არის.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 14:27-35 ჯგუფს.

(7) *წესრიგის პრინციპი: ეკლესიამ უნდა დაიცვას წესრიგი ღვთისმსახურებაში.*

მოციქულმა იკითხა: "რატომ ჰგონია ყველას, რომ რაიმეს გაკეთება სჭირდება მსახურებაში?" კორინთელი მორწმუნეები ფიქრობდნენ, რომ ადამიანი მნიშვნელოვანი იყო, თუ ის ლაპარაკობდა, ან ხელმძღვანელობდა ღვთისმსახურებას, ამიტომ ყველას სურდა ამის გაკეთება.

მისი თქმით, თუ ადამიანი საუბრობს იმ ენაზე, რომელიც სხვებს არ ესმით, ის უნდა განიმარტოს. თაყვანისცემისა და ღვთისმსახურებისას მათ დიდი დრო არ უნდა დახარჯონ იმაზე, რაც განმარტებას მოითხოვს (27).

ადამიანმა, ვინც საუბრობს ენაზე, რომელიც სხვებს არ ესმით, არ უნდა ილაპარაკოს, თუ მის ნათქვამს ვერავინ განმარტავს (28).

არასოდეს უნდა ლაპარაკობდეს ერთდროულად ერთზე მეტი ადამიანი (31). როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ყველას უნდოდა საუბარი, ერთდროულად რამდენიმე ადამიანი საუბრობდა. ღვთისმსახურება ქაოსში იყო.

ზოგიერთ მათგანს შეიძლება ეთქვა, რომ ისინი ვერ მოექცეოდნენ წესების ქვეშ, რადგან როდესაც სული მოქმედებდა , ისინი ვერ აკონტროლებდნენ საკუთარ თავს. პავლემ თქვა, რომ წინასწარმეტყველს შეუძლია საკუთარი თავის კონტროლი (32). მან თქვა, რომ ღმერთი არ გამოიწვევს ქაოსს ეკლესიაში (33). სულიწმიდა არ აღძრავს ადამიანს ისეთი რამის საკეთებლად, რაც ეწინააღმდეგება ბიბლიურ მოძღვრებას.

► რომელი კარგი ზომები და პროცედურები არსებობს ღვთისმსახურებაში წესრიგის შესანარჩუნებლად?

როგორც ჩანს, კორინთოს ეკლესიაში ქალები არეულობას იწვევდნენ. ისინი სავარაუდოდ სვამდნენ კითხვებს და კამათობდნენ, რადგან პავლემ თქვა, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ ძალაუფლების ქვეშ და თავიანთი კითხვები სახლში უნდა დაესვათ. საუკეთესო ვითარებაში, ქალებს შეიძლება მიეცეთ უფლება, ჰქონდეთ მსახურება და მონაწილეობა მიიღონ ღვთისმსახურებაში, მაგრამ ისინი უნდა იყვნენ მოწესრიგებულნი.

სტუდენტმა უნდა წაუკითხოს 14:36-40 ჯგუფს.

► რა იგულისხმა პავლემ სხვა ეკლესიებთან მათ ურთიერთობაზე?

(8) *მოციქულობის პრინციპი: ყოველი ეკლესია უნდა დაემორჩილოს მოციქულთა თავდაპირველ მოძღვრებას.*

კორინთელი მორწმუნეები სულიერი ნიჭებით კურთხეულნი იყვნენ. შესაძლოა, მათ დაიწყეს ფიქრი, რომ აღარ სჭირდებოდათ სხვა ავტორიტეტების მოსმენა. პავლემ შეახსენა მათ, რომ სახარება მათ სხვებისგან მიიღეს. მათ ესაჭიროებოდათ ღვთის მთელი ეკლესიის დოქტრინების მორჩილება. თუ ადამიანი ამბობს, რომ მას მოციქულის მითითებებზე უკეთ ესმის და მეტი იცის, ის უცოდინარია და არ უნდა ჩაითვალოს ბრძენად და სულიერად.

პავლემ უთხრა მათ, რომ არ აეკრძალათ სხვადასხვა ენებზე ლაპარაკი. ენების ნიჭი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც სხვადასხვა ენას იყენებენ; მაგრამ, ნიჭი უნდა იქნას გამოყენებული ისე, როგორც ბიბლია მიგვითითებს.

ეკლესიის შეჯიბრი სულიერ ძალასთან

არის ეკლესიები, რომლებიც სულიერი ძალის დემონსტრირებით ცდილობენ ყურადღების მიპყრობას. მათ სჯერათ, რომ სასწაულები და სულიერი ნიჭები განსაზღვრავს საუკეთესო ეკლესიას. ისინი აცხადებენ განკურნების მრავალი სასწაულის შესახებ. ზოგიერთი წევრი ამტკიცებს, რომ ისინი ხშირად იღებენ გამოცხადების სიტყვას ღვთისგან. მათი თაყვანისცემა უფრო ფოკუსირებულია სულიერი ნიჭების დემონსტრირებაზე, ვიდრე ბიბლიაზე. მათ მიაჩნიათ, რომ ყველა ქრისტიანს უნდა ჰქონდეს ენების ნიჭი და მათ სურთ, რომ ეს ნიჭი ვლინდებოდეს მათ თაყვანისცემაში. ისინი მოუწოდებენ ხალხს, გამოიჩინონ ინიციატივა ღვთისმსახურებაში იმდენად, რომ მათი მომსახურება შეიძლება ქაოტური გახდეს. მათი ლიდერები ცდილობენ სახელი გაითქვან, თავიანთი სულიერი ძალის გამოვლენით და სხვა ეკლესიების კრიტიკით.

ეკლესიებში რამდენიმე პრობლემა არსებობს, რომელიც კონკურენციას უწევს სულიერ გამოვლინებას. მათი ბევრი წევრი და ლიდერიც კი ღია ცოდვაში ცხოვრობს. მათ არ ესმით მოწიფული სულიერება, რომელსაც რწმენა ავლენს, რომელიც უძლებს ცხოვრებისეულ გამოწვევებს. მათი ბევრი ლიდერი ახალგაზრდაა, რომლებიც არ ცხოვრობენ ცოდვაზე გამარჯვებაში და პატივს არ სცემენ უფროსებს, ერთგულ მორწმუნეებს. მათ აქვთ ენების ნიჭის არაბიბლიური გამოყენება. მათი ხალხის უმეტესობას სინამდვილეში არ განუცდია სასწაულები, მაგრამ ამის იმედი აქვთ.

ეკლესია, რომელიც ჭეშმარიტად არის სულიწმიდით ცხებული, უნდა წარმოაჩენდეს რწმენას და სულიერ ნიჭებს წმინდა წერილის თანახმად. ეკლესია უნდა გაუძღვეს თავის წევრებს მოწიფული რწმენის განვითარებისკენ, რომელიც გაუძლებს მძიმე

პერიოდებს და უზრუნველყოფს ცოდვაზე გამარჯვებას. სულიერი ნიჭების, სანახაობის სახით წარმოჩენის ნაცვლად, ეკლესიამ უნდა გამოიყენოს ისინი რწმენის ოჯახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

► რა მიანიშნებს იმაზე, რომ ეკლესია, სულიერი ძალის წარმოჩენით, ცდილობს კონკურენცია გაუწიოს სხვა ეკლესიებს?

შვიდი შემაჯამებელი დებულება

(1) სულიერი ნიჭი არის მორწმუნესთვის, სულიწმიდის მიერ, ეკლესიის მსახურებაში გამოსაყენებლად მიცემული უნარი.

(2) ყველა მორწმუნე იღებს სულიერ ნიჭს, მაგრამ ყველა ადამიანს ვერ ექნება ერთი კონკრეტული ნიჭი.

(3) ეკლესიის სხვადასხვა წევრმა ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ნიჭით ერთობლივად უნდა იმოქმედოს, როგორც ერთმა სხეულმა.

(4) მსახურების მოწოდებებს თან ახლავს სულიერი ნიჭები.

(5) წარმოთქმულ სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ მათი გაგება ვერ ხდება.

(6) მორწმუნემ გულმოდგინედ უნდა გამოიყენოს თავისი ნიჭი ღმერთის სადიდებლად და ეკლესიის აღსაშენებლად.

(7) ღმერთისა და ადამიანების სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანია ახლა და სამუდამოდ.

14 გაკვეთილის დავალებები

(1) დაიმახსოვრეთ მე-14 გაკვეთილის შვიდი შემაჯამებელი დებულება. დაწერეთ ერთი აბზაცი, რომელიც განუმარტავს შვიდი შემაჯამებელი განცხადებიდან თითოეულის აზრს და მნიშვნელობას (სულ შვიდი აბზაცი) ვინმეს, ვინც არ არის ამ კლასის სტუდენტი. ჩააბარეთ ის კლასის ხელმძღვანელს შემდეგი გაკვეთილის დაწყებამდე. მზად იყავით გაუზიაროთ თქვენი აბზაცი ჯგუფს, თუ კლასის ხელმძღვანელი ამას გთხოვთ დისკუსიის დროს. ჩამოწერეთ ზეპირად ნასწავლი შვიდი შემაჯამებელი დებულება.

(2) არ დაგავიწყდეთ დროში გაწეროთ თქვენი კლასგარეშე სწავლების შესაძლებლობები და აცნობეთ კლასის ხელმძღვანელს, როდესაც ჩაატარებთ სწავლებას.

(3) ტესტი: შემდეგი გაკვეთილის დასაწყისში უნდა დაწეროთ სულიერი ნიჭების რვა პრინციპიდან, შვიდი მაინც.

გაკვეთილი 15
ეკლესიის სიმწიფისათვის საჭირო საკითხები

შესავალი

ამ გაკვეთილზე, კითხვების, ანუ საკითხების სახით, მოცემულია მოწიფული ეკლესიის მახასიათებლები. ეკლესიამ უნდა განიხილოს ეს საკითხები, რათა გაიგოს, როგორ უნდა განავითაროს ისინი.

ამ კლასში ყველა მოსწავლე შეიძლება არ იყოს ერთი და იმავე ეკლესიიდან, ან შეიძლება არ იყვნენ ის პირები, ვისაც ცვლილებების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლია თავიანთ ეკლესიებში. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს საკითხები ეკლესიის სიმწიფის დონის შესაფასებლად და საკუთარი მსახურების მიზნების დასასახად.

ქვემოთ მოყვანილი თითოეული კითხვასთან დაკავშირებით განიხილეთ მისი მნიშვნელობა მოცემული განმარტებების გამოყენებით. შემდეგ, დაფიქრდით, რა შეიძლება გააკეთოს ეკლესიამ, რათა განავითაროს მისთვის საჭირო მახასიათებელი.

ეკლესიის სიმწიფისათვის საჭირო საკითხები

(1) სად არიან მცირე ჯგუფები, რომლებიც სულიერ სიცოცხლეს ანიჭებენ ეკლესიას?

ჯანსაღ ეკლესიას, როგორც წესი, ჰყავს გარკვეული მცირე ჯგუფები, სადაც ხდება სულიერი ცხოვრების განმტკიცება. ეს ჯგუფები შეიძლება იყოს სახლის ეკლესიები, საკვირაო სკოლის კლასები ან სხვა სახის ჯგუფები. ისინი შეიძლება იყოს ორგანიზებული ან არაფორმალური. სულიერი გამოღვიძება ჩვეულებრივ მცირე ჯგუფებში იწყება. ეკლესიის სულიერი ცხოვრების შენარჩუნება და გამოღვიძება ვერ ხდება მხოლოდ ღვთისმსახურებით. სულიერი პასუხისმგებლობა და ცხოვრების ცვლილება ჩვეულებრივ მცირე ჯგუფებში ხდება. ეკლესიის წინამძღოლები უნდა დარწმუნდნენ, რომ არსებობს მცირე ჯგუფები, რომლებიც ამ მიზნებს ასრულებენ. თუ ეკლესიაში არსებული სტრუქტურები ხელს არ უწყობს სულიერ ცხოვრებას, საჭიროა ცვლილებები.

(2) ვის ეკუთვნის ეკლესია?

ეკლესია არ არის მოწიფული, თუ არ არსებობს ერთგული და მიძღვნილი წევრების ჯგუფი, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ მსახურებაზე და მის ფინანსურ მხარდაჭერაზე.

თუ მსახურება მოქმედებს, როგორც პასტორის პირადი საქმიანობა, ეკლესია არასოდეს მომწიფდება და ჩამოყალიბდება. თუ ეკლესიის შენობა ნაქირავებია, ეკლესია არ არის მოწიფული, თუ კერძო ან გარე ორგანიზაცია იხდის ქირას.

იდეალურ შემთხვევაში, შენობა და მსახურება ეკლესიის წევრთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. თუ შენობა ნაქირავებია, კრებულმა (ეკლესიის თემმა) ერთად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ქირის გადახდაზე.

ადგილობრივი საეკლესიო მსახურება უნდა დაფუძნდეს, რათა ქრისტეს დაბრუნებამდე განაგრძოს თავისი საქმიანობა, როგორც დაწესებულებამ.

(3) როგორ ხდება ადგილობრივი მსახურების ფინანსური მხარდაჭერა?

საუკეთესო ფინანსური მდგომარეობა ეკლესიისთვის არის მხარდაჭერა წევრების მიერ დადებული მეათედებით. თუ ეკლესიას მხარს უჭერს გარე ორგანიზაცია, ის არ არის მოწიფული და დაუცველია. თუ მას მხარს უჭერს მოძღვარი ან რამდენიმე შემომწირველი და არა მთელი კრებული, ეკლესიის მრევლი, ანუ თემი, ვერ ჩამოყალიბდა რწმენის მოწიფულ ოჯახად.

მეათედი არის ადგილობრივი ეკლესიის მხარდაჭერის ღვთიური მეთოდი. ეკლესიის წინამძღოლებმა უნდა ასწავლონ მეათედის შესახებ და თანდათან ააშენონ ადგილობრივი მხარდაჭერა ეკლესიის მსახურებისთვის. ეკლესია არ უნდა იყოს დამოკიდებული მისი საქმიანობის გარედან მხარდაჭერაზე. გარე მხარდაჭერა უნდა იქნას გამოყენებული იმ პროექტებისთვის, რომლებიც გაზრდის ეკლესიის შესაძლებლობებს.

(4) მხარს უჭერს თუ არა ეკლესია სრული დროით მსახურ პასტორს?

ბიბლიური გეგმა პასტორზე არის ის, რომ მან დრო მთლიანად თავის მსახურებას დაუთმოს. ზოგჯერ ეს შეუძლებელია ახალი ეკლესიისთვის, მაგრამ ეკლესიას უნდა ჰქონდეს მიზანი განავითაროს მხარდაჭერა, რომელიც საშუალებას მისცემს პასტორს ფოკუსირება მოახდინოს მსახურებაზე, ფინანსური საჭიროებებისგან დათრგუნვის გარეშე.

(5) როგორია ფინანსური ანგარიშვალდებულების სისტემა?

შესაწირავები უნდა შეაგროვოს და დაითვალოს ერთზე მეტმა ადამიანმა. ეკლესიის ფინანსური პრიორიტეტებისა და პოლიტიკის განსაზღვრაში რამდენიმე სანდო ადამიანი უნდა იყოს ჩართული. ეკლესიის წევრებმა უნდა იცოდნენ, როგორ მუშაობს ეკლესიის ფინანსური სისტემა.

(6) რა საშუალებები გამოიყენება ეკლესიის გარეთ მყოფი ხალხისთვის სახარების მისატანად?

> "ქრისტიანობის მისიის შესასრულებლად ღვთაებრივად დაწესებულ საშუალებებს შორის, უმთავრესი ადგილი ენიჭება სახარების ქადაგებას".
> - ჯონ მაილი, ქრისტიანული თეოლოგია

ეკლესიის პირველი პასუხისმგებლობა მრევლის ერთგულ წევრებზე ზრუნვაა. თუმცა, ეკლესია ყოველთვის უნდა ხმას აწვდენდეს გარშემო, სამეზობლოში მყოფ ხალხსაც. ეკლესიას უნდა ჰქონდეს ისეთი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ეკლესიის გარეთ მყოფი ხალხი ხედავენ ეკლესიის საქმიანობას და ისმენდნენ სახარებას. ზოგიერთი ეს აქტივობა შეიძლება სპონტანურად განხორციელდეს. ლიდერებს მოუწევთ სხვების ორგანიზებაც. შესაძლებლობების მქონე, უნარიანი წევრები უნდა მიიწვიონ და მოემზადონ ამ აქტივობებისთვის.

(7) როგორ პასუხობს ეკლესია სამეზობლოს საჭიროებებს?

ეკლესიამ უნდა მოძებნოს გზები სამეზობლოში არსებულ საჭიროებებზე რეაგირებისთვის. პრიორიტეტი ყოველთვის უნდა იყოს ღვთის სიყვარულის ჩვენება და ბიბლიური პრინციპების დემონსტრირება.

(8) არსებობს თუ არა ეთნიკური ან ეკონომიკური კატეგორიის ადამიანები, რომლებიც გამორიცხულია ეკლესიის წვდომისგან?

გრძნობენ ღარიბი ადამიანები, რომ შეუძლიათ ეკლესიაში სიარული იმ ტანსაცმლით, რაც მათ აქვთ? მიესალმებიან თუ არა თემის, ანუ დასახლების ბავშვების დასწრებას ეკლესიის მსახურებებზე მაშინაც კი, თუ მათი მშობლები არ მოდიან? არსებობს ადამიანთა ეთნიკური ჯგუფი, რომელიც თვლის, რომ ეკლესია მათთვის არ არის?

(9) როგორ ხვდებიან ეკლესიაში მოსულებს?

ეკლესიამ უნდა ასწავლოს ხალხს, რომ მიესალმონ ადამიანებს, რომლებიც ეკლესიას სტუმრობენ. ვიზიტორების ეკლესიაში დახვედრის და მისალმების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია, რომ მათ თავი სასურველად და კომფორტულად იგრძნონ.

სტუმრის გაცნობას რამდენიმე ადამიანი უნდა ეცადოს. ის უნდა მიიწვიონ არა მხოლოდ შემდეგ ღვთისმსახურებაზე, არამედ მცირე ჯგუფის შეხვედრებზეც, მაგალითად სახლის ეკლესიის შეხვედრაზე, სადაც მას შეეძლება ისწავლოს და დასვას შეკითხვები.

(10) რა მეთოდი აქვს ეკლესიას, რომ დაუყოვნებლივ მოიმოწვაფოს ახალმოქცეულები?

როდესაც ადამიანი იღებს ხსნას, ეკლესიაში თუ სხვაგან, არ შეიძლება მისი უბრალოდ მიწვევა, არა მხოლოდ ღვთისმსახურებაზე, არამედ უშუალო მოწაფეობის სისტემაშიც კი. ეს უნდა დაიწყოს პასტორთან პირისპირ შეხვედრებით. ის შეიძლება მიიწვიონ მცირე ჯგუფში, რომელიც იკრიბება ყოველკვირეულად. ეკლესია მზად უნდა იყოს, რომ ემსახუროს ახალმოქცეულებს.

(11) როგორ აღწერს ეკლესია სულიერ სიმწიფეს ანუ მოწიფულობას?

როგორ გამოიყურებიან სულიერად მოწიფული ადამიანები? ეკლესიას უნდა შევასწავლოთ სულიერი სიმწიფის მახასიათებლები. ეს მახასიათებლები ყოველთვის არ ახლავს ლიდერობის უნარებს ან ნიჭს, მაგრამ ასეთი მახასიათებლების მქონე ადამიანებს პატივი უნდა ვცეთ, როგორც ნიმუშებს.

(12) როგორია მიზანმიმართული სულიერი განვითარების სისტემა?

> "იესომ დააარსა ეკლესია პირადი მოწოდებით და შეკრიბა მოციქულები თავის გარშემო, წვრთნიდა, ასწავლიდა და ავალებდა მათ გამოცხადებისა და ზიარების მსახურებას, პირდაპირ აცხადებდა თავის შეუქცევად განზრახვას ჩამოეყალიბებინა მუდმივი საზოგადოება, რომელსაც გადაეცემოდა ძალაუფლება და უფლებამოსილება რომ მოენათლათ, ექადაგათ, აღესრულებინათ წესრიგი და აღენიშნათ პასექის დრესასწაული მკვდრეთით აღმდგარ უფალთან ერთად".
> - თომას ოდენი, ცხოვრება სულში

ეკლესიის მნიშვნელოვანი ამოცანაა დაეხმაროს თავის წევრებს სულიერ განვითარებაში (ეფესელთა 4:11-13). ეკლესიის მესვეურები მხოლოდ იმის იმედად ვერ იქნებიან, რომ სულიერი განვითარება თავისთავად მოხდება. მათ უბრალოდ კი არ უნდა უქადაგონ მრევლს და შემდეგ სულიერი განვითარების მთელი პროცესი ინდივიდუალურ ინიციატივას მიანდონ. პასტორებს უნდა ჰქონდეთ სისტემა ხალხის წასახალისებლად, რომ მათ სულიერი დისციპლინები გამოიყენონ. მათ უნდა უზრუნველყონ ანგარიშვალდებულება ყველასთვის, ვინც მას აღიარებს. ეს

შეიძლება მიიღწეს პირადი საუბრებით, მცირე ჯგუფებით, სწავლებით და სხვა გზებით.

(13) არსებობს თუ არა წევრობის სტრუქტურა, რომელიც ხალხს აძლევს შესაძლებლობას ეკლესიას მიუძღვნან თავი?

ადამიანებმა, რომლებსაც სურთ ეკლესიას მიუძღვნან თავი, კონკრეტულად უნდა იცოდნენ, რას ნიშნავს მიძღვნილობა. ზოგიერთი ეკლესია აცხადებს, რომ მათ არ აქვთ წევრობის სტრუქტურა, მაგრამ თითოეულ ეკლესიას აქვს საშუალება შეიტყოს, ვინ არიან მისი ხალხი. ყველამ უნდა იცოდეს, ვისგან შედგება ეკლესია.

(14) არის თუ არა წევრობის პირობები ყველასთვის გასაგები და ცნობილი?

ყველამ უნდა იცოდეს, რა აუცილებელი ვალდებულებებია წევრობისთვის. გაწევრიანების პირობები და პროცესის აღწერა უნდა დაიბეჭდოს.

(15) აძლევს თუ არა წევრობის პირობები ახალმოსულს საშუალებას სწრაფად ჩაერთოს ეკლესიის საქმიანობაში?

ახალმოქცეულს, რომელიც მზად არის ეკლესიას მიუძღვნას თავი და უერთგულოს, დაუყოვნებლივ უნდა შეეძლოს ეკლესიის მხარში დადგომა. ეს არ ნიშნავს, რომ მას უნდა მიეცეს თანამდებობა ან ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ ის ეკლესიის ნაწილია.

(16) რომელი ჯგუფია პასუხისმგებელი ეკლესიის ღირებულებებისა და სტანდარტების დაცვაზე?

ეკლესიას ჰყავს თავდადებული წევრების ჯგუფი, რომლებიც განსაზღვრავენ ეკლესიის ბუნებას. ისინი შეიძლება იყვნენ დიაკვნების საბჭო ან ხმის მიმცემ წევრთა ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მმართველი ორგანო. ლიდერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ჯგუფის განვითარებას. ცვლილებები ამ ჯგუფში ეკლესიის მომავალს განსაზღვრავს. მოძღვარი ანუ პასტორი მათ წინაშე ანგარიშვალდებული უნდა იყოს და მათი ინფორმირებულობა უზრუნველყოს. მათ და ხელმძღვანელობას ეკლესიისთვის ერთი და იგივე პრიორიტეტები უნდა ჰქონდეთ.

(17) იზიარებს თუ არა ეკლესია მკაფიო ხედვისადმი მიძღვნას?

პასტორმა, ლიდერობამ და ერთგულ წევრთა ჯგუფმა მნიშვნელოვანი დრო უნდა დაუთმონ ეკლესიის მიზნისა და ამოცანების განხილვას. მათ უნდა განავითარონ

ეკლესიის ხედვა, რომლის მხარდაჭერაც შეუძლიათ. წევრები უნდა იცნობდნენ ეკლესიის ხედვას.

(18) იციან თუ არა წევრებმა ეკლესიის დოქტრინა?

ეკლესიამ, თავისი ხალხის თაყვანისცემისა და სულიერი გამოცდილების მიღებისთვის მეტი უნდა გააკეთოს. როდესაც გარეშე პირი შეეკითხება წევრს: "რისი სწამს თქვენს ეკლესიას?" წევრს უნდა ჰქონდეს კარგი პასუხი. წევრებს უნდა შეეძლოთ განმარტონ ქრისტიანობის ძირითადი დოქტრინები და მათი ეკლესიის სპეციფიკური დოქტრინები.

(19) ესმით თუ არა წევრებს, ეკლესიასა და მის დენომინაციას შორის ურთიერთობები?

ეკლესიამ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება ასოციაციის მიმართ. ასოციაციასთან თანამშრომლობა შეიძლება დაეხმაროს ეკლესიის დოქტრინის მხარდაჭერას. ეკლესიის ხალხი უნდა იყოს წახალისებული ასოციაციის ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

(20) როგორ იგეგმება და ფასდება ღვთისმსახურება?

ლიდერებმა ლოცვით უნდა დაგეგმონ ღვთისმსახურება. თუ სულიწმიდა უძღვება მსახურებას მოულოდნელი მიმართულებით, ეს მშვენიერია; მაგრამ თუ ეს არ ხდება, ლიდერებს უნდა ჰქონდეთ გეგმა, რომელსაც უნდა გაყვნენ. უნდა იყოს შეხვედრები, სადაც რამდენიმე ლიდერი ერთად იმუშავებს მსახურების დეტალებზე.

თუ ეკლესიას აქვს კარგი ღვთისმსახურება, მრევლი ჩართულია და დაინტერესებულია. ეკლესია უნდა ეცადოს გამოიყენოს მრავალი განსხვავებული ადამიანი მსახურების სხვადასხვა ნაწილში, რათა ხელი შეუწყოს უფრო მეტი ადამიანის დაინტერესებასა და მიძღვნას.

(21) ხდება თუ არა ნათლობა და ზიარება გააზრებულად და წმინდა წერილების შესაბამისად?

ყოველი ჭეშმარიტი ახალმოქცეული უკვე უნდა მოინათლოს, ან გეგმავდეს მონათვლას ახლო მომავალში. ზიარება უნდა მიიღონ მათ, ვისაც აქვთ მადლის მოწმობა. ზიარება უნდა მოხდეს ისე, რომ მონაწილეებს თაყვანისცემაში დაეხმაროს.

(22) ახორციელებს თუ არა ეკლესია ბიბლიურ საეკლესიო დისციპლინის დაცვას, ანუ წესრიგის აღსრულებას?

ეკლესია ცოდვის წინააღმდეგ უნდა დადგეს. თუ ეკლესიის წევრი ცოდვაშია, მას უნდა დაუპირისპირდეს. მიზანი უნდა იყოს მისი მონანიებამდე მიყვანა და მისი სულიერ გამარჯვებაში აღდგენა.

(23) არსებობს თუ არა გუნდი, რომელიც იზიარებს მსახურების პასუხისმგებლობებს?

მსახურება არ გაიზრდება, სანამ ლიდერთა გუნდი არ ჩამოყალიბდება. თითოეული ადამიანი შეზღუდულია, როგორც იმ ადამიანების რაოდენობაში, რომლებზეც მას გავლენის მოხდენა შეუძლია, ასევე პასუხისმგებლობების რაოდენობაში, რომლის აღებაც შეუძლია. ეკლესიური მსახურება არ უნდა იყოს ერთი ადამიანის მსახურება.

> "იგივე სხეულმა, რომელიც იბრძვის მთავრობათა და ხელმწიფებათა წინააღმდეგ და რომელიც მომავალში კიდევ უფრო სერიოზულ სირთულეებს ელის, ამავდროულად, უკვე გაიმარჯვა, იმის წყალობით, რომ ის ამჟამად გაერთიანდა თავის თავთან, ზეციურ ქალაქში და მოელის სიხარულის სისრულეს უფალში, რომელშიც ყველა ერთგული ერთად ადიდებს ღმერთს დროთა დასასრულს."
> - უილიამ პოუპი,
> ქრისტიანული ღვთისმეტყველების კრებული

(24) როგორია მსახურების გუნდში წევრების შერჩევის, მომზადებისა და დამატების სისტემა?

მსახურება ვერ გაიზრდება ლიდერთა გუნდის ახალი წევრების განვითარების გარეშე. გუნდის წევრები ძალიან გულდასმით უნდა შეირჩეს, მაგრამ ეკლესია ყოველთვის უნდა მუშაობდეს იმ ადამიანების მოძებნაზე და განვითარებაზე, რომლებსაც მომავალში შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება. მსახურების ზრდა დამოკიდებულია უფრო მეტი ლიდერის განვითარებაზე.

(25) როგორია ეკლესიაში კონფლიქტებსა და პრობლემებზე რეაგირების სისტემა?

მოუგვარებელი კონფლიქტები ანგრევს ეკლესიას. ეკლესიის წევრებს უნდა ასწავლოთ როგორ გადაჭრან პირადი კონფლიქტები ადამიანებთან. ეკლესიის წინამძღოლებმა არ უნდა უგულებელყონ კონფლიქტები, არამედ მზად იყვნენ შერიგების ხელშეწყობისთვის.

(26) მხარს უჭერს თუ არა ეკლესია მისიებს სხვა ეკლესიებთან პარტნიორობაში?

თუ ეკლესიას ნამდვილად სურს ღვთის სასუფევლის წინსვლა, ის იმუშავებს არა მხოლოდ თავისი ადგილობრივი გავლენის გაფართოებაზე, არამედ სხვა მსახურების მხარდაჭერაზეც. ეკლესია ცხადყოფს, რომ ეს არის ღვთის სადიდებლად, როდესაც ის წირავს მსახურებას, რაც თავისთავად მას არ მოუტანს სარგებელს.

(27) ხელს უწყობს თუ არა ეკლესია ახალი ეკლესიის დაფუძნებას?

მოწიფული, ჩამოყალიბებული ეკლესია უნდა ეხმარებოდეს ახლომდებარე ტერიტორიაზე არსებულ ახალ ეკლესიას. ახალი ეკლესია მიწვდება იმ ადამიანებს, რომლებთანაც არსებული ვერ აღწევს.

(28) ემსახურება თუ არა ეკლესია მრევლის ყველა ასაკისა და კატეგორიის ადამიანს?

ეკლესიისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ბავშვების, მოხუცების, ახალგაზრდების, ახალგაზრდა ოჯახების, მამაკაცების, დაუქორწინებელი ადამიანების და სხვათა საჭიროებები. ეკლესიამ ასევე უნდა იფიქროს სულიერი სიმწიფის ყველა დონის მქონე ადამიანების საჭიროებებზე.

(29) მუშაობენ თუ არა ეკლესიის ხალხი ერთად, რათა იზრუნონ წევრების საჭიროებებზე?

ეკლესიამ უნდა იზრუნოს მრევლის ფინანსურ საჭიროებებზე. მოთხოვნილებების უმეტესობა უნდა დააკმაყოფილოს იმ ადამიანებმა, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან ეკლესიის ლიდერების ხელმძღვანელობის გარეშე. თუ წევრების უმეტესობა არ გრძნობს პასუხისმგებლობას სხვების დასახმარებლად, მაშინ მათ ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული მოწიფული ეკლესია.

(30) როგორ ზრუნავს ეკლესია მრევლის ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე?

ეკლესიაში უნდა იყვნენ დიაკვნები, რომლებიც ყურადღებას აქცევენ საჭიროებებს. ეკლესიამ საქმეების წიგნში ამ მიზნით დანიშნა პირველი დიაკვნები.

ეკლესიის დოქტრინა და პრაქტიკა
დავალებების ჩაწერა

სტუდენტის სახელი და გვარი _____

თავდაპირველად დააწერეთ სახელი გვარი და როდის შესრულდა თითოეული დავალება. ტესტები "შესრულებულად" ითვლება, როდესაც სტუდენტი იღებს 70% ან მეტ ქულას. Shepherds Global Classroom–ისგან სერთიფიკატის მისაღებად, ყველა დავალება წარმატებით უნდა იყოს შესრულებული.

გაკვეთილი	შვიდი მტკიცება და პარაგრაფი	ინტერვიუები	წერა	ტესტი
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				

კლასგარეშე სწავლება			

შეპერდს გლობალ კლასრუმისგან სერთიფიკატის მოთხოვნა

Shepherds Global Classroom-ის (SGC) დასრულების სერტიფიკატის მისაღებად განაცხადი შესაძლებელია შეავსოთ ჩვენს ვებ – გვერდზე: www.shepherdsglobal.org. SGC- ს პრეზიდენტი, გადასცემს სერთიფიკატებს, ციფრული სახით, ინსტრუქტორებსა და კურატორებს, რომლებიც შეავსებენ განაცხადს მათი სტუდენტის(ების) სახელით.

შეფერდს გლობალ ქლასრუმ კურსების აღწერა

<u>დოქტრინალური საფუძვლების კურსები</u>

ქრისტიანული მრწამსი

ეს არის სისტემატიზებული თეოლოგიის კურსი, რომელშიც აღწერილია ქრისტიანული მოძღვრებები ბიბლიის, ღმერთის, ადამიანის, ცოდვის, ქრისტეს, ხსნის, სულიწმინდის, ეკლესიისა და უკანასკნელ მოვლენების შესახებ.

რომაელები

ეს კურსი ასწავლის ხსნის თეოლოგიას და მისიებს, როგორც განმარტებულია რომაელთა წიგნში, განიხილავს რამდენიმე საკითხს, რომლებიც სადავო იყო ეკლესიაში.

ესქატოლოგია

ეს კურსი ასწავლის დანიელისა და გამოცხადების ბიბლიურ წიგნებს, წინასწარმეტყველური წერილების სხვა მონაკვეთებთან ერთად და ხაზს უსვამს ისეთ მნიშვნელოვან მოძღვრებებს, როგორიცაა ქრისტეს დაბრუნება, უკანასკნელი სამსჯავრო

წმიდა ცხოვრების დოქტრინა და პრაქტიკა

ამ კურსში მოცემულია წმინდა ცხოვრების ბიბლიური აღწერა, რომელსაც ღმერთი ელის და ძლასაც აძლევს ქრისტიანს.

ეკლესიის დოქტრინა და პრაქტიკა

ეს კურსი განმარტავს ღმერთის ჩანაფიქრსა და გეგმას ეკლესიისა და ბიბლიური თემების შესახებ, როგორიცაა ეკლესიის წევრობა, ნათლობა, ზიარება, მეათედი და სულიერი ლიდერობა.

<u>ბიბლიის შესასწავლი კურსები</u>

ძველი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ძველი აღთქმის 39 წიგნის არსებით შინაარსს და სწავლებებს.

ახალი აღთქმის გამოკვლევა

ეს კურსი ასწავლის ახალი აღთქმის 27 წიგნის არსებით შინაარსსა და სწავლებებს.

ბიბლიური განმარტებების პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ბიბლიის სწორად განმარტების პრინციპებსა და მეთოდებს, რათა ამან განსაზღვროს ჩვენი ცხოვრება და ღმერთთან ურთიერთობა.

<u>მახარებლობისა (ევანგელიზაციის) და მოწაფეობის კურსები</u>

აპოლოგეტიკის შესავალი

ეს კურსი ასწავლის ქრისტიანული მსოფლმხედველობის სამეცნიერო, ისტორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს და აჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება ქრისტიანული სარწმუნოება გონიერებას და რეალობას.

მსოფლიო რელიგიები და კულტები (ცრუ რელიგიები)

ეს კურსი უზრუნველყოფს სახარებისეულად მორწმუნეს მოძღრებების სწორი გაგებით და სათანადო პასუხებით თვრამეტი რელიგიური ჯგუფისათვის.

ბიბლიური ევანგელიზმი და მოწაფეობა

ამ კურსში მოცემულია ბიბლიური პრინციპები, რომლით ხელმძღვანელობაც შესაძლებელია მახარბელობის (ანუ ევანგელიზაციის) მეთოდებში. ის აღწერს მახარებლობის ფორმებს და გთავაზობთ გაკვეთილებს, რომლებიც უნდა გამოიყენოთ ახალმოქცეულთა მომოწაფეებისთვის.

სულიერი ფორმირება

ამ კურსში სტუდენტები სწავლობენ: როგორ იქონიონ იესოს ზრახვანი, ღმერთთან ისეთივე კავშირი და ერთობა, როგორც იესოს აქვს მამასთან; თავის დამდაბლებას იესოს მსგავსად; იესოს სულიერი და პირადი დისციპლინების დაცვას, რათა იესოს მსგავსად გაუძლონ ტანჯვას და ჩაერთონ იესოს მიერ ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ ერთობაში (ეკლესიაში).

პრაქტიკული ქრისტიანული ცხოვრება

ამ კურსში ხდება ბიბლიური პრინციპების მისადაგება ფულის, ურთიერთობების, გარემოს, მთავრობასთან ურთიერთობის, ადამიანის უფლებებისა და პრაქტიკული ცხოვრების სხვა სფეროების გამოყენებასთან.

<u>ქრისტიანული ლიდერობის კურსები</u>

მსახურების ლიდერობა

ლიდერობა მსახურებაში

ეს კურსი ხაზს უსვამს ქრისტიანულ ხასიათს, ხოლო ლიდერებს ასწავლის ორგანიზაციებს გაძღოლას, ფასეულობების აღმოჩენის, მიზნის რეალიზების, ხედვის გაზიარების, ამოცანების დასახვის, სტრატეგიის დაგეგმვის, მოქმედების და მიღწევების განცდის საშუალებით.

იესოს ცხოვრება და მსახურება

ეს კურსი შეისწავლის იესოს ცხოვრებას, როგორც ნიმუშს 21–ე საუკუნის მსახურებისა და ხელმძღვანელობისთვის.

და ღვთის მარადიული სამეფო.

კომუნიკაციის პრინციპები

ეს კურსი ასწავლის ურთიერთობების თეოლოგიას, ეფექტური მეტყველების მეთოდებს და ბიბლიური ქადაგების მომზადების და წარდგენის მეთოდებს.

ქრისტიანული თაყვანისმცემლობის შესავალი

ამ კურსში განმარტებულია, თუ როგორ მოქმედებს თაყვანისცემა მორწმუნის ცხოვრების ყველა ასპექტზე და მოცემულია პრინციპები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოთ ინდივიდუალური და კრებულში ერთობლივი თაყვანისცემის დროს.

<u>ეკლესიის ისტორიის კურსები</u>

ეკლესიის ისტორია I

ეს კურსში აღწერს, თუ როგორ შეასრულა ეკლესიამ თავისი მისია და დაიცვა ძირითადი დოქტრინა ადრეული ეკლესიის დროიდან რეფორმაციამდე.

ეკლესიის ისტორია II

ამ კურსში აღწერილია, თუ როგორ იზრდებოდა ეკლესია და როგორ ხვდებოდა სირთულეები რეფორმაციის დროიდან დღემდე.